

ლიანა მელიქიშვილი, გიორგი მამარდაშვილი,  
ვახტანგ ჟურჟუაძე, ლაფრენტი ჯანიაშვილი

**ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია**

**ქვემო ქართლში**

(სომხები და აზერბაიჯანელები)



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION

კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტი

---

**ლიანა მელიქიშვილი, გიორგი მამარდაშვილი,  
ვახტანგ ურუშაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი**

**ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში  
(სომხები და აზერბაიჯანელები)**

თბილისი  
2021

მონოგრაფია გამოცემულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ფუნდამენტური კვლევებისათვის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „სომხურ-აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობა საქართველოში (ქვემო ქართლი) და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის დინამიკა“ (გრანტი: FR17-76).

წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

მონოგრაფიაში განხილულია ქვემო ქართლის ექვსი მუნიციპალიტეტის (გარდაბანი, მარნეული, დმანისი, ბოლნისი, თეთრიწყარო, ნალკა) სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის ჩამოსახლების ისტორია, მათი ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხები და ინტეგრაციის თავისებურებები. წიგნი განკუთვნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ისტორიითა და თანამედროვე ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორები: **ლ. მელიქიშვილი**

**ლ. ჯანიაშვილი**

რეცენზენტები: **ვ. ვაშაკიძე, ნ. ჯალაბაძე**

ტექნიკური რედაქტორი: **ჯ. ამირანაშვილი**

დაკაბადონება: **ა. რუაძე**

- © შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2021
- © კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2021
- © ლიანა მელიქიშვილი, გიორგი მამარდაშვილი, ვახტანგ ურუშაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი

ISBN 978-9941-490-65-1

## შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და უმცირესობათა ინტეგრაცია დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომი, ისტორიულად პოლიეთნიკური და მულტიკულტურული საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ეთნიკური მრავალფეროვნებით ქვეყანაში განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემო ქართლი, სადაც ქართველებთან ერთად კომპაქტურად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები (აზერბაიჯანელები<sup>1</sup>, სომხები, ბერძნები, რუსები და სხვ). საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ინტენსიური ტრანსფორმირების მიუხედავად, ხსენებული ჯგუფების კულტურული და სამეურნეო იზოლაციის საკმაოდ მაღალი ხარისხი, მულტიკულტურალიზმის მიმართ კონსერვატიული დამოკიდებულება და ე.წ. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები მათი ინტეგრაციის გზაზე ძლიერ გამონეგვად რჩება. ამ მხრივ გამორჩეულია ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობის, სომხების და აზერბაიჯანელების. ურთიერთობები და ინტეგრაციის საკითხი. ამ რეგიონში მოსახლეობის დაახლოებით 41,74%-ს აზერბაიჯანელები, ხოლო 5,07 %-ს სომხები შეადგენენ<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ უმცირესობები ერთმანეთის მიმართ გარკვეული სოლიდარობის გრძნობით ხასიათდებიან, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ტიტულარულ ეთნოსთან ბუნებრივი ანტაგონიზმის შედეგიცაა და კულტურათაშორისი ურთიერთობების ერთნაირი სტრატეგიის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ეს

---

<sup>1</sup> ნაშრომში ამ ტერმინს გამოვიყენებთ საქართველოში მცხოვრები იმ მოსახლეობის მიმართ, რომელიც ძირითადად თავს აზერბაიჯანელს უწოდებს, თუმცა მათი ეთნიკური იდენტობის საკითხი საკამათოა.

<sup>2</sup> [https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/full%20calendar\\_geo\\_0.pdf](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/full%20calendar_geo_0.pdf)

ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს და სომხებსაც ეხება. ორივე საკვლევე ჯგუფი მწვავედ აღიქვამს საქართველოს რეგიონებისათვის ტიპურ პრობლემებს როგორცაა: სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელება, სტაგნაცია, გაუცხოება, სოფლის მეურნეობის დაცემა, ინფრასტრუქტურის მოშლა, ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ინტენსიური მიგრაცია, ჯგუფთაშორის ენობრივი ბარიერი, საინფორმაციო ვაკუუმი, გადაუჭრელი ყოფითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განათლების არასახარბიელო მდგომარეობა. არაქართველი ჯგუფები ცხოვრების დაბალ დონეს სახელმწიფოსაგან ყურადღების ნაკლებობით ხსნიან და საზღვარგარეთ ეკონომიკურ მიგრაციას პოლიტიკურ ტაქტიკად მიიჩნევენ, ამიტომ მას აზერბაიჯანელები – „კულტურულ დეპორტაციას“, ხოლო სომხები – „ძალდატანებით დეპორტაციას“ უწოდებენ<sup>1</sup>. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამორიცხული არაა მდგომარეობის გამწვავება ნეგატიური შედეგებით, როგორცაა: ნაციონალიზმის და შოვინიზმის გამწვავება, ჯგუფთაშორისი დაპირისპირება, კონფლიქტი და ა.შ.. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ, მაინც უძნელდებათ ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბება, რაც ნაწილობრივ მოსაზღვრედ მდებარე სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებს შორის არსებულ კონფლიქტს და ამ ქვეყნებიდან მომდინარე პოლიტიკურ, კულტურულ, რელიგიურ თუ სოციალ-ეკონომიკურ იმპულსებს უკავშირდება.

სომხებისა და აზერბაიჯანელების სამოქალაქო ინტეგრაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მრავალწინაგანანი, კომპლექსური პროცესი სადაც აქტიურადაა ჩართული მაკონსოლიდირებელი და მადეზინტეგრირებელი; ეთნოცენტრისტული და გლობალისტური ფაქტორები. სომხები და აზერბაიჯანელები

---

<sup>1</sup> მელიქიშვილი ლ., ტოლერანტობა და სოციალური დისტანცია, ნიგნში სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი თბ., 2011. გვ. 375.

ბი ძირითადად ერთმანეთისაგან იზოლირებულად ცხოვრობენ და ხასიათდებიან როგორც ფიზიკური, ასევე საინფორმაციო და ფსიქოლოგიური იზოლაციით. ერთის შეხედვით მათ ზომიერი განწყობები აქვთ ერთმანეთის მიმართ, თუმცა, ერთმანეთის ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებაც ნაკლებად იციან, ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ. ჯგუფებს შორის დიდი სოციალური დისტანცია და ნაკლებად განვითარებული ინტერკულტურული სენსიტიურობა, ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები და ეთნოცენტრიზმი განაპირობებს კულტურათაშორის დაპირისპირების მაღალ რისკს, რაც შეიძლება განხილულ იქნას, არა როგორც მხოლოდ კულტურათა დაპირისპირების ან კონკურენციის, არამედ როგორც მათ შორის კომუნიკაციის მოშლის და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პერიოდული გამწვავების შედეგი.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საზოგადოება დადგა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ახალი ეთნოკულტურული სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის წინაშე. ახალ პირობებში საჭირო გახდა დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სამოქალაქო-პოლიტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული მოდელის შექმნა, რომელშიც უნდა ასახულიყო აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პერსპექტივა. გამოიკვეთა სამი ძირითადი შესაძლებლობა: I. ეთნიკური ჯგუფების (ე.წ. უმცირესობების) ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია; II. ჯგუფთა შორის არსებული კულტურული საზღვრების კიდევ უფრო განმტკიცება კულტურული განსხვავებების გაღრმავებით; III. სეპარაცია. ეთნიკური ჯგუფების კომპაქტურად ცხოვრების ადგილებში გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილმა ვითარებამ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ამგვარი პროგრამის შექმნის აუცილებლობა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> *ჯანიაშვილი ლ.*, ჯგუფთაშორის საზღვრები და ინტერკულტურული

საგარეო გამოწვევებს, საზოგადოების ნაწილის აზრით, ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებიდან მომდინარე საფრთხეც დაერთო, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს დამოკიდებულებას მათ მიმართ. თავის მხრივ, ამ ეთნიკურ ჯგუფებშიც მოხდა ღირებულებებითა სისტემის გარკვეული აღრევა, რადგან საკუთარი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება მოითხოვს ენის და ტრადიციული კულტურის გაფრთხილება-კონსერვაციას, ინტეგრაციული პროცესები კი პირიქით, მათ ტიტულარული ეთნოსის კულტურული ელემენტების ათვისებისაკენ უბიძგებს. ქვემო ქართლში მდგომარეობას ართულებს მოსაზღვრედ მდებარე სომხური და აზერბაიჯანული სახელმწიფოების გავლენა, რის გამოც რეგიონში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში საკუთარი სახელმწიფოს აღქმა საკმაოდ არაერთგვაროვანია.

ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით ქვემო ქართლი მეტ-ნაკლებად შესწავლილი რეგიონია, არის რამდენიმე გამოკვლევა თანამედროვე ეთნოდემოგრაფიული და ეთნოკულტურული პროცესების შესახებაც, მაგრამ სომხურ – აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის დინამიკა, მათი სამოქალაქო ინტეგრაციასთან კორელაციაში აქამდე სერიოზული კვლევის საგანი არ ყოფილა. წინამდებარე ნაშრომში საკვლევი ჯგუფების რეგიონში ინფილტრაციის ისტორიის გარდა განხილულია აზერბაიჯანული და სომხური საზოგადოებების ურთიერთობა გლობალიზაციური პროცესების ქრილში; სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტის ფონზე მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული, ეთნორელიგიური, ეთნომიგრაციული პროცესები; საქართველოში სომხურ-აზერბაიჯანული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების თავისებურებები; სავაჭრო-ეკონომიკური და სახელმწი-

---

დიალოგი ქვემო ქართლში, წიგნში სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი თბ., 2011.

ფო პოლიტიკა, გაანალიზებულია მექანიზმები, რომლებიც ამ ჯგუფების დაახლოებას უწყობს ხელს; განსაზღვრულია მათი ინტეგრაციის პერსპექტივა; შესწავლილია პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების, ტრადიციული ყოფისა და კულტურის, სოციალური სისტემების როლი ამ ორი ჯგუფის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში; ავტორებმა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ქრილში გამოიკვლიეს რეგიონში არსებული დემოგრაფიული ვითარება, სამეურნეო ურთიერთობები, დასახლების ფორმები, სამეურნეო ნაგებობები, ეკონომიკა, რელიგია, სოციალური საკითხები, ქართული და მეზობლად მდებარე სომხური და აზერბაიჯანული სახელმწიფოების პოლიტიკის, არასამთავრობო სექტორის და სავაჭრო-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ინტეგრაციის დინამიკაზე; არასამთავრობო სექტორის დამოკიდებულება და გავლენა სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობებზე. ნაშრომის შექმნისას გამოვიყენეთ როგორც თეორიული (საარქივო და საბიბლიოთეკო-კვლევითი), ასევე ემპირიული მეთოდები, ინტერნეტისა და სოციალური ქსელის მონაცემები. საექსპედიციო მუშაობა ჩატარდა კომპლექსურ-ინტენსიური (გ. ჩიტაია) მეთოდით, რაც თავის თავში შეიცავს უშუალო დაკვირვების მეთოდს და ინფორმაციორებთან ინტერვიურებას. რეგიონში ინტერჯგუფური ურთიერთობის და მოსახლეობის ინტერესების გამოსავლენად ეწყობოდა თავისუფალი დისკუსიები და ჯგუფური შეხვედრები. მოსახლეობისაგან ჩანერილი ნარატივების საშუალებით გამოვავლინეთ ეთნიკური სტერეოტიპები და სოციალური ურთიერთობის თავისებურები. ველზე ვაფიქსირებდით ვიდეო და ფოტო მასალას (რელიგიური ძეგლები, სასაფლაოები, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები, ყოფის ამსახველ სიუჟეტებს, ეთნიკური ტიპების პორტრეტებს). ვინერდით აუდიომასალას – მონათხრობებს არსებული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მდგომარეობის შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი აზერბაიჯანული და სომხური ჯგუფების ურთიერთობის კულტურული,



სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების მეცნიერული ანალიზი, პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური საზოგადოების უსაფრთხოების თვითრეგულაციის მექანიზმების ტრადიციული ელემენტების (რელიგია, სალოცავები, ტრადიციული მეურნეობა, ადათობრივი სამართლის ნორმები, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების თავისებურებები, საერთო დღესასწაულები და სხვ.) პრაქტიკაში გამოყენება ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების საქმიანობას ამ რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, და კულტურათაშორისი ურთიერთობის მშვიდობიან მართვაში.

წინამდებარე ნიგეში ავტორთა მიერ შესრულებული სამუშაო ასე გამოიყურება:

**პირველი თავი – ლ. ჯანიაშვილი:** § I. – ქვემო ქართლი (საერთო მიმოხილვა), § II. – ქვემო ქართლში სომხების დამკვიდრების ისტორიიდან, **გ. მამარდაშვილი** § III. – თურქულენოვანი ჯგუფების დამკვიდრება და ეთნოდემოგრაფიული ვითარება ქვემო ქართლში.

**მეორე თავი – ლ. მელიქიშვილი:** § I. – ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო უსაფრთხოების კონტექსტში, § III. – იდენტობის საკითხი ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში, § IV. – აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზის შესახებ, § VI. – ეთნიკური თვითმეგნება და კოლექტიური მესხიერება; **ლ. მელიქიშვილი და ლ. ჯანიაშვილი:** § II. – ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები; **ლ. ჯანიაშვილი** § V. საისტორიო მწერლობის გავლენა ქვემო ქართლში მცხოვრები სომხური მოსახლეობის თვითმეგნებაზე.

**მესამე თავი – ლ. ჯანიაშვილი:** § I. – ტრადიციული კულტურა რევიტალიზაციასა და ინოვაციას შორის, § II. – სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობის თავისებურებები; § IV. – ნარატივის სტრუქტურული კატეგორიები და სტერეოტიპების ფორმირების ეგზოგენური ფაქტორები სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში; **ლ. ჯანიაშვილი და გ. მამარდაშვილი** – § III. –

რელიგიური ინსტიტუტების გავლენა სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე;

**მეოთხე თავი – ვ. ურუშაძე:** § I. – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება საქართველოში, § II. – საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების საკითხებში. § III. – ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა როგორც ეთნოსთაშორისი დიალოგის შესაძლებლობა.

ნაშრომი მეცნიერებს, ექსპერტებს და დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობს ქვემო ქართლში არსებულ სიტუაციას. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის ახალი საარქივო და ემპირიული მასალა. საველე მასალაზე დაყრდნობით გამოიკვეთა დღევანდელ ეპოქაში რეგიონში მიმდინარე სოციოკულტურული, დემოგრაფიული, ეკონომიკური ტრანსფორმაციის თავისებურებები, შემუშავდა ახალი თეორიული მიდგომები. ნაშრომს გააჩნია როგორც სამეცნიერო-თეორიული, ასევე საგანმანათლებლო და პრაგმატული (კონფლიქტის პრევენციის ეთნოკულტურული საფუძვლების დადგენა) დანიშნულება.

ავტორთა კოლექტივი საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის პერიოდში განეული დახმარებისათვის მადლობას უხდის: ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტს ელგუჯა კუპატაძეს, დმანისის მკვიდრს ბ-ნ თემურ თეთრაძეს და ყველა მთხრობელს, რომელთა მონოდებული ცნობები გამოყენებულია მონოგრაფიის სათანადო მონაკვეთებში.

# თავი I. მიგრაციული და ეთნოდემოგრაფიული პროცესები ქვემო ქართლში

## § I. ქვემო ქართლი (საერთო მიმოხილვა)

საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქვემო ქართლის მხარეში მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს: ქვემო ქართლს, თრიალეთს და გარე კახეთის ნაწილს – კუხეთსა და გარდაბანს<sup>1</sup>. რეგიონის ფართობი შეადგენს 6528 კმ<sup>2</sup>-ს, რაც ქვეყნის საერთო ფართობის 10%-ია. საქართველოს მხარეებს შორის ქვემო ქართლს ფართობით მეოთხე ადგილი უკავია, ხოლო მოსახლეობით – მესამე. მოსახლეობის რაოდენობა 423 986 ადამიანია, სიმჭიდროვე კმ<sup>2</sup>-ზე – 65; ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი რუსთავი; მხარეში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორის: 7 ქალაქი (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა) 6 დაბა (კაზრეთი, მანგლისი, თამარისი, შაჟიანი, ბედიანი, თრიალეთი) და 338 სოფელი.<sup>2</sup> ქვემო ქართლის გეოგრაფიული საზღვრები სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მიჰყვება ჯავახეთ-სამსარის, თრიალეთის და ბამბაკ-ერევნის წყალგამყოფ ქედებს, აღმოსავლეთით კი მას გარე კახეთი და აჯინოურის (აზერბაიჯანი) სტეპები ესაზღვრება.<sup>3</sup> ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონებით აღმოსავლეთ საქართველო ივერიის ოლქის ვაკე-ბორცვიან ბარს მიეკუთვნება, რომელიც დაბალი ზეგნებითა და დაბალმთიანი მაღლობებით ხასიათდება. ივერიის ოლქი თავის მხრივ ოროგრაფიულად გამიჯნულ და კომ-

---

<sup>1</sup> გარდაბანი ლეონტი მროველს ქვემო ქართლში ეგულება.

<sup>2</sup> მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, <http://census.ge/files/results/Census%20Release-GEO.pdf>

<sup>3</sup> *მარუაშვილი ლ.*, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, I, თბ., 1964, გვ. 210.

პლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით განსხვავებულ შემდეგ რაიონებად იყოფა: I. ზემო ქართლი; II. ქვემო ქართლი; III. ივრის ზეგანი; IV. ალაზნის ვაკე (შიგნითა კახეთი); V. გომბორის ქედი; VI. ელდარის ვაკე.<sup>1</sup> ქვემო ქართლის 2/3 მთებსა და ხეობებს უჭირავს, 1/3 კი – დაბლობებს. უდიდესი დაბლობია მტკვრისპირა ზოლი, სადაც გაშლილია სოღანლუსისა და კოდა-კუმისის მინდვრები; ალგეთის, ქციის, ყარაიაზისა და ყაზახის ველები<sup>2</sup>. ლანდშაფტის სირთულის გამო რეგიონი რამდენიმე ოლქად იყოფა.

ეკოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური გარემო უძველესი დროიდან იქცევდა ადამიანის ყურადღებას და ზრდიდა ამ რეგიონის სამოსახლოდ გამოყენების პერსპექტივას, რაზეც მდიდარი არქეოლოგიური მასალაც მიუთითებს. დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა უძველესი ადამიანის ნაშთები. თავის ქალების დეტალური შესწავლის შემდეგ საბოლოოდ დადგინდა, რომ დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდის ასაკი 1,8 მლნ. წლით თარიღდება და აფრიკის გარეთ მსოფლიოში უძველესია. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია ერთმანეთის მომდევნო ყველა არქეოლოგიური პერიოდი (პალეოლითი, ნეოლითი, ენეოლითი, ადრე და შუა ბრინჯაო, ადრერკინა). უნდა ითქვას, რომ ყველა მომდევნო და წინამავალ საფეხურს შორის დადგენილია მემკვიდრეობითი კავშირი.<sup>3</sup>

ქვემო ქართლის რეგიონში ძველი ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრების საბუთია მრავალფეროვანი დანაშთი მასალა, რომლის ინტენსიური კვლევა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. აქედან მოყოლებული, ეს მასალა, შემთხვევით ნაპოვნი

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 210.

<sup>2</sup> **ბერძენიშვილი დ.**, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ნაკ. I, ქვემო ქართლი, თბ., 1979, გვ., 7.

<sup>3</sup> **მელიქიშვილი გ.**, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკითხები. თბ., 1965, გვ. 175.

არტეფაქტების გარდა, მუდმივად მდიდრდებოდა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ექსპედიციების მონაპოვრით. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ექ. თაყაიშვილის ექსპედიცია (1896 წლიდან) წალკაში; ლ. მელიქსეთ-ბეგის არქეოლოგიური გათხრები 1920-იან წლებში; 1932-33 წწ. ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით; ლ. მუსხელიშვილის ექსპედიცია დმანისსა და ბოლნისში 1938-39 წლებში; ბ. კუფტინის მიერ 1930-40-იან წლებში ჩატარებული გათხრები, რომელიც საფუძვლად დაედო კავკასიის ბრინჯაოს ხანის ძეგლების პერიოდიზაციას. ქართველი მეცნიერების – ნ. ბერძენიშვილის, გ. გობეჯიშვილის. ი. გძელიშვილის, ო. ჯაფარიძის, ალ. ჯავახიშვილის, ვ. ჯაფარიძის, გ. ლომთათიძის, კ. ჯავრიშვილის, დ. თუშაბრამიშვილის, გ. გრიგოლიას, თ. კილურაძის, მ. მენაბდის, კ. კვიციანიძის, გ. ჯავახიშვილის, მ. გაბუნias, ც. დავლიანიძის, ნ. თუშიშვილის, ჯ. ამირანაშვილის, ზ. შატბერაშვილის, ს. მარგიშვილის, ჯ. კოპალიანის, მ. ჯალაბაძის, კ. კახიანის, გ. ნარიმანაშვილის, ი. ლამბაშიძის და სხვათა კვლევებმა გამოამხეურა მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო მატერიალური კულტურის ნიმუშები ქვემო ქართლიდან.<sup>1</sup>

ქვემო ქართლის მოსახლეობას მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა მადნის მოპოვებისა და გადამუშავების საქმეში. ამ მხრივ გამორჩეულია დმანისის და ბოლნისის მიდამოები. დმანისის ხევში მადნის მოპოვება და წარმოება გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანიდან დასტურდება<sup>2</sup>. ბოლნისის ხევში აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის სადნობი ქურები, ნამოსახლარი და აღმოსავლეთქართული ცულის ყალიბი, რაც ამ მხარეში დაწინაურებული მადნის მოპოვებასა და წარმოებაზე მიგვანიშნებს. რკინის უწყვეტ წარმოებას ამ ხეობაში თვალი მიედევნება

---

<sup>1</sup> *ნარიმანაშვილი გ., მანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ.*, თრიალეთი, თბ. 2018, გვ. 11-19.

<sup>2</sup> *ბერძენიშვილი დ.*, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, დმანისხევი, თბ., 2014, გვ. 122.

ისტორიის გრძელ პერიოდში, რაც ამ მხარის მჭიდროდ დასახლებისა და დანიანურების უპირველესი პირობა უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>. მეტალურგიის როლი აისახა ტოპონიმიაშიც: რამდენიმე სარკინეთი, ფოლადური, რკინის მთა, რკინის წყალი. დ, ბერძენიშვილის ვარაუდით თვითონ ტოპონიმი ბოლნისიც მადნის წარმოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.<sup>2</sup> ბოლნისის მიდამოებს (საყდრისი) ოქროს მოპოვების უძველეს კერად მიიჩნევენ.<sup>3</sup>

მარნეულის ახლოს (გადაჭრილ გორაზე) ნეოლითური ეპოქის ადრეულ მინათმოქმედთა დასახლებაში, აღმოჩენილია მევენახეობის პროდუქციის დამუშავებისა და მოხმარებისათვის გამოყენებული სხვადასხვა ინვენტარი, რაც რეგიონს მეღვინეობის აკვნად წარმოგვიდგენს. ეს არტეფაქტები ქრისტეს შობამდე მე-6 ათასწლეულს განეკუთვნება. პალინოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა კულტურული ყურძნისათვის „*Vitis vinifer*“ დამახასიათებელი მტვრის ნაწილაკების არსებობა. თიხის ქვევრების შიგთავსის ორგანული ნაშთების ქიმიური ანალიზის შედეგად დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ ჭურჭელი გამოიყენებოდა ღვინის შესანახად.<sup>4</sup>

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩატარებულმა საველეთნოგრაფიულმა ექსპედიციებმა დაადასტურეს არქეოლოგიური მონაცემები. კერძოდ, ამ კუთხის მაცხოვრებლებს ჰქონდათ

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 235.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 235-236.

<sup>3</sup> **ლაშაშვილი ი.**, საქართველო – მსოფლიოში მთის ოქროს მოპოვებელი უძველესი ქვეყანაა. საყდრისის მთის სასნაული და ბალეჭიძეების ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, ქართული უნივერსიტეტი, 2009, 1-7 ოქტომბერი, გვ. 14.

<sup>4</sup> **Kvavadze E., Jalabadze M., Shakulashvili N.** (2010) Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palinological and chemical analysis. in: Proceedings of the XXXIIIrd World congress of Vine and Wine and the 8th General assembly of the International organisation of Vine and Wine, 20-25 June 2010, Tbilisi, Georgia, <http://www.oiv2010.ge>

საკმაოდ რთული სამინათმოქმედო კულტურა, რომლის ელემენტების ჩამოყალიბება და შემუშავება ათასწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა.<sup>1</sup> ადრესამინათმოქმედო კულტურა კონცენტრირებული იყო მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების, მდინარეების ხრამისა და დებედის აუზებში, მარნეულის ვაკეზე. აღმოსავლეთით მას ესაზღვრებოდა მდ. აღსტაფა-ჩაის აუზამდე გავრცელებული მსგავსი კულტურა. აღმ. საქართველოს სხვა რაიონებში ამ ეპოქის ანალოგიური ძეგლები თითქმის უცნობია. ქვის ხანაში შედარებით სუსტად დასახლებული აღმოსავლეთ საქართველო მინათმოქმედმა ტომებმა ძვ. წ. VI-V ათასწლეულში ინტენსიურად აითვისეს.<sup>2</sup>

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ რეგიონში ძვ. წ. აღ. XVI-XV სს-ში უკვე გამოიყენებოდა სელის, ბამბისა და შალის ქსოვილები. ქსოვილების შესაღებავად უნდა გამოეყენებინათ პიგმენტები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის მოლუსკებისაგან მზადდებოდა. საღებავი ადვილად ფუჭდებოდა და ამიტომ მისი ტრანსპორტირების სირთულიდან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ ქსოვილები ხმელთაშუა ზღვისპირეთიდანაა შემოტანილი, რაც სამხრეთ კავკასიასა და გარე სამყაროს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობებზე მეტყველებს.<sup>3</sup>

მეურნეობა ადრებრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურის) ქვემო ქართლში კიდევ უფრო დაწინაურებული ჩანს. ქვისა და ძვლის თოხების გვერდით გაჩნდა ირმის რქის გუთანის და კვერი; კულტურულ ფენაში ხორბლის მარცვლებთან ერთად

---

<sup>1</sup> ჩიტაია გ., ქართულ-კავკასიური სამინათმოქმედო კულტურა, ტ. 1, მეცნიერება, 1997, გვ. 9; გელაძე თ., ხენასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომა ქვემო ქართლში, ქვემო ქართლი, „მეცნიერება“, 1990, გვ. 54-55.

<sup>2</sup> Джанаридзе О., На заре этнокультурной истории Кавказа. Тб. 1989, с. 179.

<sup>3</sup> R. Polglase, N. Museyibli, J. M. Koller, T. A. Johnson, Past and Future Heritage in the Pipelines Corridor (Azerbaijan Georgia Turkey), Asian Cultural History Program Smithsonian Institution, 2011, p. 153.

გვხვდება ყურძნის წიპნები. ადრებრინჯაოს ხანის დასახლების ფორმა „გორების“ ტიპებს განეკუთვნება, რასაც რეგიონის ტოპონიმიკური მასალაც მოწმობს (ლომთაგორა, მელიგორა, ხიზანანთ გორა). ადრებრინჯაოს ხანაში ეს გორები მდინარეთა ხეობების გასწვრივ ერთიან უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდნენ, რაც საირიგაციო სისტემების მონყობის საჭიროებით იყო გამოწვეული.<sup>1</sup>

ძვ. წ. 2500-1800 წწ., შუა ბრინჯაოს ხანა, აღმოსავლეთ საქართველოში „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ სახელითაა ცნობილი. იგი სამთამადნო საქმიანობის მაღალი დონით გამოირჩევა, რაც სპილენძის, სურმისა და დარიშხანის საბადოების ინტენსიურ ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული. აქ აღმოჩენილი უნიკალური სამკაულები და ინვენტარი (ოქრო-ვერცხლის სამკაული, ბრინჯაოს იარაღი, შავპრიალა და მოხატული კერამიკა და სხვ.) დანიშნულებულ ხელოსნობაზე მიუთითებს. თრიალეთური ყორღანების სამშენებლო ტექნიკა, საკომუნიკაციო სისტემა, არქიტექტურა და მასშტაბი იმდროინდელი საზოგადოების, საკმაოდ განვითარებულ, სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაზე გვიქმნიან წარმოდგენას.<sup>2</sup>

ტერმინი ქართლი უკვე გვხვდება დღემდე შემორჩენილ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში. ამასთანავე, „შუშანიკის წამებიდან“ აშკარად ჩანს, რომ ამ კუთხის მმართველი, პიტიახში, დაპირისპირებული იყო მეფესთან. რასაც მისი სასახლის კარი გარკვეულად შეგუებული იყო. ნაწარმოების ავტორი, იაკობ ცურტაველი ყურადღებას ამახვილებს ვარსქენის პროირანული ორიენტაციის ქრისტიანული სარწმუნოებისათვის უარყოფით როლზე. იმავდროულად, საერთოდ არ ახსენებს, რომ ამ პოლიტიკას მეტად ნეგატიური გავლენა ექნებოდა ქარ-

---

<sup>1</sup> მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977 გვ., 17.

<sup>2</sup> ნარიშკინაშვილი გ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ., თრიალეთი, თბ. 2018, გვ. 28-31.



თლის სამეფოს, ე.ი. მთლიანად ქვეყნის, მომავალზე.<sup>1</sup> ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ სახელმწიფოს გაძლიერების პროცესს ცალკეული მესვეურების წინააღმდეგობა ვერ აჩერებდა. ქართლის პოლიტიკურ ჰეგემონობას, სავარაუდოდ, ქართვების სამეცხველო კილოს გაბატონებაც მოჰყვა და სალიტერატურო ნორმად ჰაემეტი კილო იქცა.<sup>2</sup>

ქართული საისტორიო ტრადიციით ქვეყანა ქართლი დაყოფილია ზემო, შიდა და ქვემო ქართლად. ლეონტი მროველის თანახმად, მცხეთაში დარჩენილმა უფლოსმა „არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქვეყანასა ზენას სოფლისა, რომელსაც ან ჰქვიან შიდა – ქართლი.“<sup>3</sup> უფლოსისეულ ზენა სოფელს XI ს-ში შიდა ქართლი ერქვა, წინა საუკუნის (VIII ს) მოვლენების აღწერისას, შიდა ქართლს ჯუანშერიც „ზენა სოფლად“ მოიხსენებს. ზენა სოფლის საპირისპიროდ, ბუნებრივია არსებობდა „ქვენა სოფელიც“, „ისტორიანი და აზმანის...“ ავტორი წერს, რომ რასაც ლიხი ჰყოფს არის იმერი და ამერი ქვეყნები, ხოლო რასაც ლიხი არ ჰყოფს – ზემო და ქვემო ქართლი. ამავე კონტექსტში მოიხსენიებს ქვემო ქართლს „მატიანე ქართლისა-ს ავტორიც. ამგვარ დაყოფას იზიარებს VII ს-ის „სომხური გეოგრაფია“, რომელიც ასახელებს ქართველთა ქვემო ქვეყანას.<sup>4</sup> ამ დარაიონების საფუძველი გახდა პროვინციის მდებარეობა მდინარე მტკვრის დინებასთან მიმართებაში, რაც გაზიარებულია დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. 1923 წ. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ და

---

<sup>1</sup> **ჯუკაშვილი ი.**, ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019, გვ. 25.

<sup>2</sup> **თაყაიშვილი ე.** როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, მნათობი, 1948, №8, გვ. 98.

<sup>3</sup> **მროველი ლეონტი**, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება ტ. I თბ., 1955, გვ. 5.

<sup>4</sup> **ბერძენიშვილი დ.**, დასახ. ნაშრ. გვ., 20; ი ჯუკაშვილი, გვ ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019, გვ. 8-9.

რედაქტირებულ გამოცემულ რუკაზე რეგიონი აღნიშნულია „ქვენა სოფლად“, ამგვარ მიდგომას იზიარებდნენ ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია და სხვა ქართველი ისტორიკოსებიც.<sup>1</sup>

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში აღიარებულია ქვემო ქართლის უდავო მნიშვნელობა ქართველთა ეთნოგენეზის ადრეულ ეტაპზე. გ. მელიქიშვილი ქვემო ქართლს ქართის ტომის განსახლების თავდაპირველ არეალად მიიჩნევდა, საიდანაც ქართველის პოლიტიკური და კულტურული ექსპანსია მოხდა ჯერ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მერე კი უფრო ჩრდილოეთით და დასავლეთითაც.<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას სათავე სწორედ ქვემო ქართლში დაედო, შემდგომი ეთნოგენეტიკური პროცესი კი მცხეთასა და ზენა სოფელში წარიმართა. ქართლოსის დროინდელ ქართლში, გაჩიოს-გარდაბოსის და უფლოსის წილის გარდა, ყველა პროვინციას ჰქონდა სახელი (მაგ კახეთი, კუხეთი და სხვა). უფლოსისა და გაჩიოს-გარდაბოსის წილს კი სახელი არ გააჩნდა. სწორედ წყაროს ამ მონაცემს ეყრდნობა მკვლევარი, როდესაც ვარაუდობს, რომ ისტორიული ქართლი ეს რეგიონი უნდა ყოფილიყო.<sup>3</sup> ქვემო ქართლის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა სარგის კაკაბაძე. მისი აზრით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ნახსენები არიან-ქართლიდან აზოს მიერ მოყვანილი 18 სახლი ქვემო ჯავახეთიდან მდ. ქციის ან ალგეთის ხევით შემოსულა, აქედან კი ჩრდილოეთით მცხეთის მიმართულებით წასულა.<sup>4</sup>

ძვ. ბერძნული და სომხური წყაროები (სტრაბონი, კლავდიოსი, პტოლემეაიოსი, აგათანგელოსი, სტეფანე ბიზანტიელი, ფავსტოს ბუზანტი, მოვსეს ხორენაცი, იოანე დრასხანაკერტე-

---

<sup>1</sup> *ჯუკაშვილი ი.*, ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019, გვ. 9.

<sup>2</sup> *Меликишвили Г.А.*, К истории древней Грузии, Тб. 1959, Ст. 118.

<sup>3</sup> *ბერძენიშვილი ნ.*, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ. გვ. 250.

<sup>4</sup> *კაკაბაძე ს.*, ქართული სახელმწიფოს გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 20.

ლი, უხტანესი და ა. შ.) იბერიის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინ „გოგარენე-გუგარქს.“<sup>1</sup> სტრაბონი უნაყოფო და უწყლო სომხეთისაგან განასხვავებდა მის მეზობელ ნაყოფიერსა და მდიდარ საკაშენესა და გოგარენეს (გუგარქს), რომლებიც მტკვრის მეორე მხარეს მდებარეობდნენ. ავტორი აღნიშნავს, რომ „არმენია თავდაპირველად პატარა ყოფილა, მაგრამ არტაქსიასისა და ძარიადრისის წყალობით გაფართოვებულა. ისინი თავიდან ანტიოქოს დიდის სარდლები იყვნენ, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ გამეფდნენ, ერთი სოფენეს, აკისენეს, ოდომანტიისა და ზოგ სხვა მხარეში, ხოლო მეორე – არტაქსატას მიდამოებში. ამათ გაზარდეს ქვეყანა იმის ხარჯზე, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს მიწები: მიდიელებს – კასპიანე, ფავნიტისი და ბასოროპედა; იბერებს – პარიადრესის კალთები, ქორძენე და გოგარენე, რომელიც კიროსის გადაღმა არის.“<sup>2</sup> უკვე ძვ. წ. 140 წლისათვის გოგარენე პოლიტიკურად ისევ ქართლს დაუბრუნდა, რადგან ამ დროისათვის, აპოლოდოროსის მითითებით საზღვარი იბერიას და სომხეთს შორის მდინარე არაქსზე გადაიოდა.<sup>3</sup> თანამედროვე სომეხი ავტორები გუგარქზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ძვ. წ. I საუკუნეში ტიგრან დიდის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე საზღვრების დასაცავად შექმნილ საპიტიახშოთა შორის მოიხსენიება სომხეთის ჩრდილოეთით შექმნილი გუგარქის საპიტიახშოც.<sup>4</sup>

სტრაბონისეული გოგარენეს მოვსეს ხორენაცი გუგარქს უწოდებს და მასში შეჰყავს კანგარქი, ჯავახეთის ნაწილი, კოლ-

---

<sup>1</sup> ბერძენიშვილი დ., დასახ. ნაშრ. გვ. 250.

<sup>2</sup> ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, პროექტის ხელმძღვანელი რ. გორდეზიანი, ტომი I. წყაროები, ლოგოსი. 2010, გვ. 242.

<sup>3</sup> ბერძენიშვილი დ., დასახ. ნაშრ. გვ. 21.

<sup>4</sup> ჯუჯაშვილი ი, ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019, გვ. 10.

ბი, ნოფი და ძორი ჰნაკერტის ციხე-სიმაგრემდე.<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ გუგარქი სომხურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცვალებადი საზღვრებითაა წარმოდგენილი. იოანე დრასხანაკერტელი მასში ქვემო ქართლთან ერთად გულისხმობდა მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს.<sup>2</sup> „აშხარაცუიცის“ მიხედვით კი ხორენაცი-სეული ოლქების გარდა გუგარქი მოიცავდა თრიალეთს, ჯავახეთს, კლარჯეთსა და არტანს.<sup>3</sup>

ახალი ნელთაღრიცხვის I ს-ში გაძლიერებული ქართლის მესვეურები შეტევაზე გადავიდნენ და სომხეთში გავლენისათვის პარტიულებს ეტოქებოდნენ. ფარსმან I-მა რომის მხარდაჭერით სომხური მიწები დაიკავა და ერთხანს თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია.<sup>4</sup> IV ს-ის II ნახევრამდე რეგიონში ცვალებადი პოლიტიკური სიტუაცია იყო, გუგარქი, რომელიც ქართულ და სომხურ სამეფოებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, ამ დროისათვის საბოლოოდ დაიბრუნა გაძლიერებულმა ქართლის სამეფომ.<sup>5</sup>

გოგარენე-გუგარქი ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი იყო, რომელმაც პოლიტიკური სიტუაციის ცვლასთან ერთად თავისი სახელი თანდათანობით სხვადასხვა მიმართულებით განავრცო, ვიდრე უცხოელი ავტორების შემეცნებაში მთელი ქვემო ქართლის და ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად არ გადაიქცა.<sup>6</sup> ქართული

---

<sup>1</sup> *ხორენაცი მოვსეს*, სომხეთის ისტორია, ძვ. სომხ. თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ.. მეცნიერება, 1984, გვ. 106.

<sup>2</sup> *დრასხანაკერტელი იოანე*, სომხეთის ისტორია, თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1937, გვ. 21-32.

<sup>3</sup> *მუხელიშვილი დ.*, Из исторической географии восточной Грузии (Шеки Гогарена), Тб., 1982, с. 9.

<sup>4</sup> *მუხელიშვილი დ.*, იქვე, გვ. 10.

<sup>5</sup> *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები თბ. 1989, გვ. 22.

<sup>6</sup> *მუხელიშვილი დ.*, დასახ. ნაშრ. გვ. 10.

საისტორიო წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ეს ტერიტორია ძირითადად იბერიის სამეფოს ორ უძველეს პროვინციას, ძველ ქართულ გარდაბანსა და გაჩიანს შეესაბამება.<sup>1</sup>

სომხური უსახელო გეოგრაფიის მიხედვით გუგარქს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა უტის გავარი, რომელიც დასახლებული იყო ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული უტიებით. სამხრეთის საზღვრად მიჩნეულია კანგარქი (იგულისხმება ბამბაკ-ერევნის მთის მიდამოებში მდებარე ოლქი), რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობისას ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი „გოგარენე“ დამოწმებულია 1802 წლის აღწერებში მდ. დებედ-ჩაის ზემო წელზე.<sup>3</sup> დღეს ეს სოფელი სომხეთის საზღვრებშია და გუგარქი ეწოდება.

ქართულ საისტორიო საზოგადოებაში ქვემო ქართლი ერთმნიშვნელოვნად მიჩნეულია ისტორიულ ქართულ პროვინციად. პავლე ინგოროყვა გოგარენეს ქვემო ქართლის შემადგენელ შედარებით პატარა კუთხედ თვლიდა, რომელიც ცენტრიდან მოშორებით, ქვემო ქართლის ნაწილს წარმოადგენდა და გვიანდელი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრის ტერიტორიას შეესაბამებოდა. მკვლევარი ფიქრობდა, რომ პროვინციის ცენტრი ციხე-ქალაქი გაგი იყო, რომელიც მიუვალ მთაზე იდგა და მთელ ველზე ბატონობდა. აქედან ნაწარმოებად მიაჩნდა მას სატომო სახელი „გაგარი“.<sup>4</sup> პ. ინგოროყვას აზრით ეთნონიმი „ქართი“ შემონახულია ტოპონიმ გარდაბანსა და მის სომხურ ვარიანტ ქართამანიკში. ტოპონიმის ეს ვარიანტი ვარდან დიდის გეოგრაფიაში დასტურდება. ამ მოსაზრებას ნ. მარიც იზიარებ-

---

<sup>1</sup> **ბერძენიშვილი დ.**, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან თბ., გვ. 21; **ინგოროყვა პ.**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 462.

<sup>2</sup> **ჯანაშია ლ.**, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 149.

<sup>3</sup> AKAK, T. I, T6. 1866, c. 402.

<sup>4</sup> **ინგოროყვა პ.**, დასახ. ნაშრ. გვ. 457-462.

და.<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ გაგის ციხე იგივე აღჯაყალაა. კაჩაგან აღჯაყალა ყოფილა სანადირო ქალაქი, გაუსაძლი-სი ზაფხულითა და ცენტრალური ციხით.<sup>2</sup>

გ. მელიქიშვილი ქართლში სკვითური ტერმინის გოგ-ის (**გოგარენე**) გაჩენას აქ სკვითური ტომის ჩამოსახლებასა და გარკვეულ პერიოდში მათ ბატონობას უკავშირებდა.<sup>3</sup> ა. შანიძე გოგარენეს უძველეს ეთნონიმად თვლიდა, რომელშიც შემორჩე-ნილი იყო ადამიანის წარმომავლობის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭა-ნური სუფიქსი „არ“. როგორც ითქვა, ნიკო მარი გუგარებს ქარ-თების წარმომშობ ეთნიკურ ერთეულად მიიჩნევდა. ეს ოლქი უძველესი დროიდან ქართული პროვინცია იყო მ. ბროსესა და სენ-მარტენის აზრითაც.<sup>4</sup> დ. მუსხელიშვილის აზრით კი გაგარი აღმ. ქართული ტომი იყო და მის ერთ-ერთ დიალექტზე ლაპა-რაკობდა.<sup>5</sup>

საპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული სომხურ ისტორი-ოგრაფიაში, რომლის გავლენით უცხოეთში გამოცემულ სომხე-თის ისტორიული ატლასის ავტორს ქვემო ქართლის ტერიტო-რიის ნაწილი სომხურ პროვინციებად მიაჩნია და უარყოფს მათი იბერიის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნას.<sup>6</sup>

ქვემო ქართლის ერთ-ერთ განაპირა ოლქად ქართული და სომხური წყაროები ტაშირს მოიხსენიებენ. ლეონტი მროველი, ფარნავაზ მეფის მიერ საერისთავოების გამიჯვნის აღწერისას, მას ათავსებს „...სკვირეთის მდინარიდან ვიდრე მთამდე, რომელ

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 469.

<sup>2</sup> **მუსხელიშვილი დ.**, აღჯაყალა გაგის ციხე, სიგე II, თბ., 1960, გვ. 122.

<sup>3</sup> **Меликишвили Г.**, К истории древней Грузии, Ст. 224.

<sup>4</sup> **ბერძენიშვილი დ.** დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>5</sup> **Мухелишвили Д.**, Из исторической географии восточной Грузии (Шек и Гогарена), Тб., 1982, ст. 14.

<sup>6</sup> **ჭეიშვილი გ.**, ახალი რუკები და ძველი უთანხმოებანი: რეცენზია რობერტ ჰიუსონის ნაშრომზე „სომხეთის ისტორიული ატლასი“, შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბ. 2006, გვ. 488.

არს ტაშირი და აბოცი“.<sup>1</sup> VII ს-ის სომხური გეოგრაფიის ერთი ცნობით ტაშირი სხვა მეზობელ ხევებთან ერთად ქართლის შემადგენლობაში შედიოდა, მეორეგან კი იგი ლოკალიზებულია გუგარქში.<sup>2</sup> 387 წელს, როდესაც ტაშირი გუგარქის საპიტიახშოსთან ერთად ქართლის სამეფოს შეუერთდა, მისი ნაწილი ზემო ტაშირის სამარზპანო – სომხეთის შემადგენლობაში დარჩა. შემდგომში ტაშირის ცნება ისე დავინროვდა, რომ უხტანესი და დრასხანაკერტელი ტაშირს გავარს უწოდებენ.<sup>3</sup> შემდეგ ეპოქაში ეს ტერიტორია თბილისის საამიროში შევიდა, X ს-ში კი მცირე ხნით ქართველთა საკურაპალატოში გაერთიანდა. ამ დროს ტაშირში შედიოდა სომხეთსა და ბეზობდალის ქედებს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც სომხურ მწერლობაში „ვრაც დაშტის“ (სომხ. ქართველთა ველი) სახელით იყო ცნობილი (თანამედროვე ლორეს ველი).<sup>4</sup>

X საუკუნის ბოლოს ტაშირში სომეხი ბაგრატიდების ერთი შტო (კვირიკიანები) გაბატონდა, ამ პერიოდში ტაშირი კვლავ გაფართოვდა. დმანისი დაიპყრო კვირიკიანმა მეფე დავითმა, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ სამშვილდარ-ძორაგერტელს უწოდებს, რადგან ტახტი სამშვილდეში ჰქონდა. XI ს-ში ტაშირის ცენტრი გახდა ციხე-ქალაქი ლორე, რომელიც თანდათანობით ჩაენაცვლა ტაშირს. ამ პოლიტიკურ ერთეულს ტაშირ-ძორაგერტის სამეფოდ მოიხსენებენ. მოგვიანებით კვირიკიანების ძალაუფლება რეგიონში თანდათან შეიზღუდა. XI საუკუნის შუა ხანებში ბაგრატ IV-მ მათ სამშვილდე წაართვა, ხოლო დავით აღმაშენებლმა ეს ტერიტორია მთელს ქვემო ქართლთან ერთად საბოლოოდ შეუერთა ქართულ სამეფოს.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> *მროველი ლეონტი*, დასახ. ნაშრ. გვ. 24.

<sup>2</sup> *ბერძენიშვილი დ.*, დასახ. ნაშრ. გვ. 33.

<sup>3</sup> *დრასხანაკერტელი იოანე*, დასახ. ნაშრ. გვ. 40; *უხტანესი*, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმნითა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**, თბ., 1975, გვ. 47.

<sup>4</sup> *ბერძენიშვილი დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

<sup>5</sup> *მუსხელიშვილი დ.*, აღვჯაყალა გაგის ციხე, თბ., 1960, გვ. 130.

ამ პერიოდიდან ქართულ წყაროებში რეგიონის სახელწოდებად მეორე ტერმინი სომხითიც გვხვდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი განასხვავებს „სომხითს“ (ქვემო ქართლი) და დიდ სომხეთს. სომხითის შემადგენლობაში მოიხსენიებს: გაგს, ქავაზანს, ტერენაჯანს, ნორბედს, მანასტომს, გაჩიანს, ციხე-ქალაქებს – ლორეს, სამშვილდეს და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ე.ი. მთელ ქვემო ქართლს. „სულთანი მოადგა სამშვილდეს და წარიღო ... მოაოხრა სომხითი და წარვიდა“.<sup>1</sup> ქართულ საისტორიო წყაროებში ტერმინი „სომხითი“ X ს-დან გაჩნდა. არსენ საფარელი ამ ტერმინით მოიხსენიებს, როგორც ისტორიულ სომხეთს, ისე ქვემო ქართლის ნაწილსაც, მტკვრის მარჯვენა მხარეს. „ნაწილსა სომხითისასა“ არსენის დროისათვის შეესაბამებოდა შუშანიკ დედოფლის მიერ დადგენილი ცურტავის ეპისკოპოსის საყდარი, რომელიც ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდა. ეს იყო მცირე საეკლესიო ერთეული სხვა ეპარქიების – დმანისის, მანგლისის, ბოლნისის, ხნანაკერტის – გვერდით.<sup>2</sup> ცხადია, ამ მხარეს სომხითი მას შემდეგ დაერქვა, რაც აქ სომეხი კვირიკიანების პოლიტიკური მმართველობა დამყარდა. ნიშანდობლივია, რომ იმ ეპოქის სომხური მემკვიდრეები ამ ქვეყანას გუგარქს, ქართლს, კანგარს, ჩრდილო მხარეს უწოდებდნენ და არა ქართულ „სომხითს“ ან სომხურ „ჰაიასტანს“, რადგან იციან, რომ ეს სომხური რეგიონი კი არ არის, არამედ – ქართული, ქვემო ქართლი, ან „ქვენა სოფელია“, ხოლო მათთვის – „ჩრდილო მხარე“.<sup>3</sup>

ა. შანიძემ ხანმეტ და ჰაემეტ კილოებზე დაკვირვებისას გამოთქვა საინტერესო ვარაუდი, რომ სომეხი თავდაპირველად ქართველის ხანმეტ კილოზე მოლაპარაკე ტომის სახელწოდება

---

<sup>1</sup> *დავითის ისტორიკოსი*, ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი 1955, გვ. 318.

<sup>2</sup> *საფარელი არსენი*, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, 1980, გვ. 82.

<sup>3</sup> *ბერძენიშვილი დ.*, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ნაკ. I, ქვემო ქართლი, თბ., 1979, გვ. 304.



იყო, შემდეგ კი გავრცელდა უფრო სამხრეთით მოსახლე სხვა ტომებზე. ეს ტომები თავის თავს ჰაიებს, სხვები კი არმენებს უწოდებდნენ. მკვლევარს ამგვარი ვარაუდის საფუძველი მისცა იმან, რომ ხანმეტ კილოზე მეტყველება გავრცელებული იყო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით (მცხეთა, ბოლნისი), ხოლო ჰაემეტობა კი – უფრო დასავლეთით.<sup>1</sup> ხანმეტობის გავრცელების ასეთი გეოგრაფია დასტურდება პალეოგრაფიული მასალითაც.<sup>2</sup>

ა. შანიძე ფიქრობდა, რომ შესაძლებელია თავდაპირველი ქართული სამწერლობო ენა სწორედ ზემოხსენებული ტომის ხანმეტ კილოზე ჩამოყალიბდა, შემდეგ მისი ადგილი იბერთა ჰაემეტმა კილომ დაიჭირა. ამ ვითარების ერთგვარი გამოძახილი შეიძლება იყოს ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეულ ტექსტში შემორჩენილი ცნობა, რომ „აქამოდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვი ნათესავი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.“<sup>3</sup> ხსენებულ ჰიპოთეზას კ. კეკელიძე და ე. თაყაიშვილიც იზიარებდნენ.<sup>4</sup> მართლაც, შეიძლება დავეთანხმოთ ვარაუდს იმის შესახებ, რომ თავდაპირველად ქართველის მონათესავე სომხური ტომის სამხრეთიდან ჰაია-არმენის მიერ შევიწროების შემდეგ, სახელწოდება სომხითი შემორჩა ამ ტერიტორიას, თანდათანობით აქ მოსულ არაქართუ-

---

<sup>1</sup> **შანიძე ა.**, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის იტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II, 1922-23, ტფ., გვ. 361.

<sup>2</sup> **ჯავახიშვილი ივ.**, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II, 1922-23, ტფ., გვ. 323.

<sup>3</sup> **შანიძე ა.**, დასახ. ნაშრ. გვ. 361-362.

<sup>4</sup> **ე. თაყაიშვილი**, როდის შეიქვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, მნათობი, 1948, №8, გვ. 94; **კ. კეკელიძე**, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები (ლიტერატურული მიმოხილვა), მიმოხილველი, 1926, გვ. 264-266.

ლი წარმოშობის არმენებზედაც გავრცელადა და მათი სახელმნიფოს აღმნიშვნელადაც იქცა ქართულ შეგნებაში. ქვემო ქართლში ამ ტოპონიმის გაჩენა კი ამ რეგიონის ნაწილში ერთხანს სომხური დინასტიის ბატონობას უნდა უკავშირდებოდეს<sup>1</sup>.

ქართული და სომხური ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ XII საუკუნის ბოლოსათვის სომხეთის დასავლეთი საზღვარი ჯავახეთი და თრიალეთი იყო, ხოლო ქურდვაჭრის ხევის იქეთ (აღმოსავლეთისაკენ) სომხთი ქვეყნის „ქუემო კერძო“. ე.ი. XI-XIV სს-ში სომხთი ლოკალიზება ქვემო ქართლში რანიდან თბილისამდე.<sup>2</sup>

თამარ მეფის პერიოდში ლორე, რომელშიც ამ დროისათვის ყოფილი ტაშირ-ძორაგერტის სამეფო იგულისხმებოდა, მხარგრძელებს უბოძეს, ამიერიდან აქ ამირსპასალარები იხდნენ. მოგვიანებით ტაშირიც შემცირდა, მისგან გამოცალკედა ლორე. რეგიონში გაჩნდა ახალი ფეოდალური ერთეული, საბარათიანო. რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გაფართოვდა და თანდათანობით შემოიერთა ტაშირის ნაწილი. 1657 წლის ერთი ქართული საბუთის სპარსულ ნაწილში ნათქვამია, რომ ზემო ტაშირი თავისი სოფლებითურთ საბარათიანოზე ყოფილა დამოკიდებული.<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილის დროისათვის ტაშირი ეწოდებოდა ტერიტორიას ლორეს ზემოთ და ლოქის სამხრეთით მდ. დებედამდე და არჯანის მთებამდე.<sup>4</sup>

თანდათანობით დაეწროვდა სომხეთის გაგებაც, რაც, ასევე, ბართაშვილების გაძლიერებას უკავშირდება. ამ სათავადო სახლმა სომხთი ჩრდილოეთიდან შეავიწროვა. 1692 წლის ერთ საბუთში საბარათიანოდ იხსენიება ის ტერიტორია, რასაც

---

<sup>1</sup> *ჯუკაშვილი ი.* დასახ. ნაშრ. გვ. 15.

<sup>2</sup> *ჟამთააღმწერელი*, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 74; *ბერძენიშვილი დ.*, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

<sup>3</sup> *ფუთურიძე ვლ.*, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 267-276.

<sup>4</sup> *ბავრატიონი ვახუშტი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 312.

ამავე დოკუმენტის სხვა ხელნაწერში სომხითი ჰქვია. როგორც ეტყობა, XV ს-ის I ნახევარში საბარათიანოს დმანისხევამდე ტერიტორია ეჭირა, რადგან ბარათა ქაჩიბაისძემ სვეტიცხოველს ამ დროს შესწირა სოფ. ყორანთა, რომელიც მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. XV ს-ის მეორე ნახევრის ერთი დოკუმენტის მიხედვით, მაშავერას ხეობის ნაწილი – ქვეშის ციხე, ქვეშის ხევი, რატევანი, დმანისი ისევ სომხითია, მისი ჩრდილოეთ მხარე კი – საბარათიანო.<sup>1</sup> XIV-XV სს-ის მიჯნაზე სომხითის სამხრეთი საზღვარი ლორესთან გადიოდა. ლორე კი XV ს-იდან ცალკე ფეოდალური ერთეული იყო, რომელიც ქართლის მეფეს ემორჩილებოდა.<sup>2</sup>

ამ ეპოქაში რეგიონის ეთნოპოლიტიკურ გარემოში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია იწყება, რაც თურქულენოვანი ტომების ჩამოსახლებას უკავშირდება. XVI ს-ში ლორეს, სომხითსა და საბარათიანოსთან ერთად ქვემო ქართლში უკვე მოიხსენიება შამშადილუსა და ყაზახის სახანოები. რომელთაც XVII ს-ის პირველ ნახევარში დაემატა ბორჩალო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბორჩალო მდ. დებედას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და აქ შაჰ აბასმა დაასახლა თურქმანული ტომები.<sup>3</sup> ამავე ხანებში ქციის ნაპირზე დასახლებული თურქმანული ტომებისაგან შეიქმნა ბაიდარის სასულთნო.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აზერბაიჯანული ისტორიკოსების დიდი ნაწილი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ქვემო ქართლს მიიჩნევს ძირძველ აზერბაიჯანულ მიწად „Исконно азербайджанская земля“, რომელიც „უძველესი დროიდან იყო დასახლებული თურქული ტომებით (ბუნთურქები, ბარსილები, ბოულგარები, ხაზარები, ყივჩაღები, ოღუზები, ყა-

---

<sup>1</sup> ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 38.

<sup>2</sup> ევნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 342.

<sup>3</sup> ბაგრატიონი ვახუშტი, დასახ. ნაშრ. გვ. 309.

რაფაფახები), რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ რეგიონის აზერბაიჯანელების ეთნოგენეზში.“ (დანვრილებით ამ საკითხის შესახები იხ. ქვემოთ).<sup>1</sup>

საბარათიანოს ხარჯზე მცირდებოდა სომხითი და იცვლე-ბოდა მისი გაგება, 1723 წ. რუკის მიხედვით, ძველი სომხითის ტერიტორიაზე დატანილია – საბარათიანო, საორბელო, ბოლნი-სი, ლორე, ტაშირი.<sup>2</sup> საორბელოს ეჭირა ქციისა და მაშავერას ხეობები დმანისხევ-ბოლნისხევის წყალგამყოფამდე; ბოლნისით აღნიშნულია საკუთრივ სომხითი, რომელიც იმ ხანებში აღსტა-ფამდე აღწევდა. დმანისხევი, რომელიც ადრე სომხითში შედიო-და, როგორც ჩანს, XVI-XVII სს-ში საბარათიანომ შეიერთა, მოგ-ვიანებით კი საორბელოს ძირითად ნაწილად იქცა.<sup>3</sup> მდ. დებე-დის აუზის შუანელს – ჭოჭკანისა და წოფის ხეობებში, სომეხი მელიქის ფეოდალური სახელოს არსებობამ, როგორც ჩანს, გა-ნაპირობა ის, რომ XVIII საუკუნის ქართული წყაროები სომხითს უკვე ამ რეგიონს უწოდებენ.<sup>4</sup>

გიულდენშტედტი განასხვავებს ქვემო ქართლსა და სომ-ხითს, რომლის სახელიც აქ სომეხთა ოდინდელი მოსახლეობი-დან წარმომდგარად მიაჩნია. სომხითი მოთავსებულია საზ-ღვრებში: „არარატის მთისწინეთის ჩრდილო ნაწილი, მტკვრის შენაკადებსა ქციასა და აღსტაფას შორის. აღმოსავლეთით ემე-ზობლება თურქმანულ-თათრული მხარე განჯა, სამხრეთ-და-სავლეთით – თურქმანულ-თურქული მხარეები ყარსი და ერივა-

---

<sup>1</sup> *Алиева И*, Из этнической истории азербайджанцев Борчалы до 1846 года. <https://docplayer.ru/32611372-Iz-etnicheskoy-istorii-azerbaydzhancev-borchaly-do-1846-goda.html>

<sup>2</sup> *ბერძენიშვილი დ*, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>4</sup> *ჯუკაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ. გვ.18; *ორბელიანი პაპუნა*, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიე-ბელი დაურთო ს. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ 98; *მღვიან-ბევ ხერხეულიძე ომან*, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989; *ჭიჭინაძე ზ.*, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 269.

ნი, დასავლეთით – ზემო და ქვემო ქართლი, ხოლო ჩრდილოეთით ქვემო ქართლი და მტკვარი.“ იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სომხითი ქართველი მეფის სამფლობელოა და აქ ორბელიანთა ქართული თავადური გვარი ბატონობს.<sup>1</sup>

1783 წლისათვის, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა, ქვემო ქართლი ამჟამინდელთან შედარებით ბევრად მეტ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა შამშადილუს, ყაზახისა და ლორეს ოლქები, რომლებიც დღეს აზერბაიჯანსა და სომხეთს ეკუთვნის.

1801 წლიდან რუსული მმართველობის მიერ გატარებული ადმინისტრაციული დაყოფით ქვემო ქართლი ლორეს ოლქში შევიდა, 1846 წელს მომხდარი ადმინისტრაციული დაყოფით კი – თბილისის გუბერნიაში და ბორჩალოს მაზრა ეწოდა. ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი იყო შულავერი (ახლანდელი შაჟმიანი).<sup>2</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამ (1918 წ. 26 მაისს) და გერმანელების მიერ განეუღმა დახმარებამ შესაძლებელი გახადა სამხრეთ კავკასიაში თურქეთის შემდგომი წინსვლის შეჩერება და შედარებით სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება. თუმცა საქართველოს რიგ პროვინციაში, მათ შორის მესხეთსა და ბორჩალოს მაზრაშიც, ოსმალეთის გარნიზონები რჩებოდნენ. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, მუდროსის ზავის (1918 წ. 30 ოქტომბერი) პირობების თანახმად ოსმალეთმა დატოვა მის მიერ ოკუ-

---

<sup>1</sup> *გიულდენშტედტი*, მოგზაურობა საქართველოში, ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I თბ., 1962, გვ. 239-241.

<sup>2</sup> *Антелова И*, Колониальная политика царизма в Грузии в 30-50-х гг XIX в. Очерки истории Грузии, т. IV Тб. 1990 ст. 122.

პირებული ტერიტორიები, რის შესახებაც ადრევე აცნობა საქართველოს მთავრობას.<sup>1</sup>

დაშნაკურმა სომხეთმა ისარგებლა სამხრეთ კავკასიაში გერმანიის ნაცვლად ინგლისის შემოსვლით და ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა საქართველოს. კავკასიის ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი ე. წ. „საერობო საკითხი“ ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე დაისვა. მაშინდელი ქართული პოლიტიკური პარტიების უმეტესობამ საერობო დანაწილების ძირითად პრინციპად რეალური მოსახლეობის ეროვნული ვინაობა აღიარა. ე. ი. საერო ტერიტორიის შემოხაზვისას ყურადღება უნდა მიქცეოდა არა ეროვნულ-ისტორიულ, ეკონომიკურ-სტრატეგიულ ან სხვა რაიმე მოსაზრებას, არამედ მხოლოდ მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას გამიჯვნის მომენტში (სადაც მაგ. სომხები შეადგენდნენ უმეტესობას, სომხურ ერობას მიაკუთვნებდნენ, თუნდაც ეს რეგიონი ისტორიულად სხვა ხალხის სამკვიდრო ყოფილიყო).<sup>2</sup>

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სომხებმა პარიზის საზავო კონფერენციისათვის წარსადგენად მოამზადეს რუკა, რომელზეც თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი აღნიშნული იყო როგორც სომხეთში შემავალი მიწები.<sup>3</sup>

1918 წლის ოქტომბერში დადებული მუდროსის ზავის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ოსმალეთი ოკუპირებულ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებსაც დატოვებდა. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა თურქების გენოციდს გამოქცეული და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტული სომხები მესხეთში დაესახლებინა. დაიწყო საამისო პროპაგანდაც. ერთი ცნობის თანახმად, მაშინ საქართველოში

---

<sup>1</sup> ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 37-38.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13.

თითქმის ნახევარი მილიონი სომეხი ლტოლვილი იყო.<sup>1</sup> საქართველოს მთავრობა უარს არ ამბობდა უკან დაებრუნებინა საომარ ოპერაციებს სამცხე-ჯავახეთიდან გამოქცეული მოსახლეობა, მაგრამ სხვა ქვეყნიდან შემოსული სომხების იქ დასახლება აუცილებლად გამოიწვევდა ეროვნული დისბალანსის გაძლიერებას ამ ისედაც პოლიეთნიკურ რეგიონში, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს.

1918 წლის ოქტომბერში სომხურ-ქართულმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია<sup>2</sup> და კონფლიქტში გადაიზარდა. საქართველოს მხარის ყოველგვარი მცდელობა, ტერიტორიული დავა მშვიდობიანად მოეგვარებინა, კრახით დასრულდა (სომხები არ ჩამოვიდნენ ქართული მხარის მიერ დავის გადასაწყვეტად მოწყობილ კონფერენციაზე).

სომხეთის მმართველ წრეებს კავკასიაში შემოსული ინგლისის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, ვარაუდობდნენ, რომ ქართული მიწების დაპყრობით ინგლისელებს ფაქტის წინაშე დააყენებდნენ და ყველა დაკავებული ტერიტორია შერჩებოდათ. მათი საბოლოო მიზანი თბილისის დაპყრობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთლიანად ხელში ჩაგდება იყო, რის შემდეგაც სომხეთი ზღვას შეუერთდებოდა ბათუმით.<sup>3</sup>

საბოლოოდ, სომხეთის მთავრობამ თავისი გეგმები ვერ განახორციელა. ქართულმა სამხედრო შენაერთებმა შეძლეს მათთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა და გენერალი კვი-

---

<sup>1</sup> გაზ. სახალხო საქმე, № 360, ოქტომბერი 1918, გვ. 1.

<sup>2</sup> *Hayrapetyan Karen*, Refugees' Issue in the Final Phase of Batum Negotiation, *Huistoroty and Culture Journal of Armenian Studies* (collection of Scientific Articles), Yerevan 2016, p. 73.

<sup>3</sup> *ნოზაძე ვ.*, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 44-45.

ნიტაძის სარდლობით კონტრშეტევაზე გადავიდნენ.<sup>1</sup> 1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს მთავრობისა და ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, შერეული კომისია გაგზავნილიყო ფრონტზე, რათა განესაზღვრათ იმ გარნიზონების რაოდენობა, რომელიც საქართველოს უნდა დაეტოვებინა ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთით, ხოლო სომხებს ამ მაზრის სამხრეთით. დაპირისპირებულ მხარეებს შორის რკინიგზაზე ინგლისელთა პიკეტები ჩადგებოდნენ.<sup>2</sup> ამრიგად, დემოკრატიული საქართველოს შეარაღებულმა ძალებმა შეძლეს სომხური არმიის შეკავება, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში ისტორიული ქვემო ქართლის ნაწილი, ლორე, სომხეთს გადაეცა.

1931 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქვემო ქართლში შედიოდა: ალბულალ-მანგლისის, ბაშკინეთის, ბორჩალოსა და ლუქსემბურგის რაიონები.<sup>3</sup> ამჟამად შექმნილია ქვემო ქართლის მხარე, მისი ადმინისტრაციული ცენტრია რუსთავი.

ამრიგად, ქვემო ქართლი ბუნებრივ-გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია. საქართველოს ეს მხარე უძველესი დროიდან იყო ათვისებული ადამიანის მიერ, დაფიქსირებულია თითქმის ყველა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტები, რაც რეგიონის მოსახლეობის უწყვეტი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ გვაძლევს წარმოდგენას. ძვ. წ. II საუკუნიდან ეს მხარე, როგორც ქართლის (იბერიის) სამეფოს სასაზღვრო რეგიონი, მოექცა მეზობელ ქვეყნებთან ინტენსიური ურთიერთობის არეალში, ისე რომ, ამ ქართული მხარის ცალკეულ ნაწილებზე ზოგჯერ სხვა

---

<sup>1</sup> *კვინიტაძე გ.*, მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, I, თბ., 1998 გვ. 92.

<sup>2</sup> *ნოზაძე ვ.*, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 44-45.

<sup>3</sup> *ჯუკაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ. გვ. 19.



ქვეყნების (ირანის, ბიზანტიის, თურქეთის, სომხეთის) პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა. ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივად არასოდეს გაგრძელებულა და დაკარგულ ტერიტორიას ქართული სახელმწიფო მალევე იბრუნებდა. XII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე საბჭოთა პერიოდამდე, ქვემო ქართლი ყოველთვის შედიოდა ქართულ პოლიტიკურ სისტემაში და მიუხედავად ეთნიკური არაერთგვაროვნებისა ქართულ პროვინციას წარმოადგენდა.

## **§ II. ქვემო ქართლში სომხების დამკვიდრების ისტორიიდან**

სომხები სამხრეთ კავკასიაში თითქმის ყველა რეგიონში მკვიდრობენ, ზოგან კი (განსაკუთრებით სომხეთის სახელმწიფოს მიმდებარე რაიონებში) კომპაქტურადაც. ისინი საქართველოშიც მრავალ ადგილას ცხოვრობენ. მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობით არიან თბილისში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, აჭარასა და აფხაზეთში. XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში სომხები მოსახლეობის დაახლოებით 9%-ს შეადგენდნენ,<sup>1</sup> დღეისათვის კი – 4,5 %-ს.<sup>2</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი მდგომარეობის განმაპირობებელ ძირითად მიზეზად მიჩნეულია სომხური სახელმწიფოს გაუქმებისა (XI ს) და განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები. ეროვნულ სახელმწიფოს მოკლებული, მომხვდურთაგან შევიწროებული სომხობა მასობრივად ტოვებდა სამშობ-

---

<sup>1</sup> **ზურაბიშვილი ლ.**, ეროვნებათშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989, გვ. 22.

<sup>2</sup> მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები [http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)

ლოს. მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველო რჩებოდა ერთადერთ ქრისტიანულ პოლიტიკურ ერთეულად, რომელიც მფარველობას უწევდა დამპყრობთა უღელქვემ მოქცეულ ქრისტიან სომხებს, იფარებდა მათ და ფართოდ იყენებდა მტრის ხშირი შემოსევებით გაუქაცრიელებული სამხრეთ-აღმოსავლეთი სასაზღვრო მხარეების დასახლებისა თუ საქალაქო ცხოვრების აღორძინების საქმეში. დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ხანაში ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან სომეხი მიგრანტების ინტეგრაციის მაღალი დონის გამო, ამგვარ პროცესებს ქვეყნის ეროვნული შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია.

სომხური მიგრაციები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოვლენებთან, რომლებიც განსაზღვრავდნენ მეზობელ ქვეყნებში არსებულ სოციალ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას. მოსახლეობის მასიურ გადაადგილებას იწვევდა ზოგადი ტენდენციები, რაც თავს იჩენდა ისტორიის ამა თუ იმ, ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში. სომხური მოსახლეობის პირველი ფენა საქართველოში ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში უნდა გაჩენილიყო.<sup>1</sup> სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობა, რომ არტაქსიასისა და ზარიადრისის მიერ მეზობელი ხალხებისაგან ჩამოჭრილ, მიტაცებულ, ტერიტორიებზე (მათ შორის გოგარენეში) მისი დროისათვის ერთ ენაზე (იგულისხმება სომხური ლ.ჯ.) მეტყველებენ, უდავოდ ამტკიცებს, რომ სომხების პოლიტიკურ ექსპანსიას ეთნიკური ექსპანსიაც ახლდა. ზოგადად, საზღვრისპირა რეგიონებში შერეული მოსახლეობის არსებობა, როგორც წესი, საყოველთაო მოვლენა იყო.

როგორც უკვე ითქვა, ქართულმა სახელმწიფომ უკვე I-II სს-ში შეძლო სომხების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების უკან

---

<sup>1</sup> **სტრაბონი**, გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 189.

დაბრუნება.<sup>1</sup> ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ 387 წლისათვის (როდესაც სომხეთის სამეფო ორად გაიყო) პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება.<sup>2</sup> მაგრამ ჩანს, სომხური მოსახლეობის ნაწილი საქართველოს ამ რეგიონებში დარჩა, რასაც მოწმობს ცურტავის ეპარქიაში მეშვიდე საუკუნეში ორენოვანი ქართულ-სომხური მრევლის არსებობა.<sup>3</sup> თვით სომხური წყაროებიც (ფავსტოს ბუზანტი, მოვსეს ხორენაცი, იოანე დრასხანაკერტელი, უხტანესი და სხვები) აღიარებენ, რომ სომხები აქ მიგრაციული პროცესების შედეგად დასახლდნენ და პროვინციას სომხეთის მიერ დაპყრობილ და ქართული სამეფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

სომხური სახელმწიფოს მიერ ქვემო ქართლის ცალკეული ოლქების (გუგარქი, ტაშირი) რამდენჯერმე მიტაცება, ხანგრძლივობისა და იქ განვითარებული ეთნოპოლიტიკური პროცესების მიხედვით, მხოლოდ დროებით ოკუპაციად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სომხეთმა ვერ მოახერხა დაპყრობილი ავტოქთონი (ქართული) მოსახლეობის ასიმილაცია, აქ დიდი რაოდენობით შემოსახლებული სომხური კონტინგენტის ხარჯზე და ამ რეგიონის ინტეგრაცია სომხურ სახელმწიფოებრივ სივრცეში. როდესაც სომხების ბატონობის ხანმოკლე პაუზების შემდეგ ქართული პოლიტიკური ძალაუფლება აღდგებოდა ხოლმე, მმართველობა არ უპირისპირდებოდა სომეხ მიგრანტებს, პირიქით, ქმნიდა პირობებს ქართველი და სომეხი მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. სწორედ ამიტომ, უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა, რასაც ქართული და სომხური წყაროების ანალიზიც გვიდასტურებს.

---

<sup>1</sup> *Меликишвили Г.*, Изменение политической обстановки в Грузии и соседних странах в VII-VI вв. до н. э. ОИГ, т. I, Тб., 1989, с. 308.

<sup>2</sup> *Агаян Ц.*, Вековая дружба народов Закавказья. Ереван, 1980, с. 226.

<sup>3</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი, გამოკვლევიდა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**, თბ., 1968, გვ. 051-052.

V-VI საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა მეზობელი ირანის გაძლიერების გამო. ირანმა ჯერ ალბანეთსა და სომხეთში გააუქმა მეფობა, 523 წ. კი – ქართლში. ქვემო ქართლში არსებული ეთნიკური სიტუაციის მართვა ამიერიდან ირანის ხელში გადავიდა და სომხური მოსახლეობაც რეგიონში მტრის პოლიტიკური მიზნების განხორციელების ერთგვარ იარაღად იქცა. ირანმა შეძლო ქვემო ქართლის სომხურენოვანი მოსახლეობა ამ დროისათვის ქართლის სამეფოს მიერ აღებული პრობიზანტიური კურსისათვის დაეპირისპირებინა. შაჰი თავის დასაყრდენს სეპარატისტულად განწყობილ პიტიახშთა სახლში პოულობდა, რომელიც, თავის მხრივ, სტრატეგიული თვალსაზრისით ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში ხელს უწყობდა ცენტრიდანულ ტენდენციებს. თავი რომ დავანებოთ ვარსქენ პიტიახშის მკვეთრად გამოხატულ პროირანულ პოლიტიკას, ამის ერთგვარი გამოვლინება იყო მისი მეუღლის, შუშანიკ დედოფლის, დახმარებითა და თაოსნობით V ს-ში აქ სომხური მღვდელთმსახურების შემოღება. შუშანიკის ეს ქმედება ემთხვეოდა ვარსქენ პიტიახშის სეპარატისტულ კურსს, ადგილობრივი სომხური მოსახლეობის განწყობას და ირანის პოლიტიკურ ინტერესებს. ყოვლივ ეს გამონვეული ჩანს მაშინდელი პოლიტიკური კონიუნქტურით. რამდენადაც ცნობილია, წინა პერიოდში, არშუშა პიტიახშის, ასევე წარმოშობით, სომეხი ცოლი, ამგვარ საქმიანობას არ ეწეოდა.

ორენოვანი მღვდელთმსახურება არ შეიძლებოდა ქართლის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის სასურველი ყოფილიყო, თუმცა, ვახტანგ გორგასალი იძულებული იყო დროებით მოეთმინა ასეთი რელიგიური ვითარება ქვემო ქართლში და აქცენტი ვარსქენ პიტიახშის ანტიქრისტიანულ საქმიანობაზე გადაეტანა. შუშანიკის მიერ გახორციელებულმა რელიგიურმა პოლიტიკამ, თავისებური ასახვა ჰპოვა სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების პირველსავე ხანებში, როცა კირიონ ქართლის კათალიკოსმა ამ პრობლემის მოგვარება ქართლის პოლიტიკური და იდეოლოგიური ერთიანობის სასარგებ-

ლოდ გადაწყვიტა. უნდა ითქვას რომ, ქართლის კათალიკოსი მწვავე წინააღმდეგობას გადააწყდა, როგორც სომხური ეკლესიის, ისე ცურტავის სომხურენოვანი მრევლისა და მათი სულიერი მოძღვრის მხრიდან.<sup>1</sup>

VI-VII საუკუნეებში აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნები ალტერნატივის წინაშე დადგნენ. ქრისტიანობა დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ მიმდინარეობებად გაითიშა. დიოფიზიტობის მიღება ბიზანტიის იმპერიაზე კურსის აღებას ნიშნავდა, მონოფიზიტობა კი სპარსეთის ქვეშევრდომობის აღიარებას<sup>2</sup>.

VII საუკუნეში მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ საქართველომ ქალკედონური ანუ „ბიზანტიური“ ქრისტიანობა აირჩია, სომხეთმა კი ანტიქალკედონური. სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის დაძაბულობა იქამდე მივიდა, რომ სომეხთა კათოლიკოსმა შეაჩვენა ქართველები და ქალკედონური ქრისტიანობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღა. ავანის ქალკედონური საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ (605-607 წწ.) მის მრევლს სომხურმა ეკლესიამ გარკვეული მოთხოვნა წამოუყენა: ან უარი ეთქვათ დიოფიზიტობაზე და მონოფიზიტურ მრევლს შეერთდებოდნენ, ან საერთოდ დაეტოვებინათ სომხეთი<sup>3</sup>. სავარაუდოა, რომ დიოფიზიტი სომხების ის ნაწილი, რომელმაც უარი თქვა მრწამსის შეცვლაზე, საქართველოშიც გამოსახლდა.

V-VI სს. საისტორიო წყაროებით ცურტავის ეპისკოპოსები ქართველები ჩანან (იაკობ ცურტაველი, დავით ეპისკოპოსი...), მაგრამ, საეკლესიო განხეთქილების დროისათვის ცურტავის ეპისკოპოსია სომეხი ეროვნების წარმომადგენელი – მოსე, რომელიც არა თუ ურჩობას ბედავდა, არამედ ამკარა ოპოზიციაში

---

<sup>1</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 05.

<sup>3</sup> **Мурадян П. М.** Армянская эпиграфика в Грузии (Картли и Кахети), Ереван, 1985, с. 36.

ედგა ქართლის კათოლიკოსს და კავშირი ჰქონდა მასთან დაპირისპირებულ ბანაკთან.<sup>1</sup>

ქართული ეკლესიის მიერ პრობიზანტიური კურსის არჩევა (დიოფიზიტური ქრისტიანობის მიღება) სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რასაც მხარი დაუჭირეს თვით ნესტორიანელმა და მონოფიზიტმა ეპისკოპოსებმაც კი. მხოლოდ ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ გაბედა ურჩობა, სომხეთში გაიქცა და იქიდან დაუწყო ბრძოლა ამ წამონყებას. მოსეს მხარი არ დაუჭირა მისივე სამწყსოს ქართულმა ნაწილმა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ განდგომას ეროვნული ელფერი ჰქონდა.<sup>2</sup>

მოსე ეპისკოპოსმა თხოვნით მიმართა სომეხთა მღვდელმთავარს, ვრთანეს ქეროდლეს და წინათ არსებული მდგომარეობის აღდგენა სთხოვა.<sup>3</sup> ამ თხოვნიდან ჩანს, რომ მოძღვარი ზრუნავდა მხოლოდ თავისი სამწყსოს სომხურ ნაწილზე. ვრთანესი მოსეს თხოვნით დაწერილ მიმართვაში ამბობს „...სომხურენოვანი ქვეყნის სრულიად მსოფლიონს, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის სამწყსოში“.<sup>4</sup> საპასუხო წერილში ცურტაველი სომხები მოითხოვენ დახმარებას თავიანთი მღვდელმთავრებისაგან და აცხადებენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი გახდებიან დატოვონ ეს მხარე. საფიქრებელია, მათ რომ ცურტავი ისტორიული სომხეთის ნაწილად და თავიანთ

---

<sup>1</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**, თბ., 1968; **ჯანაშია ლ.**, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

<sup>2</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**, თბ., 1968; **ჯანაშია ლ.**, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 278-280.

<sup>3</sup> უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**, თბ., 1975, გვ. 62-63.

<sup>4</sup> იქვე გვ. 63.

სამშობლოდ ჰქონოდათ მიჩნეული, ამ არგუმენტს ალუნიშნავს არ დატოვებდნენ. თავად ქეროდლეს კირიონისა და პეტრე ეპისკოპოსისადმი მიწერილ და გაგზავნილ წერილებშიც მკაფიოდ არის გამიჯნული „ჩვენი ქვეყანა“ ანუ სომხეთი და „თქვენი ქვეყანა“ ანუ ქართლი.<sup>1</sup>

ცურტავში მრავლად უნდა ყოფილიყო ქართული მოსახლეობა და საერო ხელისუფლებაც ქართული იყო. უხტანესი ალუნიშნავს, რომ მოსეს „სიკვდილით ემუქრებოდნენ იმ ქვეყნის მთავრები, ერისთავები და ჭრელი მასა, რომელთაც არ იცოდნენ რჯული და მცნება უფლისა“.<sup>2</sup> დემოგრაფიული უპირატესობა და ხელისუფლება რომ ქართული არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა არასასურველი ეპისკოპოსის ქვეყნიდან გაძევება.<sup>3</sup> ალსანიშნავია, რომ თავად მოსე ეპისკოპოსსაც განათლება ცურტავში ქართულ და სომხურ ენაზე მიუღია. ეთნიკური თვალსაზრისით ჭრელ ცურტავში ქართული მღვდელთმსახურების შემოღების საკითხი ასე მწვავედ იმიტომ დაისვა, რომ შუშანიკის მიერ შემოღებული სიახლენი ხელს უშლიდა უმეფოდ დარჩენილი ქვეყნის ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად შეკვრას. სომეხი სასულიერო პირები სწორედ შუშანიკის სახელს იყენებდნენ ფარად და ქართულ მხარეს საკუთარი წმინდანისადმი ურჩობაში სდებდნენ ბრალს.<sup>4</sup> საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, როგორც ჩანს, სომეხმა მონოფიზიტებმა დატოვეს ქვემო ქართლი, ხოლო ვინც დარჩა, დიოფიზიტი გახდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყა. ამ დროიდან რელიგიურ დევნას გამოირიდებული სომხები თავიანთი სამშობლოდანაც შემოდიოდნენ ქართულ პროვინციებში.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა **ზ. ალექსიძემ**, თბ., 1968.

<sup>2</sup> უხტანესი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

<sup>3</sup> **ჯანაშია ლ.**, დასახ. ნაშრ. გვ. 81-82.

<sup>4</sup> უხტანესი, დასახ. ნაშრ. გვ. 73.

<sup>5</sup> **თამარაშვილი მ.**, როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში, უნივერსალი. 2010, გვ. 29.

IX საუკუნიდან სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლა დაიწყო გაძლიერებულ ქართულ და სომხურ სამეფო-სამთავროებს შორის. ასეთ ვითარებაში მეზობელ სომეხ და ქართველ ხელისუფალთა შორის შეტაკებები გარდაუვალი იყო.<sup>1</sup> საბოლოოდ ეს ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. სომხეთმა კი, გარკვეული მიზეზების გამო, შექმნილ სიძნელებებს თავი ვერ გაართვა და ბიზანტიის პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. XI საუკუნის პირველ ნახევარში იგი ბიზანტიამ უშუალოდ შეიერთა, იქ თავისი ადმინისტრაციული სისტემა შექმნა, სომეხი დიდებულებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი იმპერიის ფარგლებში – ბულგარეთსა და მცირე აზიის სამხრეთ რაიონებში ჩაასახლა. ეს ღონისძიება სომხეთის დასუსტებასა და ბიზანტიის იმპერიის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.<sup>2</sup> შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური ერთეულების მოშლა სომხეთში მიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევდა საქართველოშიც.<sup>3</sup>

X საუკუნის II ნახევრიდან XIII ს-ის პირველ მეოთხედამდე პერიოდი, მიუხედავად XI ს-ის II ნახევარში თურქ-სელჩუკების შემოსევებისა, საქართველოს სახელმწიფოს მზარდი ძლიერების ხანაა. ქართველმა მეფეებმა არა მარტო საქართველოს მიწები გააერთიანეს, არამედ ამიერიდან მთელი კავკასიის ქრისტიანული მოსახლეობის ინტერესების დამცველად და განმათავისუფლებლად გამოდიოდნენ. დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკების მიერ დაპყრობილი სომხეთის დიდი ნაწილი გაათავისუფლა და საქართველოს შემოუერთა<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> **აბდლაძე ა.**, „ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან XII ს. დასაწყისამდე“, თბ., 1982, გვ. 207.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>3</sup> **ლორთქიფანიძე მ.**, საქართველო XI ს. ბოლოს და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებელი სინ. ტ. III, თბ., 1979, გვ. 178.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 245; **მეტრეველი რ.**, დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 19.



X ს-ის ბოლოდან ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა, კავკასიის არაქართული მიწების შემოერთებასთან ერთად, მიზნად დაისახეს იქ მცხოვრები ქრისტიანების ერთიანი რელიგიის – მართლმადიდებლობის დროშის ქვეშ გაერთიანება. მაგრამ თუ XI საუკუნესა და XII ს-ის პირველ ნახევარში ისინი (ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი) „სომხური“ მონოფიზიტური ქრისტიანობისადმი ლოიალობას იჩენდნენ, XII ს-ის ბოლოდან საქართველოს მესვეურები მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე გადავიდნენ, რის გამოც საკმაოდ დაიძაბა ქართულ-სომხური ურთიერთობა. 1197 წ. თბილისში შეტაკება მომხდარა ქართველებსა და სომხებს შორის „აღდგომის თაობაზე“, სირიელი ავტორის გრიგოლ ბარ-ჰებრაის ცნობით ქართველებმა სომხური ეკლესია დაწვეს. დაპირისპირება ლამის მასშტაბურ სისხლისღვრაში გადაიზარდა. ქართულ მხარეს სომხების დასაშოშმინებლად ეკლესიის ასაშენებელი თანხა 10000 დინარი გადაუხდია.<sup>1</sup>

თამარ მეფის ზეობისას 1197-1205 წწ. მიმდინარე საეკლესიო პაექრობაში ქართველების გამარჯვების შემდეგ მრავალმა გავლენიანმა მონოფიზიტმა, და მათ შორის ივანე მხარგრძელმა, ქართული მრწამსი მიიღო<sup>2</sup>. „სომხური“ ღვთისმსახურების კრიტიკა მოსახლეობას მტკივნეულად რომ არ აღექვა, ანტიმონოფიზიტურ მოძრაობას სათავეში სომხური გარემოდან გამოსული ზაქარია მხარგრძელი ჩაუყენეს. მისი ინიციატივით 1205 წ. ლორეში და 1207 წ. ანისში მოენყო საეკლესიო კრებები, რომელთა მთავარი საკითხი იყო სომხურ საეკლესიო რიტუალში მართლმადიდებლური წესების შეტანა. საქართველოს სამეფო კარი პოლიტიკურად დამორჩილებული სომხეთის რელიგიურად

---

<sup>1</sup> *მესხია შ.*, „საისტორიო ძიებანი“, ტ. II, თბ., 1983, გვ. 182.

<sup>2</sup> *ჩანტლაძე ნ.*, მხითარ გომის ტრაქტატი „ქართველთათვის“. სადისერტაციო მაცნე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994, 18.

დაახლოებას ცდილობდა და ამით მას ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხეს უქმნიდა<sup>1</sup>.

საქართველოს მეფეთა სამსახურში სხვა არაქართველებთან ერთად მრავლად იყვნენ სომხური წარმოშობის პირებიც. უცხო ეთნიკურ ერთეულს სამეფო კარი ფართოდ იყენებდა საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. ამის მაგალითია დავით აღმაშენებლის მიერ გორში სომხების ჩამოსახლება.<sup>2</sup> ამ დროისათვის თავად ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე გაჩნდა დიოფიზიტური და მათ შორის, როგორც ჩანს, ეთნიკურად ქართული დასახლებები, რასაც მოწმობს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. გასული საუკუნის 90-იან წლებში ერთ ქართულ წარწერას თვით ერმიადინის სანახებში მიაკვლია ნ. მარმა. მანვე 1910 წელს ანისში აღმოაჩინა ქვა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც ეტიფანე კათალიკოსის მიერ ანისის ქრთველებისა და ქალკედონიტი სომხებისათვის შედგენილი განაჩენი აღმოჩნდა.<sup>3</sup> ქართულმა ეკლესიამ საეპისკოპოსოები შექმნა ასევე ვალაშკერტსა და არზრუმში.<sup>4</sup>

სომხეთის ყოფილ სატახტო ქალაქში, ანისში, სამეფო კარი ქართულ პოლიტიკას სომხითარი (მხარგრძელები) და მესხი დიდაზნაურების მეშვეობით ატარებდა, რაც მეტ-ნაკლები წარმატებით XV საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>2</sup> **მესხია შ.**, „საისტორიო ძიებანი“, ტ. II, თბ., 1983, გვ. 99; **პაპუაშვილი თ.**, კულტურული ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან. სინ., ტ. III, თბ., 1979, გვ. 497; **Мурадян П.**, Армянская эпиграфика в Грузии (Картли и Кахети), Ереван, 1985, с. 79.

<sup>3</sup> **Март Н.**, Отпроведь грузинскому сборнику Акакия, братская помощь пострадавшим в Турции Армянам, Литературно-научный сборник, 1898, с. 562; **ჯავახიშვილი ივ.**, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII სს. თბ., 1982, გვ. 347.

<sup>4</sup> **ლომსაძე შ.**, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წელიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 10; **თამარაშვილი მ.**, როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში, უნივერსალი, თბ., 2010, გვ. 22.

<sup>5</sup> **ჭეიშვილი გ.**, ქვეყანა ანისისა, არტანუჯი, 2017, გვ. 56-81.

სომხეთი საქართველოს შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა არამარტო ქართველებსა და სომხებში, არამედ უცხოელებშიც. XIII საუკუნის შუა ხანებში მონღოლთა მიერ შემოღებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ჩრდ. სომხეთი საქართველოში შედიოდა.<sup>1</sup> ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ ყირიმში გადასახლებული ერეგნელი მნიგნობარი თავის „მშობლიურ ქალაქ ერევანს საქართველოს ქალაქად მიიჩნევდა.“<sup>2</sup>

XIV-XVIII სს-ში სომხები კვლავ იმედის თვალთ უცქეროდნენ საქართველოს, რომელიც, XV საუკუნიდან პოლიტიკური დაშლილობის მიუხედავად, მთელს ახლო აღმოსავლეთსა და მეტადრე კავკასიაში ისევ ქრისტიანობის მფარველად რჩებოდა, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის დაცემის (1453 წ.) შემდეგ. გვიან შუასაუკუნეებში მრავალი სომეხი ტოვებდა ისტორიულ სამშობლოს იქ გამეფებული ეროვნულ-პოლიტიკური და რელიგიური შევიწროების გამო და სხვა ქვეყნებში (უფრო ხშირად საქართველოში) ეძებდა თავშესაფარს. ისინი უპირატესად მოსაზღვრე ქვემო ქართლში სახლდებოდნენ. ამ კუთხის სომხეთთან სიახლოვის გამო მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში კვლავ თავიანთ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ.<sup>3</sup>

მტრის ხშირი შემოსევებით გაუკაცრიელებული მიწების დასახლებით ხშირად ქართველი ხელისუფლებიც დაინტერესებულნი იყვნენ. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ვაჟი ბაგრატ მუხრანბატონი ყარაბაღში ჩავიდა, ყმა გლეხები შეიძინა და მუხრანში დაასახლა, სადაც მათი შთამომავლობა დღემდე ცხოვრობს.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> **ლომინაძე ბ.**, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, სინ. ტ. III, თბ., 1979, გვ. 553.

<sup>2</sup> **აბდლაძე ა.**, სომხურ ხელნაწერთა მე-14 მე-15 საუკუნეების ანდერძების (ვიშტარაკანების) ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1978, გვ. 22.

<sup>3</sup> **ჯავახიშვილი ი.**, საქართველოს საზღვრები, ისტორიული, თბ., 1989, გვ. 35.

<sup>4</sup> **მღებრიშვილი ლ.**, სოფელი მუხრანი, თბ., 1997, გვ. 9.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სომეხი ვაჭარ-ხელოსნები შეადგენდნენ, ისინი ქართველ მეფე-მთავრებს საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდნენ და მათ შორის ცილობის საგანიც კი ხდებოდნენ ხოლმე.<sup>1</sup> საქმე იქამდე მივიდა, რომ სომხები და ებრაელები, როგორც ვაჭართა ფენის წარმომადგენლები, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და საქართველოს მოსახლეობის მდიდარ ნაწილს წარმოადგენდნენ. ზოგიერთი ცნობით, მათ სახლებში ქართველი ტყვეებიც ჰყოლიათ, რომლებსაც მონებივით ეპყრობოდნენ.<sup>2</sup>

სომხების შემოსახლებას არც თუ იშვიათად ხელს უწყობდნენ ქართულ სამეფო კარზე დანიშნულებული სომხური წარმომავლობის პირები. XV ს. პირველ ნახევარში ალექსანდრე I-მა ლორე სამართავად თავის სიმამრს პეგინ ორბელიანს (წარმოშობით სომეხი) გადასცა, მან კი მთელი ეს მხარე სომხებით აავსო.<sup>3</sup>

XV საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოსათვის შედარებით მშვიდობიანი ხანაა. ალექსანდრე I შეუდგა დანგრეული ქვეყნის გაშენებას, მაგრამ მიყენებული ზარალი აუნაზღაურებელი აღმოჩნდა. უდიდესი უბედურება იყო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება, რამაც არაერთი ოლქის გაუკაცრიელება გამოიწვია. ტყითა და ბალახით იფარებოდა სახნავ-სათესი ფართობები, დაინგრა საირიგაციო სისტემები, გაჩანაგდა მეურნეობა, რის გამოც ქვეყანა ეკონომიკურად გაღარიბდა, კულტურულად დაძაბუნდა. მისი წინანდებურად აღდგენა მოსახლეობის სიმცირის გამო შეუძლებელი გახდა. 1441 წლის ალექსანდრე I-ის სიგელში სვეტიცხოვლისადმი ნათქვამია, რომ შეწირული სოფელი „კუნელი“ გავერანებული ყოფილა და

---

<sup>1</sup> *მაისურაძე გ.*, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982, გვ. 171.

<sup>2</sup> *Загурский Л.*, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тифлис, 1873, с. 51.

<sup>3</sup> *ზურაბაშვილი ლ.*, „ეროვნებათშორისი ურთიერთობების ტრადიციები საქართველოში“, თბ., 1989, გვ. 26.

მას „თათრის“ ქვეყნიდან ძალით ჩამოუყვანია ხალხი და იქ ჩაუსახლებია.<sup>1</sup> ე.ი. წინამორბედი ქართველი მეფეებისაგან განსხვავებით, რომლებიც თურქმანული მოსახლეობის ქვეყნიდან გაძევებისათვის იბრძოდნენ, ალექსანდრე I იძულებული გამხდარა გაუკაცრიელებულ მიწაზე „თათართა ქვეყნიდან“ იძულებით ჩამოყვანილი ხალხი დაესვა და მათთვის შეღავათებიც დაენესებინა.

XV ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოსათვის არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. მეზობელი ტერიტორიები თურქული სასულთნოებით დაიფარა. საქართველოს გამუდმებით უტევდნენ აღ-ყოინლუსა და ყარა-ყოინლუს გაერთიანებები. ისინი XIII საუკუნეში შემოვიდნენ შუა აზიიდან, მიიტაცეს ქურთისტანის მდიდარი საძოვრები, მესოპოტამიის, ირანის, სომხეთისა და დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილები და ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას.<sup>2</sup>

მომთაბარე თურქების მოძალებამ პრობლემები შეუქმნა მთელი ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი სომხებს. თურქმანთაგან შევიწროებულ-დევნილი მოსახლეობა საქართველოს, კერძოდ კი, ქვემო ქართლს აფარებდა თავს. XV ს-ის პირველ ნახევარში ლორეს პატრონმა პეგინ ორბელიანმა თურქთაგან დევნილი უამრავი სომეხი შეიფარა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად თითქმის მთლიანად ამოჟლიტა 1440 წ. ლორეში შემოჭრილმა ყარა-ყოინლუს ფადიშაჰმა ჯეჰან-შაჰმა. თუმცა, 1595 წელს 12 ათასი კომლი სომეხი და ტაჯიკი კვლავ გადმოსულა საქართველოში.<sup>3</sup>

ამიერიდან სომხები პერმანენტულად შემოდიდოდნენ და მკვიდრდებოდნენ ქვემო ქართლში. შემოსულები ქმნიდნენ საკუთარი მატერიალური კულტურის ძეგლებს. მაგ., სომხურწარ-

---

<sup>1</sup> გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965, გვ. 133.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 141; *Ибрагимов Дж.*, Феодальные государства на территории Азербайджана XV века, Баку, 1967, с. 14-15.

<sup>3</sup> *მენოფელი თ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

წერიანი ეკლესიები: ყიანეთში ერთნავიანი ბაზილიკა (1516 წ.), დმანისიდან ნახევარ კილომეტრში ერთნავიანი მცირე ეკლესია (1515 წ.) თეკენების მეორე ე.წ. „შვლის ეკლესია“ ერთნავიანი ბაზილიკა, რომელსაც ჩრდ. კედელში ჩაშენებული აქვს ქვის ემბაზი (1688 წ.). სოფ. ჰამამლუდან 15 კმ-ზე მდებარეობს XII-XIII სს მცირე ზომის ეკლესიის ნაშთები, ქართული წარწერებით, რომლის ეზოშიც გვხვდება სომხურწარწერიანი საფლავის ქვები. ლ. მუსხელიშვილმა ცალკე გამოჰყო XV-XVI სს სომხური მიგრაციების ზეგავლენით შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლში და აღნიშნა, რომ სინქრონულად იქმნებოდა ქართული ძეგლებიც მაგ. ალექსანდრე I მეფობისას. განსაკუთრებით მძლავრი აღმშენებლობა იყო XVII ს-ში (ხიდები, ციხე-სიმაგრეები, ქარვასლები), რომელიც XVIII ს-ის შუა ხანებამდე გაგრძელდა, რაც ამ რეგიონში ქართული მოსახლეობის მომრავლება-გაძლიერებაზე მიუთითებს.<sup>1</sup>

ქვემო ქართლში დამკვიდრებული სომხები ქართულ ეკლესია-მონასტრებს ისაკუთრებდნენ და ქართლის მეფის ქვეშევრდომები ხდებოდნენ. ახპატი სანაინის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთა აღშენებულნი, ეკლესიანი გუმბათიანნი, კეთილნაშენნი, საეპისკოპოზო. გარნა აწ სხედან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დაუსვამს ეპისკოპოზსა მონესითა ოქივარტერისათა, ვინაითგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სანმყსონი მისნი არიან.“ ასევე სომხების საკუთრება გამხდარა ქობერისა და ძელი ჭეშმარიტის მონასტრები.<sup>2</sup>

კათოლიკე მისიონერთა ცნობებზე დაყრდნობით მ. თამარაშვილი მიიჩნევდა, რომ XVII საუკუნიდან სომხების შემოსახლებამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამას ხელს უწყობდნენ ქართლში გაბატონებისათვის მებრძოლი ირანის

---

<sup>1</sup> *მუსხელიშვილი ლ.*, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში, თბ., 1941, გვ. 55.

<sup>2</sup> *ბაგრატიონი ვახუშტი*, დასახ. ნაშრ., გვ. 308-309.

მესვეურებიც. რომში დაცული კაპუცინების არქივში შემონახულია 1675 წლის ცნობა, რომ „უკანასკნელ ხანებში სპარსელებმა გაადიდეს ტფილისი, უმთავრესი ქალაქი, და ალავსეს იგი ერთიან სომხებითა, რის გამო ვაჭრობამ იწყო წარმატებაო“.<sup>1</sup> XVIII ს. მეორე ნახევარში ქვემო ქართლში მოსახლეობის მნიშვნელოვან წილს უკვე სომხები და ე.წ. “თათრები” შეადგენდნენ.<sup>2</sup>

ამ პერიოდში ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ირანი და თურქეთი, თავიანთი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, აქტიურად ასახლებდნენ სხვადასხვა მოდგმის მომთაბარე ტომებს, რამაც სომხეთში ეთნოდემოგრაფიული მდგომარეობის რადიკალური ცვლილება გამოიწვია. 1515-1516 წწ. ოსმალებმა მასობრივად გადმოსახლეს ქურთები სომხეთის სამხრეთ რეგიონებში, რაც სუნიტი ქურთების მეშვეობით შიიტური ირანისაგან დამცავი ზღუდის შექმნას ისახავდა მიზნად. ამ გადმოსახლებამ განაპირობა დიარბექირის და ვანის რაიონებში მინათ-მოქმედების უცხო სისტემის ფორმირება.<sup>3</sup>

1770 წლის ცნობით, ყაზახში 1200 სული სომეხი და 3500 თათარი სახლობდა. ამდენივე იყო შამშადილუში.<sup>4</sup> ბორჩალოში შედარებით მცირე რაოდენობით სომეხი ცხოვრობდა. აქ იყო როგორც კომპაქტურად სომხებით დასახლებული სოფლები, ისე თურქმანებთან შერეულიც.<sup>5</sup> სომხური ყოფილა სოფლები: უზუნთალა, დემურჩლარი, სეიფარა, შნაგი, გისგანგი (შეუქმნი-

---

<sup>1</sup> *თამარაშვილი მ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

<sup>2</sup> *გიულდენშტედტი* დასახ. ნაშრ., გვ. 240-245.

<sup>3</sup> *Malkhasyan Mikael*, Foreign Ethnic Invasion into Armenia in The 16th Century, *Huistory and Culture Journal of Armenian Studies (collection of Scientific Articles)* Yerevan 2016, p. 149.

<sup>4</sup> *გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ.*, 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, №1, 1973, გვ. 153.

<sup>5</sup> *გიულდენშტედტი*, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. .II თბ., 1962, გვ. 243.

ათ ლორედან გადმოყვანილი სომხებისგან).<sup>1</sup> ბამბაკსა და ბორჩალოში 1770 წლის ნუსხით 2650 სული სომეხი ცხოვრობდა,<sup>2</sup> დემურჩი ასანლუს მხარე 1000 “ოიმალს“ ითვლიდა. გიულდენშტედტის აღწერით, ბაიდარში კომპაქტური სომხური დასახლებები არ ყოფილა. ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი მარნეული 1768 წელს 40 სომხური და 30 თათრული ოჯახისაგან შეუქმნიათ. იმავე წელს 60 თათრული და 15 სომხური ოჯახისაგან განუახლებიათ გაიურარხიც. მცირე რაოდენობის სომხები ყოფილან გურთშიც.<sup>3</sup> ქართულ-თათრული იყო ბაიდარის სასულთნო, სადაც იმ ხანებში 200 კომლიდა ყოფილა.<sup>4</sup> ნუსხის მიხედვით, თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი აოხრებული და უმკვიდრო მხარეებია, ასეთივეა სომხითიც, ხოლო საბარათიანოში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თარაქამა და თურქმანი თათრები შეადგენდნენ.<sup>5</sup>

ქართლ-კახეთის მესვეურები მუდმივად აკვირდებოდნენ ქვემო ქართლში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას და არ აძლევდნენ მას ქვეყნიდან წასვლის საშუალებას. 1755 წ. ერეკლე II-მ უკან დააბრუნა ერევენის სახანოსა და ყარასუზე გადასახლებული ბორჩალოელები;<sup>6</sup> 1760 წ. ფანა ხანის დამარცხების შემდეგ ყარაბაღსა და ნახჩევანში გადასახლებულთა დასაბრუნებლად ჯარი გააგზავნა, ისინი ააყრევინა და უკან დააბრუნა.<sup>7</sup>

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> **გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ.**, 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, №1, 1973, გვ. 153.

<sup>3</sup> **გიულდენშტეტი**, დასახ. ნაშრ., გვ. 245-246.

<sup>4</sup> **გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ.**, 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, №1, 1973, გვ. 153.

<sup>5</sup> **გიულდენშტედტი**, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I თბ., 1962, გვ. 241.

<sup>6</sup> **ბაგრატიონი თეიმურაზ**, ახალი ისტორია, თბ., 1983, გვ. 50.

<sup>7</sup> **ორბელიანი პ.**, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 171.



თურქმანთა ნაწილის დამორჩილება სამეფო ხელისუფლებას გარკვეული პრობლემების წინაშე აყენებდა. მაგალითად ერეკლე II-ს 1788 წ. საგანგებო სიგელით სალაჰუს ტომი სამშობლოში დაუბრუნებია, ამის მიზეზად “უგნური ხალხის“ საქციელია დასახელებული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო ერეკლე II-ის გვირგვინქვეშ გაერთიანდა (1762). მან ერევნისა და განჯის სახანოების დამორჩილებაც შეძლო. საქართველოს გაძლიერებამ სომხეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია, რომელშიც საქართველო ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ განიხილებოდა<sup>1</sup>. მაგრამ ამასთანავე, სომხური პოლიტიკის მესაჭეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ თავიანთი ქვეყნის მომავალი აღმავლობის გზაზე მდგომი რუსეთის იმპერიისათვის დაეკავშირებინათ.

ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასაწყისში, 1723 წელს პეტრე I-მა თურქეთში მცხოვრებ სომხებს დასასახლებლად რუსეთის მიერ დაპყრობილი კასპიისპირეთისაკენ მოუწოდა და თანაც ფართო ეკონომიკურ შეღავათებს დაპირდა.<sup>2</sup> ამ საუკუნეში უკვე აღარ შემწყდარა სომეხ ვაჭარ-მრეწველების მიგრაცია რუსეთში. შეიქმნა სომხური კოლონიები – ჩრ. კავკასიაში, ასტრახანში, დონზე, პეტერბურგში და სხვა ადგილებში.

რუსეთში სომხური ბურჟუაზია განსაკუთრებული პრივილეგიებით და მხარდაჭერით სარგებლობდა. გაძლიერდა რუსეთის მფარველობაში მყოფი სომხეთის გრიგორიანული ეკლესიაც. მათ ხელში თავმოყრილი იყო დიდძალი სიმდიდრე, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ რუსეთის მმართველ წრეებთან.<sup>3</sup> XVIII საუკუნის 60-იან

---

<sup>1</sup> *Агаян Ц.*, Вековая дружба народов Закавказья, Ереван, 1980, с. 77.

<sup>2</sup> *Глинка С.*, Описание переселения армян азербайджанских в пределы России. М., 1831, с. 17.

<sup>3</sup> *ლომსაძე შ.*, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე, თბ., 1975, გვ. 343.

ნი წლებიდან ერშიაძინი აქტიურ მიმონერას აწარმოებდა რუსეთის საიმპერატორო კართან.<sup>1</sup> რუსეთში მოღვაწე სომხები – ლაზარევი, არლუთინსკი, ემინი, ყოველნაირად ცდილობდნენ, რუსი პოლიტიკოსების ყურადღება სომხეთისაკენ მიეპყროთ.<sup>2</sup> თანაც ისინი გრძნობდნენ, რომ საქართველოს ფაქტორის გაუთვალისწინებლად რუსეთის პოლიტიკურ წრეებს ვერ დააინტერესებდნენ და ვერც მათი საოცნებო სომხური სახელმწიფოს აღდგენა შეიძენდა რეალურ კონტურებს. შექმნილ რთულ ვითარებაში სომხების ერთი ნაწილი საქართველოში რუსეთის იმპერიალისტური მიზნების ხელშეწყობად იქცა. პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში (ამ შეთქმულებაში, ჩანს, რუსეთის ხელი ერია) ვინმე ალალოს მონაწილეობა, რომლის უკანაც ერშიაძინი იდგა, აშკარად მიუთითებს რუსულ-სომხური ალიანსის ქართველთა საზიანოდ მიმართულ ხასიათზე.<sup>3</sup> რუსული პოლიტიკა გულისხმობდა სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი რეალური ძალის მქონე ქართული სახელმწიფოს მიმართ რევერანსებს (მოკავშირეობა 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1796 წ. ლაშქრობა სპარსეთში და სხვა), რათა მისი სამეფო კარი სხვა შესაძლო მოკავშირის ძიებისაგან ჩამოეშორებინა. სინამდვილეში, ცარიზმი ხელს უწყობდა საქართველოს დასუსტებას, რათა იგი კავკასიაში რუსეთის დამაბრკოლებლად არ ქცეულიყო.

რუსეთის შემოსვლა ამ რეგიონში ემთხვეოდა სომხების ინტერესებს; ისინი იმედოვნებდნენ, რომ რუსთა დახმარებით დიდი ხნის წინათ გაუქმებულ სახელმწიფოებრიობას აღიდგენდნენ და ამის გამო, ზოგჯერ არც ანტიქართულ ქმედებებს ერიდებოდნენ. მაგ. ერთი მოსაზრების თანახმად კრწანისის

---

<sup>1</sup> *Иоаннисян А.*, Россия и Армянское освободительное движение в 90-х годах XVIII столетия. Ереван, 1997, с. 14; *Аракелян Б., Иоаннесян А.*, История армятского народа, Ереван, 1951, с. 258).

<sup>2</sup> *მაისურაძე გ.*, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982, გვ. 261.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 268.

ომის დროს თბილისის გაცემაში სომეხი ეროვნების წარმომადგენელთა ხელიც ერია.<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამიერიდან მოყოლებული უცნაური მდგომარეობა შეიქმნა, სომხები ორმაგ კავშირს იჭერდნენ – ერთის მხრივ საქართველოს მეფე ერეკლე II-ს ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ვითარცა დევნილნი და შედარებით მყარ თავშესაფარს პოულობდნენ, ამავე დროს კი, იღუმალ, რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს აკეთებდნენ.<sup>2</sup>

სომხური კაპიტალის იმედი ჰქონდა ერეკლე II-ს ერთხანს და მათი საშუალებით ფიქრობდა ქვეყნის აღორძინებას. ამიტომ ფართოდ უღებდა კარს სომეხ კოლონისტებს. 1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაგიდან ერეკლემ 7 000-ზე მეტი ქრისტიანი შემოიყვანა, თუმცა მათი ერთი ნაწილი მოგვიანებით განჯაში გადასახლდა.<sup>3</sup> სომხები უფრო პატარა ჯგუფებადაც შემოდდიოდნენ, XVIII ს-ის ბოლოს ირანელთა შემოსევებით შენუხეხული სომეხი გრიგორიანების 50 ოჯახი ელიზავეტოპოლიდან და შუშიდან სურამის „უბანში“ გადმოვიდა და სოფ. ვაკის საბატონო მიწაზე დასახლდა.<sup>4</sup>

როგორც აღვნიშნეთ, არაქართული მოსახლეობის შემოყვანით საქართველოს სამეფო კარი და ცალკეული ფეოდალები მიზნად ისახავდნენ მტრის შემოსევებისაგან გაუკაცრიელებული მიწების დასახლებასა და ვაჭრობა-ხელოსნობის გამოცოცხლებას. ამიტომ ისინი უცხო ქვეყნებიდან ხალხის ჩამოსაყვანად ზოგჯერ ძალასაც კი მიმართავდნენ.

XVIII ს-ის ბოლოდან ამ პროცესებში ჩაერია რუსეთიც და ხშირად მრავალრიცხოვანი ჯგუფების შემოყვანაც მისი მითითებით ხდებოდა. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ყარაბა-

---

<sup>1</sup> *Salia K.*, *Histoire de la nation Georgienne*. Paris, 1983, p. 381.

<sup>2</sup> *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, ისტორიული, თბ., 1989, გვ. 30.

<sup>3</sup> *ლომსაძე შ.*, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე, თბ., 1975, გვ. 342.

<sup>4</sup> სცია, ფ. 5, საქ. 194.

ლელებმა მელიქიშვილმა ჯიმშედმა და ფრიდონმა – რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღება და რუსეთში შეხიზვნის ან საქართველოში დასახლების ნება ითხოვეს.<sup>1</sup> მართლაც, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში თავისი ელჩის მეშვეობით სამეფო კარს განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში დაათმობინა მინები ლორეში სომეხი მელიქებისა და მათი ყმებისათვის<sup>2</sup>, თანაც საქმე ისე წარმოადგინეს თითქოს რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში საქართველოს საკეთილდღეოდ მოქმედებდა.<sup>3</sup>

XVIII-ს მეორე ნახევრიდან შეიცვალა სომხური მიგრაციის ხასიათიც. თუ მანამდე სომეხები ქართველი მეფეების ქვეშედომობის მოპოვებას ლამობდნენ და რეგიონში ქართული პოლიტიკის გატარების იარაღს წარმოადგენდნენ, ამიერიდან რუსეთის იმპერიას დაუკავშირდნენ და ცარიზმის მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი მიზნების შესრულებას. სომხურ საეკლესიო და პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა იმედი, რომ რუსების დახმარებით აღადგენდნენ სომხურ სახელმწიფოს, რომელიც მომავალში სამხრეთ კავკასიაში ცარიზმის დასაყრდენი გახდებოდა.<sup>4</sup>

თანადროულად, სომეხები განაგრძობდნენ ქვემო ქართლში შემოხიზვნას და ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) აოხრებული ქვეყნის მოსახლეობით შესავსებად იძულებული იყვნენ მათთვის შეღავათებიც კი დაენესებინათ.

რუსებთან დაახლოებული სამხრეთ კავკასიის წვრილი პოლიტიკური ერთეულები კრწანისის ომის წინ მძიმე მდგომარეობაში

---

<sup>1</sup> АКАК, т 1, Письмо армянских меликов Джимшида варадинскаго и Фридона Гулистанскаго к Е.И.В. с. 632.

<sup>2</sup> АКАК, т 1, Грамота Е.И.В. Армяским меликам с. 635; იქვე Тоже к Карталинскаго и Кахетинскаго Царю Георгию с. 636; იქვე Грамота е в царя Грузинскаго Мелику Джимшиду от 29 февраля 1800 года с. 637.

<sup>3</sup> АКАК VII, გვ. 93; *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, გვ. 38-39.

<sup>4</sup> *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989, გვ. 41.

რეობაში აღმოჩნდნენ, რადგან რუსეთმა თავისი მოკავშირეები ირანს შეატოვა პირისპირ. ყარაბაღის ხანმა, იბრაჰიმმა, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის მოლოდინში, მოსახლეობა მეზობელ ქვეყნებში, უმეტესად კი ქართლში გახიზნა, რომ მერე უკან დაებრუნებინა. მაგრამ გახიზნული მოსახლეობა უკან კი არ დაბრუნდა, არამედ სხვებისთვისაც მაგალითი გახდა და მელიქების წინამძღოლობით განჯასა და ქართლში დასახლდა. სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე ყარაბაღიდან, ერევნიდან, ნახიჩევნიდან და სხვა სახანოებიდან შეძლებული სომხები და მუსლიმი ბეგები საქართველოში გამოვლინდნენ და ბამბაკის ხეობაში სახლდებოდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ალა-მაჰმად-ხანი საქართველოში ლაშქრობას ვერ გაბედავდა.<sup>1</sup>

სომეხმა მელიქებმა, აბოვმა და მეფულუმმა, მეფე ერეკლე II-ს საქართველოში დასახლების ნება სთხოვეს. მეფემ შეინყნარა აბოვის თხოვნა და თავისი ყმებიანად ქვემო ქართლში ჩამოასახლა, სოფელი ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა დაავალა.<sup>2</sup> მეფე გიორგი XII-მ ქვემო ქართლში მელიქი ჯემშიდი ჩამოიყვანა.<sup>3</sup>

საქართველოში გაბატონებულმა რუსეთის იმპერიამ ხელში აიღო და საკუთარ კოლონიურ ინტერესებს დაუქვემდებარა ეთნიკური პროცესების მართვა. იმავდროულად, რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოსვლის შემდეგ, სომხებში გაჩნდა ეროვნული სახელმწიფოს რუსეთის მეშვეობით აღდგენის იმედი და დაიწყო მოქმედება მისი კულტურული-რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების მოსამზადებლად. სწორედ ამას უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში ქართული მოსახლეობის გასომხებისკენ მიმართული საქმიანობა. ქვემო ქართლში, სადაც ცალკეულ ქართულ სოფლებში

---

<sup>1</sup> *Бутков П.* Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1893 год. Ч. 2. с. 337.

<sup>2</sup> *ჯავახიშვილი ი.*, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

<sup>3</sup> *ბაგრატიონი იოანე*, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 60.

ღვთისმსახურებას სომეხი მღვდლები (ტერტერები) ასრულებდნენ, გამოიკვეთა ქართველების მასობრივი გაგრიგორიანება-გასომხების ტენდენცია, რამაც „სომეხთა“ რიცხვის მატება გამოიწვია; ასევე, სომხური მოსახლეობის ხვედრითი წილის სწრაფი ზრდა მოხდა ახალი მიგრაციების ხარჯზე. 1804 წ. გენერალმა პ. ციციანოვმა ქვემო ქართლში ერევნის სახანოდან 2000 სული სომეხი ჩამოასახლა (მანამდე აქ 5000-მდე სომეხი ცხოვრობდა).<sup>1</sup>

მრავალრიცხოვანი სომხური მიგრაციები განახორციელა საქართველოში ცარისტულმა მმართველობამ XIX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს ირანიდან და თურქეთიდან. ირანიდან შემოსახლებული სომხები კვლავ ქვემო ქართლში დააფუძნეს, თურქეთიდან შემოყვანილნი კი ძირითადად სამცხე-ჯავახეთში. XIX ს-ის პირველ ნახევარში თბილისში, ქვემო ქართლსა (ბორჩალოს მაზრაში) და სამცხე-ჯავახეთში შემოსული მოსახლეობის ხარჯზე რადიკალურად შეიცვალა ამ მხარეების ეროვნული შემადგენლობა, მოხდა მთელ მაშინდელ საქართველოში სომხებთა რაოდენობის გაორკეცება

1800 წლისათვის ქართლ-კახეთში მთლიანად 47000 სული სომეხი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 6% შეადგენდა. 1832 წლისათვის მათმა რიცხვმა 84000-ს მიაღწია, ე.ი. მოსახლეობის საერთო რაოდენობის 9,4% გახდა.<sup>2</sup> 1832 წლისათვის ქვემო ქართლში სულ 30 000 ადამიანი ცხოვრობდა და მათ მნიშვნელოვან ნაწილს არაქართველები, ძირითადად სომხები და თათრები (დღეისათვის მათი შთამომავლები თავს აზერბაიჯანელებს უწოდებენ – ლ.ჯ.) შეადგენდნენ.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> *თამარაშვილი მ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 39; *ანთაძე კ.*, საქართველოს მოსახლეობა XIX ს. თბ., 1973 გვ. 108; *ჯუკაშვილი ი.*, ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019 გვ. 38.

<sup>2</sup> *ჯაოშვილი გ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 85.

<sup>3</sup> *ანთაძე კ.*, საქართველოს მოსახლეობა XIX ს. თბ., 1973, გვ. 33.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთის იმპერია ახალი პლაცდარმიდან შეუდგა ირანისა და ოსმალეთის შევიწროებას. ირანსა და თურქეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში რუსეთს მხარს უჭერდნენ საუკუნეების მანძილზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სომხები. რუსები თავიანთ მოკავშირეებს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ და უკან დახევის შემთხვევაში ხშირად საქართველოში შემოასახლებდნენ ხოლმე. სომხების საქართველოში გადმოსახლების განწყობას ყველანაირად აქეზებდა რუსული ხელისუფლება. სომხური მოსახლეობის ხვედრითი წილის ასეთი სწრაფი ზრდა ახალი მიგრაციების ხარჯზე მოხდა. გენერალი პ. ციციანოვი პროპაგანდას ეწეოდა განჯისა და ერევნის სახანოში მცხოვრებ სომხებში, რათა ისინი საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ. მაგ., როგორც აღვნიშნე, 1804 წ. ერევნის სახანოდან ქვემო ქართლში 2000 კომლი გადმოსულა, აქედან სულ მცირე 1000 კომლს სურვილი გამოუთქვამს საქართველოში დარჩენილიყო.<sup>1</sup>

1807-1808 წწ. თბილისის მიდამოებსა და ავლაბარში 338 სომხური ოჯახი (1906 სული) გადმოსულა, ხოლო 1809-1811 წწ. ყარაბაგიდან ბოლნისში – 428 სომხური ოჯახი (2140 სული).<sup>2</sup>

1826-1828 წწ. ირან-რუსეთის ომის შემდეგ რუსეთმა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები შემოიერთა. ამ ომის შემდეგ რუსეთის იმპერიაში ირანიდან დიდძალი სომხობა გადმო-

---

<sup>1</sup> АКАК т 2, Обвещение Армянским народам, обитающим в Ганджинской области, от 30-го ноября 1803 года. – Шамхор. 1868, с.590; АКАКТ 2, ч. 18, Камеральное описание и величия Ганджи Шамшадилскаго владения Аирумских деревен 2 марта 1804 годас. 597; იქვე, Предписание кн. Цицианова ген. Несветаеву, с. 632.

<sup>2</sup> *Тетвадзе Ш, Тетвадзе О.*, Армяне в Грузии (с древних времён до сегодняшнего дня), Тб. 2008, с. 48.

სახლდა (3 000 სული), მათი ერთი ნაწილი ისევ საქართველოში, ქვემო ქართლში ჩაასახლეს.<sup>1</sup>

1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით რუსებმა საომარი ოპერაციების დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი დატოვეს. იქ მცხოვრები სომხები მათ იარაღით უჭერდნენ მხარს, ახლა კი თურქების წინაშე მარტო დარჩენისა და ფიზიკური განადგურების საფრთხე დაემუქრათ. ამიტომ მათ ისარგებლეს ადრიანოპოლის ხელშეკრულების იმ მუხლებით, რომელთა მიხედვითაც მეომარი მხარეების მოსახლეობას უფლება ეძლეოდა დაუბრკოლებლად გადასულიყო საცხოვრებლად ერთი ქვეყნიდან მეორეში და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ. მათი დიდი ნაწილი, 5 ათასი ოჯახი, რუსეთის ხელისუფლებამ ახლად შემოერთებულ ძირძველ ქართულ მიწაზე – სამცხე-ჯავახეთში ჩაასახლა.

სრულიად განსხვავებულად წარიმართა საუკუნის მეორე ნახევრიდან ისტორიულ სომხეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესები, რაც მათი ხვედრითი წილის ძალიან სწრაფი ზრდით ხასიათდება (მოსახლეობა აქაც ძირითადად ირანიდან და თურქეთიდან მიგრირებულთა ხარჯზე იზრდებოდა), რასაც თან ახლდა სხვა ეროვნების მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. XIX საუკუნის ბოლოს სომხებმა ერევნის გუბერნიაში უკვე უმრავლესობას მიაღწიეს, 1897 წლისათვის ისინი მოსახლეობის 53,16%-ს შეადგენდნენ, აზერბაიჯანელთა ხვედრითი წილი (ადრე თათრებად მოიხსენიებოდნენ) 37,75 %-მდე შემცირდა, სხვა ეროვნებებისა კი – 9,19 %-მდე<sup>2</sup>. ასეთი ტენდენცია მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. გასული

---

<sup>1</sup> *ლომინაძე ბ.*, საქართველო IV ს. პირველ ნახევარში, სინ. ტ. III, თბ., 1949, გვ. 334.

<sup>2</sup> Первая всеобщая перепись населения Российской Империи, 1897 г. т. 71 Эриванская губерния. Н. А. Тройницкий, С.-Петербург, 1904. с. 2-3, 52-71.



საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაწყებულ ყარაბაღის კონფლიქტს მოჰყვა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან სომხების – ხოლო სომხეთიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი არასომხური ეთნიკური ჯგუფის, აზერბაიჯანელების, გამოძევება. სომხეთში ეთნიკური ვითარების ასეთი მკვეთრი ცვლილების შემდეგ იგი თითქმის აბსოლუტურად მონოეთნიკურ სახელმწიფოდ იქცა.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველოს რიგ პროვინციაში, კერძოდ ჯავახეთსა და ყოფილი ბორჩალოს მაზრის ზოგ ადგილებში, სომხები ეროვნულ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ და XX ს-ის დასაწყისში სცადეს ქვემო ქართლისა და ახალქალაქის მაზრის (ე. ი. ჯავახეთის) გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნიასთან მიერთება. კავკასიის მაშინდელმა მეფისნაცვალმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა სამაზრო კომისიაც კი შექმნა მის გამოსარკვევად, თუ რამდენად ხელსაყრელი იყო ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და ალექსანდროპოლთან მიერთება. იმისდა მიუხედავად, რომ კომისია ეროვნული თვალსაზრისით მისი შემადგენლობა სრულიადაც არ იყო ქართველების სასარგებლოდ შედგენილი (1 რუსი, 6 სომეხი, 1 თათარი, 1 გერმანელი და 2 ქართველი). კომისიამ ერთხმად უარყო ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიასთან მოწყვეტის შესაძლებლობა. ახალქალაქის მაზრა მჭიდრო ეკონომიკურ კავშირში იყო თბილისის გუბერნიასთან, ასეთი ურთიერთობა ალექსანდროპოლის გუბერნიასთან შეუძლებელი ჩანდა, რადგან გაზაფხულობით უგზობის გამო მასთან ყოველგვარი კავშირი წყდება ხოლმე.<sup>1</sup>

XX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში თურქეთიდან ლტოლვილი სომხების ახალი მასა შემოვიდა. პირველ მსოფლიო ომში რუსეთმა თურქეთის ფრონტზე თავდაპირველად წარმატება მოიპოვა. ამით გათამამებული, თურქეთში მცხოვრები სომხები ტრადიციულად რუსებს მიემხრნენ. გერმანელი დიპლომატი ვილჰელმ შვინდლერი 1915 წლის 15 აგ-

---

<sup>1</sup> *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, თბ., 1989, გვ. 51.

ვისტოს წერდა: „სომხებმა, რომლებიც თურქებს დიდი ხანია ეჯავრებათ, ამ ომში თავი გამოავლინეს როგორც გერმანიის მტრებმა და მოლაღატებმა. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ დახმარება აღმოეჩინათ ჩვენი მონინალმდეგისათვის, ასობით გადადიოდნენ მოხალისედ რუსეთის არმიის მხარეზე. როდესაც რუსები სომხებით დასახლებულ თურქულ პროვინციებში შედიოდნენ ისინი მყისვე უერთდებოდნენ მათ, თავს ესხმოდნენ თურქებს და ხოცავდნენ მათ“.<sup>1</sup> ამის გამო გერმანელებმა, რომელთაც ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებზე რეალური ზემოქმედების ბერკეტები გააჩნდათ, სომხები თავიანთ მონინალმდეგეებად მიიჩნიეს და უარი თქვეს „გერმანია-სომხეთის“ საზოგადოების მიერ შემუშავებულ სომხებისათვის დახმარების პროგრამაზე.<sup>2</sup>

ყოველივე ამას მოჰყვა სომხების გენოციდი ოსმალეთში, გაჟლიტეს მრავალი ადამიანი და სამხრეთ კავკასიას კვლავ დიდი რაოდენობით ლტოლვილი მოაწყდა. ბევრმა სომხებმა თავშესაფარი ისევ საქართველოში ნახა.<sup>3</sup>

ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ რუსეთს არა თუ სომხებისათვის, თურქეთში მცხოვრები რუსი კოლონისტებისთვისაც აღარ ეცალა. ყარსში მცხოვრებმა „მოლოკნებმა“, თურქეთიდან რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ უკვე ათვისებულ მიწებზე ხელი ჩაიქნიეს და რუსეთში გადასახლება გადაწყვიტეს.<sup>4</sup> ასეთ პირობებში თურქების შიშით თავგზააბნეული სომხები საქართველოშიც ვეღარ გრძნობდნენ უშიშრად თავს. 1918 წლის გაზაფხულზე რუსეთიდან საქართველოში მომავალ ზურაბ ავალიშვილს ფასანა-

---

<sup>1</sup> *Степанян С.*, Армения в политике империалистической Германии (XIX-XX ВВ), Ер. 1975, с. 157.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>3</sup> სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში, უნივერსალი, 2011, გვ. 8-9.

<sup>4</sup> *ავალიშვილი ზ.*, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990, გვ. 41.

ურში შეხვდნენ თურქების შიშით თბილისიდან გაქცეული სომეხთა ოჯახები.<sup>1</sup>

იმავედროულად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოსმალეთის და ირანის ტერიტორიებიდან მასობრივი გადინება ნიადაგს აცლიდა იქ სომხურ პრეტენზიებს. ამის გამო სამხრეთ კავკასიაში ახლადშექმნილი სომხური სახელმწიფო ცდილობდა უზრუნველყო ირანსა და თურქეთში სომხების დამაგრება. ბათუმის კონფერენციის ბოლო ეტაპზე (30 მაისი – 5 ივნისი 1918 წ) სომხურმა მხარემ ოფიციალურად დააყენა ლტოლვილთა საკითხი. თურქებმა გარკვეული გარანტია მისცეს, რომ დაიცავდნენ თურქული არმიის მიერ დაკავებულ რაიონებში მცხოვრები სომხური მოსახლეობის ქონებასა და სიცოცხლეს, სამხედრო სამსახურში არ გაიწვევდნენ სომეხ მამაკაცებს, არ აიძულებდნენ ბეგარას საცხოვრებლიდან დაშორებულ ადგილებში. ამის შემდეგ სომხეთის მთავრობამ მოუწოდა თურქების გავლენის ზონაში მყოფ სომხებს ადგილებზე დარჩენილიყვნენ.<sup>2</sup>

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიცვალა მიგრაციის განმსაზღვრელი ფაქტორები. მასობრივი იმიგრაცია 20-30-იანი წლებიდან განპირობებული იყო საერთო ეკონომიკური კონიუნქტურით, ახალი სამრეწველო კერების შექმნით. ქვეყნის გარედან შემოსაყვანი კონტინგენტი ძირითადად პროფესიული ნიშნით ირჩეოდა. ამიტომაც მათ შორის სომხური ელემენტი უმნიშვნელო იყო. განსხვავებულია ვითარება საქართველოს შავი ზღვისპირეთში. იქ სომხების შემოსვლა საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა. მაგალითად, აფხაზეთში მათი რიცხვი 1926 წლიდან (30 000 ადამიანი) 1939 წლამდე (49 700 ადამიანი) მნიშვნელოვნად გაიზარდა. კომუნისტური ნეობილების პირობებში აფხაზეთში სომხების ხვედრითმა წილმა 8,5%-ით მოიმატა (მოუხედავად იმისა, რომ ეთნოდემოგრაფიული

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>2</sup> *ნოზაძე ვ.*, „საქართველოს ალდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, თბ., 1989, გვ. 76.

პროცესების თ. აჩუგბასეულ ინტერპრეტაციას არ ვიზიარებთ, სომხური მიგრაციის დინამიკა მის მიერ მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებშიც ჩანს – ლ.ჯ.).<sup>1</sup>

სომხურ-ქართული ურთიერთობა და საქართველოში სომეხთა შემოსახლება ძირითადად დამოკიდებული იყო კონკრეტულ ისტორიულ პირობებში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა ფაქტორებზე. ამიტომ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო ამ მიგრაციების ინტენსიურობა, მიმართულება და ხასიათი. ძირითად პროცესს განსაზღვრავდა საქართველოს უშუალო მეზობლობა მათ ისტორიულ სამშობლოსთან, აქ არსებული შედარებით სტაბილური ვითარება. ეროვნულ სახელმწიფოს მოკლებული სომხები საქართველოში გადმოსახლებით თავს აღწევდნენ გარეშე მტრისაგან მომდინარე საფრთხეს. თავის მხრივ, ქართველი მესვეურები ხელს უწყობდნენ ასეთ მიგრაციებს ვაჭრობა-ხელოსნობის გამოსაცოცხლებლად და გაუკაცრიელებულ მხარეებში მოსახლეობის გასამრავლებლად. XIX საუკუნიდან სომხური მიგრაციების ორგანიზება რუსეთმა ითავა. ცარიზმის ჩინოვნიკების მიერ მართული ეთნოდემოგრაფიული პროცესები აშკარად გამოხატულ ანტიქართულ ხასიათს ატარებდა და ქართული მოსახლეობის დენაციონალიზაციისაკენ იყო მიმართული. არაქართული მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფების ქართულ კუთხეებში კომპაქტური ჩასახლება სწორედ ცარიზმის მოხელეებისაგან იყო დაგეგმილი და რუსული სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობდა.

---

<sup>1</sup> **Ачугба Т.**, Этническая история абхазов XIX – XX вв. Этнополитические и миграционные аспекты. – Сухум. 2010, с. 198, 252.

### § III. თურქულენოვანი ჯგუფების დამკვიდრება და ეთნოდემოგრაფიული ვითარება ქვემო ქართლში

ქვემო ქართლი დღესდღეობით საკმაოდ მულტინაციონალური, მულტირელიგიური და მულტიკულტურული მხარეა. ბოლო მონაცემებით, ამ რეგიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქართველები შეადგენენ, რიცხოვნობით მეორე ადგილზე აზერბაიჯანელები არიან (ოდნავ ჩამორჩებიან ქართველებს), სომხები მოსახლეობის 5,7 %-ია, მცირე რაოდენობითაა ოსები, ბერძნები და ა.შ. (ოსებმა და ბერძნებმა XX საუკუნის 90-იანებში მასობრივად დატოვეს ქვემო ქართლი). გასულ საუკუნეებში რეგიონში ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია ცვალებადი იყო, თუმცა ძირითადი მოსახლეობის უმეტესობას XVI-XVII საუკუნემდე ქართველები შეადგენდნენ.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ეთნოდემოგრაფიული ვითარება თითქმის ყველა საზღვრისპირა რეგიონში შეიცვალა – ჩრდილო დასავლეთით, აფხაზეთში მომრავლდა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მოსახლეობა; შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ნელ-ნელა დასახლდნენ ოსები, ჩრდილო აღმოსავლეთით, დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე – დაღესტნელები და თურქულენოვანი მომთაბარეები; ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ძირითადად თურქულენოვანი მომთაბარეები დამკვიდრდნენ და გარკვეულ ადგილებში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფად იქცნენ. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სომხური ეთნიკური ჯგუფი ადგილობრივ ქართველებთან გაცილებით ადრინდელი პერიოდიდან თანაარსებობდა და მათი მიგრაციაცა და ქართულ კულტურულ სფეროში ინტეგრირება მთელი ისტორიის მანძილზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხდებოდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ქვემო ქართლში თურქული წარმოშობის მომთაბარე ტომების დამკვიდრება ძირითადად მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოდან დაიწყო. 1490 წელს, ბერდუჯში (ქართ. ქურდვაჭრის ხევი), მდინარე დებედას

ხეობაში, იაყუბ ყაენის ლაშქრობის შემდეგ იწყებენ შემოსვლას ელნი.<sup>1</sup> იაყუბ ყაენს აქ აუშენებია ციხე, აღაჯყალა (თეთრი ციხე). შემდეგში შაჰ აბასმა აქ ჩამოასახლა ბორჩალოს ელი. ელი//ელნი შემდგომში თითქმის ყველა თურქულენოვანი ტომის კრებით სახელად დამკვიდრდა. ბორჩალოს ელის სახელი მოგვიანებით რეგიონის სამხრეთ ნაწილს ეწოდა.

თურქულენოვანი ტომების ინფილტრაცია გაგრძელდა ჩრდილოეთის მიმართულებით და დროთა განმავლობაში ისინი დღევანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.

მომთაბარეები თაბუნებად სახლდებოდნენ. ქვემო ქართლში ისინი თავდაპირველად ჯერ მდინარეების – ქციისა და ალგეთის ხეობებში დასახლდნენ და შემდგომში, ლორეს სახანოს მსგავსად, ქვემო ქართლშიც შექმნეს ბორჩალოს, ბამბაკის, ბაიდარის, შურაგელის სახანოები<sup>2</sup>

პირველ ხანებში ყიზილბაშები მხოლოდ ირანის შაჰს ექვემდებარებოდნენ და ქართლის სამეფოს აღწერებში არ შედიოდნენ. მოგვიანებით, „ყიზილბაშობის“ გადაშენების კვალობაზე, თანდათანობით ქართულ ფეოდალურ სისტემაში შევიდნენ.<sup>3</sup> XVIII ს-ის დასაწყისში ელებმა უკვე სომხეთის ტერიტორიაზე შულავერამდეც მიაღწიეს. ხოლო ნასიბუს ტომმა დბანისის ხეობაში დაიდო ბინა. მათივე სამომთაბარო ზონად იქცა ქციახრამის ხეობები, მდინარე მტკვრის გაღმა მხარეზე ლილოებისა და ყარაიის მდიდარი საძოვრები.<sup>4</sup>

XVIII საუკუნისთვის ბერდუჯის აღმოსავლეთი ელებს ეპყრათ, დასავლეთი კი ქართლის მეფის გამგებლობაში შედი-

---

<sup>1</sup> **ბაგრატიონი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 307.

<sup>2</sup> **ლორთქიფანიძე ი.**, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935, გვ. 55.

<sup>3</sup> **ჯუკაშვილი ი.**, ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019, გვ. 64.

<sup>4</sup> **ლორთქიფანიძე ი.**, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935, გვ. 102.

ოდა. ტოპონიმი ბერდუჯი, სავარაუდოდ დაბა ბერდიკისგან წარმოიშვა. სომხურად „ბერდიკ“ პატარა ციხეს ნიშნავს<sup>1</sup>. ტოპონიმის ტრანსფორმაცია (ქურდვაჭრის ხევი-ბერდუჯი-აღჯაყალა) მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია ცვალებადი იყო. ბერდუჯის შემდგომ ვახუშტი ახპატსა და სანაინს აღწერს, სადაც ეპისკოპოსს სომხურ ეკლესიასთან შეთანხმებით ქართლის მეფე ნიშნავდა. აქვეა ლორეს ციხე, რომელსაც სპარსები ფლობდნენ, აგრეთვე ქობერის (ქობაერის) ეკლესია, რომელიც „უპყრავთ სომეხთა“.

ახპატის აღწერილობა მიგვითითებს ამ მხარის პოლიტიკური მმართველების, გავლენის სფეროს, რელიგიური და ეთნიკური სიტუაციის არაერთგვაროვნებაზე. ბამბაკის აღწერის დროს გეოგრაფი ხაზს უსვამს, რომ ამ ტერიტორიების სამხრეთით არის „სომხით-ერევანი“. ქართული პოლიტიკური ერთეულის, ხუნანის საერისთავოს ერთი ნაწილი შაჰ აბასმა ქართლის სამეფოს ჩამოაშორა, რათა იგი ირანის მხრიდან აგრესიისა და მომთაბარე თურქული ტომების დამკვიდრებაში დასაყრდენ პუნქტად ექცია. ვახუშტი წერს: „შემდგომად აქუნდა თვისი ერისთავი (რომელსა იტყვიან აწინდელსა ხანსა, რამეთუ, ოდეს მიიღო შააბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ: გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა“.<sup>2</sup> ხოჟორნსა და წოფის ქვემოთ, ვახუშტის პერიოდისთვის ცხოვრობენ ელნი, რომელნიც უკვე აღარ იყვნენ მომთაბარეები, ცხოვრების დამჯდარ წესს მისდევდნენ.<sup>3</sup> აქედან მოყოლებული, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, გარდაბნამდე ყულარისა და ბორჩალუს ელების ხალხი ასეთივე ცხოვრების წესით ცხოვრობენ.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> *ბაგრატიონი ვახუშტი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 306.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 309.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 310.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 310.

ვახუშტის მიერ დბანისის ხევის აღწერაში თითქმის არ გვხვდება არაქართული ტოპონიმიკა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ რეგიონში მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ქართული მოსახლეობა ჯერ კიდევ უმრავლესობაში იყო.

მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო ზურტაკეთში, თუმცა დაბა შავ-წყაროს, უკვე თურქული სახელი, ყარაბულახი რქმევია. ძირითადად ქართული მოსახლეობა ჩანს თრალეთშიც. ასევე ქართული მოსახლეობა ქარბობდა ქციისა და ალგეთის ხეობებში. ნახიდურთან და მის აღმოსავლეთით უკვე ელნი ცხოვრობდნენ, თუმცა ისინი ქართლის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ. ალგეთისა და მტკვრის შესართავშიც თურქული მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. სკვირეთის ხევი ქართული იყო, რასაც ვერ ვიტყვით ყარაიას ველზე, სადაც დემურჩიასალნუს ელის მომთაბარე ხალხი ბინადრობდა. ისინი ზაფხულობით აბოცისა და პალაკაციოს მთებში ადიოდნენ, ზამთარში კი ყარაიას ველზე რჩებოდნენ. მოგვიანებით, ეს ელი ნადირშაჰმა ხორასანში გადაასახლა. ვახუშტის ცნობით, აქ მოსახლე „თათრებს“ თარაქამებს უწოდებდნენ, ისინი სანაქებო მეომრებად (კაციცა და ქალიც) ითვლებოდნენ.<sup>1</sup>

ვახუშტის აღწერილობებში ჩანს, რომ თურქულენოვანი ტოპონიმები არც თუ ისე დიდი ხნის წინ არის დამკვიდრებული. ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ მასხოვრობაშია შემონახული ამ ადგილების დიდი ნაწილის ადრინდელი ქართული სახელები (ყაიყული – აბოცი, ყარალაჯის ქალა – საჯოგის ქალა, სოდანლული – ყურყუთა, ყიზი ყალა – ხუნანი, ბაიდარი – წყალთაშუა, ყარაბულახი – შავი წყარო, აღსტაფა – ქურდვაჭრის ხევი და ა.შ.).

მუსლიმთა (დიდი ალბათობით, მომთაბარე თურქულენოვანი ტომის) საქართველოში მასობრივად დასახლების დოკუმენტურად დადასტურებული ცნობა 1440 წელს მიეკუთვნება.

---

<sup>1</sup> **ბავრატიონი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 333.



ეგვიპტის სულთანი ჯაკმაკი, საქართველოს მეფეს, ალექსანდრე პირველს წერილობით მადლობას უხდის მუსლიმთათვის საცხოვრებელი ადგილის დათმობისათვის. ამ ცნობით ჩრდილოეთ ირანიდან და ერაყიდან წამოსული 4000-ზე მეტი ოჯახი ალექსანდრეს საქართველოში დაუსახლებია. თუ რა ადგილი მიუჩინა მეფემ მათ უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლის ზონა, რადგანაც სამეურნეო თვალსაზრისით მომთაბარეთა ექსტენსიური მესაქონლეობისთვის ეს ადგილები ყველაზე შესაფერისი იქნებოდა. 4000 ოჯახი, ალბათ 20-25 ათას სულს აერთიანებდა და ეს რიცხვი, იმდროინდელი დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ დიდია. ამ ცნობის მიხედვით, მუსლიმური მოსახლეობა მშვიდობიანი გზით დასახლდა საქართველოში, რაც შემდგომ პერიოდშიც არაერთხელ განმეორდა.

მტრის შემოსევებით გაუდაბურებულ სოფლებსა და მიწებზე მეფეები და ადგილობრივი ფეოდალები ხშირად ასახლებდნენ თურქულენოვან მომთაბარეებს. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია ერეკლე მეორის პერიოდში. ერეკლეს თურქულენოვანი ტომების ქართლში დასახლებლად ხანდახან მეზობელ მმართველებთან დაპირისპირებაც უხდებოდა. თურქი მოხელე, სულიმან ფაშა, მიმონერაში აღნიშნავს, რომ ერეკლე რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანობას ხელს უშლის, რადგან, ერეკლემ ალი ოსმალის მიწიდან აყარა ასი რაიათი და თბილისისკენ გადაასხლა.<sup>1</sup> ასი რაიათი ალბათ 1000-1500 სულს აერთიანებდა და, სავარაუდოდ, ისინიც ქვემო ქართლის ველებზე უნდა დასახლებულიყვნენ.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარდა მენინავე სადროშოს აღწერა და მასში დაცულია დემოგრაფიული ცნობები ალგეთის, დბანისის, თრიალეთის, მტკვრის გაღმა, სკვირეთის, სომხითის, ტაშირის, ქციის, ყარაბულალისა და ენ.

---

<sup>1</sup> *ლორთქიფანიძე ი.*, მასალები საქართველოს ისტორიისთვის (მეთვრამეტე საუკუნე), 1940, ტ. II, გვ. 61.

„გამოურკვეველი მხარეების“ (ვერ დგინდება რომელ მიკრორეგიონს ემთხვევა) მოსახლეობის შესახებ.

აღწერის მიხედვით, მეწინავე სადროშოში ზემოთ დასახელებულ მხარეებში სოფლების რიცხვია:

აღგეთში – 85 (ბინადარი);

დბანისში – 108 ( ბინადარი), 2 (აყრილი), 4 (ნაოხარი);

მტკვრის გაღმა – 6 (ბინადარი);

სკვირეთი – 12 (ბინადარი);

სომხითი – 104 ( ბინადარი);

ტაშირი – 49 ( ბინადარი), 2 (აყრილი) 12 (ნაოხარი);

ქცია – 65 (ბინადარი), 1 (აყრილი);

ყარაბულალაი – 40 (ბინადარი) 1 (ნაოხარი)

გამოურკვეველ მხარეებში – 19 (ბინადარი), 3 (აყრილი), 1 (ნაოხარი).

მთლიანობაში მეწინავე სადროშოში აღწერილია 572 სოფელი. აქედან 8 აყრილი სოფელია, 18 – კი ნაოხარი. აყრილად ითვლებოდა სოფლები, რომლებიც მებატონემ საკუთარი გლეხებისგან თვითონ დაცალა. ნაოხარი სოფლები, მტერთა შემოსევის შედეგად განადგურებული სოფლებია. ნიშანდობლივია, რომ ნაოხარი და აყრილი სოფლები ძირითადად ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში გვხვდება, სადაც მტრის შემოსევები გაცილებით ინტენსიური იყო (ტაშირში 12 ნაოხარი, 2 აყრილი; დბანისში 4 ნაოხარი, 2 აყრილი; გამოურკ. მხარეებში 1 ნაოხარი, 3 აყრილი; ყარაბულალაში 1 ნაოხარი; ქციაში 1 აყრილი).

ქვემო ქართლში 682 სოფელია აღწერილი. აღწერა ვერ მოხერხდა ბანბაკ-ბერდუჯში, ყაიყულში, ლორეში და ელის ტერიტორიაზე. ბანბაკ-ბერდუჯი იმ დროს ბორჩალოს სახანოში შედიოდა, ლორესაც ხანი მართავდა. უცნობია, თუ რატომ არ აღიწერა ყაიყული. სავარაუდოდ, ყაიყული, ისევე როგორც ელის ტერიტორიები, ძნელად კონტროლდებოდა და სამეფო ხელისუფლებას მაინცდა- მაინც ძლიერი პოზიციები არ ჰქონდა ამ მხარეებში. საგულისხმოა, რომ აღწერის ნუსხებში შეტა-

ნილი არ არის იმ ხელმოკლე კომლთა რაოდენობა, რომელთაც არ შეეძლოთ გადასახადების გადახდა.<sup>1</sup>

მეწინავე სადროშოს აღწერამ ქვემო ქართლის სოფლების სახელებიც შემოგვინახა. ტოპონიმების წარმომავლობიდან, ჩვენ შეგვიძლია ქვემო ქართლის სავარაუდო ეთნოდემოგრაფიული სურათი აღვადგინოთ. დიდი ალბათობით, სომხური და თურქული ეტიმოლოგიის მქონე სოფლების მოსახლეობა ძირითადად სომხური და თურქულენოვანი იქნებოდა. ალგეთში სავარაუდოდ სომხური წარმოშობისაა ანუფი, საღირაშენი, წარახპური; თურქული – ბაშინჯახი; თრიალეთში სავარაუდოდ სომხურია უზნარიანი; სკვირეთში არაქართული წარმოშობის სოფლის დასახელება არ გვხვდება; დბანისში: თურქულია – აბულმუგი, გოგარჩლუ, გორუნჯუკი, გულბაბა, თოფრაცალა, იაღლუზი, ოლა მასხუდლუ, ყადრიყული, ყაჯილუხი, ყიშლარი, ფარანჯუკი; სომხური – ლორაშენი, მანაკერტი, სიქიშხანი, ქარატაკი, წაკეგელაცი; სომხითში: სომხურია – არქევანი, აცუტი, ადეკი, ბოვადორი, დედცნუტი, ვანქი, თუმანაშენი, კარსავორი, კარმიქარი, კირაკოზას სოფელი, ლურჯი ვანქი, შუშელი, წავქარი, ხანძორისი, ხინძორკუტი, ხოვარას სოფელი/ხოვარადორი, ჯურვორი; თურქულია – გილაგდაგი, დრაბაზთალა, შამირზას სოფელი, მახალარაჯი, ურანგა, ყარა სოფელი; ტაშირის 51 სოფლიდან 13-ია ქართული ეტიმოლოგიის მქონე (ბოცხორი, გატეხილი საყდარი, ველათა, ლაჟვარდლი, საყდარი, ნითელი ეკლესია, ჭალის სოფელი, ჭალის სოფელი მეორე, ჭუკა, ხუცის სოფელი, წარუკა, წყალგაღმეჩი, მდივანბეგის სოფელი); ქციის ხეობაში: თურქულია – ალბაბლუ, ირაგა; სომხურია – მირტაშენი, ჯიგრაშენი; ყარაბულახში: თურქულია – ბაღჩაღარი, ზეულისტანი, თოფრაცალა, მუსიყალა, მუსიყალა პატარა, უსეინას სოფელი, ყარაბულაღი ზემო, ყარაბულაღი ქვემო, ყარაბულაღი სასახლის; სომხურია – ვართევანას სოფელი,

---

<sup>1</sup> *ლორთქიფანიძე ი.*, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935, გვ. 16.

კურნიკამი, ორომაშენი, რევაშენი; გამოურკვეველ მხარებში: თურქულია – ბაზითალა, ბახჩლარი, ტალდანი, მამუკას თათრები, ქაიხოსროს თათრები, თოფრაყალა; სომხურია – ხინძორთალა, ქოსახპერი.

საინტერესო დოკუმენტია 1701-1710 წლების „საყაფლანიშვილოს აღწერა.“ ამ დოკუმენტში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1701 წლის ანუ პირველი აღწერის დროს ყაფლანიშვილების ყმები მოხსენიებულნი არიან სახელებით, ხოლო 10 წლის შემდგომ აღწერაში ყმები უკვე ამ სახელებიდან ნაწარმოები გვარებითა და საკუთარი სახელებით არიან დაფიქსირებული:

1701 წ. სოფ. აღზიბეუქი – ასლანა, თამაზა; 1710 წ. ასლანიშვილი, თამაზაშვილი

1701 წ. სოფ. გატეხილი საყდარი – მამასახლისი აკოფა; 1710 წ. აკოფაშვილი მამასახლისი მადანა

1701 წ. სოფ. გელას სოფელი – მუსესა; 1710 წ. მუსესაშვილი არუთინა

1701 წ. სოფ. იაღლუ (იაღლუზი) – ურქმაზა; 1710 წ. ურქმაზაშვილი არაქელა

1701 წ. სოფ. გელდიგილანი – სარუხანა; 1710 წ. სარუხანაშვილი ამირხანა

1701 წ. სოფ. ყათმაზიანთ მიჯა – ვერმიშა; 1710 წ. ვერმიშაშვილი თარაყულა

1701 წ. სოფ. მუსაფარიანი – ელიკა; 1710 წ. ელიკაშვილი გელია

1701 წ. სოფ. ფიტარეთი – დეკანოზი იოვანე; 1710 წ. იოვანეშვილი დეკანოზი ლაზარე

1701 წ. სოფ. ფიტარეთი – ბესიტა; 1710 წ. ბესიტაშვილი ბერიძე

1701 წ. სოფ. ყოშა ქილისა – კონსდანტა; 1710 წ. კონსტანტიშვილი იეგანა

1701 წ. სოფ. ყოშა ქილისა – ნოდარა; 1710 წ. ნოდარაშვილი ტიროსა

1701 წ. სოფ. ყაჯილუხი ქვემო – კაკა; 1710 წ. კაკაშვილი ხეჩეტურა

1701 წ. სოფ. შინდლარი – მამასახლისი შალვა; 1710 წ. შალვაშვილი ნასყიდა

1701 წ. სოფ. შინდლარი – სალუყა, ევანეზა; 1710 წ. სალუყაშვილი ბეჟუა, ევანეზაშვილი მირზა

1701 წ. სოფ. ჩარდახლუ – აოაქა; 1710 წ. აოაქაშვილი ბეჟუა

1701 წ. სოფ. ჩინჩხური – შათირი; 1710 წ. შათირიშვილი რამაზა

პირველ შემთხვევაში ყმების მოხსენიება სახელებით, ათი წლის შემდეგ კი ამ სახელებისგან ნაწარმოები გვარებით, სავარაუდოდ იმის მიმანიშნებლად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ესენი ახალმოსული ყმები არიან და მათთვის გვარების მინიჭება ხდება ახალმოსული კომლის თავკაცის სახელის მიხედვით. აქვე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საყაფლანიშვილოში, ყველა სხვა მებატონის მამულებისგან განსხვავებით გაცილებით ბევრია აყრილი გლეხების კომლთა რაოდენობა. სავარაუდოდ ეს ფაქტი უნდა მიგვითითებდეს, რომ ყაფლანიშვილების კუთვნილ სოფლებში უფრო მეტად იყო მოსახლეობის მოძრაობის (ამ შემთხვევაში მებატონის მიერ ადგილმონაცვლეობის, ერთი სოფლიდან მეორეში გადასახლების გამო) ტენდენცია და აქედან გამომდინარე გარკვეულ სოფლებში არაქართული მოსახლეობის გაჩენაც.

აყრილ გლეხთა რაოდენობა, მეწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, ყმათა 13%-ია. ყაფლანიშვილებთან კი 2083 ყმა გლეხს შორის 732 ანუ 35% აყრილი გლეხია. საინტერესოა საყაფლანიშვილოს სოფლების ტოპონიმაცა, ჩემი აზრით თურქულენოვანი ეტიმოლოგია აქვს შემდეგ სოფლებს: ქვემო დელიყულიჯანი, ზემო დელიყულიჯანი, ხანდაზას სოფელი, აზატ-ქალაქი, ზემოჯანბაღჩა, მოლაყასუმი, სულეიმანას სოფელი, ყოშაქილისა, აღზიბეუქი, შიშტეფა, ჩარდახლუ, ჩახმახლუ, ფარჩახლუ, აზბულახი, ყარაქილისა, პატარა ჯანბაღჩა, პატარა

ყარაქილისა, მეორე ყამიშის სოფელი. სომხური ეტიმოლოგია-საა: აკოფას სოფელი, სირჩაპატი, ვალავერი, ვანძაგარი, მანაკერტი, მირტაშენი. ქართული წარმოშობისაა: ჭუკა, წითელი ეკლესია, ჭალის სოფელი, შავი საყდარი, მწყნეთი, მდივანბეგის სოფელი, გატეხილი საყდარი, მეორე ჭალის სოფელი, ხუცის სოფელი, ხული, წყლამი, ჩინჩხური, ბოცოეთი, ავაზანი, ბურვილი, ტამლია (ტაბლა), კიპრუჭი, შულავერი, დრიანეთი, თაგუთი, შინდლარი, საკარისები. მემამულეთა ანუ მფლობელების და აზნაურების წოდების მქონეთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა. თუმცა მათ შორის, სავარაუდოდ ძალიან მცირეა სომხური წარმოშობის გვარები (სავარაუდოდ სომხური გვარები და სახელები შეიძლება იყოს: გიქუა ხოჯაშვილი, თათოზაშვილი ლაჩინა, აკოფაშვილი, ჯანლუზაშვილი ტერაკოფა, მამასახლისი სარქისა, ხეჩეკაშვილი თამაზა).

უნდა ითქვას, რომ ხანდახან სოფლის სახელის ეტიმოლოგია სოფელში მაცხოვრებელთა ეთნიკურ წარმომავლობას არ ემთხვევა. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ თუ სოფელს თურქული ეტიმოლოგია აქვს, იქ მოსახლეობაც თურქულენოვანია, რასაც ადასტურებს იქ მცხოვრებთა გვარები. მაგალითად: სოფ. ალბუზუქი – ასლანიშვილები და თამაზაშვილები; სოფ. იაღლუ – ურქმაზაშვილი არაქელა; სოფ. გელდიგილანი – სარუხანაშვილი ამირხანა; ყოშაქილისა – კონსტანტაშვილი იეგანა, ნოდარაშვილი ტიროსა; ყაჯილუხი – კაკიაშვილი ხეჩეტურა, ჩარდახლუ – აოქაშვილი ბეჟუა. არის ქართული ეტიმოლოგიის მქონე სოფელთა სახელები, რომლებშიც ასევე სავარაუდოდ სომხური გვარ-სახელების მქონე მოსახლეობა ფიქსირდება. ყაფლანიშვილთა ზემოთჩამოთვლილ ყმათა შორის სომხური წარმოშობის სახელებია: აკოფა, არაქელა, ტიროსა, ხაჩეტურა, მუსესა, არუთინა და ა.შ.

მენინავე სადროშოს აღწერაზე დაყრდნობით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქვემო ქართლში 911 სოფელია (869

არსებული, 8 აყრილი და 34 ნასოფლარია).<sup>1</sup> ამ სოფლებში 13269 კომლია, რომელთაგანაც უმეტესობა „გამომღები“ გლეხია, მათ ოდენობით მოსდევს „ბოგანო“, შემდეგ „აყრილი“ გლეხი, მათ შემდეგ მეზატონების, მემამულეებისა და აზნაურების რიცხვი. გამომღები ანუ გადასახადის გადამხდელ და ხშირ შემთხვევაში სამხედროვალდებულ გლეხთა კომლების რაოდენობა 8994-ია; ბოგანოების ანუ უმინანყო, სამხედროვალდებული და მცირე გადასახადის მქონე გლეხთა – 2143, ხოლო აყრილი ანუ მეზატონის მიერ ადგილნაცვალი ყმის – 1059. ქვემო ქართლში 253 მეზატონის კომლია, აზნაურის – 200, ხოლო მემამულის 1989.<sup>2</sup> ფეოდალების აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია; უმნიშვნელოა სავარაუდოდ არაქართული წარმომავლობის (შანშიაშვილი-მარტიროზიშვილი, ურუხმაქაშვილი დოლმაზა, ტერტერაშვილი) მქონე პირთა რიცხვი.<sup>3</sup>

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი თურქულენოვანი მოსახლეობა. მთლიანობაში ისინი ათ ელში არიან გაერთიანებულნი. ეს ელები, თავის მხრივ, თავზუნებად იყოფა. ყველაზე მრავალრიცხოვანი ე.წ. მდივანბეგის აღწერილი ელია. მასში 1978 კომლია. აქედან 252 თარხანია (გადასახადებიდან თავისუფალი), 285 ფუხარა (ღარიბი) და 1441 გამომღები. შემდეგ მოდის 776 კომლი თარხნის ელი. აქედან 101 თარხანი, 115 ფუხარა, 560 გამომღებია. ერთი რიგის ელში 37 კომლია, დაბნეულ ელში – 232, ლანჩბრების ელში (რუებზე ანუ სარწყავ სისტემებზე მომუშავეები) – 82. აღმათისა და სადედოფლო ელების მოსახლეობის შესახებ ცნობები არ არის. კახური ელი, პალაკაციური ელი და სხვა ქვეყნის ელი აღწერილი არ არის. მთლიანობაში ელებში აღწერილია 76 თავზუნი (3325 კომ-

---

<sup>1</sup> *ლორთქიფანიძე ი.*, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935. ჩვ. 153.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 241.

ლი. აქედან 422 თარხანი, 482 ფუხარა, 2421 გამომღები). ზოგიერთ ელში თაბუნების გამგებლებად ქართველი ფეოდალებიც სახელდებიან: ოთარ მდივანბეგი, ბეჟან შანშიაშვილი, მდივანბეგი და ა.შ.. საყურადღებოა, რომ საკმაოდ დიდია გადასახადიდან თავისუფალთა, თარხანთა რაოდენობა.<sup>1</sup>

ქვემო ქართლში მცხოვრები 13269 კომლიდან 3325 ელებად მოსახლე თურქულენოვანი მოდგმის ხალხია. მათი ნაწილი თაბუნებში არ ცხოვრობდა და ჩვეულებრივ სოფლის მოსახლეობას წარმოადგენდა. ამდენად, XVIII საუკუნის პირველი ნახევრისთვის თურქული მოსახლეობის წილი ქვემო ქართლში საკმაოდ დიდია.

ქართული მოსახლეობისგან ქვემო ქართლის დაცლის პროცესი შემდგომში უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. ვახტანგ მეექვსის რუსეთში გადასახლების მერე ეს მხარე ძალიან დაზარალდა. დოკუმენტურად არის დადასტურებული ერეკლეს II-ის მეფობის დროს ქვემო ქართლის ქართული მოსახლეობის აკლების, დახოცვისა და დატყვევების ფაქტები: 1785 წელს 23 მარტს ახალციხიდან გადმოსულმა ჯარმა ააოხრა სოფელი დურნუკი (მარნეულთან), დახოცა 20 კაცი, დაატყვევა 200, გაირეკა ორი სოფლის საქონელი. იგივე გამეორდა 16 აპრილსაც – აიკლეს სამი სოფელი, დაატყვევეს 600 კაცი.<sup>2</sup> ცხადია, ამგვარი ინტენსიური შემოსევები ამცირებდა მოსახლეობას, ანადგურებდა ეკონომიკას. დატყვევებულთა უმრავლესობა მუსლიმურ ქვეყნებში იყიდებოდა, გადარჩენილები იძულებულნი იყვნენ აკლებული სოფლებიდან გადახვეწილიყვნენ. ქართული მოსახლეობის კატასტროფული შემცირების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ 1721 წლის მონაცემებით, თრიალეთის მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო,

---

<sup>1</sup> *ლორთქიფანიძე ი.*, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935, 134.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 60.



ასი წლის შემდეგ ქართველები, ამ მხარის მხოლოდ ერთი სოფელში, რეხაში ცხოვრობენ.<sup>1</sup>

1770 წლის აღწერის მასალებში თრიალეთი, სომხითი, საბარათიანო, გუჯარეთი, ყაიყული, ტაშირი მოხსენიებულია როგორც ნაოხარი ადგილები. ეს დოკუმენტი შეიქმნა ერეკლე მეორის დავალებით და გადაეცათ რუს დიპლომატებს, რათა მათ ჰქონოდათ წარმოდგენა საქართველოს მოსახლეობის შესახებ. ამ აღწერის მონაცემებით, ქართული მოსახლეობა მხოლოდ სომხითში და საბარათიანოშია, თუმცა აღნიშნულია, რომ მათი რიცხვი აღრინდელთან შედარებით უმნიშვნელოა, 100 ოჯახიდან ერთილა თუ არის გადარჩენილი. ეს გადარჩენილი ოჯახებიც ერთმანეთთან არიან შეხიზნულები. გერმანელი მოგზაურის, გიულდენშტეტის ცნობით, ქციის ქვემო წელზე თემურშეჰასანლუდ (თემურჩი ასანლუ) წოდებული 500 თათრული ოჯახი ცხოვრობს. მისივე ცნობებით, ეს რეგიონი ძირითადად ნაოხარია. ყარაიას მხარეში 10 ათასი თათარი ცხოვრობდა, რომელიც ნადირ შაჰს სპარსეთში გადაუსახლებია. დასახლებული რიცხვი შეუსაბამოდ დიდი გვეჩვენება, თუმცა, ეს ცნობა ქვემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში და მის მიმდებარედ საკმაო რაოდენობის თურქულენოვანი ხალხის ცხოვრების დასტურია. გიულდენშტედტი გვამცნობს, რომ მაშავერასა და მისი მარჯვენა შენაკადების ხეობის სოფლები სომხებითა და ქართველებით ყოფილა დასახლებული. ამავე ცნობებით, შულავერში 100 კომლი ცხოვრობდა.<sup>2</sup>

ერეკლე II-ს დროინდელი აღწერის მიხედვით, ქვემო ქართლში სომხური და თურქულენოვანი მოსახლეობის მასობრივად ცხოვრების ფაქტებია დადასტურებული. ბორჩალოსა და

---

<sup>1</sup> *ჯაოშვილი გ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 26.

<sup>2</sup> *გიულდენშტედტი*, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. თბ., 1962, გვ. 241-246.

ფამბაკის ხეობაში 2560 კომლი სახლობდა (აქედან საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე – 1500). აღნიშნულია, რომ მოსახლეობა ძირითადად სომხური იყო, რაც, ცოტა არ იყოს არასანდოა, რადგანაც ამ მხარეებში დიდი ალბათობით თურქულენოვანი ხალხიც ცხოვრობდა. მათი მოუხსენიებლობა, შესაძლოა მივანეროთ იმას, რომ ნადირ შაჰის მიერ ელების აყრისა და სპარსეთში გადასახლების შემდეგ ამ მხარეში თურქულენოვანი მოსახლეობა შეთხელებული იყო. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე სავარაუდოა დემურჩი ასანლუს 1000 კომლის სახლობა; ასევე 200 თათრის კომლის არსებობა ბაიდარში. საინტერესოა, რომ დემურჩი ასანლუს თათრები ხიზნებად მოიხსენიებიან.<sup>1</sup> შესაძლოა, ამ ელის ხალხი სამხრეთიდან, ყარაიას ველებიდან, სადაც ისინი მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში სახლობდნენ და მომთაბარეობდნენ, ჩრდილოეთით, ქვემო ქართლის შუაგულისკენ გადმოსახლდნენ როგორც ხიზნები და ჯერ არ ჰქონდათ დამკვიდრებული საცხოვრებელი ადგილი. ამავე აღწერაში აღნიშნულია, რომ ქართლის ბარში, ხიზნების გამოკლებით, 4500 ქართული და სომხური კომლი ცხოვრობდა. აქ საუბარია შიდა ქართლზე (მთის ზონის გამოკლებით), რადგან ამ აღწერაში ქვემო ქართლის ტერიტორია სხვა პროვინციების სახელითაა (ბორჩალო, ბამბაკი, ყაზახი, შამ-შამადილო, ბაიდარი) მოხსენიებული.<sup>2</sup> შესაძლოა, ხიზნები სწორედ ქვემო ქართლიდან მიგრირებული მოსახლეობის ნაწილია.

საინტერესოა, დღევანდელი ქვემო ქართლის მოსახლეობის ისტორიულ მესხიერებაში შემონახული ცნობები ამ მხარის ეთნიკური შემადგენლობის, მისი დასახლებისა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელებთან შედარებით სომხების გადმოცემები სოფლის ისტორიის, წარსულში ეთნოდემოგრა-

---

<sup>1</sup> *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., ნ.?, გვ. 26-33.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32.

ფიული და პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობის შესახებ უფრო ვრცელი და მრავალფეროვანია.

აზერბაიჯანელთა უმრავლესობა გვიყვება, რომ მათმა წინაპრებმა დევნილი სომხები შეიფარეს და თურქებს დასახოცად არ მისცეს. მათი ცნობებით, ეს მოხდა მაშინ, როდესაც თურქები მარნეულის ტერიტორიამდე მოვიდნენ. თითო-ორო-ლა კაცმა ეს ამბავი მეოცე საუკუნის 10-იანი წლებით დაათარილა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გადმოცემები პირველი მსოფლიო ომსა და სომეხთა გენოციდს უკავშირდება. იგივე შინაარსის მონათხრობი აქვთ სომხებსაც. მათი თქმითაც, სომხები თურქთაგან აზერბაიჯანელებმა გადაარჩინეს და თავიანთთან შეიფარეს. შესაძლოა ეს მესხიერებაში ერთგვარად უკონტექსტოდ ჩამჯდარი ნარატივი, ოდნავ დამახინჯებულად ასახავდეს სომეხთა გენოციდის დროს, ამ უკანასკნელთა შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე და აზერბაიჯანელების მიერ მათთვის ხელის გამართვის, შეფარების ფაქტს. აზერბაიჯანელთა გადმოცემით, ბერძნებიც თურქთა ჯარს შემოჰყოლიან და შემდეგ აქ საცხოვრებლად დარჩენილან.

ველზე მუშაობის დროს გამოკითხული რესპონდენტები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ამ მიწებზე „პრეტენზიებს“, ყველა აცხადებს (ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი). სომეხებსა და აზერბაიჯანელებს აქვთ თავიანთი ვერსიები ამა თუ იმ სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის, დაარსების, ისტორიის, მათი პირველმოსახლეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ. სოფელ ჩანახჩის მიდამოებში ტოპონიმის უმეტესად აზერბაიჯანულია, თუმცა ამჟამად სოფლის მოსახლეობა სომხურია და ისინი ამ სოფლის სახელს სომხურ ძირებს უძებნიან (ჩანახჩი – ჯან-ახჩიკ, რაც სომხურად კარგ, ლამაზ გოგოს ნიშნავს). ამ ვერსიას, რა თქმა უნდა, უარყოფენ აზერბაიჯანელები. ასეთივე სიტუაციაა ხოჯორნში, სადაც სომხები და აზერბაიჯანელები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. აზერბაიჯანელები ამბობენ, რომ ამ სოფლის პირველმოსახლე იყო ხოჯა ალი და სოფლის ნამდვილი სახელი ხოჯალია. სომხების თქმით, სოფლის თავდა-

პირველი სახელია ხომორაძორი, რაც სომხურად ნიშნავს ფართო ხევს. სომხური მოსახლეობის ინფორმაციით, ეს სოფელი სომხების მიერ 901 წელს დაარსდა. მათ ეს თარიღი სოფლის ცენტრში, აზერბაიჯანული და სომხური უბნების გასაყარზე არსებული წითელი აგურით ნაგები შენობის კედელზე, თეთრი აგურის „მოზაიკით“ გაკეთებული წარწერით აქვთ დაფიქსირებული – სომხურად წერია: ხოჟორნი 901-1990. ისინი ამბობენ, რომ ეს თარიღი წიგნშია მოხსენიებული, თუმცა კონკრეტულად წიგნს ვერ ასახელებენ. აზერბაიჯანელები, სომხების ვერსიით, ამ სოფელში მწყემსებად მოდიოდნენ და შემდეგ იქვე სახლდებოდნენ. მათივე თქმით, უმეტესობა ის აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც სოფელ გულიბალის მოსახლეობას არ მიუღია და ისინიც ხოჟორნში მწყემსებად წამოსულან. ხოჟორნელი სომხების ცნობით, აზერბაიჯანელები ადრე სადახლოშიც კი არ ცხოვრობდნენ. იყო დრო, როცა ისინი ხოჟორნის მოსახლეობის 20%-ს შეადგენდნენ, ამჟამად კი აზერბაიჯანელებისა და სომხების რაოდენობა სოფელში თანაბარია.

თანასოფლელ მუსლიმებს სომხები თურქეთიდან მოსულებად თვლიან. აზერბაიჯანელების გადმოცემით, პირველად ხოჟორნში 150-170 წლის წინ წოფის სიახლოვეს მცხოვრები აზერბაიჯანელი დასახლდა. მონათხრობის კონტექსტიდან არ ჩანს, დახვდნენ თუ არა აზერბაიჯანელებს ხოჟორნში სომეხი მოსახლეები. აზერბაიჯანელების გადმოცემით, უძველეს დროს, 500 წლის წინ აქ ბერძნებს უცხოვრიათ, შემდეგ სინესტის გამო რალაც დაავადება შეყრიათ და გამქრალან, აქედან აყრილან.

საინტერესოა აზერბაიჯანელების გადმოცემები ქვემო ქართლის „პირველმოსახლეებზე“, (კავკასიის) ალბანელებზე. სოფელ ხოჟორნში, აზერბაიჯანელმა მთხრობელმა ალბანური სამლოცველოების (ორი ეკლესიის) არსებობა დაადასტურა. ეს მთხრობელი დიდი ხანი ცხოვრობდა ბაქოში და, ჩემი ვარაუდით, შეხედულება ქვემო ქართლში ალბანელების ავტოქთონობის შესახებ, იქიდან ჩამოიტანა. ამ მთხრობელს თავისი არგუ-

მენტები აქვს, თუ რატომ არის ეს ეკლესიები ალბანური და არა ქართული. მისივე თქმით, სომხები დიდი არმენიის შექმნის იდეით არიან შეპყრობილები და ამიტომაც ხდება ყველა კონფლიქტი და იქმნება უთანხმოებები. ცხადია, ეს პიროვნება სხვაგან მიღებული პოლიტიკური იდეოლოგიითაა გამსჭვალული. ყოვლად გამორიცხულია, რომ დიდი არმენიის და ალბანეთის შესახებ ცოდნა მათ ისტორიულ მეხსიერებაში იყოს შემონახული. ამავე ინფორმატორს არანაირი სწორი და ისტორიული სინამდვილის შესაფერისი ინფორმაცია არ გააჩნია. მისთვის უცნობია ის ფაქტები, რომ ქვემო ქართლში თურქულენოვანი ტომების შემოსვლა და მათი დამაგრება, აქედან ძალადობრივი გზით აყრილი ქართველების ადგილზე XV საუკუნის მიწურულს იწყება.

სომეხი ეროვნების მთხრობელების გადმოცემით, განსხვავებაა აზერბაიჯანელებში – შიიტი მუსლიმები უფრო აგრესიულები არიან. ასევე გამოირჩევიან სადახლოელები და ყულარელები, რომელთა უთანხმოება და ერთგვარი დაპირისპირება სომხებთან იმით არის გამოწვეული, რომ ისინი სომხეთის ტერიტორიიდან ძალით გამოყრილები არიან. ერთ-ერთმა მთხრობელმა განაცხადა: მათ აბოცებს ვუნოდებთო, რაც შესაძლოა, რალაც დროს ამ აზერბაიჯანული ტომების აბოცში (ყოფილი ქართული პროვინცია) სახლობას მოწმობდეს. მთხრობელთა ინფორმაციით, აზერბაიჯანელთა დღევანდელ ყოფაში ყველაზე აქტიური და, ასე ვთქვათ, ტონის მიმცემი დასახლება სადახლოა.

რეგიონში ჩანერილი მასალა მრავალმხრივ საინტერესოა. უმეტეს შემთხვევაში, სომხურმა და აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ „იცის“ საიდან არის მოსული; ამ გადმოცემებს ხანდახან პოლიტიკური იდეოლოგიის კვალიც ამჩნევია; ისინი ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც შესაძლოა ურთიერთდაპირისპირების საფუძვლად იქნას გამოყენებული. ამიტომ, საჭიროა ამ საკითხებში სიცხადის შეტანა. გადმოცემები, უმეტეს შემთხვევაში, ისტორიული სინამდვილის გახალხურებულ, იდეოლოგიზი-

რებულ, უფრო ხშირად შეთხზულ, უსაფუძვლო ან სასურველის რეალობად წარმოჩენის სურვილით გაჯერებულ მონათხრობებს წარმოადგენენ.

საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის ჩამოსახლება დროისა და ადგილის მიხედვით შეიძლება ოთხ ნაწილად დავეყოთ;

1) თბილისისა და ბორჩალოს მაზრები (ანუ ქვემო ქართლი);

2) სიღნაღისა და თელავის მაზრები;

3) ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები;

4) საქართველოს შავიზღვისპირეთი.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის თურქულენოვანი მოსახლეობის რიცხვი 40 ათასამდე უნდა ყოფილიყო. მათი განაწილება მაზრების მიხედვით სავარაუდოდ შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1) თბილისისა და ბორჩალოს მაზრების – 22 ათასამდე;

2) სიღნაღისა და თელავის მაზრების – 3 ათასამდე;

3) ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების – 13 ათასამდე;

4) შავიზღვისპირეთი – 2 ათასამდე.

1897 წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრებ დღევანდელ აზერბაიჯანელთა წინამორბედებს შორის დაახლოებით 74% სუნიტები იყვნენ, შიიტები – 26%. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების „თათრების“ თითქმის ასივე პროცენტი სუნიტია, ქვემო ქართლისა და თბილისის „თათრებში“ კი 42,71% შიიტია, კახეთში – 33,96%.<sup>1</sup>

XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის შესახებ რუსეთის იმპერიისდროინდელი ოფიციალური აღწერის დოკუმენტური მასალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. პირველი მონაცემები 1805 წლისა – კამერალური აღწერით, ამ დროისთვის ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღნუსხულია ხუთი ადმინისტრაციული ერთეულის გადამხდელი მოსახლეობა (ამ ხუთიდან სა-

---

<sup>1</sup> ანთაძე კ., საქართველოს მოსახლეობა XIX ს. თბ., 1973, გვ. 114-119.

მი ამჟამად ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა, ხოლო ერთი თითქმის სანახევროდ სცდება საქართველოს დღევანდელ ტერიტორიას). თბილისის მაზრაში 3,5 ათასი კომლია, ბამბაკის (ამჟამად საქართველოს არ ეკუთვნის) დისტანციაში – 5,2 ათასი, ბორჩალოს (ამჟამად სანახევროდ შემოდის საქართველოში) დისტანციაში – 8,6 ათასი, შამშადილოში (ამჟამად საქართველოს შემადგენლობაში) დისტანციაში – 6,0 ათასი, ყაზახის (ამჟამად არ არის საქართველოს შემადგენლობაში) დისტანციაში – 16,6 ათასი. აღწერა არ იძლევა ცნობებს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. თუმცა, დიდი ალბათობით მოსახლეობა შერეული იყო. მის სამხრეთ ნაწილებში, ბორჩალოს, შამშადილუს, ყაზახისა და ბამბაკის დისტანციებში უმრავლესობას თურქულენოვანი მოსახლეობა შეადგენდა.

სხვადასხვა დროს ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებში მოცემული ცნობები ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს არ ესადაგება. ძირითადი, შეუსაბამობები მაზრებისა და დისტანციების საზღვრების ცვალებადობის შედეგია. 1805 წლის აღწერით, დღევანდელი ქვემო ქართლის (თბილისის მაზრა და ბორჩალოს მაზრის ნახევარი) მოსახლეობა სავარაუდოდ 7,0 ათასი კომლია (გადამხდელეები). 1832 წლის მონაცემებით, თბილისის მაზრაში 27,5 ათასი სული ცხოვრობს, ბორჩალოში – 30,2 ათასი; სამოციანი წლების დასაწყისში თბილისის მაზრაში – 39,2 ათასი, ბორჩალოში – 41,2 ათასი; 1865 წელს – თბილისის მაზრაში – 45 ათასი, ბორჩალოში – 46,1 ათასი; 1873 წელს – თბილისის მაზრაში – 50 ათასი, ბორჩალოში – 53, 6 ათასი. XIX საუკუნეში ბორჩალოელი და სხვა თურქულენოვანი მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი არ აღემატებოდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებების ანალოგიურ მაჩვენებელს.

XX საუკუნეში ქვემო ქართლში განსხვავებული დემოგრაფიული პროცესები წარიმართა. ქართული მოსახლეობის ხვედრითმა წილმა, ამ რეგიონში მათი ჩასახლების შედეგად, იმატა. გასული საუკუნის ორმოციან წლებში რაჭიდან, ლეჩხუ-

მიდან და ზემო იმერეთიდან გადმოსახლებულები ჩასახლდნენ ბოლნისში, ასურეთში, თამარისში, რატევანში, რაჭისუბანში. მათ ნაწილობრივ იმ გერმანელ კოლონისტთა ადგილები დაიკავეს, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ ქვემო ქართლში და ბოლშევიკური რეჟიმის მიერ გადასახლებული იქნენ შუა აზიასა და ციმბირში. მარნეულის მიმდებარედ შეიქმნა ორი ქართული სოფელი: წერეთელი და ორჯონიკიძე. ოთხმოციან წლებში გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროსა და მარნეულის რაიონებში დაასახლეს სვანეთიდან ჩამოსული ეკომიგრანტები. რეგიონში მაღალია შობადობა და, აქედან გამომდინარე ბუნებრივი მატებაც. 1926 წლიდან 1976 წლამდე, ქვემო ქართლის მოსახლეობა 78%-ით გაიზარდა, რაც ბევრად აღემატება შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და გურიის ანალოგიურ მონაცემებს. მიზეზი მარტივია: ქვემო ქართლის მოსახლეობაში შობადობის მაღალი მაჩვენებელი ძირითადად აზერბაიჯანელთა ოჯახებში მრავალშვილიანობის ტრადიციის შენარჩუნების შედეგია. საქართველოში მოსახლე თითქმის ყველა სხვა ეროვნების ოჯახებში მეოცე საუკუნეში შეიმჩნევა ბავშვთა რაოდენობის კლება. ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა მეოცე საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედებში შემდეგნაირად გამოიყურება:

1926 წელს – 157,3 ათასი; 1939 წელი – 201, 8 ათასი;

1959 წელი – 236,1 ათასი; 1970 წელი – 297,2 ათასი.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში, აზერბაიჯანელთა ბუნებრივი მატება თვალშისაცემი არ იყო. მეორე ნახევარში კი აშკარაა მისი მატება ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. 1959-1979 წლებში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 24 %-ით, ხოლო საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობა – 66 %-ით, ანუ მათში მოსახლეობის საშუალო ზრდა 2,66 % -ია. აზერბაიჯანელები ძირითადად სოფლებში ცხოვრობენ. 1970 წელს, ქალაქებში მხოლოდ 18 %-ია. თბილისში 12,9 ათასი, რუსთავში კი 7,4 ათასი აზერბაიჯანელია. ისინი არ ასიმილირდებიან სხვა ეროვნებებთან და ამის



მთავარ განმაპირობებელად რელიგიური ფაქტორი, ასევე ტრადიციული ყოფის განსხვავებულობა უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის ოციან წლებამდე ქვემო ქართლის მუსლიმურ მოსახლეობას შორის ეთნიკური განსხვავებები ჯერ კიდევ არსებობდა: აღწერის მასალებში მათი უმრავლესობა თურქებადაა მოხსენიებული, ვხვდებით ირანელებსაც, ასევე მცირე რაოდენობით ქურთებს. შემდგომ პერიოდში, მათ მთლიანობაში აზერბაიჯანელებად მოიხსენიებენ. ამჟამად საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ძირითადად თავმოყრილნი არიან ქვემო ქართლში (ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რაიონებში) ასევე, თრიალეთში და თეთრიწყაროს რაიონშიც. მცირე რაოდენობის აზერბაიჯანელები ცხოვრობენ კახეთში და შიდა ქართლშიც. აზერბაიჯანელთა უმრავლესობისთვის მშობლიური ენა აზერბაიჯანულია. 27 ათასი თრიალეთელი ბერძენი, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად გასულია საქართველოდან, თურქული ენის დიალექტზე საუბრობდა.

1926 წელს ქვემო ქართლის მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის 5,87%-ია, ხოლო 1978-ში კი 5,93%. მოსახლეობის მატებით ქვემო ქართლი ჩამორჩება მხოლოდ თბილისს, რუსთავს, აფხაზეთსა და აჭარას და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ დასახელებულ ქალაქებსა და რეგიონებში ხდებოდა მოსახლეობის მექანიკური ზრდა, საქართველოსა თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩასახლებულთა ხარჯზე. 1939-1959 წლებში ქვემო ქართლის მოსახლეობის მატების ტემპი წლიურად 0,79%-ია, რესპუბლიკის – 0,66%. 1959-1979 წლებში ქვემო ქართლის მოსახლეობის წლიური მატება უკვე 1,66%-ია. 70-იანი წლებიდან მატების ტემპი იკლებს და 0,67%-ია. ამის მიზეზი ახალგაზრდათა რეგიონის გარეთ გასვლის გახშირება და შობადობის შემცირებაცაა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> *ჯაოშვილი გ.*, საქართველოს აღმოსავლეთი ცენტრალური ეკონომიკური რაიონი, ქვემო ქართლის ქვერაიონი, თბ, 1980, გვ. 62-63.

ქვემო ქართლში მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპის მთავარი განმაპირობებელია ის ფაქტორი, რომ რეგიონის მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. მათთვის კვლავ დამახასიათებელია მრავალშვილიანობა. გასული საუკუნის სამოციანებიდან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცირდება სიკვდილიანობის კოეფიციენტი, რასაც ემატება მაღალი შობადობა. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა ქვემო ქართლში მოსახლეობის ზრდის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში, სადაც სჭარბობს აზერბაიჯანული მოსახლეობა, შობადობა და ბუნებრივი მატება სხვა რაიონებთან შედარებით ბევრად მაღალია. შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თეთრიწყაროს რაიონშია. ამ რაიონს, საბჭოთა პერიოდის ბოლო მეოთხედში ახალგაზრდობა მასიურად ტოვებდა. აქ შობადობის კოეფიციენტი რეგიონის სხვა რაიონებთან შედარებით 2-2,5-ჯერ ნაკლები იყო.

1963 წლიდან ხდება შობადობის კოეფიციენტის შემცირება. 1970-იან წლების დასაწყისიდან მარნეულის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებში შეიმჩნევა შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სტაგნაცია; დმანისსა და წალკაში მცირდება შობადობა რაც იწვევს ბუნებრივი მატების შემცირებას. ამ ერთგვარი „კრიზისული“ მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ თუ 60-იანი წლებამდე ქვემო ქართლს არ ახასიათებდა რეგიონს გარეთ მიგრაციები, შემდგომ ხანებში ამ მაჩვენებელმა იმატა. უარყოფითი მიგრაციული სალდო მახასიათებელია ნაკლებადურბანიზებული მხარეებისთვის. ქვემო ქართლი კი საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებადურბანიზებული რეგიონია. გარემიგრაციას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1) შობადობის მაღალი მაჩვენებელი ახალგაზრდათა რიცხვის მატებას იწვევს. ყველა მათგანი, როგორც წესი ვერ საქმდება სოფლის მეურნეობაში; 2) მხარის დაბალი ურბანიზაციის დონე, სხვა უფრო ურბანიზებულ და სამუშაო ადგილებით მდიდარ რეგიონისკენ, ან სულაც ქვეყნის გარეთ (აზერბაიჯანელებისა აზერბაიჯანში, სომხებისა სომხეთში) მიგრაციას განაპირობებს; 3) ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი აზერბაიჯანელები და სომ-

ხები არიან. ახალგაზრდების ნაწილი უმაღლესი განათლების მშობლიურ ენაზე მისაღებად აზერბაიჯანში და სომხეთში მიდის. მათი უმრავლესობა უკან აღარ ბრუნდება; 4) რეგიონს გარეთ გასული უმაღლეს და პროფ სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდებიც ნაკლებად ბრუნდებიან საცხოვრებლად ქვემო ქართლში; 4) მიგრაციას განაპირობებს თბილისისა და რუსთავის სიახლოვეც – სამოციანებიდან სატრანსპორტო მიმოსვლის შედარებით გაუმჯობესებამ ამ ქალაქებში დასასაქმებელ ქვემო ქართლელთათვის მიმოსვლა გაადვილა. თავიდან ადგილი ჰქონდა მაქოსებურ მიგრაციას, შემდგომ კი ამ კონტინენტის უმრავლესობის თბილისისა და რუსთავში საცხოვრებლად დარჩენას. ამ პერიოდში, რეგიონს ახასიათებდა ძირითადად ქვეყნის ფარგლებს გარეთ სეზონური მიგრაციებიც. სეზონურ სამუშაოებზე წელიწადში 2000-ზე მეტი კაცი გადიოდა. ისინი ძირითადად მშენებლობებზე საქმდებოდნენ. მათთან შედარებით მცირეა სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს სხვა რეგიონებში გამსვლელთა რაოდენობა.

70-იანი წლებისთვის, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა ძირითადად ალგეთის ხეობის სოფლებში იყო თავმოყრილი. 1926-1970 წლებში, ქვემო ქართლში ქართველთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა, მაგრამ მაინც ნაკლები იყო აზერბაიჯანელების, სომხებისა და ბერძენების რაოდენობაზე. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1926-1970 წწ. შემდეგნაირად გამოიყურება:

ეროვნება	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.
ქართველი	12,9%	15,7%	14,7 %
აზერბაიჯანელი	34,3%	40,7%	48,4 %
სომეხი	22,9%	18,6%	15 %
ბერძენი	19,1%	18,4%	17 %
რუსი	3,8%	4,3%	3%
სხვა	7 %	2,3	4,4%

ქვემო ქართლში მეოცე საუკუნის 70-იანებიდან შეიმჩნევა აზერბაიჯანელების ხვედრითი წილის მატება. რუსების, უკრაინელებისა და ნაწილობრივ სომხების აბსოლუტური რიც-

ხოვნობა, 1959-1970 წლებში კლებულობს. მიზეზი გარე მიგრაციებია. აზერბაიჯანელთა მატება კი მათი მაღალი შობადობისა და ნაკლებად მობილურობის შედეგია. ისინი 70-იან წლებში, ქვემო ქართლის მოსახლეობის თითქმის ნახევარს, 48,4 %-ს შეადგენენ. აზერბაიჯანელები ძირითადად მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონების ტერიტორიაზე ცხოვრობენ. რაიონების მიხედვით ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

ეროვნება	მარნეული	ბოლნისი	თეთრიწყარო	დმანისი	ნაკა
ქართველი	6117	10869	16000	6608	2069
აზერბაიჯანელი	63259	40350	2097	29219	1927
სომეხი	13975	5973	5694	2156	14621
ბერძენი	3294	1490	7588	4748	30885
რუსი	3430	1010	2730	860	573
ოსი	74	411	2284	31	89
უკრაინელი	385	174	197	- -	70
სხვა	520	279	355	163	237

რეგიონში მოსახლეობის 48,1% მამაკაცია (მთლიანად საქართველოში – 47%) ასევე მაღალია 19 წლამდელთა ხვედრითი წილი – 51,6%, როდესაც რესპუბლიკაში ანალოგიური მაჩვენებელი 39,1%-ია ამ ასაკობრივი შემადგენლობის სხვაობას მაღალი შობადობა იწვევს. აქ ერთ სულ მოსახლის კმაყოფაზე მყოფთა საშუალო რიცხვიც მაღალია, რაც ასევე მაღალი შობადობითაა გამოწვეული. ეს მდგომარეობა შეიცვლება როდესაც კმაყოფაზე მყოფნი მიაღწევენ ზრდასრულ ასაკს. თუმცა

მაღალი შობადობის შენარჩუნების პირობებში, ამ მაჩვენებლის დიდად შეცვლას არ უნდა ველოდოთ.

ქვემო ქართლის მცხოვრებთა უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. 1976 წლის მონაცემებით მოსახლეობის 54,4% სასოფლო და სატყეო მეურნეობებში საქმიანობდა, მრეწველობასა და მშენებლობაში – 4,7%, კომუნალურ მეურნეობაში – 2,7%, განათლების სფეროში – 11,1%, კულტურის სფეროში – 3,2%, ჯანდაცვაში – 4,9%, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებში კი – 2,1%. რეგიონის მოსახლეობის 30,9% მუშაობს (მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და ამის მიზეზი ისევ მაღალი შობადობა, ზრდასრულ ასაკამდე მიუღწეველი მოსახლეობის დიდი ხვედრითი წილი უნდა იყოს). სოფლის მეურნეობით დაკავებულთა 60%-ზე მეტი პროცენტული რაოდენობა, ყველაზე არასამეწარმეო რაიონებში – წალკასა და დმანისში ფიქსირდება.

ნაკლებად ურბანიზებულობის გამო, ქვემო ქართლის მოსახლეობის სიმჭიდროვე, სხვა მხარეების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, XX ს-ის 70-იან წლების მონაცემებით გაცილებით დაბალია. საკვლევ რეგიონში 57, 2 სული სახლობს 1 კვ. კმ-ზე, ხოლო ქვეყანაში საშუალო სიმჭიდროვეა 72 კაცი 1 კვ. კმ-ზე. თუმცა სოფლის მოსახლეობის მხრივ, ქვემო ქართლი, პირიქით, საკმაოდ უსწრებს ქვეყნის სასოფლო მოსახლეობის სიმჭიდროვეს. რეგიონის სოფლებში 1 კვ. კმ-ზე 43 ადამიანია, ხოლო ქვეყანაში – 36 სული. ძალიან მჭიდროდ დასახლებულია მარნეულისა (103 კაცი – 1 კვ. კმ-ზე) და ბოლნისის (80 – 1 კვ. კმ-ზე) სოფლები. რეგიონის დანარჩენი რაიონები მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ საკმაოდ ჩამორჩებიან მარნეულსა და ბოლნისს.

მოსახლეობის სიმჭიდროვის ამგვარ განაწილებას, სხვა მიზეზებთან ერთად, გეოგრაფიული ფაქტორებიც განაპირობებს. ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული მარნეულის ველი, მაშავერას, ფოლადაურის, შულავერის წყლის, ალგეთის ხეობების ქვემო წელი, აგრეთვე წალკა – დმანისის ზეგანი – ანუ

მოვაკებული, ფართოდ გაშლილი ადგილები. მათაგან უმეტესობა დაბლობია, მხოლოდ წალკის, დმანისისა და გომარეთის პლატოები მიეკუთვნება მთიან ზონას. ჰიფსომეტრიული თვალსაზრისით, ქვემო ქართლის სოფლები და მათში მოსახლენი შემდეგნაირად არიან განთავსებულნი:<sup>1</sup>

სიმაღლე ზღვის დონიდან	დასახლებული პუნქტი	მოსახლეობის რაოდენობა
200 — 400 მ.	52	45 950 — 16,3 %
401 — 600 მ.	39	80 078 — 28,3 %
601 — 800 მ.	40	25 295 — 8,9 %
801 — 1000 მ.	34	17 682 — 6,3 %
1001 — 1200 მ.	41	25 019 — 8,8 %
1201 — 1400 მ.	54	32 170 — 11,4 %
1401 — 1600 მ.	44	42 614 — 15,1 %
1601 — 1800 მ.	14	11 097 — 3,9 %
1801 — 2000 მ.	6	2 906 — 1 %

ამგვარად, მოსახლეობის 53,5% ბარის, ხოლო 46,5% მთის ზონაში ცხოვრობს. ყველაზე მჭიდროდაა (71%) დასახლებული 200-600 მეტრისა და 1200-1600 მეტრამდე ზონები. მეჩხერი მოსახლეობაა 800-1200 მეტრის ზონაში, რომელიც ძალიან დანაწევრებული და მთაგორიანია. აქ მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულია. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ზონები (განსაკუთრებით 200-დან – 600 მეტრამდე) საუკუნეების მანძილზე მტრის განუწყვეტელი შემოსევების ასპარეზი იყო და შედეგად, ეს ტერიტორია ქართული მოსახლეობისგან დაიცალა. ასევე დაიცალა ზემოხსენებულ პლატოთა ზონა, რომელიც მომხდურთა აგრესიის შედეგად ქვემო ქართლის ბარში მომ-

---

<sup>1</sup> საქართველოს აღმოსავლეთ ცენტრალური ეკონომიკური რაიონი (ქვემო ქართლის რეგიონი), თბ., 1980, გვ. 74-75.

რავლებული მომთაბარეთა საზაფხულო საძოვრებად იქცა. XIX საუკუნეში, აქაც კომპაქტურად სახლდებოდნენ უცხოტომელები და ეს მოვლენა, მოსახლეობის განლაგების ზონალური თავისებურებისა კიდევ ერთი განმსაზღვრელია.

მარნეულის რაიონის სოფლები ზღვის დონიდან 265-600 მეტრზეა განლაგებული. აქ 14 სასოფლო საბჭო და 77 სოფელია. ცხოვრობს 69 800 კაცი, მოსახლეობის საშუალო ოდენობა სოფლებში – 906 კაცია; ბოლნისის რაიონი: ზღვის დონიდან – 400-800 მ, სასოფლო საბჭო – 8, სოფელი – 46, მაცხოვრებელი – 46 500, საშუალო ოდენობა სოფელში – 1 011 კაცი; თეთრიწყაროს რაიონი: ზღვის დონიდან – 500-1200 მ, საბჭო – 15, სოფელი – 88, საშუალოდ – 299 სულ – 26 300 კაცი; დმანისის რაიონი: ზღვის დონიდან – 800 – 1400 მ, საბჭო – 12, სოფლებში საშუალო ოდენობა – 685, სულ – 39 700; წალკის რაიონი: ზღვის დონიდან – 1100 – 1800 მ. საბჭო – 7, სოფელი – 41, საშუალო ოდენობა – 990, სულ – 40 600. მთლიანობაში 5 რაიონში იყო 56 სასოფლო საბჭო, 310 სოფელი და ცხოვრობდა 222 900 ადამიანი.

ქვემო ქართლში სოფლად საშუალოდ 719 მცხოვრებია. თეთრიწყაროში ყველაზე მეტი სოფელია, თუმცა ეს სოფლები პატარაა, რადგან დანაწევრებული რელიეფი მეტის საშუალებას არ იძლევა. წალკაში და ბოლნისში სოფლები ცოტაა მაგრამ, ხალხმრავალი და ტერიტორიულადაც დიდი. დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა 320-ია (310 სოფელი და 10 ქალაქური ტიპის დასახლება). 1976 წლის მონაცემებით ქვემო ქართლის მოსახლეობა ქვეყნის მოსახლეობის 5,9% -ია (ქალაქის მოსახლეობის 2,2% და სოფლის მოსახლეობის 9,4%). 1959 წლიდან 1976 წლამდე, ქვემო ქართლის მოსახლეობამ მოიმატა 61,1 ათასი კაცით (სოფლის მოსახლეობამ მოიმატა 55,1 ათასით). 1926 წლიდან 1970 წლამდე, ქვემო ქართლის სოფლის საშუალო რიცხოვნობა 417-დან 719-მდე. გაიზარდა (მარნეულის რაიონის სოფლებში 419-დან 906-მდე, ბოლნისში 415-დან 1011-მდე. თეთრიწყაროს რაიონში სანინალმდევო სურათია. სოფ-

ლების მოსახლეობა კლებულობს. ყველაზე უფრო მოსახლეობის კლება ქართულ და ოსურ სოფლებში შეიმჩნევა).

რეგიონში სოფლის საშუალო სიდიდე 16,7 კმ.<sup>2</sup>-ია (მდრ. შიდა ქართლში – 11,5 კმ.<sup>2</sup>, მთლიანად საქართველოში – 15 კმ.<sup>2</sup>). 1/3, ანუ 108 ერთეული, მცირე სოფლების კატეგორიას განეკუთვნება და იქ მოსახლეობის 6,6% ცხოვრობს. 19 უმსხვილეს სოფელში კი – 27,4% ანუ 61000 კაცი ცხოვრობს. სულ დიდ სოფლებში რეგიონის 55,6% ცხოვრობს (მსხვილ სოფლებში – 28,2%, დიდში – 29,2% , საშუალოში – 8,8%).

სოფელი	მარნეული	ბოლნისი	თეთრიწყარო	დმანისი	ნალკა
უმსხვილესი	7	6	1	1	4
მსხვილი	16	7	4	9	11
სულ	77	46	88	58	41

1926–1970 წლებში მხოლოდ ორი უმსხვილესი სოფელის: დაღეთხაჩინისა და გომარეთის მოსახლეობამ იკლო. შობადობის მაღალი დონის გამო აზერბაიჯანული სოფლები სწრაფად იზრდებიან. განსხვავებული სურათია თეთრიწყაროს რაიონში. აქ უმეტესად პატარა სოფლებია სადაც მხოლოდ 50 კაცამდეა ცხოვრობს.

განსახლების მიხედვით სამი ტიპის სოფლებია: 1) ხაზობრივად განსახლებული ვაკე რელიეფიანი (ხრამის, დებედას, მაშავერის და ალგეთის გასწვრივ განლაგებული); 2) არაერთგვაროვანი რელიეფის ჯგუფურად განსახლებული, საშუალო სიდიდის სოფლები შედარებით კომპაქტური დასახლებით; 3) მაღალმთიანი პლატოს დიდი სოფლები, კომპაქტური დასახლებით.

როგორც ვთქვით, საკვლევ რეგიონს ურბანიზაციის დაბალი დონე ახასიათებს. შუა საუკუნეებში სანინააღმდეგო სიტუაცია გვქონდა. აქ მრავლად იყო ქალაქები და ქალაქური



ტიპის დასახლებები: დმანისი, რუსთავი, სამშვილდე, ბოლნისი, მანგლისი, წინწყარო. ისტორიულმა ძეგლებდობამ, ქვემო ქართლში საქალაქო ცხოვრების მოსპობაც განაპირობა. XX საუკუნის 20-იან წლებში არსებობდა მცირე დაბები: ლუქსემბურგი, ახლანდელი ბოლნისი (ყოფილი ეკატერინენფელდი, ძირითადად გერმანელთა კოლონია), შულავერი და მანგლისი. საქალაქო ტიპის დასახლებები 50-60-იან წლებში იწყებენ ჩამოყალიბებას. ამ ტიპის დასახლებებს, ხსენებულ პერიოდში 7 ერთეული შეემატა. 1926 წელს ბოლნისის, შაუმიანისა და მანგლისის მოსახლეობა საშუალოდ 14,2 ათასი იყო. ქალაქის სტატუსი მარნეულს 1964 წელს, თეთრიწყაროს 1966 წელს, ბოლნისს 1967 წელს მიენიჭა. 1957 წელს წალკა, 1959-ში დმანისი, 1963 წელს ბედიანი, 1965 წელს კაზრეთი დაბად გამოცხადდა. 1976 წლის მონაცემებით, სულ საქალაქო ტიპის დასახლებებში 65,5 ათასი კაცი, მოსახლეობის 22% ცხოვრობდა.

დასახლებული პუნქტი	1926 წ.	1939 წ.	1959 წ.	1970 წ.	1976წ.
ქ. მარნეული	--	--	12,4 ათასი	15,8 ათასი	18,5 ათასი
ქ. ბოლნისი	5,7 ათასი	7,1 ათასი	12,4 ათასი	11,5 ათასი	11,9 ათასი
ქ. თეთრიწყარო	--	--	5,6 ათასი	6,9 ათასი	7,3 ათასი
დ. დმანისი	--	--	3,6 ათასი	4,1 ათასი	4,6 ათასი
დ. წალკა	--	--	7,1 ათასი	5,8 ათასი	6,1 ათასი
დ. შაუმიანი	5,6 ათასი	6,8 ათასი	7,1 ათასი	5,5 ათასი	6,0 ათასი
დ. მანგლისი	2,9 ათასი	3,5 ათასი	4,3 ათასი	3,8 ათასი	3,8 ათასი

დ. კაზრეთი	--	--	--	2,5 ათასი	3,4 ათასი
დ. ბედიანი	--	--	--	2,4 ათასი	2,4 ათასი
დ. თრიალეთი	--	--	7,6 ათასი	1,6 ათასი	1,5 ათასი

წალკას, 1932 წლამდე ბარმაქსიზი ერქვა, დმანისს 1947 წლამდე – ბაშკიჩეთი. მარნეულის რაიონის ცენტრი სოფ. სარვანი გახლდათ, 1932 წლიდან მას ბორჩალო ეწოდა, 1947 წლიდან კი – მარნეული. კაზრეთი, ძირითადად, მადნეულის მომპოვებელ სანარმოში დასაქმებულთა დაბაა. ის ერთადერთი რეგიონში, რომელიც მხოლოდ სანარმოო ფუნქციისაა.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქვემო ქართლში სვანეთიდან ეკომიგრანტების საკმაოდ დიდი მასა ჩამოსახლდა. ეკომიგრანტების შედარებით მცირე რაოდენობა გადმოსახლდა აჭარის მთიანი სოფლებიდანაც. შედეგად, ქართველთა ხვედრითი წილი რეგიონის მოსახლეობაში გაიზარდა და თითქმის გაუთანაბრდა უმრავლესობაში მყოფ აზერბაიჯანელებს. 1989 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლში სულ 608 491 მაცხოვრებელია. აქედან 243 997 (40,1%) აზერბაიჯანელია; 214 347 (35,2%) – ქართველი; 43 993 (7,2%) – სომეხი<sup>1</sup>. აქ, აღსანიშნავია ის, რომ 1989 წლის აღწერის მონაცემებში ქვემო ქართლის შემადგენლობაშია ჩათვლილი გარდაბნის რაიონიც.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანებში, ქვეყანაში გართულებული ეკონომიკური სიტუაციის გამო ქვემო ქართლს ტოვებს არაქართული, ძირითადად აზერბაიჯანული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ეს მოვლენა, ნაწილობრივ ეკომიგრანტების ჩამოსახლებამ, მათ მიერ აზერბაიჯანელების ექსტენსიური მესაქონლეობისთვისა და მეურნეობის სხვა დარგებისთვის საჭირო სივრცეების ათვისებამაც გამოიწვია. ეკომიგრანტთა რეგიონში დასახლების პირველ ეტაპზე, არც თუ იშვიათი გახ-

<sup>1</sup> თოთაძე ა., საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, 1999, გვ., 39.

ლდათ უთანხმოება და შეხლა-შემოხლაც კი ადგილობრივებსა და ახალჩამოსახლებულთა შორის.

2002 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლში 222 450 ქართველი ცხოვრობს (218307 მართლმადიდებელი, 306 – კათოლიკე, 148 – გრიგორიანი, 17 – იუდეველი, 2224 – მუსლიმი, 448 – სხვა); 224 606 აზერბაიჯანელი (მუსლიმი 222959, მართლმადიდებელი – 889, კათოლიკე – 36, გრიგორიანი – 148, იუდეველი – 50), 31777 სომეხი (25323 – გრიგორიანი, მართლმადიდებელი – 5730, კათოლიკე – 405, მაჰადიანი – 70, იუდეველი – 2), 7415 ბერძენი (მართლმადიდებელი – 7342, კათოლიკე – 9, გრიგორიანი – 19, იუდეველი – 3, მუსლიმი – 24), 6464 რუსი (მართლმადიდებელი 6025, კათოლიკე 102, გრიგორიანი 111, იუდეველი 10, მუსლიმი 60), ცხოვრობს. მოსახლეობის მცირე ნაწილი ათეისტია და თავს არცერთ რელიგიას არ აკუთვნებს. ათეისტებზე ოდნავ მეტია მოსახლეობა, რომელიც ზემოთჩამოთვლილ კონფესიებიდან, არც ერთს არ აღიარებს და თავს სხვა რელიგიის აღმსარებლად მიიჩნევს. შესაძლოა, მოსახლეობის ეს ნაწილი იყოს 1990-იანი წლებიდან საქართველოში მომრავლებული მიმდინარეობის აღმსარებლები (იელოვას მოწმეები, ადვენტიტები, ევანგელისტები, ბაბტიტები და ა.შ.).

დღესდღეობით, ქვემო ქართლში მიგრაციული პროცესები ისეთი აქტიური არ არის, როგორც რამდენიმე წლის წინ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, რეგიონიდან გასული აზერბაიჯანელების მცირე ნაწილი უბრუნდება საკუთარ საცხოვრებელს, რასაც ვერ ვიტყვით ბერძნებზე და განსაკუთრებით ოსებზე.

ამ მულტინაციონალურ რეგიონში მრავალი თანამედროვე მოთხოვნილება და პრობლემაა, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ჯეროვან ქმედებებს მოითხოვს. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას განათლება და სახელმწიფო ენის შესწავლა წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდში ქართული ენის მცოდნენი არაქართულ მოსახლეობაში ძალიან ცოტანი იყვნენ. საურთიერთობო ენად რუსული ჰქონდათ, ძალიან ხშირ შემთხვევაში იცოდნენ ერთმანეთის ენაც (აზერბაიჯანელებმა და სომხებმა). ამჟამად, სხვა სურათი გვაქვს – ახალგაზრდა თაობებში ერთმანეთის ენას თითქმის აღარავინ ფლობს (ერთ-ერთი მიზეზი სანარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურ-

ნეობების, სადაც მრავალეროვან მოსახლეობას ერთად უწევდა მუშაობა, გაუქმება შეიძლება იყოს). ქვემო ქართლის არაქართულ მოსახლეობაში თანდათან მატულობს ქართული ენის სრულყოფილად შესწავლის სურვილი, რასაც ერთობლიობაში განაპირობებს და ხელს უწყობს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამები, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, მნიშვნელობის გაზრდა, ქვემო ქართლის არაქართველ ახალგაზრდათა სურვილი ისწავლონ და იმუშაონ ქალაქებში (ძირითადად თბილისსა და რუსთავში). მიუხედავად, ბევრი სიახლისა და წინ გადადგმული ნაბიჯისა, რეგიონის მოსახლეობაში, მაინც შემორჩა მათი ტრადიციებიდან გამომდინარე განათლები-სადმი ერთგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება. ხშირად არა მაგრამ მაინც, ადგილი აქვს სწავლის შეწყვეტას ადრეული ქორწინების გამო. არის ძალიან მცირე ნაწილი, რომელიც საერთოდ უარს ამბობს სწავლაზე; ზოგიერთი სწავლის შეწყვეტის მიზეზად ავადმყოფობას ასახელებს. აღნიშნული ძირითადად აზერბაიჯანულ მოსახლეობას ეხება. მოსახლეობის ნაწილს, არასაკმარისი შესაძლებლობების გამო, პრობლემა აქვს სახელმძღვანელოებისა და სასკოლო ნივთების შეძენის პრობლემა აქვს, თუმცა ბოლო წლებში სახელმძღვანელოები უფასოა. ზოგ ადგილას სკოლის სიმორე სახელდება მიზეზად, ზოგან კი სასკოლო შენობა-ნაგებობების გამოუსადეგარობა.

რეგიონის ახალგაზრდობის უმრავლესობა, საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, უმაღლეს განათლებას თბილისში იღებს. ამ ტენდენციას, გარკვეულწილად ხელს უწყობს პროექტი „1+4“, რომელიც არაქართველ ახალგაზრდებს ეხმარება ქართული ენის შესწავლაში.

დღევანდელი მდგომარეობით ქვემო ქართლი მოიცავს შვიდ ქალაქს (რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა); რვა დაბას (დიდი ლილო, კოჯორი, კაზრეთი, მანგლისი, თამარისი, შულავერი, ბედიანი, თრიალეთი) და 338 სოფელს; მხარის ადმინისტრაციული ცენტრია რუსთავი.

ქვემო ქართლში, 2014 წლის მონაცემებით, 423 996 სული ცხოვრობს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11%-ს შეადგენს. აქედან 51,25% ქართველია, ხოლო 41,75% – აზერბაიჯანელი, დანარჩენი სხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან.

რუსთავის მოსახლეობის (116 384) უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, აზერბაიჯანელთა რაოდენობა, 2014 წლის მონაცემით, 4993 აღწევს (სტატისტიკური მონაცემები დამოწმებულია ქვემო ქართლის ოფიციალური „ვებ გვერდიდან“)<sup>1</sup>.

თეთრი წყარო	დმანისი	გარდაბანი	ბოლნისი	მუნიციპალიტეტი
21127	19141	81876	53590	მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის მონაცემებით
25039	28000	----	74000	მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის მონაცემებით
74%	31,2%	53,2%	26%	ქართველები
10,4%	----	----	6,95	სომხები
6,5%	66,7%	43,7%	66%	აზერბაიჯანელები
----	----	----	----	ბერძნები
88 (6 დაცლი	----	42	49	დასახლებული პუნქტი
1	1	1	1	ქალაქი
----		2	2	დაბა
----	58	39	46	სოფელი

<sup>1</sup> სტატისტიკური მონაცემები დამოწმებულია ქვემო ქართლის ოფიციალური „ვებ გვერდიდან.“

ნაკა	მარნეული
18849	104300
20226	117660
12%	7,8%
55,5%	----
9,5%	86,4%
22%	----
42	72
1	1
	1
	70

ამდენად, სრული მონაცემები ასეთია: მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. აქედან: რუსთავში, თეთრინყაროში, გარდაბანსა და ნაკაში ქართველები ჭარბობენ, ხოლო მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში – აზერბაიჯანელები. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, 2002 წელთან შედარებით, მოსახლეობის საგრძნობი კლება ფიქსირდება<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ქვემო ქართლის ოფიციალური ვებ გვერდი.

## თავი II. ისტორიის ეთნოცენტრისტული აღქმა და სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემა

### § I. ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო უსაფრთხოების კონტექსტში

უსაფრთხოებას, როგორც პოლიტიკურ კატეგორიას, მყარი ადგილი უკავია ისეთი ცნებების გვერდით, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და თანდათან სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემას წამყვანი როლი ენიჭება ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების პროცესში, იგი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მართვის სტრატეგიას.<sup>1</sup>

უსაფრთხოების სპექტრი იწყება პიროვნების, ინდივიდის უსაფრთხოებიდან ვიტალურ (სასიცოცხლო) დონეზე და გლობალური მასშტაბით მსოფლიოს უსაფრთხოებით მთავრდება. ამ ორ უკიდურეს წერტილს შორის მოთავსებულია უსაფრთხოების მრავალგვარი ასპექტი: ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-კულტურული, ეკოლოგიური, კრიმინოლოგიური, სოციალური, სამხედრო, ღირსებისა და სხვა. იმისდა მიხედვით, ვინ გვევლინება უსაფრთხოების სუბიექტად ან ობიექტად – ცალკეული ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო ან სახელმწიფოთა გაერთიანება – დგინდება უსაფრთხოების ესა თუ ის დონე. უსაფრთხოების კონცეპტუალური ვარიანტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (national security) და საერთო უსაფრთხოების კონცეფცია (common security)<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ელექტრონული ვერსია:<https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf>

<sup>2</sup> *მუბითიძე ვ.*, უსაფრთხოება და ეთნიკური კულტურის ადაპტაციის უნარი ახალ სოციალურ – კულტურულ გარემოსთან, წიგნში: უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრი-

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას არსებობის დიდი ისტორია აქვს.<sup>1</sup> იგი როგორც ძირითადი პრინციპი, აღიარებული და მიღებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მიერ და სახელმწიფოს მართვას უდევს საფუძვლად. უსაფრთხოების პრობლემა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეროვნული უმცირესობის და ერთაშორის ურთიერთობის საკითხთან. სოციალურ მეცნიერებებში დღეს აღიარებულია, რომ კონფლიქტების პრობლემა ყველაზე მწვავედ იჩენს თავს მრავალეთნიკურ საზოგადოებაში და ეთნოკონფლიქტების უმრავლესობაც სწორედ იქ ხდება.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების კონცეფციებში ზოგჯერ არ ითვალისწინებენ სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს – ეთნიკურ ასპექტს. ეთნიკურობა, როგორც სოციალური იდენტურობის ფორმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც პოლიეთნიკური საზოგადოების განვითარებაში დგება კრიზისის პერიოდი. როდესაც ინდივიდუალური საზღვრების გაფართოებით, ინდივიდი ეძიებს სიმშვიდეს, კეთილდღეობას და სტაბილურობას ახალ იდენტობაში. საზოგადოებრივი ცხოვრების მონყობის ახალი ტენდენციის საფუძველზე მანამდე არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების

---

ზისი), პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი რედაქტორი და თანაავტორი *მელიქიშვილი ლ.*, თბ., 2002. გვ. 77-78.

<sup>1</sup> **Rothschild E.**, What is Security? 1995. ელექტრონული ვერსია. **Grosby S.**, Territoriality: The Transcendental, Primordial Feature of Modern Societies//Nationalism, v I, pt 2, 1995. **Chen L.C.**, Human Security: Concept and Approaches//Common Security in Asia: New Concepts of Human Security, Tokyo, 1995. **Mearsheimer J.J.**, Back to the Future: Instability in Europe after the Cold War//intern security –vol. 15 #1, 1990.

<sup>2</sup> **Stavenhagen R.**, The Ethnic Question (Conflicts, Development and Human Rights), The Unnited Nations University, 1990. **Manuera G.**, Preventing armed conflict in Europe lessons from recent experience, Chaillot Papers, 15/16, June, Paris, 1994. **Shenfield D. Stephen**, Armed Conflict in Eastern Europe and the Formed Soviet Union, 1991.



რეგულირების სტრატეგია იცვლება, იწყება ადაპტაციის ახალი პროცესი, როდესაც ყოველი კულტურის სისტემა გამოიმუშავებს რეადაპტაციის საკუთარ მექანიზმებს. ეთნიკურ კულტურას უხდება ახალ გარემოსთან შეგუება, არატრადიციული ფასეულობების, თანამედროვე საზოგადოების ნორმების მიღება. იცვლება ქცევის ტიპი და მასთან ერთად აზროვნება, მენტალიტეტი და მსოფლმხედველობა.

ეთნოკულტურული გარემო განისაზღვრება იმის მიხედვით, ისტორიული განვითარების რა საფეხურზე დგას ესა თუ ის კულტურა, რა ფასეულობებს ანიჭებენ პრიორიტეტს ამ კულტურის წარმომადგენლები, რა ეთნოსპეციფიკური სტერეოტიპები დომინირებს მასში. ამის მიხედვით იცვლება უსაფრთხოების აზრობრივი დატვირთვა. ეთნიკური ჯგუფების თვითგამორკვევის, თვითიდენტიფიკაციის სურვილი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის მუქარის და შემდეგ ლატენტური თუ ამკარა კონფლიქტის წყაროდ შეიძლება იქცეს.

ხშირად უმცირესობას უცხო ქვეყნიდან აქვს სტრატეგიული და იდეოლოგიური მხარდაჭერა, ჰყავს გულშემატკივარი იმავე ეთნიკური წარმოშობის ხალხების სახით ან სხვა დაინტერესებული ძალებისაგან. ზოგჯერ გარედან შეგნებული ნაქეზების გზით, ეს პროცესი სეპარატიზმში ან ირედენტიზმში გადაიზრდება ხოლმე და სახელმწიფოს სუვერენიტეტს უქმნის საფრთხეს. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვება გახანგრძლივებული კონფლიქტი, საზოგადოების და ეკონომიკის დეზინტეგრაცია და, ბოლოს, რაც მთავარია, საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ის ღირებულებები, რომელთა დაცვა გახდა კონფლიქტის თავდაპირველი მიზეზი, ანუ კონფლიქტი შეუქმნის საფრთხეს თავად ეთნიკური ჯგუფის არსებობას, ეთნიკურ კულტურას.

კვლევა ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც ზემოაღნიშნული თვალსაზრისით მეტად საინტერესო რეგიონს წარმოადგენს, სადაც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით აუცილებლად შესასწავ-

ლი მრავალი პრობლემაა თავმოყრილი. ქვემო ქართლი გამო-  
ორჩევა:

1. სასაზღვრო ზოლში ეთნიკური უმცირესობის კომპაქ-  
ტური დასახლებით (აზერბაიჯანელები, სომხები);

2. პოლიეთნიკურობით (ქართველები, სომხები, აზერბაი-  
ჯანელები, ბერძნები, რუსები, ოსები.);

3. მულტიკულტურალიზმით;

4. პოლიკონფესიურობით (ქრისტიანები: მართლმადიდებ-  
ლები, გრიგორია-ნელები, იელოვას მონაწილეები და ა.შ.; მუსლიმი-  
ები: შიიტები, სუნიტები, სალაფიტები და სხვა).

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები და სომხე-  
ბი თავს მეზობელი ქვეყნის ეთნოსის ნაწილად თვლიან და  
აქვთ განცდა, რომ ეს მათი ძირძველი ტერიტორიაა და არსაი-  
დან მოსულან, ანუ ავტოქთონები არიან. იმის მოთხოვნილება,  
რომ საკუთარი თავი საზღვარს მიღმა ამცხოვრები დიდი ჯგუ-  
ფის წევრად და ისტორიულ თავგადასავალში თანამონაწილედ  
მოიაზროს, ინდივიდის დონეზე საკმაოდ რთულია და გარკვე-  
ულ წინააღმდეგობას ქმნის. ხშირად ხდება მონათესავე ეთნო-  
სის ღირსებათა იდეალიზირება, იქამდეც კი, რომ პოზიტიუ-  
რად აღიქვას ეთნონაციონალისტური მონოდებანი. ეს არის  
ბუნებრივი სოციალური მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება იმ-  
დენად ძლიერია, რომ გარკვეულ მდგომარეობაში უფლებადარ-  
ღვეულ ადამიანს აიძულებს არამართო ნაციონალურ, არამედ  
ექსტრემისტულ მონოდებებსაც კი გამოეხმაუროს. პიროვნული  
განსაზღვრება, რომელშიც ერთდროულად არის მოცემული ინ-  
დივიდუალური და სოციალური, განაპირობებს ეთნოცენტრის-  
ტული განწყობის გაჩენას.

ეთნოცენტრიზმის განვითარების სხვადასხვა მიზეზები-  
დან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორე-  
ბი, რომლის საფუძველს ისტორიული წარსულის იდეალიზაცია  
წარმოადგენს. საქართველოში ეთნოცენტრიზმი არამართო უმ-  
რავლესობაში, არამედ უმცირესობაშიც ვლინდება და, რო-

გორც წესი, ინსპირირებულია ფსევდოისტორიული დებულებების თავისუფალი ინტერპრეტაციით.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს. ეროვნული უმცირესობით (რომელსაც აქვს თავისი კულტურა, ენა, თვითშეგნება) კომპაქტურად დასახლებული სასაზღვრო ზოლი, რომელიც ემიჯნება ამავე წარმომავლობის ხალხით დასახლებულ სახელმწიფოს, აღიქმება როგორც პოტენციური რისკის ფაქტორი. ჩვეულებრივ, ყოველი სოციალური ან პოლიტიკური დაძაბულობის დროს, ასეთ რეგიონში ღვივდება ირიდენტული სწრაფვები ანუ მონათესავე ეთნოსის სახელმწიფოსთან შეერთების მოთხოვნა.

## **§ II. ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები<sup>1</sup>**

ისტორიულად პოლიეთნიკურ და მულტიკულტურულ საქართველოში ქვემო ქართლი მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევა. აქ ქართველებთან ერთად კომპაქტურად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები (აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები და სხვ). მათი კულტურული და სამეურნეო იზოლაციის მაღალი ხარისხი, მულტიკულტურალიზმის მიმართ კონსერვატიული დამოკიდებულება და ე.წ. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები, ინტეგრაციის გზაზე ძლიერ გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის მასშტაბით ყველაზე

---

<sup>1</sup> სტატიის სახით ნაწილი გამოქვეყნებულია: *მელიქიშვილი ლ., ჯანი-აშვილი ლ.* ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში, მაცნე №1, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2020, გვ. 121-132.

მრავალრიცხოვანი ე.წ. ეთნიკური უმცირესობების სომხების და აზერბაიჯანელების ურთიერთობები და ინტეგრაცია.

ხსენებული ჯგუფები იზოლირებულად ცხოვრობენ. ერთი შეხედვით მათ პოზიტიური განწყობები აქვთ ერთმანეთის მიმართ, თუმცა სხვა ჯგუფის ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ ნაკლებად იციან, ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანა-არსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ. ჯგუფებს შორის დიდი სოციალური დისტანცია და ნაკლებად განვითარებული ინტერკულტურული სენსიტიურობა, ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები და ეთნოცენტრიზმი განაპირობებს კულტურათაშორის დაპირისპირების მაღალ რისკს, რაც შეიძლება განხილულ იქნას, არა როგორც მხოლოდ კულტურათა დაპირისპირების ან კონკურენციის, არამედ როგორც მათ შორის კომუნიკაციის მოშლის და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პერიოდული გამწვავების შედეგი.

ზემოთქმულის მიუხედავად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში გარდაუვალი გახდა სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების ერთი სეგმენტის (არასამთავრობო ორგანიზაციების) ინტერესების თანხვედრა. ამიტომ თანდათანობით ფართოვდება მათი თანამშრომლობის სივრცე და ცალკეულ საკითხებში ურთიერთობის მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა. ზოგჯერ ეს ორგანიზაციები ცდილობენ ეთნიკური ელფერი მიაჩქონ საქართველოს რეგიონებში არსებულ ისეთ ტიპურ პრობლემებს როგორიცაა: სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელება, სტაგნაცია, გაუცხოება, სოფლის მეურნეობის დაცემა, ინფრასტრუქტურის მოშლა, ინტენსიური მიგრაცია, ენობრივი ბარიერი, საინფორმაციო ვაკუუმი, გადაუჭრელი ყოფითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განათლების არასახარბიელო მდგომარეობა. ცხოვრების დაბალ დონეს სახელმწიფოსაგან ყურადღების ნაკლებობით ხსნიან და საზღვარგარეთ ეკონომიკურ მიგრაციას პოლიტიკურ ტაქტიკად მიიჩნევენ, ამიტომ მას აზერბაიჯანელები –

„კულტურულ დეპორტაციას“, ხოლო სომხები – „ძალდატანებით დეპორტაციას“ უწოდებენ.<sup>1</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეთნიკური ჯგუფების განსახლების არეალების ერთმანეთთან გადაფარვის შემთხვევაში სეპარატისტული მოთხოვნების წარმოშობის ალბათობა მცირეა და უფრო მნიშვნელოვანია ცენტრალურ ხელისუფლებაზე კონტროლის ან გავლენის მოპოვება.<sup>2</sup> ქვემო ქართლში სწორედ ამგვარი სიტუაციაა, თუმცა გასული საუკუნის ბოლოსთვის რეგიონში ეთნიკური ურთიერთობები გამწვავდა. ქართული მოსახლეობა აქ მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს ქვეყნის მთლიანობისათვის საფრთხედ აღიქვამდა, სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში კი შეიმჩნეოდა მისწრაფება სხვადასხვა ტიპის ავტონომიისაკენ ან ირიდენტიზმისკენ. მასშტაბური დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აშორება იმ პერიოდში გარკვეულმა ფაქტორებმა, მათ შორის, მოსახლვრედ მდებარე აზერბაიჯანული და სომხური სახელმწიფოების ინტერესებმა განაპირობა, რასაც სავლელ ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ საკუთარ ჯგუფში არსებული ექსტრემისტული განწყობის აფიშირებას ყველა ერიდება და სხვებზე უფრო ღიად საუბრობს. ქართველები გასული საუკუნის ბოლოს შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში ე.წ. უმცირესობებს ადანაშაულებენ, აზერბაიჯანელები და სომხები კი – ეროვნული მოძრაობის ფონზე აზვირთებულ ნაციონალიზმს. არსებობდა დაპირისპირების ნიშნები სომხურ და აზერბაიჯანულ თემებს შორის რაც, სხვათა შორის, ყარაბახის კონფლიქტითაც იყო პროვოცირებული.

---

<sup>1</sup> **მელიქიშვილი ლ.**, ორმხრივი უარყოფითი სტერეოტიპი – ქსენოფობიის საფუძველი, ანუ სახელმწიფოებრივი ეთიკის კრიზისი, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 373.

<sup>2</sup> **კორნელი სვანტე**, ავტონომია – კონფლიქტის წყარო, ცივილიზაციათა დიალოგი, №2, თბ., 2004, გვ. 42-43.

წარსულის განდიდება და კულტურული განსაკუთრებულობის აფიშირება, როგორც ცალკეული ხალხის ყოფაში, ისე სამეცნიერო წრეებშიც, საკმაოდ ხშირია. ეთნოცენტრისტული კონცეპტუალური პარადიგმა ერთის მხრივ დიდი სახელმწიფოების იმპერიული მიზნების დაკმაყოფილების, მეორეს მხრივ კი „მცირე“ ხალხების ეროვნული მობილიზაციისა და კონცენტრაციის ეფექტურ საშუალებად იქცა. იგი ზოგჯერ დიდი დოზით გვხვდება მოძღვრებებში, რომლებიც გარეგნულად დემოკრატიისა და კოსმოპოლიტიზმის შინაარსს ატარებენ, თუმცა ნაციონალური პრობლემების გადაწყვეტის და საზოგადოების მობილიზაციისათვის ამა თუ იმ ხალხის კულტურული უპირატესობის ქადაგებას და წარსულის გაიდილება-განდიდებას არ ერიდებიან.

საკუთარი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური უპირატესობა, თუნდაც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, თანამედროვეობაში გარკვეული პრეტენზიის საფუძველი შეიძლება გახდეს. ზოგჯერ ამგვარი განწყობები სათავეს ფსევდოისტორიული ნარატივებიდან, ან ისტორიული ფაქტების არაობიექტური ინტერპრეტაციიდან იღებს. ამგვარი მიდგომის კლასიკური მაგალითია აფხაზეთის თვითღიარებული რესპუბლიკის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას ინტერვიუ. მან განაცხადა, რომ ისტორიულად აფხაზეთი კი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, არამედ საქართველო იყო აფხაზეთის ნაწილი<sup>1</sup>. კონფლიქტური სიტუაციის დროს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ისტორიული წარსული. დაპირისპირებული მხარეები მას ტერიტორიული თუ სხვა სახის პოლიტიკური პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად იყენებენ. ამ დროს ისტორია დამოკიდებული ხდება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

---

<sup>1</sup> *თორია მ.*, წარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში, (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), ცივილიზაციათა დიალოგი, №4, თბ., 2006. გვ. 25.

ინგლისელი მკვლევარი პ. ბერკი აღნიშნავს, რომ ისტორიკოსების შემოქმედება სულაც არ არის დამახსოვრების უწყინარი აქტი, ის სხვების მეხსიერების ჩამოყალიბების მცდელობაა.<sup>1</sup>

ისტორიული თემებით რომ მიზანმიმართული მანიპულირება შეიძლება, ეს ჩვენმა მთხრობელებმაც კარგად იციან. „ჩვენ ხალხში (სომხებში – ავტ.) ისევ პასკევიჩის ისტორია ზის. მიაჩნიათ, რომ პასკევიჩმა იყიდა მათთვის ეს მიწები“ (სომეხი მამაკაცი, წალკა). ამგვარ ვითარებას სასკოლო სწავლებასთანაც აკავშირებენ და მიაჩნიათ, რომ „ჩვენს სახელმწიფოში საგნები მხოლოდ საქართველოში დაწერილი წიგნებით უნდა ისწავლებოდეს“ (სომეხი მამაკაცი). „სკოლაში ისტორიას გვასწავლიდნენ აზერბაიჯანულად, ბაქოში გამოცემული წიგნით“ (აზერბაიჯანელი ახალგაზრდა კაცი). ჯგუფის პრიორიტეტულობაზე აპელირებას ანუ, შიდა ეთნოჯგუფურ ფავორიტიზმს, რომელიც ძირითადად ისტორიულ (ხშირად ფსევდოისტორიულ) ფაქტორებზეა დაფუძნებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიეთნიკურ გარემოში, სადაც საკუთარი ეთნიკური ჯგუფის უპირატესობის აღქმა იდენტობის შენარჩუნება//განმტკიცების და ასიმილაციის თავიდან აცილების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ი. კონი მიიჩნევს, რომ ცხოვრებისეული მოვლენების იმ პრიზმიდან აღქმა და შეფასება, რომლიდანაც მისი ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ტრადიციები და ღირებულებები გარკვეული ეტალონისა და ოპტიმების როლშია, ადამიანის დამახასიათებელი ჩვევაა.<sup>2</sup> საკუთარი კულტურა არის ნორმა, ისტორია ყველაზე მდიდარი, ღირებულებები – ყველაზე მისაღები, ბუნებრივი და სწორი, რაც სიამაყის და უპირატესო-

---

<sup>1</sup> *თორია მ.*, წარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში, (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), ცივილიზაციათა დიალოგი, №4, თბ., 2006. გვ. 25.

<sup>2</sup> *Кон И.* Этноцентризм// Философский энциклопедический словарь, М., 1983, с. 812.

ბის შეგრძნებას უდევს საფუძვლად. სხვა ჯგუფის კულტურა, ღირებულებები და ნორმები საკუთარ კულტურასთან მიმართებით განიხილება და როგორც წესი უფრო დაბალ დონედ მიიჩნევა, რაც ხელს უშლის ჯგუფთაშორის ურთიერთობას და ინტეგრაციულ პროცესს, სამაგიეროდ აძლიერებს შიდაჯგუფურ მობილიზაციას და ეთნიკურ საზღვარს.

ქვემო ქართლის ე.წ. „ეთნიკური უმცირესობები“ მეზობელი ქვეყნებიდან გარკვეულ მაპროვოცირებელ იმპულსებსაც იღებენ. აზერბაიჯანული და სომხური თემის კონსოლიდაციის და იდენტობის განმტკიცების საქმეში მონაწილეობენ სომხეთის და აზერბაიჯანის აკადემიური წრეების და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რადგან მიაჩნიათ, რომ სასაზღვრო რეგიონში სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის განმტკიცება მათ სახელმწიფო ინტერესებში შედის. აქ მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესზე ასევე გავლენას ახდენს რუსეთი და თურქეთიც. ამ კუთხით საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. საქართველოს სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად მოსახლე ეთნიკურ უმცირესობებში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შეიმჩნევა სეპარატისტული და ირედენტული სწრაფვები. სწორედ ეთნიკური „კოზირის“ გათამაშებით შეძლო რუსეთმა ქართული ტერიტორიის 20%-ის ოკუპირება<sup>1</sup>.

სომხურ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბებული ტენდენციები ნაწილობრივ გამყარებულია რუსულ იდეოლოგიურ ცენტრში შემუშავებული დებულებით, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის დროს სტალინმა, როგორც ქართველმა, საქართველოს შემოუერთა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიები და ამიტომ ის ვინც ამტკიცებს რომ ეს მიწები საქართველოს მიეკუთვნება, სტალინისტია, სტალინის გა-

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი ლ.*, კონფლიქტის ანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები), თბ., 2006, გვ. 11-124.



დანყვეტილებას იცავს.<sup>1</sup> ამ დებულების აბსურდულობა მარტივად დაასაბუთეს ქართველმა მეცნიერებმა,<sup>2</sup> თუმცა, იგი ხელსაყრელად მიიჩნიეს მეზობელ სომხურ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში. რუსეთის იმპერია და მით უფრო სტალინური რეჟიმი თანამედროვე მსოფლიოში ბოროტებასთან ასოცირდება, ცხადია ბოროტებასთან იგივდება მათი გადანყვეტილებებიც. ამიტომ საქართველოს დამარცხების და დანანევრების შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოების თვალში ტერიტორიული პრეტენზიების გამოცხადების პერსპექტივა სწორედ ამ გზით შეიძლება გაამართლონ.<sup>3</sup>

შედარებით ძველია ე.წ. „დიდი სომხეთის თეორია,“ რომელიც ამტკიცებს, რომ საქართველოს ნაწილი (ქვემო ქართლი და ჯავახეთი) ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სომხეთის სახელმწიფოში შედიოდა, ამიტომ იგი პერსპექტივაში კვლავ სომხურ ეთნოპოლიტიკურ სივრცეს შეიძლება შეუერთდეს. ქართული მიწების სომხურ ისტორიულ ტერიტორიად გამოცხადებას სათანადო ოპონირება გაუწიეს ქართულ აკადემიურ წრეებში. ამ მასალის ნაწილი გამოქვეყნდა კრებულში.<sup>4</sup> „დიდი სომხეთის

---

<sup>1</sup> **Путин В.**, Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В. Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн» Сочи, 28 августа 2008 г., ინტერნეტ ვერსია: <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>

<sup>2</sup> **მეტრეველი რ.**, On Some Issues of Georgian History (In response to the Interview of V. Putin, the President of Russia, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 13, №3, 2019, გვ. 168-175; **Лордкипანიძე М., Мухелишвили Д.**, Открытое письмо премьер-министру российской федерации В. Путину, Некоторые вопросы истории осетин ШИДА картли, Тбилиси, 2010, с 10-15.

<sup>3</sup> **ჭეიშვილი გ.**, «Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение», ინტერნეტ ვერსია: [http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmqt-MBZUE9\\_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE](http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmqt-MBZUE9_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE)

<sup>4</sup> Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Тбилиси, Универсал, 2009.

თეორიის“ აზერბაიჯანულ საპირწონეს წარმოადგენს ბაქოს ინტელექტუალურ წრეებში ბოლო ხანებში გაჩენილი ე.წ. „ალბანური თეორია“, რომლის თანახმადაც, იბერიის (ქართლის სამეფოს) ისტორიული მეზობლის, ალბანეთის მოსახლეობა ეთნიკურად თურქული//აზერბაიჯანული იყო. ალბანურ//აზერბაიჯანულ პოლიტიკურ გაერთიანებად მიიჩნევენ შექვის სახანოს და თბილისის საამიროს, რომლის დაცემის შემდეგაც ყველა კულტურულ-ისტორიული ძეგლი გაანადგურეს (იგულისხმება ქართველებმა – ავტ.)<sup>1</sup>.

ორივე ეს თეორია მრავალკომპონენტანია და ისეთ ელემენტებს შეიცავს როგორცაა: ეთნოდემოგრაფიული ვითარება ისტორიულ და თანამედროვე ქრილში, პოლიტიკური ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების (ძირითადად რელიგიური) კუთვნილების საკითხები და ა.შ. მაგ.: სომხური თვალსაზრისით, ქვემო ქართლი ისტორიულად სომხური პოლიტიკური ერთეულების შემადგენლობაში შედიოდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უწყვეტად სომხური (ყოველ შემთხვევაში ქალკედონიტი სომხებით დასახლებული) იყო. ორი ათასწლეულის მანძილზე სომხები აქ დემოგრაფიულ უმრავლესობას წარმოადგენდნენ და არასდროს შეუწყვეტიათ კულტურულ-აღმშენებლობითი მოღვაწეობა, ამიტომ ქრისტიანული ტაძრების უმეტესობა მათი ეროვნული შემოქმედების ნაშთს წარმოადგენს.<sup>2</sup> აზერბაიჯანელი მკვლევრების ნაწილი, თავის მხრივ, ამ ქართულ მხარეს, ისტორიულად თურქულ-აზერბაიჯანული გაერთიანებების გავლენის სფეროში მყოფად მიიჩნევს, მოსახლე-

---

<sup>1</sup> Территория Грузии искусственно увеличивалась за счет Азербайджана, Интервью с директором Института истории имени А. Бакиханова Национальной Академии Наук Азербайджана, членом-корреспондентом Академии *Ягубом Махмудовым*, интერнет ვერსია: <https://www.gumilev-center.ru/territoriya-gruzii-iskusstvenno-uvlichivalas-za-schet-azerbajdzhana>

<sup>2</sup> *Мухелишвили Д*, Вместо предисловия, Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Тбилиси, Универсал, 2009, с 3-8

ობას უძველესი დროიდან – აზერბაიჯანულად, შესაბამისად მატერიალური კულტურის ძეგლებსაც აზერბაიჯანულად//ალბანურად თვლის.<sup>1</sup>

საველე მუშაობის პროცესში შევამჩნიეთ, რომ აზერბაიჯანელთა მოსახლეობის ნაწილი, **აზერბაიჯანულთან** ერთად ახალ თვითსახელს **ალბანელს** ირჩევს. შეიმჩნევა ამ ახალი იდენტობის პოპულარობის ზრდა ქვემო ქართლის თითქმის ყველა აზერბაიჯანულ სოფელში. ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ამასთანავე ვერ ელევებიან თურქულ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კავშირს. ცდილობენ აღნიშნონ ან დაანესონ დღესასწაულები, რომლებიც თურქებთან მათ ერთიანობას ადასტურებს, გაუფრთხილდნენ იმ საკულტო ძეგლებს, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, თურქული წარმომავლობის დამადასტურებელია. ეს ჯგუფი ეთნიკური სახელდების მიხედვით გაურკვეველ სიტუაციაში იმყოფება, რადგან გააჩნია ნეგატიური და პოზიტიური ნიშნებით დატვირთული რამდენიმე სახელი (ეთნონიმი) – აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანელი თათარი, თათარი, ბორჩალოელი, თურქი. ზოგიერთი ამ ტერმინებისაგან (მაგ თათარი, აზერბაიჯანელი თათარი) კატეგორიულად მიუღებელია მათთვის, მაგრამ სრულიად გასაგები და ფართოდ გავრცელებულია სხვა ჯგუფის (სომხების, ქართველების) ნევრებში. საგულისხმოა, რომ ახალი ეთნონიმის, „ალბანელის“,

---

<sup>1</sup> Территория Грузии искусственно увеличивалась за счет Азербайджана, Интервью с директором института истории имени А. Бакиханова Национальной Академии Наук Азербайджана, членом-корреспондентом Академии **Ягубом Махмудовым**, интერнент ვერსია: <https://www.gumilev-center.ru/territoriya-gruzii-iskusstvenno-uvlichivalas-za-schet-azerbajdzhana/> **Юнусов А.**, Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г., с. 160-170; **Гейбулаев Г. А.**, К этногенезу Азербайджанцев (по данным топонимии), К проблеме этногенеза Азербайджанского народа, Баку 1984, с. 88 და სხვები.

გაჩენა კიდევ უფრო გაართულებს მათი ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის ისედაც ბუნდოვან საკითხს.

ეთნიკური კუთვნილების შეხსენება//განმტკიცება მუდმივად ხდება იმ ტიპის საერთო სახალხო შეკრებებით, რომლებიც ამჟამურებს ჯგუფის ერთიანობის შეგრძნებას სომხებთან ან აზერბაიჯანელებთან. ძველი რელიგიური დღეობების გვერდით ახალი რიტუალები გაჩნდა. 2009 წლიდან აზერბაიჯანელები, ბაქოში დაფუძნებული საზგადოება „ბორჩალოს“ ორგანიზებით, პანტიანის ტბაზე (დმანისის რაიონში) ზეიმობდნენ „ელათი“-ს (მწყემსის დღე) რომელსაც ფორმალურად მეგობრობის ღონისძიება უწოდეს, თუმცა ძირითადად თურქულ-აზერბაიჯანული სულის გაღვივებას ემსახურებოდა (ამჟამად, დმანისის მუნიციპალური ხელმძღვანელობის ინიციატივით, ეს დღესასწაული ჩაანაცვლა „დმანისობამ“). სომხები ყოველწლიურად 24 აპრილს აღნიშნავენ „გენოციდის დღეს“. ისტორიულ სამშობლოსთან მუდმივი თანაზიარობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ეროვნული სულის მატარებელ მემორიალებს (გენოციდის აღმნიშვნელი ბარელიეფი ან ყარაბახის ომში მონაწილის ბიუსტი, ისტორიული პიროვნების ძეგლი და ა.შ.).

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ კულტურული განსაკუთრებულობის შეგნება გარკვეულ საფუძველს ემყარება, რადგან თითოეული ჯგუფი ამ თვალსაზრისით მართლაც უნიკალურია. მხოლოდ უარყოფითი ნიშნით არ შეიძლება წარმოვადგინოთ ეთნოცენტრიზმიც, რადგან ეს სამყაროს საკუთარი კულტურის ფილტრის მეშვეობით შეფასების ტენდენციაა, რომელიც ყველას ახასიათებს და ამდენად ყველა ადამიანი ეთნოცენტრისტია, რადგან აქვს კულტურით განსაზღვრული ჩვევის გარკვეული მოდელები.<sup>1</sup> ქვემო ქართლში ამ მიმართებით არც თუ ისე მკაფიო ვითარება ჩამოყალიბდა. ერთის მხრივ,

---

<sup>1</sup> *Мацумото Дэвид.*, Человек, культура, психология. Удивительные загадки, исследования и открытия. Санкт-Петербург, 2008, с. 104.

„სომხური“ ან „აზერბაიჯანული“ ჯგუფი მჭიდრო ბმაშია სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოსთან, მათ ისტორიულ სამშობლოდ აღიქვამს, ხოლო ახლანდელ საცხოვრებელ ადგილს, ეთნოცენტრისტული ნარატივების გავლენით, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ამ სამშობლოს ნაწილად მიიჩნევს. მეორეს მხრივ, იგი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მისი საცხოვრებელი ტერიტორია ქართული სახელმწიფოს ნაწილი. ამგვარი სიტუაცია ეთნიკური იდენტობის მარგინალიზაციის და კონფლიქტის მაპროვოცირებელ პოტენციურ ფაქტორად გვევლინება.

პოლიეთნიკური რეგიონის ინტეგრაციის სამი ძირითადი შესაძლებლობა არსებობს: I. ეთნიკური ჯგუფების (ე.წ. უმცირესობების) ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია; II. ჯგუფთა შორის არსებული კულტურული საზღვრების კიდევ უფრო განმტკიცება, კულტურული განსხვავებების გაღრმავებით; III. სეპარაცია. ეს პრობლემა შედარებით მწვავედ დადგა ქვემო ქართლში სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ჯგუფები, რომელთაც განსხვავებული ეთნოკულტურული იდენტობა აქვთ.<sup>1</sup>

ქართული საზოგადოების ნაწილის აზრით, საგარეო საფრთხეები კავშირშია ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტერესებთან, რაც განსაზღვრავს კიდევ დამოკიდებულებას მათ მიმართ. თავის მხრივ, ამ ეთნიკურ ჯგუფებშიც მოხდა ღირებულებათა სისტემის გარკვეული აღრევა, რადგან ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება ენის და ტრადიციული კულტურის გაფრთხილება-კონსერვაციას მოითხოვს, ინტეგრაციული პროცესები კი პირიქით, მათ ტიტულარული ეთნოსის კულტურული ელემენტების ათვისებისაკენ უბიძგებს.

---

<sup>1</sup> **ჯანაშვილი ლ.**, ჯგუფთაშორის საზღვრები და ინტერკულტურული დიალოგი ქვემო ქართლში, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი თბ., 2011, გვ. 138.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები შეიძლება მიმართული იყოს ინტეგრაციის ან ეთნიკური ასიმილაციის მიმართულებით. ეთნიკური ასიმილაცია წარიმართება შიდა ეთნიკური იდენტობის წაშლის გზით (ამ დროს ძირითადი აქცენტი გაკეთდება ჯგუფების ეთნოკულტურული თავისებურებების რადიკალურ ტრანსფორმაციაზე); ინტეგრაციული პროცესის გააქტიურება კი შეიძლება ჯგუფთაშორისი სოლიდარობის და ტოლერანტობის გაზრდის ხარჯზე, როდესაც სახელმწიფო გამოდის ჯგუფთა თვითმყოფადობის და კულტურული იდენტობის დაცვის გარანტად. პირველი სტრატეგია, როგორც ნესი, დამახასიათებელია ტოტალიტარული სახელმწიფოს ტიპისათვის და შესაძლებელია, კონფლიქტის მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცეს, რადგან ეწინააღმდეგება ეთნიკურ ერთეულთა მისწრაფებას თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.<sup>1</sup>

სხვადასხვა წარსულის, მენტალიტეტის, ტრადიციული ყოფითი და სულიერი კულტურის მქონე ჯგუფების თავმოყრა ერთ რეგიონში, რა თქმა უნდა, გულისხმობს მათ შორის გარკვეულ დაპირისპირებას. ამასთან, თავისთავად მიმდინარეობს ეთნიკური პროცესები, როდესაც ხდება ცალკეული პირების ან მთელი ჯგუფების გადასვლა სხვა ეთნოსოციალურ ერთობაში. ეს პროცესი შეიძლება ასიმილაციითაც დასრულდეს, თუმცა მანამდე ცალკეული ინდივიდები გარკვეულ ეთნიკურ საზღვარზე მარგინალურ სიტუაციაში იმყოფებიან; რალაც ნიშნებით ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რალაცით კი სხვას. ამგვარი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად აისახება მათ შეხედულებებზე, ცხოვრების სტილზე, თვითრეფლექსიაზე, კარიერაზე, სოციალურ სტატუსზე და ა.შ. ხდება ადამიანის ერთგვარი პიროვნული გაორება. ქვემო ქართლში ამგვარი ვითარება ხშირად ის-

---

<sup>1</sup> *Тишков В. А.* Как обновить концепцию национальной политики? Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48. 2003, с. 48.

ტორიულ კონტექსტში განიხილება და საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება, ერთის მხრივ, ე.წ. „დონორი“ ჯგუფის და მეორეს მხრივ, მიმღები ჯგუფის მიერ.<sup>1</sup>

როგორც ითქვა, რეგიონში მოსახლე სომხების და აზერბაიჯანელების იდენტობის კონსტრუირება ძირითადად ქართულ პოლიტიკურ ორგანიზმში მიმდინარეობდა, მათი წინაპრების უმრავლესობას არ უცხოვრია თვით XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულ სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებში. თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი ეთნიკურობას სწორედ სომხეთს და აზერბაიჯანს უკავშირებენ. ქვემო ქართლის სომხურ და აზერბაიჯანულ თემებზე, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას ახდენს ზემოაღნიშნული თეორიებიც, რადგან მათ, პირველ რიგში, ავტოქთონობა მიაჩნიათ ამ ტერიტორიაზე ცხოვრების ძირითად არგუმენტად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მეხსიერება საკუთარი ხალხის თავგადასავლის შესახებ ძირითადად საქართველოს უკავშირდება. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სოფ. გიულბაღში (მარნეულის მუნიციპალიტეტი) სომხები გვიამბობენ გადმოცემას დონლუზვრანის შესახებ. მათი თქმით დონლუზვრანი ადგილობრივი სომეხი გმირი ყოფილა მეფე ერეკლეს ეპოქაში. „მეფე ერეკლეს დროს დალესტნიდან აქ ხშირად დადიოდნენ საყაჩაღოდ. ერთმა ყაჩაღმა ძალზე შეაწუხა აქაურები. ერეკლემ კაცი გამოუგზავნა, დაიჭირეთ ეგ დალესტნელი და მომგვარეთო. დონლუზვრანმა და მისმა ძმებმა ხუდმა და ჯიმაღმა იცოდნენ, რომ ამ ყაჩაღს საყვარელი ჰყავდა სადახლოში და მასთან მივიდოდა. დაუდარაჯდნენ, დაიჭირეს იგი და გათოკეს“. ბოლნისის მკვიდრი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი კი გვიამბობს, რომ მათ მხარეში არის „თამარას კალა“ (თამარის ცი-

---

<sup>1</sup> **ჯანიაშვილი ლ.**, ჯგუფთაშორის საზღვრები და ინტერკულტურული დიალოგი ქვემო ქართლში, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მე-ლიქიშვილი თბ., 2011, გვ. 138.

ხე – ავტ.) სადაც დაკრძალულია მეფე თამარი. მათი გადმოცემის თანახმად, თამარი მუსლიმი ყოფილა.

ცხადია, მთხრობელთა თვალსაზრისით ეს კუთხე (თამარ მეფის, ერეკლეს ეპოქაში) საქართველოში შედიოდა, თუმცა მოსახლეობაში იყვნენ სომხებიც და აზერბაიჯანელებიც (მთხრობლის სიტყვით თამარი ხომ მუსლიმი//თათარი იყო).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია გასული საუკუნის 90-იან წლებში ჯავახეთში, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ ქართულ რეგიონში, არსებული მდგომარეობა. აქაური სომხები მიიჩნევდნენ, რომ ჯავახეთის მიკრორეგიონი მათი სამშობლოა, რომელიც მოიცავს ტერიტორიას აქედან (ახალქალაქიდან) მოყოლებული სომხეთის რესპუბლიკის ჩათვლით. ეს თვალსაზრისი ამ რეგიონშივე, საველე საექსპედიციო მუშაობისას, ქართველ მკვლევრებთან საუბარში გამოიხატებოდა ფორმულაში „თქვენთან საქართველოში ასეა, და ჩვენთან (აქ) სომხეთში კი ასე“.<sup>1</sup>

ქვემო ქართლში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხებისაგან განსხვავებით, მკაფიოდ მიჯნავენ რეგიონს, როგორც ქართული სახელმწიფოს ტერიტორიას, მეზობლად მდებარე სომხური და აზერბაიჯანული სახელმწიფოებისაგან.

„სასმელი წყალი **სომხეთის** ტერიტორიიდან მოდის (ხაზგასმა აქაც და ქვემოთ ჩვენია –ავტ.). ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ავკრიფეთ ფული, სადაც 50 წლის წინ. მთავრობა არაფერში დაგვხმარებია. ვიყიდეთ მიწები და ჩავყარეთ“ (სომხები, სოფ. ხოჭორნი). **„პირველები მისკალანები ჩამოვიდნენ, მერე ხუდონიანები** (სოფ. ჩანახჩში – ავტ.) **1850 წელს, შემდეგ კი სომხეთიდან: ალავერდის, ახპატისა და სანაინის რაიონიდან გადმოვიდნენ“**. ზოგი სომეხი და აზერბაიჯანელი ლიად აცხადებს,

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში: წიგნი კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ რეგიონში, რედ. ლ. მელიქიშვილი თბ. 1998, გვ. 288.



რომ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია საქართველოს დაცვაში იარაღით ხელში მიიღოს მონაწილეობა. ქართული სახელმწიფოს სამსახურში ყოფნა ზოგჯერ შიდაჯგუფური დაპირისპირების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

რელიგია ტრადიციულ საზოგადოებებში ჯგუფთა შორის განმასხვავებელ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. ყოფით დონეზე აზერბაიჯანელებს სწორედ ამ ნიშნით განასხვავებენ. მათ თითქმის ყველა ჯგუფი „თათრებად“ მოიხსენიებს, რადგან მათი იდენტობის მთავარ კომპონენტად ისლამი მიაჩნიათ.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მეტ-ნაკლებად შეგნებული აქვთ, რომ „ეს ქრისტიანული ქვეყანაა“. ისინი შედარებით ლოიალურად არიან განწყობილნი და თვით მუსლიმის გაქრისტიანებასაც არ აღიქვამენ ტრაგედიად „მუსლიმის მიერ ქრისტიანობის მიღებაში ან პირიქით არაფერი არაა ცუდი. ყურანშიც წერია ქრისტიანებს ჩვენზე წინ მიუღიათ წიგნი და სუფთად მიყვებიან.“ ისლამური გარემო განსაკუთრებული რადიკალიზმითაა ცნობილი. ისლამის ინდივიდუალური და კოლექტიური რეალიზაციისათვის აუცილებელია ისლამური სახელმწიფო. ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშევრდომად ქცეულმა მუსლიმმა უნდა შეასრულოს ჰიჯრა (დატოვოს არამუსლიმანთა ტერიტორია), თუ ამის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. უკიდურეს შემთხვევაში საგანგებო ფეტვა უშვებდა ფორმალურად ისლამზე უარის თქმასაც კი. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მუსლიმს აიძულებდნენ მიუღებელი რამ ჩაედინა (ექვამა ღორის ხორცი, დაელია ღვინო, მონაწილეობა მიეღო წირვაში და ა.შ.) თავისი ამგვარი ქმედებებისადმი დისტანცირება მას სულში უნდა გაეკეთებინა.<sup>1</sup> ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების მიერ მუსლიმური რელიგიისათვის დამახასიათებელი აკრძალვების დარღვევას ზოგიერთი რელიგიური ინდიფე-

---

<sup>1</sup> *Ланг М.*, Традиция миграций в мусульманском кругу, // Центральная Азия и Кавказ, №1, 1998, с. 125.

რენტიზმით ხსნის. „მე სუნიტი ვარ, თუ შიიტი არც ვიცი, მეჩეთში სიარულის მეტი საქმე არა მაქვს (იცინის), ისე ბიჭს სუნიათი (წინადაცვეთა) კი გავუკეთე. ნოვრუზს აღნიშნავს ძირითადად ბებერი ხალხი, ხოლო რამადანს არავინ იცავს... ისე ღორის ხორცს მეც მივირთმევ“ (შუა ასაკის აზერბაიჯანელი).

იმავედროულად, ქრისტიანი მოსახლეობა ისლამური საღვთისმსახურო (რელიგიური) ნაგებობების მშენებლობის გააქტიურებაზე საუბრობს და ამას აზერბაიჯანელთა მხრიდან ტერიტორიული პრეტენზიის გამოცხადების პერსპექტივას უკავშირებს. ჩვენთან საუბარში არატიტულარული ჯგუფების წარმომადგენლები საქართველოს სახელმწიფოსა და მთავრობისადმი თავიანთ კეთილგანწყობას ხაზს უსვამდნენ, თუმცა თითოეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ქართველებს. „თქვენ ქართველები ხართ, თქვენ გაიფიცებით და გისმენენ, ჩვენ კი არ გვისმენენ“ (სოფ ხოჟორნი). თავის მხრივ ქართველებს მიაჩნიათ, რომ პირიქით, აზერბაიჯანელები და სომხები არიან პრივილეგირებულინი. მაგ., აზერბაიჯანის ხელისუფლება „სოკარის“ მეშვეობით დიდ გავლენას ახდენს ქვემო ქართლში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე.

რეგიონის ეთნიკური სპეციფიკიდან გამომდინარე ითვლება, რომ ეს მხარე არჩევნების დროს არსებული ხელისუფლების მუდმივი მხარდამჭერია. ნაწილობრივ ეს სიმართლეს შეესაბამება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამით არატიტულარული კონტინგენტი საკუთარ ლოიალობას ამჟღავნებს არა კონკრეტული პოლიტიკური ძალის, არამედ სახელმწიფოს მიმართ. მაგ. სოფ. სადახლოში ჩვენი აზერბაიჯანელ მთხრობელთა უმეტესობა 2006 წელს ამბობდა, რომ აქ არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებს, მასში ქალები საერთოდ არ მონაწილეობენ, რადგანაც მუსლიმური კულტურა ვერ იტანს ქალის ზედმეტ აქტიურობას. ისინი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას, თუ ის ოჯახის უფროსისას არ ემთხვევა, ვერასოდეს გაბედავენ. რამდენიმე წლის შემდეგ,

2010 წელს იმავე სოფლის მაცხოვრებელთა ნაწილი გვიმტკიცებდა, რომ აქაური ქალები არჩევნებში აქტიურად მონაწილეობენ და თავიანთი პოლიტიკური გემოვნების გამჟღავნებასაც არ ერიდებიან. 2018 წელს კი ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა თქვა, რომ მომავალი არჩევნების შედეგების პროგნოზირება საკმაოდ ძნელია, რადგან იგი დამოკიდებული იქნება არა მმართველი ძალის სურვილზე, არამედ რეგიონში არსებულ რეალურ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

ამრიგად, ქვემო ქართლში სომხები და აზერბაიჯანელები ძირითადად იზოლირებულად ცხოვრობენ და ხასიათდებიან როგორც ფიზიკური, ასევე საინფორმაციო და ფსიქოლოგიური იზოლაციით. ერთი შეხედვით მათ პოზიტიური განწყობები აქვთ ტიტულარული ეთნოსის და ერთმანეთის მიმართ, მაგრამ სხვა ჯგუფის ტრადიციებსა და ადათ-წესებს ნაკლებად იცნობენ, ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ, თუმცა სავსე მასალა მოწმობს, რომ მათში თანდათანობით მყარდება შეგნება, რომ ქართული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და სათანადო უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ აქვთ საქართველოს წინაშე.

### § III. იდენტობის საკითხი ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდა. მათ შორის ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. ევროკავშირისკენ და ნატოსკენ მიმართული სწრაფვის აღსაკვეთად კრემლმა აქ ეთნოკონფლიქტების ინსპირირება შეძლო, შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20% მეტი ოკუპირებულია.

ჰიბრიდულ ომში მოსკოვი წარმატებით იყენებს საქართველოს ეთნიკური ჯგუფების განსახლების თავისებურებას; კერძოდ, სასაზღვრო ზოლი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურადაა დასახლებული, რომელთაგან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ზოგს სეპარატისტული, ზოგს კი ირედენტული სწრაფვები გაუღვივდა<sup>1</sup>. ამ რაკურსში შედარებით „მშვიდობიანად“ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების და სომხების საკითხი მოგვარდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, „ნალმის აფეთქების“ საშიშროება, რომელიც საზღვრის დემილიტარიზაციას უკავშირდება, შეიძლება კვლავ აქტუალური გახდეს, რაც საკითხის ფრთხილად და გონივრულად გადაჭრას მოითხოვს. ამ პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, როგორია საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების და სომხების დამოკიდებულება საზღვრის დადგენის პრინციპების შესახებ. როგორც ირკვევა, ამ მიმართებით მოსახლეობა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს უძველესი დროიდან ტერიტორიის ისტორიული კუთვნილების საკითხს.

ჯერ კიდევ 10 წლის წინ ქვემო ქართლში, ჩვენი ექსპედიციის მუშაობისას, აზერბაიჯანელი მოსახლეობის ინტელექტუ-

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი ლ.*, კონფლიქტის ანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები), ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მემატიანი“, თბ., 2006.

ალური წრის წარმომადგენელთა ნაწილი აცხადებდა, რომ ისინი არიან ალბანელები. უფრო სწორად, აზერბაიჯანელებლად კი თვლიან თავს, მაგრამ თვითდასახელებად ახალ სახელს ირჩევენ: „Мы не азербайджанцы, мы албанцы“ (ჩვენ არა ვართ აზერბაიჯანელები, ჩვენ ალბანელები ვართ). ბოლო წლებში ჩატარებულმა სავლე კვლევამ გამოავლინა ამ საკითხის სივრცობრივი გაშლა. ამჯერად ქვემო ქართლის თითქმის ყველა აზერბაიჯანულ სოფელში არსებულ ქრისტიანულ ძეგლებს და საფლავის ქვებს, რომელთაც ზოომორფული (ცხენისა თუ ცხვრის) გამოსახულება აქვს, ალბანურად მიიჩნევენ და გვეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი იციან ხალხისგან, რომელიც თურმე აქ „თქვენსავით (ეთნოლოგებივით – ლ.მ.) დადიან“.

ამრიგად შექმნილია ვითარება, როდესაც: საქართველოში (მის პოლიტიკურ საზღვრებში) არსებობს არადომინანტი კომპაქტურად მცხოვრები ეთნოჯგუფი, რომელიც გარკვეულ პერიოდში (XX საუკუნის 30-იანი წლებიდან) მოიაზრებოდა აზერბაიჯანელებად და ამჟამადაც აზერბაიჯანელის ეთნონიმი მოიხსენება, თავს მიიჩნევს, ერთის მხრივ, მეზობელი ქვეყნის აზერბაიჯანელი ეთნოსის ნაწილად სხვა ქვეყნის (საქართველოს) პოლიტიკურ საზღვრებში; მეორეს მხრივ, შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ისინი უუძველესი ალბანელების შთამომავლები არიან. ბუნებრივია ეს აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბებულ ე.წ. „ალბანურ თეორიას“ უკავშირდება და ეთნიკური იდენტობის გარკვეული მახასიათებლების ტრანსფორმაციის მანიშნებელია.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულმა ჯგუფმა რეგიონში სოციო-კულტურული განვითარების დამოუკიდებელი გზა განვლო. აზერბაიჯანელებს აქვთ თავისი ისტორიული თავგადასავალი, ტრადიციები, ქცევის ნორმები, ეთნიკური ღირებულებანი, მენტალიტეტი, სტერეოტიპები, მეურნეობის ორგანიზაციის მისთვის დამახასიათებელი ხერხები. ისინი მიეკუთვნებიან ძნელადმოდერნიზებად, ანუ კულტურის დახურულ სისტემის ტიპს. ამის მიუხედავად, გარედან მოქმედი მაპროვოცირებელი

ფაქტორები ზემოქმედებას ახდენენ მათ ეთნიკურ თვითაღქმაზე, აძლიერებენ და მიმართულებას აძლევენ ეთნოცენტრისტულ გრძნობებს, რაც საყურადღებოა სახელმწიფო უსაფრთხოების კუთხით. გასათვალისწინებელია, რომ დახურული ტიპის ეთნიკურ სისტემებში უცხო სოციალურ ან ეთნოკულტურულ გარემოში ცხოვრებისას განსაკუთრებულად ძლიერია ეთნიკური ერთობის ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმი, რაც გამოიხატება თვითიზოლაციაში, მეზობელ ეთნოსებთან კონტაქტების შემცირებაში, სოციალური დისტანციის გაზრდაში და, ამავე დროს, საკუთარი სტატუსის ამაღლებასა და პოზიტიური ჯგუფური იდენტიფიკაციის გაძლიერებაში<sup>1</sup>. ამას თან სდევს ნეგატიური ჰეტეროსტერეოტიპების გაძლიერება, რაც დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომი საზოგადოებისთვის საკმაოდ დამამუხრუჭებელ პრობლემას წარმოადგენს<sup>2</sup>.

ეთნიკური იდენტობა კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. კულტურული იდენტიფიკაცია კი არის კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითშეგრძნება თავი მიაკუთვნოს რაიმე თავი მიაკუთვნოს საზოგადოებას, გაერთიანებას, ჯგუფს – ესაა ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილება. საერთოდ, ეთნიკური იდენტობა არ არის სტატიკური, ის დინამიკურია და ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამო შეიძლება ისიც შეიცვალოს. ასევე შესაძლებელია შეიცვალოს კულტურული იდენტობაც.<sup>3</sup> ზოგ ქვეყანაში არამარტო

---

<sup>1</sup> *Дубова Н. А., Лебедева Н. А.*, Адаптация русских сторожилов в Азербайджане, СЭ, №5, 1989.

<sup>2</sup> *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური იდენტობა და კულტურული ფაქტორები, ნიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და რედაქტორი: მელიქიშვილი ლ., კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბ., 2011, გვ. 342-363.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 344.

სოციალურ პრობლემებზეა ლაპარაკი, არამედ იმაზე, თუ ჯგუფმა რა სახელი აირჩიოს თვითნოდებად. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში აზერბაიჯანელებზე, რომლებიც დღეს საკმაოდ მძაფრად აპროტესტებენ სახელწოდება „თათარს“ -- „არ მოგვწონს როდესაც თათრებს გვინოდებენ“. თუმცა, ასევე, არის შემორჩენილი ადგილები (მაგ., წალკაში), სადაც არ იღებენ სახელწოდება „აზერბაიჯანელს“ და თავის თავს „თათარს“ უწოდებენ.

საკუთარი ჯგუფის სახელწოდებაზე განსაკუთრებით ინტელექტუალური წრის წარმომადგენლები ამახვილებენ ყურადღებას. როგორც აღვნიშნეთ, ზოგი მიიჩნევს, რომ ისინი ალბანელები არიან და არა აზერბაიჯანელები. ამ მოვლენით უმცირესობის ეთნოჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, მაგრამ შეიცვალოს თვითდასახელება და ამით საკუთარი პერსონა და თავისი ჯგუფიც უფრო „მაღალ (ავტოქთონის) სტატუსში“ აიყვანოს, ამით გაუთანაბრდებიან უმრავლესობას – ქართველებს, ამგავრად, ჩაითვლებიან კავკასიის ავტოქთონ მოსახლეობად და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზეც ექნებათ „ისტორიული საკუთრების უფლება“. გამორიცხული არაა, ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში ამ კონტექსტში გამოიყენონ „ალბანელების ქრისტიანობაც“ (დააყენონ ქრისტიანული ტაძრების კუთვნილების საკითხი).

ჯგუფის მიერ ეთნონიმისა და მკვიდრობის ისტორიის შეცვლა ან შეცვლის მცდელობა არ არის ახალი მოვლენა.<sup>1</sup> პოლიტიკური კოლიზიების გამო ჯგუფს კი არა, ზოგ შემთხვევაში, ერსაც კი მიუღია ასეთი გადაწყვეტილება, ანუ თავისი იდენტობა დიდი პოლიტიკის შესაბამისად ჩამოუყალიბებია.<sup>2</sup> გვხვდება შემთხვევები ადამიანისა თუ ჯგუფის ცხოვრებაში, როდესაც შეგნებულად ხდება იდენტობის შეცვლა, რაც განპი-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 347-348.

<sup>2</sup> *Шнирельман В.А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003, с. 194-255.

რობებულია გარკვეული ხასიათის სოციალური ან პოლიტიკური ფაქტორებით.

როგორც აღინიშნა, ეთნიკური ერთობის ფსიქოლოგიური თავდაცვის ერთგავრ მექანიზმს წარმოადგენს ეთნოცენტრიზმი. ფართო მნიშვნელობით, „ეთნოცენტრიზმს“ უწოდებენ საკუთარი ჯგუფის აღმატებულობის რწმენას და მისი ინტერესების ყველა სხვაზე მაღლა დაყენებას. მაგალითად, სიტყვის ამ მნიშვნელობით, ზოგიერთი თეორეტიკოსი „ეთნოცენტრიზმს“ უწოდებს ზოგიერთი ფემინისტის რწმენას, რომ ქალები ადამიანების უფრო აღმატებულ თუ უკეთეს ჯგუფს წარმოადგენენ, ვიდრე კაცები. პოზიტიური იდენტობის დროს საკუთარი ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობას და პრიორიტეტულობას, სხვა ჯგუფთან შედარებისას, შიდაჯგუფური ფავორიტიზმი ეწოდება. ანუ ეს არის საკუთარი ჯგუფის უპირატესობის განცდა. ეთნოცენტრიზმი სწორედ შიდაჯგუფური ფავორიტიზმის გამოვლინებაა, საკუთარი ეთნიკური ჯგუფის უპირატესად აღიარება. „ეთნოცენტრიზმი არის ადამიანის დამახასიათებელი ჩვევა. ესაა ცხოვრებისეული მოვლენების აღქმა და შეფასება საკუთარი ეთნიკური ჯგუფისათვის, რომელიც გარკვეული ეტალონისა და ოპტიუმის როლშია, დამახასიათებელი ტრადიციებისა და ღირებულებათა მიხედვით ცხოვრებისეული მოვლენების აღქმა და შეფასება.<sup>1</sup>

ეთნოცენტრისტის შეგრძნებით, საკუთარი კულტურა არის ნორმა, ღირებულებები – ბუნებრივი და სწორი; ხოლო სხვა კულტურის ელემენტები – არაბუნებრივი და არასწორი. ეთნოცენტრისტს ახასიათებს სიამაყე თავისი ჯგუფით, მისი უპირატესობით და ა. შ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფს სხვა ჯგუფის კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ღირებულებებს და ნორმებს. უბრალოდ, როგორც წესი, სხვა ჯგუფი ძირითადად დაბალ დონეზე მოიაზრება. საკუთარი ტრადიციები და კულ-

---

<sup>1</sup> **Кон И. С.**, Этноцентризм, Философский энциклопедический словарь, Издательство «Советская энциклопедия», Москва 1983, с. 812.



ტურა შეფასებულია როგორც ყველაზე სწორი, ფასეული და გამართლებული და ამიტომ ის ყველასთვის მისაღები უნდა იყოს (მაგ. ასეთად მიიჩნევა ქართველთა ნაწილი მართლმადიდებლობას). ეთნოცენტრიზმი ხელს უშლის სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობას. ამავდროულად, ამყარებს შიდაჯგუფურ მობილიზაციას და აძლიერებს ეთნიკურ საზღვარს.<sup>1</sup>

ეთნიკური საზღვარი აღიქმება არა როგორც ტერიტორიული საზღვარი, არამედ როგორც სუბიექტურად გაცნობიერებული და განცდადი დისტანცია, რომელიც განიხილება ერთაშორის ურთიერთობის კონტექსტში. ეთნიკურ საზღვარს განსაზღვრავს ჯგუფი და ამ განსაზღვრაში პირველადი მნიშვნელობა ენიჭება იმ კულტურულ მახასიათებლებს, რომელსაც თავად ეს ჯგუფი გამოყოფს და ანიჭებს მარკირებულ მნიშვნელობას. ეთნიკური საზღვარი არის აზროვნების აქტი. მისი შესწავლის საშუალებაა ეთნიკური იდენტობის კვლევა. ეთნიკური ჯგუფის მარკირების მახასიათებლები ანუ ის, თუ რომელ მახასიათებელს ანიჭებენ ჯგუფის წევრები მნიშვნელოვნების მაღალ ხარისხს, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური პირობებისა და კონკრეტული სიტუაციის შედეგია<sup>2</sup>.

საჭიროა განვსაზღვროთ და მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პოლიტიკური საზღვარი, რომელიც არის სახელმწიფოს საზღვარი და ეთნიკური საზღვარი, რომელიც ხშირად ექცევა სახელმწიფო საზღვრებში და ზოგ შემთხვევაში გადის მის გარეთაც. პოლიტიკურ საზღვრებთან ეთნიკურის არათანხვედრისას პრობლემები იქმნება არამარტო ჯგუფებში, ჯგუფებს შორის, არამედ თვით სახელმწიფოსთვისაც. ეთნიკური

---

<sup>1</sup> სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და რედაქტორი: *მელიქიშვილი ლ.*, გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბ., 2011, გვ. 347-348.

<sup>2</sup> *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური საზღვრები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალციხის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხე, 2009, გვ. 249-251.

საზღვრების ერთიანობა სცილდება პოლიტიკურ საზღვარს და იგი ირედენტული მისწრაფების საფუძველი ხდება. ირედენტულობაში კი ნიშნავს ერთ სახელმწიფოში არსებული ჯგუფის მონათესავე ეთნოსთან, მეზობელ სახელმწიფოსთან შეერთებას.<sup>1</sup>

ეთნიკური საზღვარი არის მახასიათებელი, რომელიც ეთნიკურ ჯგუფს აღწერს (ახასიათებს) არა როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნს, არამედ როგორც ადამიანების კულტურულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ერთობას. ეთნიკური საზღვარი არის აზროვნების აქტი. მისი შესწავლის საშუალებაა ეთნიკური იდენტობის კვლევა<sup>2</sup>. გამოხატული ეთნიკური საზღვარი აქვეითებს ტოლერანტობას და ზღუდავს ეთნოსთაშორის ურთიერთობას.

ეთნოცენტრიზმის გამოვლინების სხვადასხვა მიზეზები არსებობს. ზოგი ამას კულტურას მიანერს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში კულტურაზე მეტად მასზე (ეთნოცენტრიზმზე) სოციალური ფაქტორები მოქმედებს. საქართველოში სხვადასხვა ეთნოჯგუფებში ეთნოცენტრიზმის გამოვლინებას სხვადასხვა მიზეზები აქვს. იგი დღემდე არამართო უმრავლესობაში, არამედ ეთნოუმცირესობაშიც ვლინდება. ყოველი ეს ჯგუფი ცდილობს, თავისი მეობა სხვაზე წინ წამოსწიოს, რათა ადაპტირებული იყოს იმ გარემოში და, ამავე დროს, მოიპოვოს სხვაზე მაღალი სტატუსი ანუ ხაზი გაუსვას თავის „კუთვნილ“ დომინანტობას. ასეთ შემთხვევაში ეთნოცენტრიზმი ვერ ახერხებს

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი ლ.*, კულტურის კრიზისი საზოგადოების კრიზისია ნიგნში: უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები – პანკოსის კრიზისი, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი მელიქიშვილი ლ., „მემატიანი“, „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 2002, გვ. 307.

<sup>2</sup> *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური საზღვრები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალციხის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხე, 2009, გვ. 249-251.

პოზიტიური სტატუსის შენარჩუნებას და იგი არამხოლოდ უარყოფით დატვირთვას იძენს, არამედ ზოგ შემთხვევაში დაპირისპირების მდგომარეობაშიც კი გადადის: ჩვენ – პოზიტიურია, ისინი – ნეგატიური.

როგორც ზემოთ ითქვა, ეთნოცენტრიზმი, არ შეიძლება მხოლოდ უარყოფითი ნიშნით წარმოვადგინოთ, ეს არის საკუთარი კულტურის ფილტრის მეშვეობით სამყაროს შეფასების ტენდენცია და ნორმალურ ფსიქოლოგიურ ფუნქციას, ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. ამგვარი ფილტრები ყველა ადამიანს აქვს და, ამდენად, სამყაროში თუ მსოფლიოში ყველა ჩვენგანი ეთნოცენტრისტია.<sup>1</sup> სოციალიზაციის პროცესში ყოველი ჩვენთაგანი ითვისებს ჩვევის გარკვეულ მოდელებს, აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას, რაც კულტურით არის განსაზღვრული. ეს ადამიანის განვითარების ბუნებრივი პროცესია. ამდენად, თავისთავად ეთნოცენტრიზმი არც ცუდია და არც კარგი, ის ასახავს რეალობას, არსებულ ვითარებას<sup>2</sup>. როდესაც შენს ჯგუფს აფასებ ობიექტურად და, ამასთანავე, გინდა და ცდილობ, „სხვა“ ჯგუფის თავისებურებები ასევე შეაფასო – ეს არის კეთილგანწყობილი და მოქნილი ეთნოცენტრიზმი.

სხვადასხვა ჯგუფებთან მიკუთვნებულობის მოთხოვნილება ინდივიდის აუცილებელი მახასიათებელია, რაც ადამიანების იდენტობის მრავალგვარობას განაპირობებს: ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, კულტურული, მოქალაქეობრივი, სქესობრივი, კლასობრივი, გენდერული, პოლიტიკური და სხვ. ერთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ერთი და ის ხდება დომინანტი, მეორე შემთხვევაში კი დომინირებულ ადგილს სხვა იკა-

---

<sup>1</sup> *Мацумото Д.*, Человек, культура, психология, Удивительные загадки, исследование и открытия, С-П, 2008: 104.

<sup>2</sup> იქვე.

ვებს<sup>1</sup>. ეთნოპოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში ძირითადი განმსაზღვრელი მაინც ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური იდენტობებია, რომელთა თანმდევი მახასიათებელი კულტურაა. ეთნიკური იდენტობა კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. კულტურული იდენტიფიკაცია კი არის კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითშეგრძნება. მიეკუთვნებოდე რომელიმე საზოგადოებას, გაერთიანებას, ჯგუფს – ესაა ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილება.

პირობითად იდენტობის ორ ტიპს გამოჰყოფენ: პოზიტიურს და ნეგატიურს. პოზიტიურ ეთნიკურ იდენტობას კეთილგანწყობილ სოციალურ – ისტორიულ გარემოში თან ახლავს პატრიოტიზმი, საკუთარი ხალხის მიერ მიღწეული წარმატებებით და ადეკვატურად მაღალი შეფასებით, მისი სახელოვანი წარმომადგენლებით სიამაყე და ა. შ. როგორც კვლევებმა უჩვენა, „ეთნიკური იდენტობის ფორმირება „ნორმის“ (დადებითი ეთნიკური იდენტობა) ფარგლებში გულისხმობს საკუთარი ეთნიკური ჯგუფის სტრუქტურაში დადებითი ხატის ურთიერთიმართებას სხვა ეთნიკური ჯგუფის დადებით ღირებულებებთან“<sup>2</sup>.

შეიძლება ამგვარ კონტექსტში განვიხილოთ ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების ეთნოჯგუფიც. რა შინაარსს დებენ ისინი ეთნიკურობაში: ენას, კულტურას, ისტორიულ მახსოვრობას, წინაპართა დამსახურებას სახელმწიფოებრიობისადმი, ტერიტორიას, ავტოქტონობას თუ სხვა რამეს?! აზერბაიჯანელთა გენეზისს, ავტოქტონობას, ტერიტორიას და ა.შ..

---

<sup>1</sup> **მელიქიშვილი ლ.**, ეთნიკური იდენტობა და კულტურული ფაქტორები, ნიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და რედაქტორი: მელიქიშვილი ლ., გამომცემლობა „მნივნობარი“, თბ., 2011, გვ. 342-363.

<sup>2</sup> **Стефаненко Т. Г.**, Этнопсихология. М.: Аспект Пресс, 2003, с. 254; **Дробизжева Л. М., Аклаев А. Р., Коротеева В. В., Солдатова Г. У.** Демократизация и образы национализма в Российской Федерации. Москва, 1966, с. 332.

უამრავი ნაშრომი ეძღვნება<sup>1</sup>. აზერბაიჯანულ აკადემიურ წრეებში წინა პლანზე აყენებენ ავტოქოტონობას, ანუ გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორიულად მკვიდრობას. დღევანდელი აზერბაიჯანელები ძირითადად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით, მათ ფორმირებაში ადგილობრივ ალბანურ ეთნიკურ სუბსტრატთან ერთად მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო მოსულმა ირანულმა და თურქულენოვანმა, განსაკუთრებით ოღუზურმა და სელჩუკურმა ელემენტმა.

აზერბაიჯანელი მკვლევრები უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც აზერბაიჯანელებს, აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის ძირძველ მოსახლეობას, კავკასიის ალბანელებს უკავშირებენ. მაგ., ი. ბაბაევი, არქეოლოგიურ გათხრებზე დაყრდნობით, ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ „კავკასიური ალბანეთი, სიტყვის სრული მნიშვნელობით, აზერბაიჯანული სახელმწიფოა. სახელმწიფოს ცენტრი კი დაახლოებით 800 წლის მანძილზე ქალაქი გაბალა ყოფილა. **ალბანები ჩვენი მამა-პაპანია არიან.**“ (ხაზგასმა ჩემია – ლ.მ.)<sup>2</sup>

აკადემიკოსი ზ. ალექსიძე აღნიშნავს, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ალბანისტიკის პრობლემებს ძირითადად არმენოლოგები სწავლობდნენ, რადგან შუა საკუნეების წყაროები უმეტესად სომხურად იყო შემონახული, ხოლო აზერბაიჯანის არქეოლოგია ის-ის იყო იდგამდა ფეხს. ალბანელების შესახებ სომხურ და აზერბაიჯანულ ალბანოლოგიაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია ჩამოყალიბდა, სადაც სრულიად განსხვავებულად არის წარმოდგე-

---

<sup>1</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017.

<sup>2</sup> **ბაბაევი ილიას**: „კავკასიური ალბანეთის პერიოდში ყარაბაღში სომხები არ ცხოვრობდნენ“. ინტერნეტის ვერსია: <http://www.kavkazplus.com/>, 07. 01. 2015.

ნილი მთავარ პრობლემათა ჯგუფი ანტიკურ და ადრე შუასა-კუნეების ალბანეთთან დაკავშირებით. კერძოდ: როდის ჩამოყალიბდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო, რა ტერიტორიას მოიცავდა იგი; როგორი იყო მასში ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაციის პროცესი; შექმნა თუ არა ალბანურმა მოსახლეობამ თავისი დამწერლობა და ლიტერატურა; თუ შექმნა, რა ენაზე, რამდენად განვითარდა იგი და რამდენ ხანს იარსება<sup>1</sup>.

ამავე დროს რეალურზე უფრო აძველებენ ამ ტერიტორიაზე თურქების მოსვლის ისტორიას. ამით ცდილობენ დაასაბუთონ, ერთის მხრივ, ძირძველი მკვიდრობა და, მეორეს მხრივ, კულტურული და გენეტიკური უწყვეტობა, რომელიც კავკასიელი ალბანებისა და ირანულენოვან ატროპატენედან თურქულენოვან აზერბაიჯანელებამდე მიდის. ბუნებრივია, არგუმენტაციისას გვერდს ვერ უვლიან ალბანურსა და აზერბაიჯანული ენის ურთიერთმიმართების საკითხს.

როგორც ცნობილია, ეთნიკური იდენტობა ეთნოსისადმი მიკუთვნილობის გრძნობაა, რომელიც განისაზღვრება კულტურული მემკვიდრეობით, ღირებულებებით, ტრადიციებით და, ხშირად ზოგიერთი მკვლევარი, ეთნიკური იდენტობის უმთავრეს ასპექტად სწორედ ეთნიკური ენის ცოდნას და გამოყენებას მიიჩნევს.<sup>2</sup> ამრიგად, აუცილებელი ხდება საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტა. რადგან თანამედროვე აზერბაიჯანულში, ასე ვთქვათ ავტოქთონური, ანუ ალბანური ლექსიკა მინიმალურია. მეცნიერთა ნაწილი აცხადებს, რომ მათმა წინაპრებმა საერთოდ დაკარგეს ძველი ენა და უფრო ძლიერი მეზობლების ენაზე გადავიდნენ.

---

<sup>1</sup> **ალექსიძე ზ.**, ალბანური მწერლობის ძველი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტ. I, თბილისი 2010, გვ. 375.

<sup>2</sup> **Phinney S. Jean, Ong D. Anthony.** Conceptualization and Measurement of Ethnic Identity: Current Status and Future Directions. *Journal of Counseling Psychology*, Vol. 54, # 3, 2007, pp. 271-281.

აზერბაიჯანული ენის ჩამოყალიბება, მათი განსახლების თანამედროვე ტერიტორიაზე, დაახლოებით მე-10 საუკუნეში დაიწყო. ადრეულ ეტაპზე, ოღუზური ტომების ენა, როდესაც ისინი თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოვიდნენ ძირითადად ოღუზური და ყივჩაყური ენის თვისებებს შეიცავდა. რაც შეეხება დიალექტების კვლევას, აქ მხოლოდ ვარაუდის დონეზე მოიხსენიება „ალბანური პლასტის“ არსებობა, ე.ი დასაშვებია მივიჩნიოთ, რომ რაიმე კონტაქტი ყოფილიყო.<sup>1</sup>

საერთოდ ენისა და იდენტობის საკითხი ცალკე შესწავლის საგანია. ჩვენ ერთ ნაშრომში გამოკვლეულია, ლინგვისტური და ეთნიკური იდენტობების ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი საქართველოს მაგალითზე და ნაჩვენებია, თუ რამდენად არის დაკავშირებული ეთნიკური ენის შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხი ეთნიკურ იდენტობასთან. ფაქტია, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა უმეტესობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავიანთი დედა ენის/ეთნიკური ენის და ტრადიციული კულტურის დაცვის საკითხს. მათი აზრით, საკუთარი კულტურული მთლიანობის შენარჩუნებისათვის დედაენის შენარჩუნებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფების უმეტესობა საქართველოში ინარჩუნებს თავიანთ ტრადიციულ კულტურას, დედა ენას/საოჯახო ენას და ეთნიკურ იდენტობას. მაგრამ, ამავე დროს, საქართველოში არიან ისეთი ჯგუფები, რომელთა იდენტობა და მშობლიური ენა არაა თანხვედრაში; მრავალ მიზეზთა გამო, მათმა იდენტობამ ტრანსფორმაცია განიცადა და რამდენიმეჯერაც კი შეიცვალა<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> *Магомедова Э. Г.* Фонетико-морфологические и лексико-семантические особенности ерсинского говора зербайджанского языка, автореферат, Махачкала, 2006.

<sup>2</sup> *მელიქიშვილი ლ., ჯალაბაძე ნ.*, ენისა და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქე-

აზერბაიჯანული ენა ძველი თურქულიდან წარმოშობილი ერთ-ერთი ენაა. იგი ალთაური ენათა ოჯახის თურქულის შტოს ოლუზურ ჯგუფს მიეკუთვნება. შეიცავს ასევე ყივჩაყური არეალის ენების თვისებებს. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში ნამყოფი რუსი ავტორები ამ ენას უწოდებდნენ: „თათრულს თურქულის ნარევით“, „თათრული ენის დიალექტს“, „თურქულს“ და სხვ. პირველად ტერმინი „აზერბაიჯანული ენა“ გამოიყენა სანქ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის პირველმა დეკანმა მირზა კეზემ-ბეკმა<sup>1</sup>.

როგორც აზერბაიჯანელი აღმოსავლეთმცოდნე, ა. სუმბალზადე (ალი საიბათ სუმბათ ოლი) აღნიშნავს: „ექვგარეშეა, რომ სპარსული ენა უფრო ძველი, განვითარებული და მდიდარია, ხოლო თურქულ-აზერბაიჯანული ენა შედარებით ახალგაზრდაა. სალიტერატურო ენად იგი მხოლოდ XI-XIV საუკუნეებში იქცა. იმ პერიოდის თურქულ-აზერბაიჯანული, ძირითადად საერთო თურქული ენის, ოლუზური ჯგუფის ლექსიკას ემყარებოდა და ესმოდათ, როგორც აზერბაიჯანელებს, ასევე თურქმანებს და თურქებს. XV საუკუნის ბოლოდან, როდესაც აზერბაიჯანში ჩრდილოეთიდან თურქულენოვანი ტომების ყივჩაყების, ხოლო აღმოსავლეთიდან ოლუზი ჯგუფის შემოდინება შეჩერდა და იმავდროულად, ოსმალეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ანატოლიელი თურქებისგან დიფერენცირება დაიწყო. თანდათანობით აზერბაიჯანული დამოუკიდებელი ჯგუფის ენად იქცა, უფრო სტაბილური და დახვეწილი გახდა. ამ პროცესის ერთ-ერთი მაჩვენებელია (XVI-XVIII სს.) ლექსიკით, მეტ-

---

ოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) №1 (11), თბილისი. 2017, გვ. 114-123.

<sup>1</sup> *Гусейнов Г.* Из истории общественной и философской мысли в Азербайджане XIX века. Азербайджанское гос. изд-во, 1958.



ყველების ნაწილების და ა.შ. „მრავალვარიანტობიდან ერთვარიანტობაზე გადასვლა“.<sup>1</sup>

აზერბაიჯანული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ნაწილი შესულია სპარსულიდან და არაბულიდან, ასევე – მცირე ოდენობის საყოფაცხოვრობო ლექსიკა სომხურიდან (რამდენიმე ათეული სიტყვა) და ცალკეული სიტყვები უდიური და ქართული ენებიდან. ფარუხ მუალიმი მიიჩნევს, რომ არმენიზმების რაოდენობა აზერბაიჯანულ ენაში მცირე არ არის (ალბათ ასობით ასეთი სიტყვაა აზერბაიჯანულ დიალექტებში) და ვერ შეედრება „უდიიზმებს“ (მეცნიერებამ ჯერ არ იცის ასეთი სიტყვები აზერბაიჯანულ ენაზე) და „ქართველიზმებს“, უფრო სწორად, ქართულიდან ძირითადად ახალ და თანამედროვე დროში ერთჯერად ნასესხობებს (მანონი <სომხ>, ხაჭაპური („პური“ <სომხ>).“<sup>2</sup>

XIX საუკუნის რუსულენოვან ლიტერატურაში აზერბაიჯანული ენა სპარსეთის პროვინციასთან ასოცირდებოდა. იმ პერიოდში აზერბაიჯანული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დაიწყეს მსჯელობა ენის ჭეშმარიტი სახელწოდების დადგენის შესახებ. 1891 წელს გაზეთში („კასპი“), ჟურნალისტმა მამედ ალა შახტახტინსკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ „თათრულის“ ნაცვლად სამხრეთკავკასიელი მუსლიმების ენისათვის „ადერბაიჯანული“ ეწოდებინათ<sup>3</sup>. თუმცა, საბოლოოდ ეს ტერმინი, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დროს დამკვიდრდა. თურქული მოდგმის ხალხთა თურქეთის სახელმწიფოს მოსახლეობისაგან განსხვავების მიზნით საჭირო გახდა ახალი ტერმინების შემოღება. ენციკლოპედია ირანიკას ავტორების მო-

---

<sup>1</sup> *Джангиров М.*, «Образование азербайджанского национального литературного языка», Баку, 1978; *Сумбатзаде А.С.* Азербайджанцы – этногенез и формирование народа. Баку, Изд-во «Элм», 1990, с. 260-261.

<sup>2</sup> *Фаррух-муалим*, «Азербайджанский язык», [www.disput.az](http://www.disput.az) › Форумы › Международная Политика, январь 12, 2006 .

<sup>3</sup> *Сумбатзаде А.С.* Азербайджанцы – этногенез и формирование народа. Баку: Элм, 1990, с. 281-283.

საზრებით, იოსებ სტალინის ბრძანებით, ენის სახელწოდება ოფიციალურად შეიცვალა თურქულიდან აზერბაიჯანულზე. თვითონ ენციკლოპედია ირანიკა ენას უწოდებს „Azeri Turkish“ (აზერბაიჯანული თურქული) ან უბრალოდ „Azeri“ (აზერი).<sup>1</sup> 1936 წლის სსრკ-ს კონსტიტუციის პროექტზე მსჯელობისას განიხილეს საბჭოთა კავშირის ხალხთა და ეროვნების აღმნიშვნელი სახელების ეთნონიმიკური ტერმინოლოგია და ოფიციალურ სახელწოდებად „აზერბაიჯანული ენა“ აღიარეს<sup>2</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, აზერბაიჯანული ენის ჩამოყალიბება მათი განსახლების თანამედროვე ტერიტორიაზე დაახლოებით მე-10 საუკუნეში დაიწყო და მხოლოდ გარკვეულ დონეზე შეიძლება მასში „ალბანური პლასტის“ დაშვება და იმის ვარაუდი, რომ ინტენსიური კონტაქტები არსებობდა.<sup>3</sup> ეს გარემოება კარგადაა ცნობილი ფართო აუდიტორიისათვის, რასაც მოწმობს ქვემოთმოტანილი პოლემიკა ვებ საიტ Research Gate-ზე: „გმადლობთ, ფარუხ. შესანიშნავია, როდესაც მთელი ენის ისტორია ერთ გვერდზე თავსდება, თუმცა ზოგიერთი დასკვნა სადავოა. სხვათა შორის, სად არის ალბანიზმები? ანუ ალბანიზმი ნიშნავს „უდინს“? თუ დაამატეთ ორიოდ სტრიქონს ალბანიზმის შესახებ, ფარსიზმების მსგავსად შეგიძლიათ უსაფრთხოდ დაასკვნათ, რომ „ალბანეთისა და აზერბაიჯანის ენების

---

<sup>1</sup> *AZERBAIJAN* v. VIII. Azeri Turkish, ENCIKLOPEDIA IRANIKA. Last Updated: August 18, 2011. This article is available in print. Vol. III, Fasc. 3, pp. 245-248. ©2021 Encyclopædia Iranica Foundation, Inc. All Rights Reserved. ელექტრონული ვერსია: <https://iranicaonline.org/articles/azerbaijan-viii>

<sup>2</sup> *Благова Г. Ф.* Вариантные заимствования тюрк, тюрк и их лексическое обособление в русском языке (К становлению обобщающего имени тюркоязычных народов) // Тюркологический сборник 1972, М.: Наука, 1973, с. 128-130.

<sup>3</sup> *Магомедова Э. Г.* Фонетико-морфологические и лексико-семантические особенности ерсинского говора зербаджанского языка, автореферат, Махачкала, 2006.

ფორმირება პარალელურად მიმდინარეობდა იმავე ტერიტორიაზე (შენიშვნა: ამ წინადადებიდან კარგად ჩანს, რომ ეს ენები ცალ-ცალკე არსებობდა და მათი განვითარება პარალელურად მიმდინარეობდა და არა ერთმანეთში აღრევით – ლ. მ.).

პასუხი: „იმ დროის ალბანურ ენაზე ვერაფერს ვიტყვი. უდიურიდან მხოლოდ ერთი ნასესხობა შემიძლია გავიხსენო. ეს სიტყვა არის „მილჩიაკი“ (ბუზი). მართალია, ეს აზერბაიჯანულ ენაში უდიურიდან კი არ შემოვიდა, არამედ ირიბად ფარსის საშუალებით.

და მაინც, ნიშნავს თუ არა ალბანიზმის არარსებობა, რომ აზერბაიჯანული და ალბანური ენების ფორმირება ერთი და იგივე ტერიტორიაზე პარალელურად არ მიმდინარეობდა?... უდიურისა და აზერბაიჯანული ენების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ენები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ერთად ვითარდებოდა, მაგრამ უდიურმა, ისევე როგორც სომხურმა, ლეზგიურმა, ავარულმა, ქართულმა და ა.შ. რაიმე ხელშესახები გავლენა მის ლექსიკურ შემადგენლობაზე, გარდა გარკვეული კონკრეტული სიტყვებისა, არ მოახდინა“.<sup>1</sup>

ხსენებულთან მიმართებაში ძალიან საინტერესოა საქართველოში განვითარებული ეთნიკური პროცესები და დღეს არსებული სიტუაცია. საქართველოში არიან ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი ეთნიკური ვინაობა, მაგრამ დაკარგეს მშობლიური ენა. ამის საუკეთესო მაგალითია 26 საუკუნის მანძილზე საქართველოში მცხოვრები ებრაელები, რომელთა შემოსვლა ძვ. წ. VIII-VI – ახ.წ. IV საუკუნეებს მოიცავს. ებრაელთა დასახლება მცხეთასა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში ხდებოდა. მცხეთაში აღმოჩენილი

---

<sup>1</sup> *Фаррух-Муалим*, “Азербайджанский язык“, [www.disput.az](http://www.disput.az) ›Форумы›  
Международная Политика: январь 12, 2006.

ეპიტაფია დიდი ებრაული კოლონიის არსებობის საბუთია.<sup>1</sup> ქართლის დედაქალაქში „ურიათ უბანი“ იყო, სადაც ებრაელებს ჰქონდათ სინაგოგა.<sup>2</sup> საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, იგი ებრაელებისთვის სამშობლოდ იქცა. ისინი მოერგნენ ადგილობრივ ყოფას და მათ სალაპარაკო ენად დროთა განმავლობაში, ქართული იქცა. მართალია ენა დაკარგეს, მაგრამ შეინარჩუნეს რელიგია და ტრადიციები, რაც მათი ეთნიკურობის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად იქცა.

ენისა და ეთნიკური კუთვნილების ურთიერთმიმართების შესახებ საქართველოდან კიდევ რამდენიმე ანალოგის მოტანა შეიძლება. მაგ. ურუმები, მუსლიმი მესხები (ჯგუფი რომელმაც პოლიტიკური კოლიზიების გამო ლინგვისტური და ეთნიკური იდენტობა რამდენიმეჯერ შეიცვალა), ორენოვანი ქისტები, ასირიელები, უდიელები და სხვ., ქართულ სინამდვილეზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას ან შეცვლას გარკვეული ფაქტორები განსაზღვრავს: ეთნიკური გარემო, დასახლების ტიპი (კომპაქტური თუ დისპერსიული), ენა, რელიგია, პოლიტიკური ინტერესები და ა.შ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული სინამდვილე ადასტურებს ეთნიკური იდენტობის დინამიურობას, დროთა განმავლობაში მის ცვალებადობას ინდივიდებისა თუ ჯგუფების მიზნებისა და სიტუაციის შესაბამისად.“<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> *აფაქიძე ან.*, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, წგ. 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963, გვ. 240-244.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 17, 18.

<sup>3</sup> *მელიქიშვილი ლ., ჯალაბაძე ნ.*, ენისა და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) №1 (11), თბილისი. 2017, გვ. 121.

ამდენად, აზერბაიჯანელების კავკასიელ ალბანელებთან გაიგივება ლინგვისტურ საფუძველზე ნაკლებად შესაძლებელია, რადგან ამას არცერთი მახასიათებელი არ ადასტურებს. ეთნიკურ იგივეობაზე საუბრისას საყურადღებოა, რომ ეთნოსის დამახასიათებელი რაიმე ნიშანი მაინც უნდა ემთხვეოდეს: ენა, რელიგია, წესები, ჩვეულებები, ზოგადად კულტურა ან სხვა ელემენტი, რომ ეს იგივეობა ნაწილობრივ მაინც დაფუძვან. რომელიმე ეთნოსის მიკუთვნება უკვე გამჭრალი კონკრეტული ხალხისადმი მხოლოდ სამეცნიერო წრეებში ინიცირებული სადავო არგუმენტებით, მაშინ როდესაც ლინგვისტური და ეთნოკულტურული შესაბამისობა არ არსებობს, საკმაოდ რთულია და ეჭვს ბადებს რომ ინსპირირებულია გარკვეული პოლიტიკური ამოცანის გადანყვევის მიზნით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კავკასიის ალბანელებთან დღევანდელი აზერბაიჯანელების დაკავშირება განპირობებულია სურვილით, რომ თურქულ-აზერბაიჯანული მოდგმის ხალხების ავტოქეთონობა დაასაბუთონ არამარტო დღევანდელი აზერბაიჯანის საზღვრებში, არამედ მის გარეთაც. განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა ამ მიმართულებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ყარაბაღის კონფლიქტში განცდილი მარცხისა და სომხების მიერ დაკავებული ტერიტორიიდან აზერბაიჯანელთა გამოდევნის შემდეგ. სომხური სამეცნიერო წრეები ტერიტორიულ პრეტენზიებს ტრადიციულად ისტორიული არგუმენტებით ასაბუთებენ. ამის საპირწონედ აზერბაიჯანულმა, სამეცნიერო საზოგადოების ნაწილმა, როგორ ჩანს მიიღო სახელმწიფო დაკვეთა, რათა დააძველონ კავკასიაში თურქული მოდგმის ხალხის ისტორია, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, აზერბაიჯანელების და ალბანელების იგივეობის არგუმენტაციით მისაღები გახადონ მოსაზრება, რომ ყარაბაღში მაცხოვრებელი სომხები გაარმენებული ალბანელები არიან და ამდენად აზერბაიჯანელებთან საერთო წარმომავლობა აკავშირებთ. ავტოქეთონობაზე პრეტენზია ბუნებრივად საჭიროებს ამ დებულების შემაგრებას ისეთი ცნებებით, როგორი-

ცაა „უძველესი ხალხი,“ „ცივილიზაციის შემოქმედი“ და ა.შ. ეთნოსის „ფესვების“ (ანუ წარმომავლობის) იდეა, რომელიც გამყარებულია მითებით, ლეგენდებით, სიმბოლოებით, ისტორიული მახსოვრობით და ა.შ., რაც ჯგუფის ისტორიულ წარსულთან იდენტიფიკაციას გულისხმობს, ეთნიკურ აზროვნებაში მეტად მნიშვნელოვანია საერთო მიზნისათვის კონსოლიდაციაში. ამიტომ აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზს და სახელმწიფოებრიობის ფესვებს უკავშირებენ არამხოლოდ შუასაუკუნეების პოლიტიკურ წარმონაქმნებს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში, არამედ უფრო ადრეულ სახელმწიფოებს მიდია-ატროპატენს და უფრო ადრეულ მანუს. ე.ი ძვ.წ. I ათასწლეულში ისტორიული ალბანეთის საზღვრებს სცილდებიან<sup>1</sup>. ასეთივე „განწყობა“ ჩრდილო-დასავლეთ ირანის მიმართ (სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თურქულენოვანია). რადგან ლინგვისტურ (პრიორიტეტს) მიმღეობას ძველი ალბანელებისაგან ვერ ამტკიცებენ, აქცენტი კეთდება კავკასიის ალბანეთის და ირანულენოვან ატროპატენედან თურქულენოვან აზერბაიჯანელებამდე კულტურულ და გენეტიკურ უწყვეტობაზე.

ხსენებული მკვლევრები დადგენენ დილემის წინაშე ან უარეყოთ ძველ ალბანელებთან ენობრივი ნათესავობა (რაც უეჭველია), ან ავტოქთონობა (უძველესი მკვიდრობა)<sup>2</sup>. პრიორიტეტი ამ მიმართებით მიენიჭა ავტოქთონობას, თუმცა არც ალბანელებთან გენეტიკური სიახლოვის კონცეფციაა უკუგდებული. როგორც ითქვა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელება ენიჭება ყარაბაღის საკითხის „ისტორიული სამართლიანობის“ პრიზმაში გადანყვეტისათვის. აზერბაიჯანული „ალბანური თე-

---

<sup>1</sup> *Шнирельман В.А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003; *Боханов А. Горинов М.* История России с древнейших времен до конца XX века, М, 2001; *Алиев И. Г.* О скифах и скифском царстве в Азербайджане. Переднеазиатский сборник. М., вып. III, 1979.

<sup>2</sup> *Шнирельман В.А.* დას. ნაშრომი, 2003, გვ. 194-255.

ორის“ მიხედვით ყარაბალში ცხოვრობდნენ ალბანელები (აზერბაიჯანელების მონათესავეები), შემდეგ კი მოვიდნენ სომხები და გაასომხეს ისინი, სომხები მოსული დამპყრობლები არიან.

#### § IV. აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზის შესახებ

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია უძველესი დროიდან სხვადასხვა ხალხებისა და კულტურების ურთიერთქმედების არეალს წარმოადგენდა. თითოეული ხალხის კულტურას გარკვეული წვლილი შეჰქონდა პროცესში, რომელიც საბოლოოდ აზერბაიჯანელი ეთნოსის ჩამოყალიბებით დასრულდა. ამდენად, ძირითად თურქულთან ერთად მასში შევიდა მრავალი სხვა ელემენტი. ამ პროცესში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიისა და ჩრდილო – დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მრავალმა დიდმა თუ პატარა ეთნიკურმა ერთეულმა მიიღო მონაწილეობა. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ერთიანი კონგლომერატი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის ალბანელები და ატროპატენელებიც (ირანულენოვანი ხალხები).<sup>1</sup> აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში მიღებული თვალსაზრისით, აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობა დაახლოებით 5 ათასი წლისაა, ხოლო ტერმინი „აზერბაიჯანი“ ისტორიული წყაროებში ახ. წ. IV საუკუნიდან მოიხსენიება. ამ დროს სასანიდების იმპერია 4 დიდ პროვინციად იყო გაყოფილი, მათგან ერთ ერთი კი „აურბადაგანად“ იწოდებოდა და

---

<sup>1</sup> *Stuart, James*. An Ethnohistorical Dictionary of the Russian and Soviet Empires. Greenwood Publishing Group, 1994; *Шнирельман В. А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003 გვ. 197-592.

იგი სამხრეთ აზერბაიჯანის (დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ირანის ტერიტორია) მიწებს მოიცავდა.<sup>1</sup>

პირველი ცნობები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული დასახლებების შესახებ ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება. შუმერულ – აქადურ წერილობით წყაროებში ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში არის ცნობები აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილში სხვადასხვა ტომთა დასახლებების, მათი განსახლების არეალის და იქ განვითარებული მოვლენების შესახებ. არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. III — II ათასწლეულებში ამ მხარის ტომების წინა აზიის ქვეყნებთან ურთიერთობაზე მიუთითებს.<sup>2</sup> ფიქრობენ, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიის მოსახლეობა რკინის ეპოქის დასაწყისში ძვ. წ. I ათასწლეული ძირითადად შედგებოდა იმავე ეთნიკური ელემენტებისგან, რომლებიც არსებობდნენ აქ ჯერ კიდევ ჩვ. წ. III ათასწლეულში და უფრო ადრეც, რის არგუმენტადაც მოაქვთ „ქიულთეფეს“ (ნახჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში) დასახლების 20 მეტრიანი სისქის კულტურული ფენა, რომელიც ძვ. წ. VI-I ათასწლეულებს განეკუთვნება.<sup>3</sup>

თანამედროვე აზერბაიჯანის დასავლეთ მხარეს, საქართველოს საზღვართან ახლოს გაითხარა შულავერ-შომუთეფეს<sup>4</sup> კულტურის ნამოსახლარი გოითეფე (ძვ. წ. VI ათასწლეული).<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017, гв. 83-84.

<sup>2</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017, гв. 83-84.

<sup>3</sup> **Азербайджанцы**, იქვე.

<sup>4</sup> **Джавахишвили А. И.** Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V–III тыс. до н. э. Тбилиси, «Мецниереба», 1973

<sup>5</sup> **Гулиев Ф., Гусейнов Ф., Алмамедов Х.** Раскопки неолитического поселения VI тыс. до н. э. на холме Гейтепе (Азербайджан) // Азербайджан – страна, связывающая восток и запад. Обмен знаниями и



შულავერ-შომუთეფეს კულტურის გვიანი საფეხურის (ძვ.წ. 4350 – 4000 წწ.) ლოკალური ვარიანტებია: საქართველოში ბერი კლდეების კულტურა, ხოლო დასავლეთ აზერბაიჯანში კი ლეილათეფეს კულტურა, რომელსაც აქ 1980 წელს მიაკვლია აზერბაიჯანელმა არქეოლოგმა გ. ნარიმანოვმა<sup>1</sup>. ჩრდილოეთ კავკასიაში და მის ჩრდილოეთ მდებარე ტერიტორიაზე ეს კულტურა ცნობილია როგორც მაიკოპის კულტურა.

შულავერ-შომუთეფეს და ლეილათეფეს კულტურები შეცვალა მტკვარ-არაქსის კულტურამ (ძვ.წ. 4000–2200 წწ), რომელიც ვრცელ ტერიტორიას, თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიას, მოიცავდა და სამხრეთით მდინარეების: მტკვრის, არაქსის, ჰალისის, ტიგროსისა და ევფრატის აუზებში ვრცელდებოდა. ადრე ბრინჯაოს ეს კულტურა ჩრდ. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილსაც ფარავდა. მის მეზობლად ვითარდება ნაყოფიერი ნახევარმთვარის შუმერული ცივილიზაცია და მისი დიდებული ქალაქ-სახელმწიფოები. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი იყვნენ იბერო-კავკასიურ და ხურიტულ ენებზე მოსაუბრე მრავალრიცხოვანი ხალხები და ტომები.

ძვ.წ. 2200 – 1500 წწ ჩამოყალიბდა თრიალეთის კულტურა<sup>2</sup>, რომელიც გავრცელებული იყო აღმ. საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, მესოპოტამიის ჩრდილოეთ პროვინციებში და იბერო-კავკასიურ კულტურად ითვლება.

თრიალეთის კულტურის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში, დღევანდელ დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყალიბდება განჯა-ყარაბაღის ანუ ხოჯალი-ქედაბეკის კულტურა

---

технологиями в период «первой глобализации» VII–IV тыс. до н. э. Международный симпозиум Баку, 1–3 апреля 2009 года. Баку, 2009.

<sup>1</sup> *Нариманов И.Г., Ахундов Т.И., Алиев Н.Г.* Лейлатепе. Баку: 2007.

<sup>2</sup> *Куфтин Б.А.* Археологические раскопки в Триалети, Опыт периодизации памятников, т. I, Тбилиси, 1941.

(ძვ.წ. 1300 – 600 წწ.)<sup>1</sup>. იგი 1920-იან წლებში აღმოაჩინეს. დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეს კულტურა ვრცელდებოდა ყარაბაღის ტერიტორიაზე და მისი შემოქმედი იყო თრიალეთის კულტურის მატარებელი ხალხი – იბერო-კავკასიელები.

განჯა-ყარაბაღის კულტურის თითქმის თანადროული ნახიჩევანის (დღევანდელი აზერბაიჯანის შემადგენლობაში) არქეოლოგიური კულტურა, რომლის ტერიტორია უშუალოდ არ ემიჯნება თანამედროვე აზერბაიჯანს, მათ ერთმანეთისგან სომხეთი ყოფს. ნახიჩევანის არქეოლოგიური კულტურა (ყიზილ – ვანქის; კარმირ – ვანქის) მიეკუთვნება გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას (ძვ. წ. II-I ათასწლეული), რომელიც განვითარდა ნახიჩევანის ტერიტორიაზე. პირველად აქ 1895 წელს, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქვაყუთის ტიპის სამარხები, რომელშიც ნაპოვნი იყო თავისებურად მოხატული კერამიკა. აქ იყო დიდი გამაგრებული დასახლებები, გვხვდება მიწის, ქვაყუთების და ყორღანული ტიპის სამარხები. როგორც არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, აქაური მოსახლეობა მისდევდა სოფლის მეურნეობას, აგრეთვე მევენახეობა-მელვინეობას, წვრილფეხა და მსხვილფეხა მესაქონლეობას, სამთამადნო მოპოვებას და მეტალურგიას, კულტურულ რენესას. ნახიჩევანის კულტურა გამოირჩევა მონოქრომული და პოლიქრომული შეღებილი კერამიკული ჭურჭლის თავისებური ფორმებით. გათხრების დროს ხშირი იყო მარცვლეულის ქვის ხელსაფქვაკვების აღმოჩენა. განვითარებული იყო ხელოსნობის

---

<sup>1</sup> *Минкевич-Мустафаева Н. В.*, Памятники трех основных групп Ходжалы-Кедабекской культуры на территории Азербайджанской ССР и их датировка, в сборнике: Материальная культура Азербайджана, в. 4, Баку, 1962.

ბევრი დარგი (ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ქსოვა და სხვა.<sup>1</sup>

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასია ძველთაგანვე ინტენსიური მიგრაციების არეალს წარმოადგენდა. გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიური (ძვ. წ. აღ II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისი) კულტურა მოიცავდა თალიშის მთისა და მულანის სტეპის არეალს თანამედროვე აზერბაიჯანის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ირანის საზღვართან. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და მიგრაციული პროცესების შესახებ. მთიან ნაწილში იგი წარმოდგენილია კოლექტიური სამარხებით, აქ დაკრძალული ზურგზე გაშოტილი მამაკაცები, სავარაუდოდ ტომის ბელადები, გარშემორტყმული იყვნენ მჯდომარე პოზაში დაფიქსირებული, შეწირული რამდენიმე ქალით. თალიშ-მულანის კულტურა გამოირჩევა სახასიათო ბრინჯაოსა და რკინის იარაღით, სხვადასხვა ტიპის კერამიკით, ბრინჯაოსა და ოქროსგან დამზადებული სამკაულებით, ცხოველების ფიგურებით. აქ მაცხოვრებელნი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ სოფლის მეურნეობით, მთაში – მესაქონლეობით. განვითარებული იყო მეტალურგია. დაკრძალვის ცერემონია და მისი საშუალებები ასახავს პატრიარქალური საგვარეულო თემების დაშლას, ქონების დიფერენცირებას. იგრძნობა წინა აზიის სამყაროსთან კონტაქტები<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> *Ахмедов Г. М., Бабаев И. А.* Археологические культуры Азербайджана. Баку, 1986; *Алиев В.Г.* Культура эпохи средней бронзы Азербайджана. Баку: Элм, 1991.

<sup>2</sup> *Джафарзаде И. М.,* Элементы археологической культуры древней Мугани, Изв. АН Азербайджанской ССР, 1946, в. 4, № 9; *Махмудов Ф. Р.,* Новые археологические данные о древней культуре Гальша и Мугани, Изв. АН Азербайджанской ССР, Серия истории, философии и права, 1970, № 2.

უცხო ტომების გადმოსახლებას, კავკასიის ამ ნაწილში, უკავშირებენ ქვევრ და დერგსამარხების გამოჩენას. აზერბაიჯანელი მეცნიერები ამგვარი დაკრძალვის წესს ირანის ექსპანსიის შედეგად შემოტანილად მიიჩნევენ და აქ ზოროასტრული რელიგიის მიმდევარ ტომთა შემოსვლისა და დასახლების შედეგად თვლიან. ეს წესი, შემდგომ, ადგილობრივმა მოსახლეობის ნაწილმაც გაითავისა. როგორც ცნობილია, ზოროასტრიზმი მინას წმინდად მიიჩნევდა და მიცვალებულის, როგორც არანმიდის, მინაში პირდაპირ დამარხვას უარყოფდა და მას ქვევრში ან დერგში კრძალავდა<sup>1</sup>. მომდევნო პერიოდში ამ ტერიტორიაზე კატაკომბური ტიპის სამარხები გამოჩნდა, რომლებსაც აზერბაიჯანელი მკვლევარები, ჩრდილოეთიდან შემოჭრილ და აქ დასახლებულ ეთნოსებს მიაკუთვნებენ.<sup>2</sup>

უცხო ტომების შემოსვლის პროცესი უფრო გვიანდელ არქეოლოგიურ მასალამდეც აისახა. თანამედროვე აზერბაიჯანის დასავლეთ ნახევარში, სადაც კავკასიის ალბანეთის სამეფო წარმოიშვა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეულია ნასოფლარები, ნაქალაქარები და სამაროვნები, რომელიც, სავარაუდოდ, კავკასიის ალბანეთის, განჯა-ყარაბაღის კულტურის წიაღში აღმოცენდა. აქ მოსახლეობდა კავკასიის

---

<sup>1</sup> **ნონეშვილი ა.ი.** ამიერკავკასიის ქვევრსამარხები, მასალები არქეოლოგიური რუკისათვის, თბილისი, 1983; **ნონეშვილი ა.ი.** Погребальные обряды народов Закавказья (VII в. до н.э. – VII в.н.э. Кувшинные погребения). Тбилиси, 1990; **Гошгарлы Г.О.** Типология погребальных памятников античного периода на территории Азербайджана, – Баку: «Елм», 2012, – 248 с. **Иващенко М.**, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, «Известия АН Азербайджанской ССР», 1947, № 1; **Казиев С. М.**, Альбом кувшинных погребений, Баку, 1960; **Голубкина Т. И.**, Культура кувшинных погребений в Азербайджане, в сб.: Тр. Музея истории Азербайджана, т. 4, Баку, 1961.

<sup>2</sup> **Асланов Г. А.** К изучению раннесредневековых памятников Мингечаура // Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва. 1955. Вып. 60.

მრავალი ხალხი – ალბანელები, უდიები, ნახურ-დაღესტნური ტომები (ლექები, ავარები და სხვ.). ამ დროს აზერბაიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ტომები: კასპიელები, ჰუნები, თალიშები და სხვ. გაერთიანებული იყვნენ ირანულენოვან სამეფო ატროპატენში. ეს მრავალფეროვნება კარგად ჩანს სხვადასხვა რელიგიების მანიშნებელ დაკრძალავის რიტუალებსა და სამარხებში ნაპოვნ ინვენტარში. ივარაუდება, რომ ამ ტერიტორიაზე ხანგრძლივად მიმდინარეობდა უცხო ეთნიკური ელემენტების შემოჭრა-ინფილტრაცია, დასახლება და ადგილობრივებთან შერწყმა<sup>1</sup>.

სამხრეთ კავკასიაში ხალხების მასობრივი შემოსვლა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მიმდინარეობდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს: ინდო-ირანული და თრაკიული წარმოშობის ტომები – კიმერიელები და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ძველირანული ტომები – ირანულენოვანი სკვითები. კიმერიელები ძვ. წ. 1300 წლიდან კავკასიის ჩრდილოეთით სახლობდნენ. ძვ.წ. VIII ს-ში კიმერიელები სამხრეთ კავკასიაში შემოიჭრნენ და აქ გარკვეული ტერიტორიები დაიპყრეს. სკვითებმა ძვ. წ. VII საუკუნეში კიმერიელების ტერიტორია დაიკავეს. ისინი მომთაბარეები იყვნენ და მესაქონლეობას მისდევდნენ. ძვ. წ. IV საუკუნეში იმიერკასპიისა და არალისპირეთს შორის ჩამოყალიბდა სკვითების სახელმწიფო;. მათ შორის აღსანიშნავია ჭაობიან ადგილებში მცხოვრები მასაგეტები („მასია“ ირანულად „თევზი“) მეთევზეები ან თევზის მჭამელები (უმ თევზს ჭამდნენ).<sup>2</sup> მასაგეტები სკვითური (ირანული) წარმოშობის ხალხად არის მიჩნეული. ისინი ორ ჯგუფ-

---

<sup>1</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017, გვ. 83-84.

<sup>2</sup> **ჰეროდოტოსი**, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ 1, წყაროები, ლოგოსი, თბ., 2010, 85.

ფად იყოფოდნენ: ჩრდილო ანუ დიდი საკები და საკი-ამირგელები (სპარსულად საკა-ხაომუს ანუ ბანგის დამზადებლები<sup>1</sup>).

ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ორმოსამარხები სკვითური ინვენტარით (ბრინჯაოს გრძელტარიანი სარკეები, სამაჯურები, აკინაკები, სკვითური ისრისპირები და სხვ.) რაც მიგვანიშნებს, რომ ეს ტერიტორია სკვითური კულტურის გავრცელების არეალში შედიოდა<sup>2</sup>. ამ პერიოდის ანუ ძვ. წ. VII-IV საუკუნეების ალბანეთის ტერიტორიაზე სკვითური ტომები დასახლებულან. თუმცა, მინგეჩაურის სკვითურად მიჩნეული სამაროვნიდან მომდინარე თავის ქალებს, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, სკვითური ნიშნები არ გააჩნია.<sup>3</sup> როგორც ჩანს, აქ სკვითური მოდგმის ტომები დიდხანს არ შეჩერებულან. დასაშვებია, რომ სკვითების ნაწილი დასახლდა ამ ტერიტორიაზე და დროთა ვითარებაში ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყა. ბრინჯაოს პერიოდის შემდეგ, როგორც ჩანს, ეს იყო კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე სხვა ტომთა ჩამოსახლების ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ტალღა<sup>4</sup>.

განსაკუთრებული როლი კავკასიის ალბანეთის ეთნიკური სახის ფორმირებაზე ითამაშეს თურქული მოდგმის ხალხებმა: ჰუნებმა, პაჭანიკებმა, ოღუზებმა, ყივჩაყებმა და ა.შ. პირველად რეგიონში გამოჩნდნენ ცენტრალური აზიის ტრამალებიდან გამოსული თურქულენოვანი მომთაბარე ტომები – ჰუნები

---

<sup>1</sup> *Геродот*, История в девяти книгах. Книга 1, Клио, перевод и примечания Г.А. Стратановского, под общей редакцией С.Л. Утченко. Редактор перевода Н.А. Мещерский, Издательство «Наука», Ленинград, 1972.

<sup>2</sup> *Алиев И. Г. О скифах и скифском царстве в Азербайджане. Переднеазиатский сборник. М., вып. III; 1979.*

<sup>3</sup> *Касимова Р. М. Антропологическое исследование черепов из Мингечаура. В связи с изучением этногенеза азербайджанского народа. Редактор: Г. Ф. Дебец. Институт истории Академия Наук Азербайджанской ССР... Баку: 1960.*

<sup>4</sup> *Касимова Р. М. დასახ. ნაშრომი.*

– და მათთან შერწყმული უნგრული და სარმატული მოდემის ჯგუფები, რომლებიც მანამდე ევრაზიის სტეპებზე ცხოვრობდნენ და ეთნიკურად არაერთგვაროვან ხალხს წარმოადგენდნენ. ჰუნების ტომობრივი გაერთიანება ცენტრალური აზიიდან IV საუკუნის 70-იან წლებში შეიქრა აღმოსავლეთ ევროპაში და ამით ხალხთა დიდ გადასახლებას მისცა იმპულსი. მათ „ბინძური სულებისგან“ გაჩენილ ხალხსაც უწოდებდნენ. მოგვიანებით რეგიონზე გარკვეული გავლენა ჰქონდა თურქულენოვან ხაზარებს.

აზერბაიჯანელების ეთნოგენეზში დომინანტ კომპონენტად ოღუზებს მიიჩნევენ, რომლებიც კავკასიაში XI საუკუნეში გამოჩნდნენ.<sup>1</sup> მანამდე ისინი ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის სტეპებში ცხოვრობდნენ და ხანის მეთაურობის ქვეშ მყოფ 24 ტომის გაერთიანებას წარმოადგენდნენ. VII ს.-ში თურქულენოვანმა უიგურებმა ისინი აიძულეს მონღოლეთიდან დასავლეთისაკენ დაძრულიყვნენ. შემდგომ საუკუნეებში ოღუზები ჯერ პაჭანიკებს არბევდნენ, შემდეგ ერთი ნაწილი X ს.-ში დასახლდა ბუხარაში, ნაწილი – XI ს.-ში გადავიდა სამხრეთ სპარსეთში, ნაწილი – დასავლეთით ხმელთაშუაზღვისპირეთში, დანარჩენი ბალკანეთში დასახლდა. ოღუზებმა დაარსეს სელჩუკ სულთანთა დინასტია ბალდათში, აბასიანთა სახალიფოში. რაც შეეხება ოღუზთა თურქულენოვანი კომპონენტის როლს აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზში, ეს ტომთა კავშირი თურქების, ადგილობრივი ტომების, უნგრების და ირანულენოვანი სარმატული წარმოშობის შერევის შედეგად ჩამოყალიბდა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> *Гусейнов Р. А.* Огузы, кипчаки и Азербайджан XI–XII вв. (К вопросу об этнических процессах в Азербайджане в XI–XII вв.). – В кн.: Проблемы современной тюркологии. Алма-Ата, 1980, с. 352–355. *Гусейн-заде Р.А.* Кавказ и сельджуки, Институт стратегических исследований Кавказа, серия «История Кавказа», Баку, «Кавказ», 2010, с. 59-60.

<sup>2</sup> *Артамонов М.И.* История Хазар, Филологический факультет Санкт-Петербургского государственного университета, С-П, 2002, с. 419.

არსებობს მოსაზრება, რომ აზერბაიჯანელები XI საუკუნე-ნიდან გათურქებული ძველი ირანულენოვანი მოსახლეობის შთამომავლები არიან.<sup>1</sup> V-XI საუკუნეებში დასაწყისში ოღუზების ჯერ იშვიათი, შემდეგ კი ინტენსიური ლაშქრობების შედეგად, დღევანდელი ირანის აზერბაიჯანის მოსახლეობა და კავკასიის მიმდებარე რეგიონები თურქულენოვანი გახდა; ამავე დროს, აზერბაიჯანული თურქული ენის დამახასიათებელი თვისებები, როგორცაა სპარსული ინტონაცია, ვოკალური ჰარმონიის უარყოფა, ასახავს თურქიზებული მოსახლეობის არათურქულ წარმოშობას.<sup>2</sup> ოღუზთა სავარუდო ნაწილად მიაჩნიათ პაჭანიკები<sup>3</sup>, რომლებიც მოგვიანებით ყივჩაყებში, რუსებში და ბიზანტიელებში გაითქვიფნენ<sup>4</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში მონაწილეობდნენ ყარაყოიუნლუს („შავბატკნიანი“) და ალყოინლუს („თეთრბატკნიანი“) ტომები, რომლებიც დასახლდნენ სამხრეთ აზერბაიჯანში და შესამჩნევი კვალი დატოვეს მათ ეთნიკურ ისტორიაში.

ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის კვლევისას გარკვეული როლი ენიჭება ანთროპოლოგიურ მონაცემებს. აზერბაიჯანელების ფიზიკური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით კვლევა XIX საუკუნეში დაიწყო. რუსი ანთროპოლოგი ი. პანტიუხოვი, კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების აღწერისას წერდა: ქურთები და „აზერბაიჯანელი თათარი“ (შიიტები), აგრეთვე უდიე-

---

<sup>1</sup> Grand Dictionnaire Encyclopédique Larousse, 1982: 921.

<sup>2</sup> *Minorsky V.* «Azarbaijan». The Encyclopaedia of Islam. Second Edition, Edited by: P. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel and W.P. Heinrichs. Brill, 1960-2007. *Minorsky V.* Studies in Caucasian history. London, 1953; Cambridge University Press, 1957. *Minorsky V.* The Khazars and the Turks in the Ākām al-Marjān Author(s). Source: Bulletin of the School of Oriental Studies, University of London, Vol. 9, No. 1, 1937. pp. 141-150.

<sup>3</sup> *Толстов С.П.* Города гузов (историко-этнографические этюды). „Советская этнография“, № 3, 1947.

<sup>4</sup> *Василевкий В.Г.* Византия и печенеги (1048-1094), Труды: Том 1. СПб. 1908.



ბი, თათები და ყარაფაფახები მსგავსებას ამჟღავნებენ სპარსულ ტიპთან.<sup>1</sup> ნაშრომში „კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპები“, ი. პანტიუხოვი ხაზს უსვამს, რომ მესამე კავკასიური რასა აზიური წარმოშობისაა და თავისი ანთროპოლოგიური მონაცემებით ამ სუფთა რასას ეკუთვნის სპარსელები, „აზერბეიჯანელი თათრები“, ქურთები და თათები.<sup>2</sup>

სხვა მოსაზრებით, „აზერბეიჯანის თათრები“ წარმოადგენენ შერეულ ტიპს და იმ ადგილებში, სადაც სომხების გვერდით ცხოვრობდნენ, თავის ქალას მაჩვენებლით სომხურ ტიპთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებდნენ. „თათრების“ ტიპი ძირითადად გრძელთავიანი იყო და საერთო არაფერი ჰქონდა მონღოლურ რასასთან.<sup>3</sup> კავკასიელი ხალხებიდან მხოლოდ რამდენიმეში გვხვდება დოლიქოკეფალური ელემენტი (ნატუხაისი//ნათუხაელები, ადერბაიჯანელი თათრები), მაშინ როცა უმრავლესობას ახასიათებს ბრაქიკეფალიის მაღალი ხარისხი (მაგ. აფხაზები, ქართველები, სომხები, აისორები//ასურელები, ყუმიხები).<sup>4</sup>

სპეციალურმა კომისიამ („აზერბაიჯანელების გამოკვლევისა და შესწავლის საზოგადოება“) და მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან ერთად (ხელმძღვანელი აზერბაიჯანელი ბიოლოგი ნ. ანსეროვი), 1930 წელს გამოსცა ნაშრომი, რომელშიც შეტანილი იყო აზერბაიჯანელების რასობრივ – სომატოლოგიური მონაცემები. მიღებული დასკვნით აზერბაიჯანელები არ წარმოადგენდნენ ერთგვაროვან

---

<sup>1</sup> *Персы* // Энциклопедический словарь Ф.А. Брокгауза и И.А. Ефрона, СПб. Том XXIII (45). 1898. с. 401.

<sup>2</sup> *Пантюхов И.И.* Антропологические типы Кавказа. Тифлис, 1893.

<sup>3</sup> XIX век // Официальный сайт Музея антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера) РАН.

<sup>4</sup> დოლიქოკეფალიის გავრცელების შესახებ ფ. ბროკჰაუზის და ი. ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში წერია: *Персы* // Энциклопедический словарь Ф.А. Брокгауза и И.А. Ефрона, СПб. Том XXIII (45). 1898. с. 401; *Пантюхов И. И.* Расы Кавказа // Кавказский календарь. Тифлис, 1900.

ტიპს, თავის ქალას ფორმის მიხედვით ნ. ანსეროვმა გამოყო ორი დამახასიათებელი მორფოლოგიური კომპლექსი: მეზოკეფალური ხმელთაშუაზღვის და ბრაქიკეფალური, რომელიც სხვადასხვა კავკასიურ ჯგუფებთან მეტისაციის შედეგად იყო წარმოქმნილი<sup>1</sup>. შემდეგი კვლევებით დადასტურდა ორი რასობრივ მორფოლოგიური კომპონენტი: ხმელთაშუაზღვისპირული და სამხრეთ კავკასიური<sup>2</sup>. ნ. ანსეროვის აზრით, აზერბაიჯანელების მორფოლოგიური იერის ლოკალური ვარიანტები ამ ორი კომპონენტის ხვედრით წილთანაა დაკავშირებული.

ვ. ბუნაკი თავის ნაშრომში „კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური შემადგენლობა“<sup>3</sup> აზერბაიჯანელების ფიზიკურ ტიპში გამოყოფს ნიშანთა განსხვავებულ კომპლექსს. ქართველებთან და სომხებთან შედარებით მათთვის დამახასიათებელია თვალის ფერადი გარსის და თმების მუქი შეფერილობა, თმოვანი საფარველის თითქმის ისეთივე განვითარება, როგორც ქართველებში. ქართველებისაგან განსხვავდებიან ცხვირის ზურგის უფრო მეტი სწორი ფორმებით, ვიწრო სახით, დაბალი თავის მაჩვენებლით, ხოლო მეზოკეფალური ადილევლებისაგან მათ განასხვავებთ უფრო მაღალი თავი. ნიშანთა ეს კომპლექსი სხვადასხვა მოდიფიკაციით ფართოდაა გავრცელებული აზერბაიჯანში: „ქვემო-მტკვრის“ ტიპი გავრცელებულია განჯიდან – შემახამდე; უფრო მკვეთრადაა გამოხატული ეს კომპლექსი ნახივანში, სპარსულ აზერბაიჯანში, რომელსაც ვ. ბუნაკმა „შუა-არაქსული“ უწოდა; ჩრდილო კასპიისპირა ირანში გავრცელებულ ტიპს „ელბრუსის“ დაარქვა. გამოყოფილ ტიპებს

---

<sup>1</sup> *Ансеров Н.И.* Тюрки советского Азербайджана, Баку, 1930 с. 66-67.

<sup>2</sup> *Ярхо А.И.* Ганджинские тюрки (Азербайджанская ССР): Из работ экспедиции по изучению турецких народностей СССР//Антропологический журнал. 1932. №2. *Ансеров Н.И.* Талыши. Медико-антропологическое исследование. Баку, 1932.

<sup>3</sup> *ბუნაკი ვ.* კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1946, ტ. 13-А. გვ. 89-147. პარალელური ტექსტი რუსულ ენაზე.

მკვლევარი დასავლეთ კასპიური ტიპის ლოკალურ ვარიანტებად განიხილავდა<sup>1</sup>.

ვ. ბუნაკის აზრით, ზაქათალას (კახის) აზერბაიჯანელები ანთროპოლოგიური ტიპით ახლო არიან მეზობელ (მოსაზღვრე) დაღესტნელებთან. ამ ფაქტს ის „თურქიზაციის“ შედეგად მიიჩნევს. გარდა ამისა, აზერბაიჯანელებში შევიდა კიდევ სხვა, „თურქოიდული“ (მონღოლოიდური) ელემენტი<sup>2</sup>.

დასავლეთ კასპიურ და აღმოსავლეთ კასპიურ ტიპებს ვ. ბუნაკი აერთიანებდა კასპიურ რასაში, ხოლო კასპიურ და პონტოურ რასებს რასობრივი დაყოფის უფრო მაღალ კატეგორიაში „დიდ ხმელთაშუაზღვისპირულ“ რასის შემადგენლობაში განიხილავდა<sup>3</sup>. მოგვიანებითაც ვ. ბუნაკმა თავის სქემაში კასპიური ტიპები მიაკუთვნა ევრაზიულ შტოს, ევროპეიდულ (დასავლურ) ღერძს, რომელიც ღრმა წარსულში შუა აზიისა და სამხრეთ ციმბირის სტეპებში ჩამოყალიბდა<sup>4</sup>.

გ. დებეცი კასპიურ ანთროპოლოგიურ ტიპს, კავკასიის ხალხებისათვის დამახასიათებელ სხვა ტიპებთან – კავკასიონის, წინააზიურ და პონტოურთან – ერთად განიხილავდა; აზერბაიჯანელების გარდა ამ ტიპში სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს: ირანულენოვან ტალიშებს//თალიშებს, ქურთებს, თათებს, თურქულენოვან ყუმუხებს და დაღესტნურენოვან ჩრდილო აზერბაიჯანის მოსახლეობას (უდიები, ბუდუგელები) აერთიანებდა. ჩ.გ. დებეცის მიხედვით კასპიური ტიპის გავრცელების არეალი სცდება კავკასიას. მისი უახლოესი მორფოლოგიური კომბინაციები ფიქსირდება თურქმენეთის,

---

<sup>1</sup> ბუნაკი ვ. დას. ნაშრომი, გვ. 98.

<sup>2</sup> ბუნაკი ვ. დას. ნაშრომი, გვ. 91.

<sup>3</sup> ბუნაკი ვ. კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა, სსმმ. გვ. 98.

<sup>4</sup> ბუნაკი ვ. დას. ნაშრომი, გვ. 103.

ერაყის, არაბეთის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპებში<sup>1</sup>.

ნ. ჩებოქსაროვის კლასიფიკაციით, აზერბაიჯანელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდური რასის სამხრეთ-ევროპეიდურ (ანუ ინდო—ხმელთაშუაზღვისპირულ) მცირე რასის ხმელთაშუა-ბალკანურ ტიპთა ჯგუფს. სამხრეთ ევროპეიდებში მან ასევე გამოყო ინდო-პამირული და წინააზიური ტიპთა ჯგუფები<sup>2</sup>. ხმელთაშუა-ბალკანურ ტიპთა ჯგუფისათვის დამახასიათებელია საშუალო შეფერილობის კანი, მუქი სწორი ან ტალღოვანი თმები, მუქი ან შერეული თვალების ფერი, თმოვანი საფარველის მძლავრი განვითარება, ვიწრო, ზომიერად ნაზიდული ცხვირი, სწორი ცხვირის ზურგი, სქელი ტუჩები, ვიწრო სახე და დოლიქო-მეზოკრანული თავის ქალას ფორმა, სხეულის საშუალო ან დიდი სიმაღლე. ის გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ერაყში, ირანის სამხრეთ ოლქებში, ჩრდილოეთ ინდოეთში და სამხრეთ კავკასიაში (საქართველოსა და აზერბაიჯანში).<sup>3</sup>

1950-60 წწ. აზერბაიჯანის სსრ მეც. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მოენყო მასშტაბური ანთროპოლოგიური ექსპედიციები, რის საფუძველზეც რ. კასიმოვამ გამოაქვეყნა მონოგრაფია, სადაც მიიჩნევს, რომ: დოლიქო – მეზოკეფალური მორფოლოგიური კომპლექსი, რომელიც ტიპურია ცენტრალური და სამხრეთ აზერბაიჯანის და ასევე მცირე კავკასიონის

---

<sup>1</sup> *Дебец Г.Ф.* О принципах классификации человеческих рас: (По поводу статьи В.В. Бунака «Человеческие расы и пути их образования». СЭ. 1956. №1) //СЭ. 1956. №4. გვ. 211; *Дебец Г.Ф.* Антропологические типы//Народы Кавказа. 1960. Т. I.

<sup>2</sup> *Чебоксаров Н.Н.* Основные принципы антропологических классификаций//Происхождение человека и древнее расселение человечества. М., 1951 (ТИЭ. Новая серия; Т. 16). с. 315-316.

<sup>3</sup> *Чебоксаров Н.Н.* Основные принципы антропологических классификаций//Происхождение человека и древнее расселение человечества. М., 1951 (ТИЭ. Новая серия; Т. 16). с. 315-316.

რაიონებისათვის, ტიპურია აზერბაიჯანელებისათვის. მეცნიერი მას კასპიურ ანთროპოლოგიურ ტიპს მიაკუთვნებს, რომლის არეალი მოიცავს თურქმენეთსა და ირანის აზერბაიჯანს. იგი დაასკვნის, რომ აზერბაიჯანელების ფიზიკური ტიპის ფორმირებაში მონაწილეობდა ორი კომპონენტი, რომელიც დიდად არ განსხვავდება და არც მკვეთრ ტერიტორიულ გამიჯვნას ასახავს.<sup>1</sup>

1946-1953 წწ. მინგეჩაურში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული იყო კრანიოლოგიური მასალა. რ. კასიმოვა იყო პირველი აზერბაიჯანელი ანთროპოლოგი, რომელმაც შეისწავლა დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი და თანამედროვე მოსახლეობა. მათ შორის კავშირის დასადგენად, მკვლევარმა განიხილა მინგეჩაურის კრანიოლოგიური სერიები ძვ. წ. I ათასწლეულიდან ახ. წ. XVII ს-ის ჩათვლით და პალეოანთროპოლოგიურ მასალებით ამოყო 3 მდგრადი ნიშანთა კომპლექსი.

ამ მასალებზე დაყრდნობით რ. კასიმოვა აღნიშნავს, რომ ალაზნის ველის თანამედროვე მცხოვრებლებს შორის ქარბობს ბრაქიკეფალური ტიპი. სახის სიგანის, სიმაღლისა და ღანვის ძვლების დიამეტრით ის დიდ მსგავსებას ამჟღავნებს მინგეჩაურის მიდამოებში მდებარე ქრისტიანულ (VII-IX სს) და მუსლიმურ (XIV-XVII სს) სამარხებში დამონმებულ ბრაქიკრანულ ტიპებთან. რ. კასიმოვას აზრით, კატაკომბური სამარხები (I-VI სს) დოლიქოკეფალებს ეკუთვნის და დასავლეთ აზერბაიჯანის თანამედროვე მოსახლეობაში ეს მონაცემები მცირე ცვლილებებით აისახა. მკვლევარი ასაბუთებს, რომ თანამედროვე აზერ-

---

<sup>1</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017, с. 54-60.

ბაიჯანელები მინგეჩაურის კრანილოგიური მონაცემების მიხედვით ეთანაბრება ძველი მოსახლეობის ტიპებს.<sup>1</sup>

რ. კასიმოვა თვლის, რომ აზერბაიჯანელი ხალხის ძირითადი ბირთვის ფორმირებაში წამყვანი როლი ალბანელ და ატროპატენელ ტომებს მიუძღვის. იგი აღნიშნავს უძველეს კასპიელი ტიპის გენეტიკური სუბსტრატის ურთიერთობას, როგორც სამხრეთელ, ისე ჩრდილოელ მოსახლეობასთან. პალეოანთროპოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ის ხსნის თანამედროვე აზერბაიჯანელების მორფოლოგიურ განსხვავებას და ამის მიზეზად სამხრეთით ატროპატენელებთან, ხოლო ჩრდილოეთში კი ალბანელებთან ურთიერთობას მიიჩნევს.<sup>2</sup>

ვ. ალექსეევი აზერბაიჯანელების ანთროპოლოგიური მახასიათებლების ანალიზისას კასპიის ტიპს განიხილავს ხმელთაშუაზღვის ან ინდო-ავღანეთის რასის მრავალფეროვნების პრიზმაში და მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანელები განეკუთვნებიან ევროპეიდული რასის კასპიის ქვეტიპს, რომელიც ასევე მოიცავს ყუმბიებს, წახურებს, თათ-მუსლიმებს და ქურთების ნაწილს<sup>3</sup>. ვ. ალექსეევი აღნიშნავს, რომ კასპიის ჯგუფის უახლოესი მორფოლოგიური ანალოგიები აღინიშნება ავღანეთისა და ჩრდილოეთ ინდოეთის მოსახლეობაში. აზერბაიჯანელი ხალხის პირდაპირი წინაპრები მცირე აზიის ძველ ხალხებში უნდა ვეძებოთ. თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებთან კონტაქტმა და მათთან დაკავშირებულ თურქულ ენაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია აზერბაიჯანელი ხალხის ანთროპოლოგიური მახასიათებლების ფორმირებაზე. კასპიური

---

<sup>1</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017, с. 59-60.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 59-60.

<sup>3</sup> **Алексеев В. П.** География человеческих рас // Избранное в 5 т. Т. 2. Антропogeография. – М.: «Наука», 2007: 188. **Алексеев В.П.** Избранное в 5 т. Т. 5. Происхождение народов Кавказа, М.: «Наука», 2009: с. 85-92.

ტიპი (ან პოპულაციათა ჯგუფი) ტერიტორიულად მიეკუთვნება აზერბაიჯანს და სამხრეთ დაღესტანს. უახლოესი ანალოგები კი გვხვდება ავღანეთის და ჩრდილო ინდოეთის მოსახლეობაში. ამრიგად, ვ. ალექსეევის თვალსზრისით, კასპიური ტიპი ინდურ-პამირულის, ან ინდო-ავღანური რასის ერთ-ერთი ქვეგანაყოფია კავკასიაში<sup>1</sup>.

რასობრივ-მორფოლოგიური შედარებითი ანალიზზე დაყრდნობით მ. აბდუშელიშვილმა კავკასიის მოსახლეობაში კავკასიის ხალხების მჭიდრო რასობრივ-მორფოლოგიური მსგავსების 3 წრე მონიშნა. ერთ-ერთი ამ წრეთაგანი აყალიბებს კასპიური ტიპის ჯგუფებს, სადაც თალიშებთან და ქურთებთან ერთად შედიან აზერბაიჯანელები. კასპიური ჯგუფი წარმოდგენილია დასავლეთკასპიურის ტიპად, შედის ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ ან სამხრეთევროპეიდულ რასის ინდო-პამირულ ქვერასაში; არეალი კი მოიცავს შუა და სამხრეთ აზიას, ავღანეთს და ჩრდილო ინდოეთს. მ. აბდუშელიშვილი თვლის, რომ დასავლეთ კასპიელებისა და წინა აზიელების განსახლების ტერიტორიებიდან მომდინარე პალეოანთროპოლოგიური მასალები დიდ მსგავსებას იჩენენ ერთმანეთთან და აღმოსავლეთ კავკასიაში სხვაგვარი ფორმების გამოჩენის მონაცემები არ ჩანს. მას მიაჩნია, რომ კასპიელები აქ ცხოვრობენ უხსოვარი დროიდან, რაც უარყოფს ალექსეევის მოსაზრებას, კასპიელების კავკასიაში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოსვლის შესახებ.<sup>2</sup>

კავკასიის, ავღანეთისა და პამირის თანამედროვე მოსახლეობის მორფოლოგიური კომპლექსების ანალიზის შედეგად ვ. დერიაბინი მივიდა დასკვნამდე, ლენქორანის და ჩრდილო აზერბაიჯანელების ვარიანტის პამირის ანთროპოლოგიური

---

<sup>1</sup> *Алексеев В. П.* География человеческих рас // Избранное в 5 т. Т. 2. Антропogeография. М.: «Наука», 2007: 188.

<sup>2</sup> *Азербайджанцы*, Ответственные редакторы: *А. Мамедли, Л. Т. Соловьева*, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии *В. А. Тишков*, Москва. Наука, 2017, с. 61.

ტიპის წარმომადგენლებთან მნიშვნელოვანი მსგავსების შესახებ. მას მიეკუთვნება ავღანეთში მცხოვრები, დასავლეთ პამირის იზოლირებული ჯგუფები ვახანები და იშკაშიმები; ავღანეთში მცხოვრები ტაჯიკების ცალკეული ჯგუფები (სამანგანის, ჯურისკიების და კეშემის), პასაი//პაშაი და თაგაოს პუშტუნები, ავღანელი ებრაელები და ზებაკები, ბალხის არაბები, შუტულის პარაჩები. ამავე დროს კასპიური ტიპი ცოტა ანალოგს პოულობს აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობასთან.<sup>1</sup>

ანთროპოლოგიური დერმატოგლიფების ექსპერტი, ჰენრიეტა ჰიტი, თავის მოხსენებაში „დერმატოგლიფები და კავკასიის მოსახლეობის რასოგენეზი“ აღნიშნავს, რომ „კავკასიის თურქები (აზერბაიჯანელები, ყარაჩაელები, ბალყარელები) ხელების ანაბექტების 6 ძირითადი ნიშნის მიხედვით ქმნიან ცალკე ერთგვაროვან ჯგუფს. ამასთან, სომატოლოგიის საფუძველზე მჭიდროდ მსგავსი ყარაჩაელები და ბალყარეები ერთიანდებიან ოსებთან, ჩეჩნებთან და ინგუშებთან, ხოლო აზერბაიჯანელები ზოგადად დერმატოგლიფური მონაცემებით იზოლირებულნი არიან კავკასიის ხალხთა მთელ სისტემაში“. მან ურთიერთგანსხვავებული თავის ქალას ზომების მიხედვით გამოიკვლია აზერბაიჯანელების სამი ლოკალური ჯგუფი: ზაქათალის (ბრაქიკეფალები), ალსტაფისა (მეზოკეფალები) და ნახიჭევანის (დოლიქოკეფალები) და დაადგინა, რომ სამივე ლოკალური ჯგუფი აზერბაიჯანელებისა დერმატოგლიფების მონაცემების მიხედვით ერთმანეთის ურთიერთმსგავსნი არიან. ამ ნიშნით აზერბაიჯანელები ძალიან ახლოს არიან ლეკებთან და დარგინებთან, ხოლო დანარჩენ დალესტნულ ჯგუფებთან ნაკლებად.<sup>2</sup> ჩგ. ჰიტი თავის მონოგრაფიაში „Дерматоглифика народов СССР“ წერს, რომ დომინირებულ სამხრეთ ევროპეიდულ კომ-

---

<sup>1</sup> **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: **А. Мамедли, Л. Т. Соловьева**, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017, с. 64.

<sup>2</sup> **Хитъ Г. Л.** Дерматоглифика народов СССР. Москва, 1983.



პონენტის გარდა, კასპიური ლოკალური რასა, წინააზიურისა და კავკასიონის მცირე რასებისაგან განსხვავებით, შეიცავს მონღოლოიდურ და ეკვატორიალურ (ინდო-ავსტრალოიდურ) მინარევს<sup>1</sup>.

რასობრივ-სომატოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ აზერბაიჯანელთა ანთროპოლოგიური შემადგენლობა არაერთგაროვანია. აზერბაიჯანელების უდიდესი ნაწილი ხასიათდება დოლიქო-მეზოკეფალიით, ვიწრო სახით, უხვთმიანობით, მუქი პიგმენტაციით. ეს მორფოლოგიური ტიპი შეესაბამება ინდო-ხმელთაშუაზღვის (ინდო-ავღანური) რასის კასპიურ (დასავლეთკასპიურ) ვარიანტს და ჭარბობს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში, აგრეთვე ირანის აზერბაიჯანელებში. აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებლები ანთროპოლოგიური და მორფოლოგიური მონაცემების მიხედვით მიეკუთვნებიან კავკასიონური რასის ჯგუფს. მათი პალეოანთროპოლოგიური მონაცემები ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანიდან ახ. წ-მდე ჩანს.

ოდონტოლოგიური მონაცემების მიხედვით აზერბაიჯანელები მიეკუთვნებიან სამხრეთ გრაციულ ტიპს. ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების სამი ჯგუფის ოდონტოლოგიური კვლევა ჩაატარა ვ.ფ. ქაშიბაძემ რომელმაც აღნიშნა რომ ამ მონაცემების საფუძველზე, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მცირედით განსხვავდებიან მათი ძირითადი ჯგუფისგან და განეკუთვნებიან სამხრეთი გრაცილური ტიპის აღმოსავლეთ ფორმას<sup>2</sup>.

აზერბაიჯანელები მატარებლები არიან ზოგიერთი ჰაპლოჯგუფების e- ქრომოსომების, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია: J2 – 30,5%, G – 18%, R1b – 11%, J1 – 11%, L – 7%, R1a – 7%. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მიუხედავად

---

<sup>1</sup> *Хитъ Г. Л.* Дерматоглифика народов СССР. Москва, 1983, с. 172-180.

<sup>2</sup> *Кашибадзе В. Ф.* Кавказ в антропоисторическом пространстве Евразии, Ростов на Дону, 2006.

თურქმენული კომპონენტისა, აზერბაიჯანელები ტიპური კასპიელი ევროპეიდები//კავკასიელები არიან.<sup>1</sup>

ზემომოტანილი მოსაზრებები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია. არ არსებობს ყველასაგან გაზიარებული ერთიანი ჰიპოთეზა აზერბაიჯანელი ხალხის გენეტიკური წარმომავლობის თაობაზე. ეს საკითხი ღიად დარჩება ვიდრე აზერბაიჯანელების, ძველი კასპიების, ატროპატენელების, მიდიელების, ალბანელების, თურქული მოდგმის ჯგუფების და ა.შ ახალი სრულყოფილი პალეოანთროპოლოგიური, განსაკუთრებით კი ქრომოსომო-ჰაპლოჯგუფების მონაცემები არ გვექნება. ერთი უდაოა, რომ კავკასიაში აზერბაიჯანელები ყველაზე მუქი პიგმენტაციით გამოირჩევიან; მათში მონღოლოიდური და ეკვატორიული (ინდო-ვედოიდური) რასის მცირეოდენი კვალიც აღინიშნება; გამოთქმულია მოსაზრება, რომ კასპიური რასის წარმომადგენლები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ კავკასიაში.<sup>2</sup> აუცილებელია თანამედროვე და პალეომოსახლეობის გენეტიკური კვლევების ჩატარება. გარდა ამისა, საჭიროა ყველა ქრონოლოგიური პერიოდის პალეონიუმებში  $C^{14}$  და  $Sr^{86}$  იზოტოპების შემცველობის განსაზღვრა მიგრაციული ნაკადების დროისა და ადგილის დასადგენად.

ხსენებულის გარდა საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანელი მკვლევრები აზერბაიჯანს უძველესი ცივილიზაციის შემოქმედი სახელმწიფოების მემკვიდრედ მიიჩნევენ და პოლიტიკური ტრადიციის ათვლას ძვ.წ.აღ. XII საუკუნიდან, სახელმწიფო მანადან იწყებენ.

---

<sup>1</sup> *Алиев А.А., Ибрагимов А.Ш., Халилова И.С.* Оценка разнообразия YQ-днк среди азербайджанцев, Вестник Московского университета. Серия XXIII, Антропология № 4/2018. М. с. 49-55.

<sup>2</sup> *Абдушлишвили М.Г.* Антропология древних и современных народов Кавказа. // *Абдушлишвили М.Г., Арутюнов С.А., Калоев Б.А.,* Народы Кавказа: Антропология, лингвистика, хозяйство, Москва, 1994.

ურმიის ტბის მიდამოებში, მდებარე მანა ძვ. წ. IX საუკუნეში გაძლიერდა და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. მოსახლეობას შეადგენდნენ სხვადასხვა ტომები.<sup>1</sup> ძვ.წ. VII-VI სს-ში რეგიონში არსებულ ეთნოპოლიტიკურ ვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებულმა მიდიამ (დედაქალაქი ეკბატანა). მიდიელთა ირანულენოვანი ტომები ისტორიის არენაზე უკვე ძვ. წ. IX საუკუნიდან გამოჩნდნენ, როდესაც ისინი შუა აზიიდან (სხვა ვერსიით, კასპიისპირა ჩრდილოეთ კავკასიიდან) ირანში გადასახლდნენ. მომდევნო საუკუნეებში მიდიელებმა არაირანულენოვან ტომებთან – კუტიებთან, ლულუბეელებთან და კასიტებთან მოახდინეს ასიმილირება. ეს ტომები ირანის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სახლობდნენ. კიაქსარის მეფობის ყამს მიდიელები ძღვევამოსილების მწვერვალზე მოექცნენ, ეპყრათ რა, თანამედროვე ირანი, სომხეთის მთიანეთი, ჩრდილოეთი მესოპოტამია და მცირე აზიის აღმოსავლეთ პროვინციები – კოლხეთისა და დიაოხის საზღვრებამდე. შემდეგში მიდია აქემენიდთა იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მიდიის დამოუკიდებლობა აღდგა ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაამხო სპარსეთის სახელმწიფო. მიდიის ახალი სამეფო მოიცავდა ძველი მიდიის მხოლოდ ნაწილს, რომელიც შემდეგ ატროპატენედ ან მცირე მიდიად იწოდებოდა. ამ სამეფოს ეკავა თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის და ჩრდილოაღმოსავლეთი ირანის (ანუ ირანის აზერბაიჯანის) ტერიტორია და კავკასიის ალბანეთს ემეზობლებოდა.<sup>2</sup>

თანამედროვე და სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოებრივი ერთეული მანასთან ერთად იყო იშკუზა – სკვითების სამეფო, რომელიც ძირითა-

---

<sup>1</sup> *Меликишвили Г.А.* Манейское царство, // Наири-Урарту, АН Груз. ССР., Тбилиси, 1954, сс. 298-304, 312-316.

<sup>2</sup> *Дьяконов И. М.* История Мидии. М.-Л., 1956. *Алиев И.* Очерк истории Атропатены. Баку, 1989.

დად მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მის სამხრეთით მდებარე მინებსაც მოიცავდა<sup>1</sup>. ეს ტერიტორიები დაიპყრო ახლად ჩამოყალიბებულმა მიდიის სახელმწიფომ. როგორც მიდიელთა (და შემდგომ აქემენიდური იმპერიის) ნაწილს, მანას ტერიტორიას ხშირად უწოდებდნენ მცირე მიდიას, ან უბრალოდ ატროპატენეს. ალექსანდრე მაკედონელის შემოსევის, აქემენიდური იმპერიის დაცემის შემდეგ, მას მიდიის ჩრდილოეთ ნაწილი დაერქვა, სადაც მიდიელთა უკანასკნელი აქემენიდიანმა სატრაპმა, ატროპატმა (ტურპატაკ) სამეფო შექმნა. ძველ ავტორებში მისი კიდევ ერთი სახელი, მცირე მიდია არის ცნობილი. გეოგრაფიულად, მიდია ატროპატენე მდებარეობდა ირანის აზერბაიჯანის ახლანდელი ტერიტორიისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში და შემოიფარგლებოდა არაქსით.<sup>2</sup> ასე რომ, ირანის აზერბაიჯანის ძველი ბერძნული სახელწოდება, ატროპატენე – მცირე მიდიაა. ატროპატენე მოიცავდა თალიშის მთების, მდ. არაქსისა და ურმიის ტბის მიდამოებს. ამ სახელწოდებას ოლქის მმართველის, აქემენიანთა სატრაპ ატროპატს (ძვ. წ. IV საუკუნე) სახელს უკავშირებენ (ზოგი მკვლევრის აზრით, სახელწოდება დაკავშირებულია ტიტულ ატროპატთან – თეოკრატიული მმართველი). ანტიკურ ავტორთა ცნობებით, ატროპატენე, როგორც ჩანს, ამ რეგიონის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო და ზოროასტრული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრი იყო. მისი დედაქალაქი ყოფილა გაზაკა (განძაკი).<sup>3</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნე,

---

<sup>1</sup> *Боханов А. Горинов М.* История России с древнейших времен до конца XX века, М, 2001; *Алиев И. Г.* О скифах и скифском царстве в Азербайджане. Переднеазиатский сборник. М., вып. III; 1979. *Ионе Г. И.* Мингечаурская разновидность наконечников стрел «скифского» типа. Сб. «Материальная культура Азербайджана», вып. 3, 1953. с. 81-97.

<sup>2</sup> Закавказье и сопредельные страны в период эллинизма, «Восток в древности», Глава XXIX, Электронный текст книги, 1999.

<sup>3</sup> *Алиев И.* Очерк истории Атропатены. Баку, 1989.

აზერბაიჯანელთა გენეზისსა და ისტორიას უძველესი დროიდან მრავალ ხალხსა თუ სახელმწიფოს უკავშირებენ. მათ შორის კი ყველაზე ხშირად – კავკასიის ალბანეთსა და ალბანელებს.

ალბანეთის სახელმწიფოს ფორმირება სავარაუდოდ ძვ.წ. IV-III საუკუნეებს განეკუთვნება. ის ჩრდილოეთით კავკასიის მთებს, აღმოსავლეთით კასპიის ზღვას, დასავლეთით იბერიას, სამხრეთ-დასავლეთით სომხეთს, სამხრეთით კი ატროპატენეს ესაზღვრებოდა. ამრიგად, უძველესი ალბანეთის ტერიტორია თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკას, ახლანდელი სომხეთის რესპუბლიკის დიდ ნაწილს, დაღესტნის რესპუბლიკის (რუსეთის ფედერაციის) სამხრეთ ნაწილს, საქართველოში კი იორის უკიდურესი სამხრეთი აუზისა და ალაზნის (მარცხენა ნაპირამდე) ხეობამდე ვრცელდებოდა. „ალბანეთი ამ ქვეყანას ბერძნული წყაროების მიხედვით ეწოდება. სომხურ წყაროებში იგი ალუან-ქ (ალუან-ქ)-ად მოიხსენიება, ხოლო ქართულში გვხვდება რანი, ალუანი, და ჰერეთი. ამიტომ იყო, რომ ა. შანიძე ძველ ალბანელთა ენას ჰერულს უწოდებდა.“<sup>1</sup>

სტრაბონი გვამცნობს, რომ „ალბანელები უფრო მწემსები არიან და ახლოს დგანან მომთაბარულ ცხოვრებასთან, მაგრამ არ არიან ველურები. ამის გამო ისინი ზომიერად მეომარი ბუნების არიან. ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის: აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს... ადამიანები სილამაზითა და ახოვანებით გამოირჩევიან. ისინი უბრალოები არიან და არა ვაჭრული ბუნების. არც მონეტებს ხმარობენ მეტწილად. ...ენევიან საქონლის გაცვლა-გამოცვლას და საერთოდ ცხოვრების საჭიროების მიმართ გულგრილნი არიან. არ იციან ზომისა და წონის სიზუსტე, ომის, სახელმწიფო წყობილებისა და მინათმოქმედების საქმეებში გულგრილობენ. ხოლო იბრძვიან

---

<sup>1</sup> **ალექსიძე ზ.**, ალბანური მწერლობის ძველი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ – ფილოლოგიური ძიებანი, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 375.

ისინი, როგორც ქვეითად, ასევე ცხენებზე შემსხდრები, მსუბუქად შეიარაღებულებიცა და აბჯრით შეჭურვილებიც, როგორც არმენიელები. ...ესენი აიარალებენ 60 000 ქვეითსა და 22 200 ცხენოსანს... ალბანელები არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ აბჯრები, ფარები და ცხოველთა ტყავის მუზარადები... ალბანელებს აქვთ 26 ენა, იმიტომ რომ ერთმანეთს არ ერევიან“.<sup>1</sup>

ალბანეთის ტერიტორიები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – არცახი (სომხური სახელწოდებაა//მთიანი ყარაბაღი) და უტიქი (ველის ყარაბაღი) ძვ. წ. II-დან დიდი სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა. ალბანეთის სამეფოს კი ახ.წ. აღ. 387 წლამდე მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპირო ეჭირა იორალაზნის შუა წელიდან თანამედროვე აღ-სუმიდე. სავარაუდოდ, ახ.წ.აღ. III ს-მდე ალბანეთის სამეფოს ეთნიკური კონსოლიდაცია არ მომხდარა და თვითეული ტომი თავის ენაზე ლაპარაკობდა. 462 წელს გაუქმდა ალბანეთის სამეფო და შეიქმნა სასანიანთა სამარზპანო სახელწოდებით ალბანეთი. მასში შევიდა ყოფილი დიდი სომხეთის ორი პროვინცია – უტიქი და არცახი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. უტიქისა და არცახის ალბანეთისათვის მიერთებას 387 წლითაც ათარილებენ, როდესაც სომხეთი შუაზე გაიყვეს ბიზანტიამ და ირანმა. აღნიშნულმა პროვინციებმა ამ დროიდან მიიღეს სახელწოდება ალბანეთი, რომელსაც ეთნონიმის მნიშვნელობა არ ჰქონდა და მხოლოდ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სომხურმა პროვინციებმა ეს სახელწოდება იმდენად გაითავისეს, რომ მასში მტკვრის მარცხენა სანაპიროს ალბანელებს აღარც გულისხმობდნენ და თვლიდნენ, რომ ეს სახელწოდება მათ ოდითგანვე ჰქონდათ. თანდათან მათ (მტკვრის მარჯვენა მხარის სომხურ პროვინციებს) ჩამოუყალიბდათ ე.წ.

---

<sup>1</sup> სტრაბონი, გეოგრაფია, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ 1, წყაროები, ლოგოსი, თბ., 2010, 226-228, XI, 4, 5.

„ალბანური მსოფლმხედველობა“ და „ალბანური პატრიოტიზმი“ ისე, რომ სომხური თვითშეგნება არ დაუკარგავთ.<sup>1</sup>

აზერბაიჯანში გაბატონდა საპირისპირო თვალსაზრისი, რომ „ალბანეთის ტერიტორია არსებითად უცვლელია მთელი მისი არსებობის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჩათვლით და მასში შედის უტიქისა და არცახის გარდა სივნიეთიც. ზოგი მკვლევრის შეხედულებით, უტიქი და არცახი მხოლოდ მცირე ხნით მიიტაცა სომხეთმა და 387 წელს ალბანეთმა ისევ დაიბრუნა, ზოგი კი საერთოდ უუარყოფს სომხეთის ამ ტერიტორიაზე გაბატონებას. მიჩნეულია, რომ ალბანეთის მთელი ტერიტორია, თანამედროვე, სადავო პროვინციის – ყარაბაღის ჩათვლით, დასახლებული იყო ეთნიკურად ერთი წარმომავლობის მოსახლეობით, რომელმაც საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ენა და სარწმუნოება შეიცვალა.<sup>2</sup>

ალბანელთა ეთნიკური ვინაობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ზოგ მკვლევარს ალბანელები ქართველური მოდგმის ხალხად მიაჩნია, ზოგის ვარაუდით კი ალბანელებთა შემადგენლობაში შემავალი რამდენიმე ტომია ქართველური.

საქართველოს ტერიტორია, რაიმე ქრონოლოგიური წყვეტილის გარეშე, ინტენსიურად იყო ათვისებული ადამიანის მიერ. ბუნებრივია, რომ ათასწლეულთა განმავლობაში ქართველთა წინაპრებს სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ თავის ახლობელ თუ შორეულ მეზობლებთან. ეს ურთიერთობანი აისახებოდა ქართულ ენაში სხვადასხვაგვარად და კერძოდ, უცხო

---

<sup>1</sup> **ალექსიძე ზ.**, ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ – ფილოლოგიური ძიებანი, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 376.

<sup>2</sup> **ალექსიძე ზ.**, ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ – ფილოლოგიური ძიებანი, ტ. 1, თბ., 2010, გვ. 377.

ტერმინებისა და სიტყვების ქართული ენის ლექსიკურ ფონდში დალექციით.<sup>1</sup>

ძვ. წ. VI-V ათასწლეულთა მიჯნიდან დაიწყო საერთო-ქართველური ეთნოსის და ენობრივი სისტემის ჩამოყალიბება. ამ ერთობის ჩამოყალიბების პროცესში იკვეთებოდა ქართველური ეთნოსისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, როგორც მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ისე ყოფასა და ფსიქიკაში. იქმნებოდა ეთნიკური თვითშეგნება (თვითშემეცნება), რომელიც გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობას და ტომობრივი (ენობრივი) კუთვნილების გრძნობას ეფუძნებოდა. თვითშეგნების მძლავრ ფაქტორად რელიგიური წარმოდგენები, ტერიტორიული, სოციალური, კულტურული ერთიანობის შეგნება, ეთნიკურ პირობებში ტრადიციათა დამკვიდრება წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში ხელს უწყობდა ისტორიული მახსოვრობის შემონახვას ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის შესახებ.<sup>2</sup> წინარექართველური ერთობა განსახლებული იყო მთაგორიან და ხევებით დასერილ ტერიტორიაზე და წარმოადგენდა სრულიად გამოკვეთილ ეთნიკურ-კულტურულ გაერთიანებას, ტომთა დიდ ერთობლიობას, რომელიც საუბრობდა საერთო – ქართველური ენის სხვადასხვა დიალექტზე, ჰქონდა ერთიანი ტერიტორია და უნდა ჰქონოდა საერთო სახელიც. ამ ეთნოკულტურულ ერთობას ინტენსიური და მრავალგვარი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მეზობელ და შორეულ ამგვარსავე ეთნო-კულტურულ გაერთიანებებთან, რაც კარგად არის ასახული ლექსიკაში და ენობრივ კავშირებში.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> *მუსხელიშვილი დ.*, საქართველოს ისტორიის ნარკვევი, საქართველოს ისტორიის ადრეული პერიოდი. // ქართველები, თბ., 2016, გვ. 35-36.

<sup>2</sup> *მელიქიშვილი ირ., ხაზარაძე ნ.*, ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების კონტექსტში, // ქართველები, თბ., 2016, გვ. 26-34.

<sup>3</sup> *მუსხელიშვილი დ.*, ქართველთა წარმომავლობისათვის.//ქართველები, თბ., 2016, გვ. 18.



კავკასიის ალბანეთის მრავალეთნიკურმა სახელმწიფომ, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 387 წლამდე მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოიცავდა, 705 წლამდე იარსება. დღევანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონები კი ატროპატენეს ნაწილი იყო. VIII საუკუნეში ალბანეთისა და ატროპატენეს ტერიტორია არაბული სახალიფო ნაწილი გახდა, გავრცელება დაიწყო ისლამმა და ისლამურმა კულტურამ. სახალიფოს დაშლის შემდეგ კი აქ მრავალი ფეოდალური სახელმწიფო შეიქმნა, რომელსაც სათავეში შირვანშაჰები, სალარადები, საჯეიდები, შედადიდები და რავადიდები ედგნენ.

თურქ-სელჩუკთა ინფილტრაციამ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თურქიზაცია განაპირობა. XII საუკუნეში არანი (ყოფილი ატროპატენეს ტერიტორია, ჩრდილო-აღმოსავლეთი ირანი) უკვე ილდეგიზიდების სახელმწიფოს ნაწილია. XIII საუკუნეში დაიწყო მონღოლთა შემოსევა. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია ჰულაგუიდებისა და თემურიდების მართველობის ქვეშ მოექცა, რომლის შესუსტების შემდეგ რეგიონში გავრცელდა თურქმანული სახელმწიფოების ყარა-ყოიუნლუსა (შავბატკნიანთა) და აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკნიანთა) გავლენა.<sup>1</sup> XVI საუკუნეში დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია შედიოდა ირანის სეფიანთა სახელმწიფოში. XVII საუკუნის შუახანებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე (რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე), აქ მრავალეთნიკური ნახევრად დამოუკიდებელი სახანოები არსებობდნენ.

XI-XIII საუკუნეებში დაიწყო თურქულენოვანი აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელის ერთი ეტაპი XV საუკუნის ბოლოს დასრულდა. სეფიანებმა წინ წამოწიეს შიიზმი (ისლამური რელიგიის ერთ-ერთი მიმდევრობა) რასაც არაერთი მკვლევარი აზერბაიჯანული ხალხის ფორმი-

---

<sup>1</sup> **История Востока.** В 6 т. Т. 2: «Закавказье в XI-XIII вв», с. 518.

რებას უკავშირებს.<sup>1</sup> როგორც ჩანს, თურქებსა და აზერბაიჯანელებს შორის ეთნიკური გამიჯვნა მე-XVI საუკუნეში მოხდა.<sup>2</sup> რასაც პ. ნოვოსელცევი სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის იმპერიას შორის შედარებით სტაბილური სახელმწიფო საზღვარის ჩამოყალიბების შედეგად მიიჩნევდა. იგი თვლიდა, რომ მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური საზღვარი გარკვეულად ხელს უწყობდა თურქებისა და აზერბაიჯანელების ეთნიკურ დამორებას.<sup>3</sup> სამხრეთ კავკასიაში თურქული ტომების განსახლება შემდეგ პერიოდშიც გაგრძელდა, ხოლო მათი კონსოლიდაცია ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 1920-1930-იან წლებში მიმდინარეობდა.<sup>4</sup>

პ. ნოვოსელცევი წერს, რომ სწორედ თურქულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა ჩაუყარეს საფუძველი თანამედროვე აზერბაიჯანულენოვან//თურქულენოვან ხალხთა ჩამოყალიბებას. რადიკალური ეთნიკური ტრანსფორმაციის მიზეზი XI საუკუნეში ოგუზების შემოჭრა გახდა. სელჩუკთა იმპერიის დაარსების პირობებში, ოღუზები განსახლდნენ მთელ ირანში, განსაკუთრებით მასობრივად კი – მცირე აზიასა და ახლანდელ აზერბაიჯანში. თურქიზაციამ ეთნიკური მრავალფეროვნების გამო ამ რეგიონში შესაფერისი ნიადაგი ჰპოვა<sup>5</sup>... ამდენად, სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანული ხალხის ფორმირების პროცესი, საკმაოდ რთულია. დღევანდელი აზერბაიჯანელები ასევე კავკასიური ალბანეთის ძველი ტომების ნაწილის, სამხრეთ აზერ-

---

<sup>1</sup> *Новосельцев А.П., Паушто В.Т., Черепнин Л.В.* Пути развития феодализма. Наука, 1972 с. 21; *Olivier Roy*, The new The new Central Asia: The Creation of Nations, I.B.Tauris, 2000, p. 6.

<sup>2</sup> *История Востока.* В 6 т. Т. 2: „Закавказье в XI-XIII вв“, с. 515-519.

<sup>3</sup> *Гаджиева С.Ш.* Дагестанские терекеменцы: XIX–начало XX в.: Историко-этнографическое исследование. М., 1990, с. 8-9.

<sup>4</sup> *Шнирельман В.А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003, с. 33.

<sup>5</sup> *Новосельцев А.П., Паушто В.Т., Черепнин.* Пути развития феодализма. Наука, 1972, с. 56-57.

ბაიჯანელთა, ირანელთა, თურქთა შთამომავლები არიან. აზერბაიჯანელთა წინაპარი ოღუზი ტომები, რომელთაც თურქული ენა შემოიტანეს, თავის მხრივ თურქულ-ირანული სინთეზის პროდუქტს წარმოადგენენ.<sup>1</sup>

XIX საუკუნის დასაწყისში, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო და აქ გუბერნიები და მაზრები (უეზდები) შექმნა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წლის 22 აპრილს ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის შემადგენლობით, რომელიც 1918 წლის მაისში დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაიშალა. 1918 წლამდე „აზერბაიჯანი“ ძირითადად მდინარე არაქსის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს აღნიშნავდა, ხოლო თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიულად მოიცავდა არანისა და შირვანის რაიონებს. 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის პარლამენტმა ახლადშექმნილი რესპუბლიკისთვის, მიიღო სახელწოდება „აზერბაიჯანი“. მანამდე აზერბაიჯანელებს, მეზობელი ქართველებისა და სომხებისგან განსხვავებით, რომლებიც თავს საუკუნოვანი ეროვნული ტრადიციის მემკვიდრეებად თვლიდნენ, სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდათ. ისინი თავს მაჰმადიანური სამყაროს ნაწილად თვლიდნენ<sup>2</sup>.

1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთის ჯარებმა აიღეს აზერბაიჯანი და იქ საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს. სომხეთის (1920 წლის ნოემბერი.) და საქართველოს (1921 წლის თებერვალი.) ანექსიის შემდეგ, 1922 წელს სამივე რესპუბლიკა ამიერკავკასიის ფედერაციულ-სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში გააერთიანეს და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანეს. 1936 წლიდან ფედერაცია გაუქმდა და ეს რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა კავ-

---

<sup>1</sup> *Новосельцев А.П., Пашуто В.Т., Черепнин.* Пути развития феодализма. Наука, 1972, с. 21.

<sup>2</sup> *Шнирельман В.А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003.

შირში. 1991 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამდენად, აზერბაიჯანულ საისტორიო მეცნიერებაში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული მზარდი ტენდენცია, რაც შეიძლება დააძველონ თავისი ისტორია, კავკასიის მრავალი ტომი და ხალხი ჩართონ თავისი ხალხის ეთნოგენეზში, გახდნენ ძველი სახელმწიფოების მემკვიდრენი, შესულია სახელმძღვანელოებშიც. ისტორიის სახელმძღვანელოების დამახასიათებელი ნიშანია იდეა მარადიული აზერბაიჯანული სახელმწიფოსა და მარადიული აზერბაიჯანული ერის შესახებ. ანუ, მანა, მიდია, ატროპატენე, ალბანეთი, ასევე – ნებისმიერი ფეოდალური სახანო აზერბაიჯანულად არის გამოცხადებული. როგორც ჩანს, თავდაპირველად, ეს სომხეთთან დაპირისპირების ნიადაგზე წარმოიშვა და მას სომხური პროპაგანდის ნებისმიერი ხერხით დაჯაბნის სურვილი ედო საფუძვლად. თანდათანობით, ამგვარი თეორიების საფუძველზე შესაძლებლობა იქმნება პრეტენზიები განაცხადონ ირანისა და საქართველოს სახელმწიფოში შემავალ მიწებზეც, რადგან სეფიანების სახელმწიფოს დედაქალაქში, თავრიზში თურქი მმართველები იხდნენ, რომელთაც აზერბაიჯანელები თავიანთ წინაპრებად მიიჩნევენ. ისტორიის სახელმძღვანელოებში „ოდითგანვე აზერბაიჯანულ მიწად“ მოიხსენება საქართველოს ტერიტორიის ნაწილიც<sup>1</sup>. ნიშანდობლივია, რომ გარკვეულ პერიოდში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო აზერბაიჯანულ სკოლებში ბავშვები სწორედ ამგვარი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ.

როგორც ითქვა, ისტორიული „კვლევები“ აზერბაიჯანს საფუძველს აძლევს ყარაბაღის (მთიანი და ბარის) გარდა ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნისას პრეტენზია განაცხადოს სხვა მომიჯნავე ტერიტორიებზეც (ირანი, სომხეთი, საქართვე-

---

<sup>1</sup> გვჭირდება კი მარადიულობა?, აზერბაიჯანული ისტორიის სახელმძღვანელოები სიყვარულს და სიძულვილს ასწავლიან, JAMNEWS, ბაქო, დეკემბერი 9, 2016, <https://jam-ws.net/?p=6414&lang=ka>

ლო, დალესტანი) და იქ არსებულ ისტორიულ ძეგლებზე. ამის მაგალითია ქართული ქრისტიანული კულტურის ბრწყინვალე ნიმუშის, დავით გარეჯის ალბანურ//აზერბაიჯანულ ძეგლად გამოცხადება. ბოლო ხანებში განვითარებულმა პროცესებმა გვაჩვენა, რომ ამ ტიპის ისტორიული ინსინუაცია გარკვეული ნიადაგს ქმნის ეთნოცენტრისტული გრძნობების გაძლიერების და ეთნიკური დაძაბულობის გამწვავებისათვის.

აზერბაიჯანელი რევიზიონისტები ავტოქთონობის სტატუსის დასაცავად იძულებულნი არიან ყურადღება გაამახვილონ მხოლოდ კულტურულ და გენეტიკურ უწყვეტობაზე, რასაც კავკასიურენოვანი ალბანელებიდან და ირანულენოვანი ატროპატენელებიდან იწყებენ და თურქულენოვან აზერბაიჯანელებამდე აგრძელებენ. ერთი მხრივ, ისინი ხაზს უსვამენ დიდ თურქულ პოლიტიკურ მემკვიდრეობას, ხოლო მეორეს მხრივ, მთელი ძალით ცდილობენ გააღრმავონ თურქების ისტორია სამხრეთ კავკასიაში და ალბანელების თურქებთან გაიგივებამდეც მიდიან<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> *Шнирельман В.А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003, с. 113-214.

## § V. საისტორიო მწერლობის გავლენა ქვემო ქართლში მცხოვრები სომხური მოსახლეობის თვითშეგნებაზე

სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, სადაც არა ჰქონიათ. განა აშკარა არ არის, რომ ამ ცუდლუტურ მეცნიერობით სწადიანთ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა...

### ილია ჭავჭავაძე

XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში რუსული ჰეგემონობის დამყარებამ, სომხურ საზოგადოებას იმედი გაუღვივა, რომ ცარიზმის მხარდაჭერით შეძლებოდა ეთნიკური კონსოლიდაცია და „დიდი სომხეთის“ აღორძინება. ცხადია, ამოცანის გადანყვეტა მოითხოვდა, პირველ რიგში, მოსამზადებელ სამუშაოს. კერძოდ, უნდა მოხაზულიყო მომავალი პოლიტიკური გაერთიანების ჩარეალი და მიზნად დასახული სომხეთის პოტენციური მოქალაქეები იდეოლოგიურად მოემზადებინათ. იმთავითვე დაიწყეს ახალი სომხური სახელმწიფოს იდეის კონცეპტუალური პარადიგმის მეცნიერული ფუნდამენტის შექმნა და სანუკვარი სახელმწიფოს გეოგრაფიული კონტურების მოხაზვა. მისი საზღვრები, ლოგიკურად, ტერიტორიის ისტორიული კუთვნილების საფუძველზე უნდა განსაზღვრულიყო. ეს მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან XI საუკუნის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სომხური პოლიტიკური ერთეული აღარ არსებობდა. მომავალი სახელმწიფოს ტერიტორიის დასადგენად უნდა გამოეყენებინათ ან XI საუკუნემდე არსებული ისტორიული ვითარება, ან ეთნიკური მდგომარეობა სახელმწიფოს ფორმირების მომენტისათვის (ე.ი. სახელმწიფო

შექმნილიყო სომხებით კომპაქტურად დასახლების რეგიონში) ან – ორივე პრინციპი ერთად. მომრავლდა პუბლიკაციები სადაც აღნიშნული იყო, რომ: I. სამხრეთ კავკასია ძირითადად და, მათ შორის, მტკვრისა და ჭოროხის აუზი ისტორიულად სომხეთის საკუთრება იყო. II. ამ ტერიტორიის მოსახლეობას ეთნიკურად სომხები შეადგენდნენ III. აქ არსებული კულტურის ძეგლები სომხების მიერ იყო შექმნილი და ამიტომ მათ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სომეხ ისტორიკოსებში სუბიექტივიზმის სიჭარბე სულაც არ უნდა გვეჩვენოს უცნაურად. თუმცა უნდა ითქვას, რომ აკადემიური წრეები ძირითადად ერიდებიან ამკარა ტენდენციურობის აფიშირებას და ცდილობდნენ ყველა ზემოხსენებული მიმართულებით არგუმენტები საისტორიო წყაროებში მოიძიონ. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მათ შეძლეს ძველი ბერძნულ-რომაული, აღმოსავლური, სომხური და ქართული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სამხრეთ კავკასიის ისტორიის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა<sup>1</sup>.

ქვეყნებოდა ტენდენციური ნაშრომებიც, რომელთა მიზანს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში სომხეთის ჰეგემონობის მტკიცება და ტერიტორიული პრეტენზიების ისტორიით დასაბუთება. ამ მიმართულებებით გეგმაზომიერი და დაულალავი საქმიანობა მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში არ შეწყვეტილა. ცალკეული პირები ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ავრცელებენ ფსევდომეცნიერულ მოსაზრებებს, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ სომხურ მოსახლეობაში, რაც ისტორიის ინსტრუმენტალიზაციისათვის საჭირო ნიადაგის შექმნას განაპირობებს. მსგავს შეხედულებებს ზოგჯერ არა სომხური წარმომავლობის მეცნიე-

---

<sup>1</sup> *Патканов К*, Ванские надписи и значение их для Передней Азии, СПб. 1874, с.182; Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб.1908 და სხვა.

რებიც აქვეყნებენ. რუსულ ისტორიოგრაფიაში ამგვარი ტენდენციის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო ო. სენკოვსკი. ნარკვევში, „რამდენიმე საკითხი საქართველოს ისტორიის შესახებ“, ავტორი თავიდანვე აღიარებს, რომ ქართული წყაროები მისთვის უტყნობია და არც ქართული ენა იცის (გვ. 170) თუმცა უაპელაციოდ ამტკიცებს, რომ: ა) **ვახტანგ VI-ის და ვახუშტის საისტორიო თხზულებები ნდობას არ იმსახურებს;** ბ) **იბერიას არაფერი აქვს საერთო დღევანდელ ქართლთან და საქართველოსთან.** იბერიას ო. სენკოვსკი მიიჩნევდა იმერეთის ძველ სახელწოდებად, რომელიც ტომთა გარკვეულ გაერთიანებას წარმოადგენდა და ტერიტორიულად მდებარეობდა იქ, სადაც იმერეთი, რაჭა და ოსეთია; „იბერი“, იგივე „ივერი“ ნაწარმოებია სომხური სიტყვიდან „ივრაც“ (მთიელი), რომლის ქართული სიტყვათაწარმოებით, „ეთი“ სუფიქსის დამატებით მივიღეთ იმერეთი. დასაშვებია რომ იმერეთში ცხოვრობდნენ ქართველებიც [какие-нибудь Картвели], დღევანდელი ქართველების წინაპრები; გ) **მთელი მტკვრის აუზი დღევანდელ თბილისსა და მცხეთამდე იყო სომხეთი;** დღევანდელი საქართველო ეკუთვნოდა სომხეთს; ქართველთა ტომის ძველ დროში არსებობა სრულიად არ ნიშნავს ქართველი ხალხის [народ Грузии] სიძველეს. მაშინ საქართველო არ არსებობდა, ეს იყო სომხეთი, სადაც ცხოვრობდნენ სომხები, მასაგეტები ანუ თურქები და სხვა ხალხები, მაგრამ არა ქართველები ან იბერები; ასეთივე ვითარება იყო არაბთა შემოსევების ხანაშიც.<sup>1</sup>

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს სენკოვსკის მსჯელობის კრიტიკა, რადგან ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ უამრავმა გამოკვლევამ დაასაბუთა მისი დებულებების აბსურდულობა. თუმცა, სომხურ სამეცნიერო წრეებში სენკოვსკის იდეები

---

<sup>1</sup> *Сенковский О.*, Некоторые сомнения касательно истории грузинов, Т 6, СПб, 1859, с. 170-190.



მეტ-ნაკლებ ასახვას ბოლო ხანებამდე პოულობს<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ საველე ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს სენკოვსკის მოსაზრებების პოპულარობას, ასევე, სომხურ მოსახლეობაში.

პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ურარტუს კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა-სადმი. ისტორიკოსთა ნაწილი ურარტუს ერთადერთ მემკვიდრედ სომხებს მიიჩნევდა და თვლიდა, რომ მოგვიანებით ქართული სახელმწიფოს საზღვრებში მოხვედრილი მიწები ისტორიულად სომეხთა საკუთრება იყო. ასეთ თეორიებს ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრებმა, თავიანთი თანამედროვე ევროპული ისტორიული მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით გასცეს სათანადო პასუხი<sup>2</sup>.

1918 წელს სომხეთის რესპუბლიკის შექმნისა და შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის პირობებში, მართალია, სომხური სახელმწიფოს ოფიციალური კონტურები შემოიფარგლა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი და მეცნიერთა ნაწილი ინერციით აგრძელებდა ისტორიული არგუმენტების ძიებას ახალი ტერიტორიული პრეტენზიების გამოსაცხადებლად. ამ ტენდენციამ ხალხში შემდეგი ფორმულირება მიიღო – „აღვადგინოთ დიდი სომხეთი ზღვიდან ზღვამდე“. ამიტომ საქართველოს სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში XIX საუკუნის დასაწყისში შემოსულ მიგრანტებსაც კი ავტოქთონებად აცხადებდნენ. სწორედ სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ნა-

---

<sup>1</sup> *Еремян С*, Царство Великой Армени, Ер. 1979 (სტატიიდან: Д. Мухелтшвили, Б. Арвеладзе, История требует объективности, Некоторые вопросы истории Грузии в Армянской историографии, Тб. 2009, с.112.

<sup>2</sup> *ჭავჭავაძე ი.*, ქვათა ლაღადი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. V, თბ., 1987; *ჭიჭინაძე ზ.* სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები – მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თბ. 1912; *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი გრიგორიანები, თბ., 2014.

ნილის ახლადშექმნილ სომხეთის სახელმწიფოსთან მიერთების მცდელობა გახდა 1918 წ. სომხურ-ქართული შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი. მე-20 საუკუნის დასაწყისის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პრობლემათა გაშუქება (სომხურ-ქართულ ურთიერთობათა ასპექტში) გვხვდება ზ. ავალიშვილის, ვ. ნოზაძის და პ. ინგოროყვას ნაშრომები.<sup>1</sup> ამავე დროის მონაკვეთს ეხება გ. კვინიტაძის მოგონებები, რომელიც საინტერესო კუთხით წარმოგვიდგენს სომხეთ-საქართველოს ომის პერიპეტიებს.<sup>2</sup> ფართოდ შუქდება ეს პრობლემა თანამედროვე ქართულ საისტორიო მწერლობაშიც.<sup>3</sup> არ დამცხრალა სომხეთა ფსევდოსამეცნიერო თუ პოლიტიკური საქმიანობა ხსენებული მიმართულებით საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. ამგვარმა ვითარებამ სათანადო ასახვა ჰპოვა საისტორიო მწერლობაში. ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში ცალკეული საკითხების დიამეტრალურად განსხვავებული ინტერპრეტირება ხდება<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> **ავალიშვილი ზ.**, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში; **ინგოროყვა პ.**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954; **ინგოროყვა პ.** საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990; **ნოზაძე ვ.**, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

<sup>2</sup> **კვინიტაძე გ.** მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, I, თბ., 1998.

<sup>3</sup> **ჩახიანი ა.**, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007; **ჩახიანი ა.**, ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი): ავტორეფ. ისტ. მეცნ. კანდ. სამ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006; **მაისურაძე გ.**, სომხეთის კავკასიური პოლიტიკა 1918-1920 წლებში, ჟურნ., „ანალები“. თბ., 2007. №1, გვ. 211-248; **მოდებაძე ვ.**, სომხეთ-საქართველოს ომი და მისი შედეგები, ჟურნ. სამართალი და ეკონომიკა, სამეცნიერო ჟურნალი // სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი. თბ., 2017. №8. გვ. 17-24 და სხვ.

<sup>4</sup> **ჯავახიშვილი ივ.** დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.), თბ., 1998, გვ. 8-23; ივ. ჯავახიშვილი

XIX საუკუნეში ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენდა ქოროხის აუზის (ისტორიული მესხეთის ნაწილის) ისტორიული კუთვნილების საკითხი. სომეხი ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ეს ტერიტორია და მტკვრის ზემო წელიც დიდი სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა და განაწილებული იყო მის სამ პროვინციას – ზემო სომხეთს, ტაიკს და გუგარქს შორის. ამ შეხედულების თანახმად, ზემო სომხეთში შედიოდა ისპირი (ქართული წყაროების სპერი) და ბაიბურთი, ტაიკში – ბორჩხის ხევი, ლიგანის ხევი, შავშეთი, ერუშეთი და აჭარა, ხოლო გუგარქში – არტაანი, სამცხე და ჯავახეთი.<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება ფართოდ დამკვიდრდა არამარტო

---

ლის არქივიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1988, №39; **ბერძენიშვილი დ.**, ახალქალაქი ჯავახეთისაი, არტანუჯი, 1998, №7, გვ. 3—6; **Джанашия С**, Об одном примере искажения исторической правды. Тб. 1947; **Абуладзе И.**, Замечания по поводу П. М. Мурадяна: «Армянская надпись храма Джвари», «Заря востока», 1947; **Мухелишвили Д.**, Из политических взаимоотношении средневековой Армении и Грузии, Некоторые вопросы истории Грузии в Армянской историографии, Тб. 2009, с.124-140; **Майсურაдзе Г.**, Новые попытки искажения исторической правды, Некоторые вопросы истории Грузии в Армянской историографии, Тб. 2009, с 207-240: **თოთაძე ა.**, სომეხი ვაიმეცნიერების მიერ ისტორიის გაყალბების უპრეცედენტო მცდელობა, საქართველო და მსოფლიო, 2014 წ. 14. 08 (ვებ გვერდი, <http://geworld.ge/View.php?ArtId=6123&lang=ge>); **ალექსიძე ზ.**, მართლა სჯიდა სიკვდილით ქართლის კათალიკოსს სომეხთა კათალიკოსი?.....ქრონოსი, №1, 2020, გვ. 9-15; **ჯანაშვილი ლ.** ისტორიის გაყალბების ნაცადი გზა, მნათობი, 2003, №1-2, გვ. 130-135; **აბდალაძე ა.**, სომეხების შემოსევები საქართველოში, [http://www.amsi.ge/istoria/somx/somxebis\\_shem.pdf](http://www.amsi.ge/istoria/somx/somxebis_shem.pdf)); **შუბითიძე ვ.**, სომეხების როლი ქართული სახელმწიფოს დაცემის საქმეში (ინტერნეტ ვერსია [http://www.for.ge/view.php?for\\_id=10581&cat=12](http://www.for.ge/view.php?for_id=10581&cat=12)) და სხვა. **Мурадян П.** «Армянская надпись храма Джвари», <http://raber.asj-oa.am/1224/1/55.pdf>:

<sup>1</sup> **ბაქრაძე დ.**, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1987, გვ. 37.

სომხურ, არამედ დასავლურ სამეცნიერო წრეებშიც, თუმცა მალევე უარყო ისეთმა ცნობილმა ავტორიტეტმა, როგორც იყო სენ-მარტენი. საკითხის მრავალმხრივმა განხილვამ (წერილობითი წყაროების კრიტიკული ანალიზი, ზუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული საზღვრების შესწავლა, ტოპონიმიკური მონაცემები და სხვ.) უდავოდ დაადასტურა ზემოხსენებული პროვინციების ქართული ეთნოპოლიტიკური სამყაროსადმი კუთვნილება ისტორიის ძირითად ეტაპებზე.<sup>1</sup>

XIX საუკუნის მეორე ნახევარში პრესასა და საისტორიო წრეებში განიხილებოდა საკითხი საქართველოში მცხოვრები კათოლიკე აღმსარებლობის მრევლის ეთნიკური ვინაობის შესახებ. სომეხი და რუსი ავტორების უმეტესობა „ამტიკცებდა“, რომ ქართველი კათოლიკეები საერთოდ არ არსებობდნენ და მესხეთში კათოლიკე ქართველებით დასახლებულ მთელ სოფლებს სომხებს აკუთვნებდნენ. ამ მტიკიენულ პრობლემაზე ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ მესხეთის ქართველ კათოლიკეთა წრიდან გამოსულმა მოღვაწეებმა – ივანე გვარამაძემ, პეტრე ხარისჭირაშვილმა, მიხეილ თამარაშვილმა და სხვებმა აიმაღლეს ხმა.<sup>2</sup> სწორედ მათ სახელს უკავშირდება ქართველ კათოლიკეთა ისტორიის ობიექტური კვლევის დაწყება რამაც შესაძლებელი გახადა, რომ ქართველთა ეს ნაწილი (კათოლიკეები) კვლავ მშობელი ხალხის წიაღს დაბრუნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სოფელი ახალქალაქის რაიონში (ბავრა, კარტიკამი, ხულგუმო, ტურცხი) თურქეთიდან

---

<sup>1</sup> *ბაქრაძე დ.*, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38: *ემინი მ.* (ბაქრაძესთან) მოსე ხორენელის სომხეთის ისტორია, 1858. გვ. 340-344; *ხუდობაშვილი*, სომხეთის მიმოხილვა, 1859, გვ. 21-27; *ერიცოვი*, კავკასიის სიძველენი, 1872, №1, გვ. 20 (მითითებულია წიგნიდან: *ბაქრაძე დ.* არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი „საბჭოთა აჭარა“ 1987, გვ. 37.

<sup>2</sup> *თამარაშვილი მ.*, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ 1902; *ლომსაძე შ.*, ახალციხური ქრონიკები, გამოსცა შ. ლომსაძემ თბ., 1979.

გადმოსული ქართველი კათოლიკეებით იყო დასახლებული. ეს მოსახლეობა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა ქართულ თვითშეგნებას, საუკუნის ბოლოსათვის კი მთლიანად გასომხდა.

სომხურ-ქართულ საისტორიო მწერლობაში მწვავედ დგას საკითხი სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ საქართველოს სომხური მოსახლეობის ავტოქთონობისა და ამ პროვინციების ისტორიული კუთვნილების შესახებ. ი. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში აღნიშნულ პრობლემასაც შეეხო. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოში არაქართული მოსახლეობის, მათ შორის სომხების, დამკვიდრების ისტორიას და პირველმა დასვა მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხი.<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი არც საბჭოთა პერიოდში ეპუებოდა კონიუნქტურას და კომუნისტური მთავრობის წინაშე სომეხთა უსაფუძვლო პრეტენზიების გამოვლინებასაც არ ერიდებოდა.<sup>2</sup>

სამხრეთ ქართული პროვინციების ისტორიული კუთვნილების შესახებ პაექრობა მემკვიდრეობით მიიღო დღევანდელ ისტორიკოსთა პლუადამ. თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი პრობლემა ისევ ტენდენციურად განიხილება, განსაკუთრებით გამრუდებულია ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ამ მიმართებით საყურადღებოდ და არგუმენტირებული გამოკვლევები ეკუთვნით ქართველ მეცნიერებს ნ. ბერძენიშვილს, დ. ბერძენიშვილს, დ. მუსხელიშვილს და სხვ.. მათ ნაშრომებს გვერდს ვერ ავუვლით ამ მხარეებში მიმდინარე ეთნიკური პროცესებისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.

<sup>2</sup> *ჯავახიშვილი ი.*, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში, ტ. VI, თბ. 1982; *ჯავახიშვილი ი.*, არქივი, გაზ. ლიტერატურული საქართველო, თბ., 1988, №39; და სხვა.

<sup>3</sup> *ბერძენიშვილი ნ.*, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, სის, ტ. VIII. თბ., 1989; *ბერძენიშვილი ნ.*, ჯავახეთის 1933

ეთნოგრაფიისა და ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე მნიშვნელოვანი მასალაა თავმოყრილი გ. ბოჭორიძის ნაშრომში;<sup>1</sup> მესხეთის ნარსულისადმი საფუძვლიანი, მაღალმეცნიერული მიდგომით გამოირჩევა შ. ლომსაძის გამოკვლევები.<sup>2</sup> ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიას ინტენსიურად იკვლევენ – ზ. ალექსიძე, ალ. აბდალაძე, გ. მაისურაძე, გ. ჭეიშვილი, გ. გაგოშიძე და სხვები<sup>3</sup>.

---

წლის ექსპედიციის დღიური /საანგარიშო მოხსენება/ სინ ნ. 1, თბ. 1964; *მუხელიშვილი დ.*, Из исторической географии восточной Грузии (Шек и Гогарена), Тб., 1982; *მუხელიშვილი დ.*, აღჯაყალა გაგის ციხე, თბ., 1960; *მუხელიშვილი დ.*, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977; *ბერძენიშვილი დ.*, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, I, ქვემო ქართლი, თბ. 1979; *ბერძენიშვილი დ.*, ახალქალაქი ჯავახეთისაი, არტანუჯი, 1998, №7; *ბერძენიშვილი დ.*, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი, თორი ჯავახეთი, თბ., 1985; *ბერძენიშვილი დ.*, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014 და სხვა.

<sup>1</sup> **გიორგი ბოჭორიძე**, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთსი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს: ლ. მელიქიშვილი, დ. ბერძენიშვილი, ლ. ხუციშვილი. მეცნიერება, თბ., 1992, გვ. 295.

<sup>2</sup> **ლომსაძე შ.**, მესხები, II ახალციხური ქრონიკები, თბ., 1997; **ლომსაძე შ.**, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1978; **ლომსაძე შ.**, ახალციხური ქრონიკები, თბ. 1979.

<sup>3</sup> **აბდალაძე ა.**, ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან XII ს-ის დასაწყისამდე, თბ., 1982; **აბდალაძე ა.** სომხების შემოსევები საქართველოში, (ინტერნეტ ვერსია [http://www.amsi.ge/istoria/somx/somxebis\\_shem.pdf](http://www.amsi.ge/istoria/somx/somxebis_shem.pdf)); **მაისურაძე გ.** ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს, თბ., 1982; **Маисурадзе Г.** О статусе Армении в составе Грузинской средневековой монархии (XII- XIV вв), Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Тб., 2009; **Чеишвили Г.** „Армянское нагорье“ и некоторые вопросы грузино-армянских отношении в публикации Роберта Хьюсона „Армянский исторический атлас“,

ეთნიკური დაძაბულობის ზრდამ განაპირობა ეთნოლოგების ყურადღება ეთნოკონფლიქტების თვალსაზრისით განსაკუთრებით ფეთქებადსაშიში რეგიონების მიმართ. სომხური მიგრაციის შემდეგ სამხრეთ საქართველო სომეხ მკვლევართა თვალსაწიერშიც მოექცა. ზოგიერთი მათგანი ტენდენციურად განიხილავს სამეურნეო ყოფის საკითხებს. მაგ. ვ. ბლიანმა „მესხური ჯილა“ მიგრანტთა შემოტანილად და დამკვიდრებულად გამოაცხადა.<sup>1</sup> ეს დებულება საფუძვლიანად გააკრიტიკეს გ. ჯალაბაძემ და ლ. ბერიაშვილმა.<sup>2</sup>

XX საუკუნეში დღის წესრიგში დადგა საქართველოს მოსახლეობის ეთნოლოგიის ახალი მეთოდებით კვლევა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გ. ჩიტაია, რომელმაც რამდენიმე საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა მესხეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფას და მატერიალურ კულტურას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესხური სახვნელი იარაღის და საცხოვრებელი ნაგებობების თავისებურებების აღწერა.<sup>3</sup> ჩვენთვის საინტერესო

---

Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Тб., 2009; **ჭეიშვილი გ.**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ანტიკურ ხანაში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994; **გაგოშიძე გ., ჩანტლაძე ნ.**, მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, თბ., 2009.

<sup>1</sup> **Бдоян В.**, Земледельческая культура в Армении. Автореферат, Тб., 1968.

<sup>2</sup> **ჯალაბაძე გ.**, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ., ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 22-25; **Джалибадзе Г.**, Полеводство в Месхет-Джавахети, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIII-В, თბ., 1978; **ბერიაშვილი ლ.** მინათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1973.

<sup>3</sup> **ჩანტლაძე ნ.**, მხითარ გომის ტრაქტატი „ქართველთათვის“. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994; **ჩიტაია გ.**, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, თბ., 1920; **ჩიტაია გ.**, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1959; **ჩიტაია გ.**, ეთნოგრაფიუ-

პრობლემატიკა აისახა სხვა ქართველი ეთნოგრაფების შრომებშიც. სამეურნეო ყოფის, კერძოდ, მინათმოქმედების საკითხები განიხილეს – გ. ჯალაბაძემ, ლ. მოლოდინმა, ლ. ბერიაშვილმა<sup>1</sup>; მესაქონლეობას ეხება მ. მაკალათიას, ვ. შამილადის ბ. გამყრელიძის გამოკვლევები.<sup>2</sup>

კვლევა გრძელდებოდა მესხეთსა და ქვემო ქართლში მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესწავლის მიმართულებით. ამ პრიზმაში იკვლევდნენ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურ შემადგენლობას, შიდა და გარე მიგრაციებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, ეთნიკურ ჯგუფთა მატერიალურ და სულიერ კულტურას, სოციალურ ყოფას, მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს, სამინათმოქმედო პროცესებს, დასახლების ტიპებს, მინათსარგებლობის წესს, კონტაქტებს, კულტურულ განსხვავებებს, ურთიერთმოქმედების საერთო ველს, ქცევის წესებს და ა.შ.<sup>3</sup>

---

ლი მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, საქართველოს ისტორიის მოამბე, IV, ტფილისი 1928.

<sup>1</sup> **ჯალაბაძე გ.**, ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ. ქვემო ქართლი, მეცნიერება 1990; **ჯალაბაძე გ.** მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972; **Джалабадзе Г.**, Полеводство в Месхет-Джавахеги, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIII-B, თბ., 1978; **მოლოდინი ლ.** ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963.

<sup>2</sup> **მაკალათია ს.**, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთის), კრებული „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972; **შამილაძე ვ.**, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969; **Шамиладзе В.**, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979; **გამყრელიძე ბ.**, ქართველი ხალხის სამეურნეო ტრადიციები და თანამედროვეობა“, თბ., 1993; **გამყრელიძე ბ.**, სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში (აჭარული ჯარგვალი) სდსკ, თბ., 1973.

<sup>3</sup> სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ. 2011; კონფლიქტური



გასული საუკუნის 20-იან წლებში ლ. მელიქსეთ-ბეგმა დასვა საკითხი სომხური და ქართული ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლის შესახებ.<sup>1</sup> ამ პრობლემაზე მუშაობა დაიწყო როგორც სომეხმა მეცნიერებმა – ს. ლისიციანმა,<sup>2</sup> ისე ქართველებმაც – გ. ჩიტაიამ<sup>3</sup>, ალ. რობაქიძემ (ჩამოაყალიბა საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები).<sup>4</sup> ქართული დარბაზის შესწავლას მიეძღვნა ლ. სუმბაძის მონოგრაფია.<sup>5</sup> თანამედროვე სომეხი ეთნოგრაფები სამხრეთ საქართველოს ტრადიციულ გვირგვინიან-ერდოიან ნაგებობებს ზოგად სომხურის ერთ ვარიანტად მიიჩნევენ. ამასთანავე არ მიუთითებენ, რომ ეს არის ტრადიციული ქარ-

---

სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი, [რედ.: ლ. მელიქიშვილი], თბ., 1998; **ფუტკარაძე თ.**, ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში, ბათუმი, აჭარა, 1998; **თოფჩიშვილი რ.**, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა: (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში. თბ. 2000; **თოფჩიშვილი რ.**, ქართველი მაჰმადიანები. ქართველი კათოლიკები. ქართველი გრიგორიანები. დიდგორი : ისტორიული სამეცნ.-პოპულ. კრებული. თბ., 1991, გვ. 32-57 და სხვ.

<sup>1</sup> **Меликсет Бекоев Л.**, О необходимости сравнительного изучения крестьянских армян и грузин. Изв. КИАИ, т. III, 1925. с. 109.

<sup>2</sup> **Март Н.**, Заметки о турецком языке окрестностей Абастумани, М.-Л., 1937, с. 149; **Лисициан С.** Из материалов по изучению жилищ Армении. Известия КИАИ, т. II, 1927.

<sup>3</sup> **ჩიტაია გ.**, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმოხილველი I, თბ., 1920, გვ. 77.

<sup>4</sup> **რობაქიძე ა.**, ქართველი ხალხის ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპი (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი), სიეა, თბ., 1986; **Робакидзе А.**, Традиционные формы поселений в Аджарии, ОЭА, Тб., 1982; **Робакидзе А.**, Предисловие «Кавказский этнографический сборник», т. 5, Тб., 1975.

<sup>5</sup> **Сумбадзе Л.** Архитектура грузинской народной жилища: «дарбази», Тб., 1984.

თული „დარბაზის“ ტიპი.<sup>1</sup> ამიერკავკასიის დარბაზული ნაგებობები საფუძვლიანად შეისწავლა თ. ჩიქოვანმა.<sup>2</sup> მონოგრაფიაში „ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორიიდან“ განხილულია სომხური ტრადიციული საცხოვრებელი „გლხატუნი“, ქართული „დარბაზი“ და აზერბაიჯანული „ყარადაში“. შედარებულია მათი კონსტრუქციული ელემენტები და ფუნქციონალური მხარეები. თ. ჩიქოვანმა გაანალიზა ქართული ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობების ევოლუციის თავისებურებები, რითაც პასუხი გაეცა იმ მეცნიერთა დებულებებს, რომლებიც საცხოვრებლის ამ ტიპის ქართულ გარემოში წარმოშობის იგნორირებას ლამობდნენ. ზემოხსენებული სომეხი ავტორები ძირითადად ცდილობდნენ აკადემიურ სივრცეში დარჩენილიყვნენ და საკუთარი მოსაზრებები, შერჩეული, მაგრამ მაინც საისტორიო წყაროებით ემტკიცებინათ. სრულიად აღვირახსნილი და ფსევდოსამეცნიერო ხასიათი მიიღო ამ მიმართულებით პოლემიკამ რამდენიმე სომეხი მეცნიერის „ნაშრომებში“. ფაქტების არასწორი ინტერპრეტირებისას აუცილებელი გახდა ქართველი სწავლულების კომპრომეტირება. ამიტომ გვხვდება ი. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ე. თაყაიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და სხვათა დაუსაბუთებელი კრიტიკა და ზოგჯერ აშკარა ტყუილი და ცილისწამება. ამის ნიმუშია სომეხი მეცნიერ-პოლიტოლო-

---

<sup>1</sup> Культура жизнеобеспечения и этнос – опыт этнокультурологического исследования (на материалах армянской сельской культуры). Ереван, 1983; *Карпетян Э.*, Семейная община и патронимия у армян. Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук, Ереван, 1960; *Карпетян Э.*, Армянская Семейная община, Ереван, 1958.

<sup>2</sup> *ჩიქოვანი თ.*, მესხეთი, თბ., 1979; *ჩიქოვანი თ.*, ჯავახეთი, თბ., 1982; *ჩიქოვანი თ.*, ა/კ ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967; *ჩიქოვანი თ.*, ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბ., 1960; *ჩიქოვანი თ.* „მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი“. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების მოამბე, თბ., 1962.

გის ა. კანანიანის ნააზრევი, რომელიც გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ გადმოაქართულა სომხეთის რუსულენოვანი გაზეთიდან<sup>1</sup> ავტორის მცდელობა „გახსნას ჯავახეთის ირგვლივ შეკრულ დაპირისპირებათა კვანძი“ წინააღმდეგობების შემცველი და ურთიერთგამომრიცხავი დებულებებისაგან შედგება, რომელთა უმეტესობა ყოველგვარ მეცნიერულ არგუმენტაციას არის მოკლებული და რამდენიმე მიზანს ემსახურება: I ტენდენციურობის და ყალბისმქნელის სახელი დაუმკვიდროს ქართველ ისტორიკოსთა მთელ პლეადას – ე. თაყაიშვილს, ი. ჯავახიშვილს, ნ. ბერძენიშვილს და სხვებს; II. სამხრეთ საქართველოს, ქვემო ქართლის და მესხეთის (განსაკუთრებით ისტორიული მესხეთის ნაწილის, ჯავახეთის) სომხური მოსახლეობა ავტოქთონურად გამოაცხადოს. შესაბამისად, სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ ამ პროვინციით შემოფარგლოს, ხოლო ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული აზრი, რომ სომხები პრაქტიკულად მთელ საქართველოზე აცხადებენ პრეტენზიას ივანე ჯავახიშვილისეულ უსაფუძვლო გამონაგონად მიიჩნიოს; III. სომხობის ავტოქთონობის დამამტკიცებელი საბუთების არარსებობა ამ ადგილებზე იმით ახსნას, რომ თითქოს სომხური კულტურის ძეგლები მეოცე საუკუნის 30-ან წლებში ქართველი მეცნიერების ხელით განადგურდა.

ა. კანანიანის განსაკუთრებული განინმატება გამოუწვევია ნ. ბერძენიშვილის 1933 წლის მოგზაურობის დღიურს. ნ. ბერძენიშვილს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების ქართული ძეგლებისადმი ვანდალური დამოკიდებულების მრავალი ფაქტი აქვს დაფიქსირებული, რომელთა უარყოფას კანანიანი მაინცდამაინც არც ცდილობს. იგი სხვა კუთხით სვამს საკითხს და მინიშნებას აკეთებს იმაზე, რომ ქართველი მეცნიერის დღიურები (სადაც საუბარია სომხების მიერ ქართული ძეგლე-

---

<sup>1</sup> *Кананиян А.*, Джавахк: Непостижными пути истории, Новое время, 5.11.2002.

ბის ხელყოფაზე) „მშვენიერი სახელმძღვანელო იქნებოდა HKBД-სათვის **პატრიოტულად განწყობილი და განათლებული ჯავახკელების**“ (ხაზი ჩემია – ლ.ჯ.) ფიზიკურად განადგურებისათვის. აქ პატრიოტიზმი და განათლებულობა მეტად უცნაურადაა გაგებული, რადგან ეს ეპითეტები ქართული ისტორიული ძეგლების იავარმყოფი ვანდალების მიმართაა გამოყენებული. თანაც ამგვარი მსჯელობის ავტორი, იქვე ყოველგვარი საბუთის გარეშე, უნამუსოდ სწამებს ცილს ქართველ მეცნიერებს სომხური ეკლესიებისა და ხაჩკარების განადგურებაში (თუმცა აღნიშნული ხაჩკარები, რომლებიც ლ. დავლიანიძემ აღმოაჩინა ახლაც არის თმოგვის ციხესთან).

XIX-XX სს-ის სპეციალურ თუ პოპულარულ ლიტერატურაში მრავალჯერაა აღნიშნული, რომ ირანისა და თურქეთის პროვინციიდან შემოსული სომხები ბარბაროსულად ეკიდებოდნენ ქართულ კულტურის ძეგლებს და მთლიანად ანადგურებდნენ მათ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფაქტის შემსწრე დღესაც ბევრია სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობაში. ტენდენციურობა რომ არ დამნამონ, მოვიტან XIX საუკუნის არაქართველი მკვლევარ-მოგზაურის ლ. ზაგურსკის ცნობას, რომელმაც 1872 წელს იმოგზაურა არზრუმის ვილაიეთიდან შემოსული სომხებით ახლადდასახლებულ ადგილებში. ლ. ზაგურსკი აღნიშნავდა, რომ საბედნიეროდ ზარზუმის მონასტრის მახლობლად სომეხი მიგრანტები არ ცხოვრობდნენ, რადგან ისინი ჩვეულებრივ ძველ ნაგებობებს შლიდნენ თავიანთი ეკლესიებისა და სახლების ასაგებად.<sup>1</sup> მკვლევარი აღუშფოთებია ჯავახეთის ცნობილი ქართული მონასტრის კუმურდოს მდგომარეობას – კუმურდოს ტაძრის თანამედროვე ისტორია მდგომარეობს მუსლიმთა ფანატიზმსა და გადმოსახლებულთა (სომხების – ლ.ჯ.) ვანდალიზმში. გუმბათი უკვე ჩამოინგრა, დასავლეთ მხარეს დაბზარულ ნახევარწრიულ კედელს გადმოსახლებულებმა თავიანთი ეკლესია მიაშენეს. მშენებლობა დაიწყეს სამხრეთ

---

<sup>1</sup> *Загурски Л.,* Поездка в Ахалцихски уезд в 1872 г. Тф. 1873 г. с. 44.

კედელთანაც, სადაც ააგეს ჭუჭყიანი ოთახი, რომელიც სასწავლებლისათვისაა განკუთვნილი. ეკლესიის შიგნით ნაგვისა და ნანგრევი ქვების გროვებია, ფართე კარები ჩახერგილია ქვებით<sup>1</sup>. მსგავს ცნობებს უხვად გვაწვდიან XIX-XX საუკუნის უცხოელი თუ ქართველი მკვლევრები: მ. ბროსე, ე. თაყაიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვები.

ა. კანანიანის „ბრალდებებიდან“ ცალკე შეიძლება გამოიყოს ქართველი მეცნიერების დადანაშაულება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ასობით სომხური ეკლესიის განადგურებაში. ამ ხანებში საქართველოსა და მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მართლაც უამრავი ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და სხვა რელიგიური ხასიათის ნაგებობა დაანგრის, რადგან კომუნისტური იდეოლოგია რელიგიას ხალხის ოპიუმად აცხადებდა. მათ შორისაა რამდენიმე ათასი ქართული ეკლესია-მონასტერი, რომელთა ნაწილი სომეხი მიგრანტებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებსაც ამშვენებდა. ქართულ საზოგადოებაში არასოდეს გაჩენილა ეჭვი, რომ ყოველივე ამის უკან სომეხ მეცნიერთა „კვლევის“ კვალი ეძებნა, თუმცა ამ ადგილებში ქართულ ძეგლებს კომუნისტურ ეპოქამდე ბევრად ადრეც ანადგურებდნენ. ქართული ძეგლებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება მხოლოდ ადგილობრივი სომხების უბირი ნაწილის ნამოქმედარად იყო მიჩნეული. სომხების ამ ნაწილის **პატრიოტულად განწყობილ და განათლებულ ჯგავსკელებად** გამოცხადება ბადებს ეჭვს, რომ ამ პროცესებს სწორედ ა. კანანიანის ჯურის „ინტელექტუალები“ მართავდნენ, რათა მთლიანად წაეშალათ ქართული ეთნიკური ერთეულის ისტორია და სადავოდ გაეხადათ ძირძველი ქართული მიწები: ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. ა, კანანიანისეული ისტორიის შეცნობის მეთოდის კი იმის მცდელობასაც წარმოადგენს, რომ ქართულ საზოგადოებას საბოლოოდ დაავინყოს კომუნისტების მიერ სომხეთისათვის ძღვნად მიროთმეული ძირძვე-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 78.

ლი ქართული პროვინცია ლორე, ბარათაშვილებისა და ორბელიანების საგვარეულო მამული.

ზოგი სომეხი ავტორის მსჯელობა სცდება არამარტო მეცნიერულ ეთიკას არამედ ადამიანური ლოგიკის საზღვრებს. მაგ., ს. აივაზიანი წერს, რომ ტოპონიმი თბილისი რუსული „ტეპლიციდან“ წარმოიშვა და თბილ ადგილს ნიშნავს, ხოლო – „გრუზინი“ (ქართველი, რუს.) რუსული სიტყვა – „მტვირთავიდან“ (*грузчик*) მომდინარეობს. იგი მიიჩნევს, რომ თურქები ფსიქიკურად არანორმალური ხალხია. ისინი რომელიც პათოლოგიური საღიზმით ხასიათდებიან, მათ ბუნებაში იმთავითვე ძევს ველურობა და ფსიქოპათია; ახლანდელი საცხოვრებელი გარემო მათთვის იმდენად უცხო და შეუფერებელია, რომ სულიერ დეფორმაციას იწვევს, ამიტომ საჭიროა საცხოვრებლად შუა აზიას დაუბრუნდნენ.<sup>1</sup> მსჯელობის ამგვარი ოდიოზური ხასიათის გამო მრავალი მისი თანამემამულე ს. აივაზიანის მოსაზრებებს უკიდურესად ნეგატიურად აფასებს. მაგ., ა. მელქონიანი მიიჩნევს, რომ ს. აივაზიანის წიგნები სომეხი ხალხის კომპრომენტაციას ახდენს.<sup>2</sup> კ. მიქაელიანის აზრით კი „სომხეთში არც ერთი საღად მოაზროვნე ისტორიკოსი, ეთნოლოგი და კულტუროლოგი სერიოზულად არ მიიღებს აივაზიანის ოპუსებს. სამწუხაროდ პატრიოტულ ექსტაზში მყოფი აივაზიანი და მსგავსი „ისტორიკოსები“ ვერ გრძნობენ, მათი აზრით უკიდურესად სასარგებლო ისტორიული ნაშრომების პროვოკაციულ ხასიათს და მათგან წარმოქმნილ საშიშროებას.“<sup>3</sup>

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჯავახეთში მცხოვრებ სომხურ ეთნიკურ ჯგუფთან საველე მასალის შეკ-

---

<sup>1</sup> *Айвазян С.*, История России. Армянский след, Т. I, Москва: 2000, с. 651-653.

<sup>2</sup> Обзор круглого стола «Общественные науки и национальная безопасность»

[https://ru.wikipedia.org/wiki/Айвазян,\\_Сурен\\_Михайлович](https://ru.wikipedia.org/wiki/Айвазян,_Сурен_Михайлович)

<sup>3</sup> *Микаэлян К.* Паранормальная история, газета «Новое время», Ереван, 5 .06. 2007 г.

რების შედეგად დადგინდა, რომ მათ ეს რეგიონი თავიანთ სამშობლოდ, კუთვნილ მიწად მიაჩნიათ. ცნება „სამშობლოში“ ისინი აერთიანებენ მთელს ჯავახეთსა და სომხეთს. თუმცა იციან, რომ ჯავახეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის და სახელმწიფო საზღვარი მას სომხეთისაგან მიჯნავს. მკვლევართან საუბრისას ისინი ამბობდნენ: „აი, თქვენთან საქართველოში, ასეა და ჩვენთან სომხეთში კი – ასე“. „თქვენთან საქართველოში“ გულისხმობენ ახალქალაქსა და ზოგჯერ ახალციხის მიღმა არსებულ დანარჩენ საქართველოს, ხოლო „ჩვენთან სომხეთში“ სომხეთის რესპუბლიკას ამ რეგიონის ჩათვლით. მკვლევართა ჯგუფმა<sup>1</sup> მრავალი ფაქტი დააფიქსირა, რომელიც ადასტურებს, რომ სომხური ჯგუფის წევრები თავიანთ საცხოვრებელ ადგილს სომხეთად მოიაზრებენ.<sup>2</sup> ამგვარი განწყობის წყაროს კი მივყავართ დასკვნამდე – სომხურ მოსახლეობაში აღნიშნული შეხედულების ფორმირებას განაპირობებს ის, რომ „ადგილობრივი სეპარატისტების ელიტა და სომხეთიდან ჩამოსული ნაციონალისტები ავრცელებენ „დიდი სომხეთის“ ფალსიფიცირებულ რუკებს, სადაც სომხეთის საზღვარი ერთგან ქ. თბილისამდეა, მეორეგან – ქ. ქუთაისამდე და მესამეგან – ზღვიდან ზღვამდე ... ზოგიერთ სომხურ ოჯახში აქვთ წიგნები, რომლებშიც ახსნილია, თუ რას წარმოადგენს სომხეთი, ვისი მიწა იყო და ვის უნდა ეკუთვნოდეს“<sup>3</sup>

ჯავახეთისაგან განსხვავებით, ქვემო ქართლის საველეთნოგრაფიული ექსპედიციების მუშაობისას გამოიკვეთა, რომ სომხურ მოსახლეობა შედარებით ლოიალურად არის განწყობი-

---

<sup>1</sup> საველე ექსპედიცია 1996-98 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა შემადგენლობით, ხელმძღვანელი ლ. მელიქიშვილი

<sup>2</sup> კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, // მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი, [რედ.: ლ. მელიქიშვილი], თბ., 1998, გვ. 287-290.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 287-288.

ლი ქართული სახელმწიფოს მიმართ. იშვიათად გვხვდება შეხედულება, რომ ეს რეგიონი სომხეთია. თუმცა მთხრობელთა უმეტესობა ხაზს უსვამს, რომ დღევანდელი ქვემო ქართლი წარსულში სომხეთში შედიოდა, ეს გუგარქია – დიდი სომხეთის ნაწილი.<sup>1</sup>

## **§ VI. ეთნიკური თვითშეგნება და კოლექტიური მესხიერება**

ეთნოსი არის სოციალური ჯგუფის განსაკუთრებული სახე, რომელიც აღმოცენდება არა ცალკეული ინდივიდების სურვილით, არამედ გარკვეული ბუნებრივ ისტორიული პროცესის შედეგად. მას შედარებითი მდგრადობა ახასიათებს. ჩვეულებრივ, ესა თუ ის ეთნოსი, არსებობს საუკუნეების განმავლობაში, მას აქვს თვითნოდება, კულტურა, ეთნიკური აზროვნება და რაც მთავარია, მასში გაერთიანებულ ადამიანთა თვითშეგნება. ეთნოსთა ურთიერთდენტიფიკაცია და განსხვავება სხვა მსგავსი ერთობებისაგან გამოიხატება ანტითეზით „ჩვენ-ისინი“. ეთნიკური თვითშეგნების გარდა, არსებობს ამ ეთნოსში შემავალი ხალხის ობიექტური, რეალური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები, ჩვეულებრივ, იმ ინტეგრაციული და დიფერენციალური ნიშნების ერთობლიობაა, რომელიც თავს იჩენს ეთნოსის წევრთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ერთერთი ასეთი მნიშვნელოვანი სფეროა ენა, როგორც ეთნოსის წევრთა საკომუნიკაციო საშუალება. ენასთან ერთად, ეთნოსის არსებობის განმსაზღვრელია კულტურა, უპირველესად კი მისი ისეთი კომპონენტები, რომლებსაც აქვს ტრადიციული, მასობრივი ხასიათი და ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეთნო-

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე დანვრილებით იხ. ქვემოთ, თავი III (ლ.ჯ).



სის კულტურული ერთობა თავის მხრივ დაკავშირებულია ეთნოსის წევრთა ზოგიერთ ფსიქიკურ თავისებურებასთან. ეს ფსიქიკური თავისებურებები საბოლოო ჯამში ქმნის ეთნიკურ ეროვნულ ხასიათს.<sup>1</sup>

ეთნოსის მრავალსაუკუნოვან არსებობას უზრუნველყოფს ენის, კულტურისა და ყოფის დამახასიათებელი ნიშნების თაობიდან თაობაზე გადაცემა. ეთნოსის აღმოცენება მასში გაერთიანებული, ადამიანთა ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგია, ისიც მაშინ, როცა ისინი ერთად ცხოვრობენ, ერთ ტერიტორიაზე. აქ ადამიანები სამეურნეო, კულტურული, ყოფითი საქმიანობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, უყალიბდებთ გარკვეული ფსიქიკა, თვითშეგნება. ეს კავშირი იმდენად ძლიერია, რომ რაიმე მიზეზის (ბუნებრივი თუ იძულებითი მიგრაციები, სახელმწიფოს საზღვრების გადაადგილების პოლიტიკური შედეგები და სხვ.) გამო გამოყოფილი ეთნოსის ნაწილი დიდხანს ინახავს ადრინდელი ერთობის დამახასიათებელ ნიშნებს.<sup>2</sup>

ყალიბდება ეთნიკური აზროვნება, რომელიც საზოგადოდ გულისხმობს ინდივიდის იდენტიფიკაციას თავისი ჯგუფის ისტორიულ წარსულთან და, ამდენად, ინდივიდს „ფესვების“ იდეა, რომელიც გამყარებულია მითებით, ლეგენდებით, სიმბოლოებით, ისტორიული მახსოვრობით და ა. შ. ძლიერად აქვს გამოხატული. საერთოდ, ეთნიკური იდენტობა უფრო მეტად თვალსაჩინოა მათში, ვინც ცხოვრობს სხვის და არა საკუთარ კულტურულ გარემოში შეიძლება ითქვას, ეთნიკური უმცირესობისათვის ეთნიკური იდენტიფიკაცია იძულებითია, რადგან მასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველდღიური ცხოვრების სირთულეებს და დისკომფორტს უქმნის. ის კი არა, ზოგ

---

<sup>1</sup> კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998, გვ. 34.

<sup>2</sup> კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998, გვ. 34, 35.

ქვეყანაში ასეთ პირობებში არამართო სოციალურ პრობლემებზე ლაპარაკი, არამედ იმაზე, თუ ჯგუფმა რა სახელი აირჩიოს თვითწოდებად. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებზე, რომლებიც დღეს საკმაოდ მძაფრად აპროტესტებენ სახელწოდება „თათარს“; თუმცა, ასევე შემორჩენილია ადგილები (მაგ., წალკა), სადაც არ იღებენ სახელწოდება „აზერბაიჯანელს“ და თავის თავს „თათარს“ უწოდებენ. ერთ-ერთი ქართველი რესპოდენტი ჩვენთან საუბარში აზერბაიჯანელ მოსახლეობას „თათრებად“ მოიხსენიებდა. საუბრის დასასრულს შენიშვნის სახით ვუთხარი, რომ ეს ხალხი თათრები კი არ არიან, არამედ აზერბაიჯანელები. მან გულწრფელად და უშუალოდ გვიპასუხა: „მე ძალიან კარგად ვიცი, რომ აზერბაიჯანელები არიან, მათაც ვეუბნებით, რომ თქვენ აზერბაიჯანელები ხართ და არა თათრები, მაგრამ სწყინთ და ამბობენ, არა ჩვენ თათრები ვართო“.<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, მსგავსი შეფასება აზერბაიჯანელი რესპოდენტების გამონათქვამებშიც გვხვდება, როდესაც ისინი აზერბაიჯანელების ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლად თვლიან თავს, მაგრამ ახალ სახელს ირჩევენ ანუ ისინი ალბანელები არიან და არა აზერბაიჯანელები.

ცნობილია, რომ არსებობს ეთნიკური და არსებობს სახელმწიფო – პოლიტიკური საზღვრები. ეს ორი ცნება ერთმანეთს რომ ყოველთვის ემთხვეოდეს, მაშინ სრულ ჰარმონიასთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. აღნიშნული საზღვრები ხშირად დაშორებულია. ამიტომ პოლიტიკურ საზღვრებში ხშირად ხვდება მრავალი ერის წარმომადგენელი. პოლიტიკური საზღვრები ერთ მთლიან სახელმწიფოს გამოხატავს და მასში მოხვედრილი ადმიანები უკვე ერთი უზარმაზარი სოციუმის ანუ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ეროვნული უმცირესობები, რომელნიც დომინანტი, ავ-

---

<sup>1</sup> სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 347.

ტოქთონი ერის გვერდით ცხოვრობენ ერთ სახელმწიფოში, უკვე პოლიტიკურად დომინირებული ერის „საკუთრება ხდება“<sup>1</sup>

თუ ეთნიკური საზღვრის ფსიქოლოგიური შინაარსი შეივსო ტერიტორიული, კონფესიური და ლინგვისტური ხასიათის მოთხოვნებით, მაშინ იგი მკვეთრ დემარკაციულ ხაზად გადაიქცევა. ეთნოსთაშორისი დაძაბულობის ზრდასთან ერთად, ეთნიკური საზღვარი თანდათან უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს და ხშირად უფრო რეალური ხდება, ვიდრე ადმინისტრაციული, რადგან ეთნიკურ ერთობათა გამყოფის ფუნქციას რეალურად სწორედ ეთნიკური საზღვარი ასრულებს<sup>2</sup>.

რადგანაც პოლიტიკური საზღვრის იქით არსებულ რესპუბლიკაში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მსგავსი ეთნოსი ცხოვრობს, სწორედ ამიტომ მათ აზროვნებაში უყალიბდებათ ეთნიკური საზღვრის უწყვეტობა, რაც, არამართო სხვა ეთნოუმცირესობისაგან, არამედ ტიტულარული ერისაგანაც, გამმიჯნავი ხდება. ენის არცოდნა კი მათ ორიენტაციას მიმართავს მეზობელი რესპუბლიკისკენ. ასეთივე სიტუაციაში არიან ჯავახეთისა თუ ასევე ქვემო ქართლის სომხებიც. საოცარია, მაგრამ ველზე ჩვენთან საუბრისას, ისინი გამოთქვავენ პრეტენზიებს მთავრობის მიმართ, რომ ესა თუ ის კანონი საქართველოში ისეთი არაა, როგორც აზერბაიჯანსა თუ სომხეთში. ამას ემატება ისიც, რომ ორივეს საქართველოს ის ნაწილი სადაც თვითონ ცხოვრობენ (აზერბაიჯანელები – ქვემო ქართლში და სომხები – ჯავახეთში) თავის სამშობლოდ მიაჩნიათ. სწორ ეს ფაქტორი და საზღვრის უშუალო კავშირი წარმოშობს ირიდენტულ სწრაფვებს და ეთნიკური თუ ტერიტორიული კონფლიქტების მიზეზებს.

---

<sup>1</sup> უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი რედაქტორი და თანაავტორი *მელიქიშვილი ლ.*, თბ., 2002, გვ. 305.

<sup>2</sup> უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), იქვე, გვ. 309.

ამგვარ ვითარებას გარკვეულად ზურგს უმაგრებს სამეცნიერო წერეებიდან წამოსული თეორიები. სომხურ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბებული ტენდენციები<sup>1</sup> ნაწილობრივ გამყარებულია რუსულ იდეოლოგიურ ცენტრში შექმნილი დებულებით, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის პირველივე ხანებში უმაღლესი თანამდებობის მქონე ეროვნებით ქართველმა პირებმა, საქართველოს პრივილეგიებული მდგომარეობა შეუქმნეს და ის ტერიტორიებით დააჯილდოვეს.<sup>2</sup> ეს შეხედულება ხელსაყრელად მიიჩნის მეზობელი ქვეყნების იდეოლოგიურ ცენტრებში, რადგან საქართველოს დასუსტების და დანაწევრების შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოების თვალში ტერიტორიული პრეტენზიების გამოცხადების პერსპექტივა სწორედ ამ გზით შეიძლება გაამართლონ.<sup>3</sup> ზემოთ უკვე იყო საუბარი, რომ ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ერთაშორის დაპირისპირება და წაახალისა ფსევდოსამეცნიერო თეორიები. რომლებიც სათავეს ფსევდო-ისტორიული ნარატივებიდან, ან ისტორიული ფაქტების არაობიექტური ინტერპრეტაციიდან იღებენ.<sup>4</sup> თუმცა, ამ ტიპის თეო-

---

<sup>1</sup> პარაგრაფის ეს ნაწილი გამოქვეყნებულია Liana Melikishvili, Lavrenti Janiashvili, Ethnocentrism and the Problem of Ethnic Identity in the Multiethnic Region (Kvemo Kartli), Bulletin of the Georgian National Academy of Sciences (Moambe), vol. 13, # 4, 2019

<sup>2</sup> **Путин В.**, Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В. Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн» Сочи, 28 августа 2008 г., ინტერნეტ ვერსია: <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>

<sup>3</sup> **ჭეიშვილი გ.**, «Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение», ინტერნეტ ვერსია: [http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmt-MBZUE9\\_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE](http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmt-MBZUE9_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE)

<sup>4</sup> **მელიქიშვილი ლ., ჯანაშვილი ლ.** ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში, მაცნე №1, ისტორიის,

რიებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაციისა და ეთნიკური იდენტობის განმტკიცებისათვის.

იდენტობა ადამიანის და საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნილებაა. ეთნიკური იდენტობა კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. კულტურული იდენტიფიკაცია კი არის კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითმეგრძნება. მიეკუთვნებოდე რაიმე საზოგადოებას, გაერთიანებას, ჯგუფს – ესაა ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილება. მაგრამ, საერთოდ, ეთნიკური იდენტობა არ არის სტატიკური, ის დინამიკურია და ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამო შეიძლება ისიც შეიცვალოს. დროთა მანძილზე ჩნდება სულ უფრო მეტი ახალი მოთხოვნილება, რაც ხელს უწყობს ახალი ჯგუფებისა თუ საზოგადოებების ჩამოყალიბებას. მათი წევრები, როგორც აღვნიშნეთ, გაერთიანებულნი არიან საერთო ღირებულებების გარშემო, რაც ერთიანობას, საერთო იდენტობას უყალიბებს.

კვლევებმა აჩვენა, რომ ეთნიკური იდენტობის ფორმირება „ნორმის“ (დადებითი ეთნიკური იდენტობა) ფარგლებში გულისხმობს საკუთარი ეთნიკური ჯგუფის სტრუქტურაში დადებითი ხატის ურთიერთმიმართებას სხვა ეთნიკური ჯგუფის დადებით ღირებულებებთან. მაგრამ პოზიტიური ეთნიკური იდენტობა შეიძლება სხვაგვარადაც გამოვლინდეს. თავის უკიდურეს ფორმებში იგი გვევლინება როგორც ჰიპერიდენტურობა, რაც ინდივიდის სოციალური იდენტობის იერარქიაშია დომინირებული. ეთნიკური კონფლიქტების დროს გამძაფრებას იწყებს ჰიპერიდენტურობა, რომელსაც თან სდევს მტრული სტერეოტიპები, წინასწარი უარყოფითი განწყობები და სხვა ეთნიკური ჯგუფების შეუწყნარებლობა, მათთან ურთიერთობისაგან თავის შეკავება და სხვ. ეს არღვევს ბალანსს: არ ხდე-

ბა ერთმანეთთან ქორწინება, მეგობრობა, მეზობლობა და ა.შ.<sup>1</sup> ასეთი მიკუთვნებულობა საფუძველს უყრის ჯგუფის მიერ იმ ფასეულობის დაცვას, რომელიც ერთ მთლიან ნაწილად თავმოყრილია, როგორც იდენტობის მახასიათებლები და მისი ერთობა. მას აუცილებლად ჰყავს, ასევე საერთო იდენტობით წარმოდგენილი, მისი საპირისპირი „სხვა“ ჯგუფი. როგორც ვიცით, ერთიანი იდენტობის მქონე ჯგუფს უყალიბდება ცოდნა საერთო წარმომავლობის (საერთო ფესვების) და აქედან საერთო წარსულის შესახებ, რაც ტერიტორიული ეთნოკონფლიქტების დროს გამოიყენება სხვა ჯგუფების მიმართ, ტერიტორიაზე ისტორიული უპირატესობის დასამტკიცებლად. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში, ზოგ შემთხვევაში, აქცენტი სწორედ იდენტობაზე კეთდება. შეძლებისდაგვარად ვეცადეთ იდენტობის მთავარი მახასიათებლები განგვეხილა და ერთი ეთნოსის მიერ იდენტობის აღქმის შესაძლებლობა გვეჩვენებინა, რადგანაც სწორედ იდენტობასთან კავშირშია ის პრეტენზიები, რომელიც ჯგუფის მიერ არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ იდენტობა, როგორც ფაქტორის როლი, კონფლიქტს განაპირობებს.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია ეთნიკური აზროვნება, რაც ინდივიდის საკუთარი ჯგუფის ისტორიულ წარსულთან იდენტიფიკაციას გულისხმობს. ამდენად ინდივიდს „ფესვების“ იდეა ძლიერადაა აქვს გამოხატული, რაც XX საუკუნის ბოლოს ბევრ ქვეყანაში, „ფესვების“ ძიების ანუ „წინაპრების და წარმომავლობის“, რომელიც გამყარებულია მითებით, ლეგენდებით, სიმბოლოებით, ისტორიული მახსოვრობით და ა. შ., ფენომენი აქტუალური გახადა.

ეთნიკურობის იდეა ხასიათდება სოციოკულტურული ჯგუფური სპეციფიკით და ასევე „განსხვავებულობით“, რომელსაც თვით ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ. ადა-

---

<sup>1</sup> სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 349.

მიანი მიილტვის საკუთარი თავის შესაცნობად და ცდილობს თავისი თავი უშუალოდ რიტუალების სისტემის, სტერეოტიპების საშუალებით გამოავლინოს. ადამიანი თავის თავს ყოველთვის აიგივებს ჯგუფთან, ეთნოსთან, რომელიც ერთიან კულტურაში ერთიანდება. ეთნიკურობის ჩამოყალიბება სოციალზაციის პროცესში ხორციელდება.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდენტობის ერთ-ერთი ფაქტორის – კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებასთან, რაც კავშირშია წარსულთან (ისტორიულ ნარატივებთან, მითებთან, ლეგენდებთან), „ფესვების კულტთან“, სადაც არა აქვს მნიშვნელობა წარსული მოგონილია თუ რეალური. ყოველივე კი კოლექტიურ ცნობიერებას უკავშირდება.

ე. დიურკჰეიმის თანახმად, „საზოგადოების სულიერი ერთობა არ არის ინდივიდუალური ცნობიერებათა უბრალო ჯამი; კოლექტიურ ცნობიერება არსებობს ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად; სოციალური ფაქტორები: ადათები, მორალი, სამართალი, ტრადიციები, ცოდნა და ა.შ. ძლიერ გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე. კოლექტიური ცნობიერების ფორმებია კოლექტიური წარმოდგენები და გრძნობები რომლებიც ქმნიან გარკვეულ მორალურ—საზოგადოებრივ გარემოს ამ საზოგადოებაში გავრცელებული წესების, ქცევისა და აზროვნების მისაღებად. ამრიგად, ყალიბდება ინდივიდებისათვის საერთო გრძნობები, რწმენები და ღირებულებები რაც ტრადიციულ საზოგადოებებში სოციალური წესრიგის საფუძველია“.<sup>2</sup>

ამასთან კავშირშია საერთო მეხსიერება, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ და მას „კოლექტიური მეხსიერება“ ეწოდება. მისი ერთი სახეა „კომუნიკაციური მეხსიერება“ რომელიც ყოველდღიურ კომუნიკაციას ეფუძნება.

---

<sup>1</sup> სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 345.

<sup>2</sup> სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი—ცნობარი, თბ., 2004, გვ. 351.

მეხსიერების ეს ფორმა კოლექტიურ ხასიათს ზეპირი ურთიერთგაცვლის (ორალური ისტორიის) პროცესში იღებს. კოლექტიური მეხსიერება განპირობებულია სხვადასხვა, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული ხასიათის ნარატივებით. შესაბამისი ტექსტები (ანალები, ქრონიკები, სკოლის სახელმძღვანელოები და ა.შ.) განიხილება, როგორც ინსტრუმენტები კოლექტიური დამახსოვრებისათვის.

კოლექტიური მეხსიერება აერთიანებს ინდივიდებს და აყალიბებს კოლექტიურ იდენტობას, რაშიც მოიაზრება წარსულისადმი დამოკიდებულება, თავისი ისტორიული ნარატივებით. ისტორიული ნარატივები, მითები, ლეგენდები, ტრადიციები და საერთო კულტურა, ხელს უწყობს ჯგუფს ჰქონდეს წარმოდგენა საკუთარ წარსულზე და წარმოშობაზე. გარკვეულ პერიოდში ეს ფენომენი ეხმარება ჯგუფს საკუთარი ტერიტორიის – სამშობლოს – მონიშვნაში და მასზე უფლების, ზოგ შემთხვევაში, გაბატონების, ჩამოყალიბება – განმტკიცებაში. თუ ყოველივე ეს მიმდინარეობს ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობს სხვა იდენტობის მქონე ჯგუფი, მაშინ ხდება მათთან შედარებით საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა, რაც დროთა მანძილზე ინვესს პოლიტიკური უფლებების გამყარებისთვის სწრაფვას. ასეთი მოვლენა კი არის „მნიშვნელოვანი ერთობა“.

ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესო და ამავე დროს პრობლემურიც შეიქმნა პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც გაძლიერდა ტერიტორიული მიკუთვნებულობისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ისტორიული უპირატესობის დამტკიცების სურვილი. ამ პროცესში აქტიურად ჩაება ჰუმანიტარული, განსაკუთრებით საისტორიო მეცნიერება, რამაც ბიძგი მისცა სამხედრო შეტაკებებს და ზოგ კონფლიქტს მეცნიერული კონფლიქტის სახელიც კი მიენიჭა. ძნელია საკუთარი ავტოქტონობის დამტკიცება, თუ არ გექნა წვდომა ისტორიულ ნარატივებზე.

საბჭოთა პერიოდში ადამიანების უმრავლესობა ეროვნულ საზღვარს ყურადღებას არც აქცევდა, რადგანაც რესპუბ-



ლიკის საზღვარი არ აღიქმებოდა, რაღაცა უცხოს გამყოფად. საზღვარი მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს ერთგუა მთლიანდ. მაგრამ მას შემდეგ რაც დაიწყო ერის, როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთობის განსაზღვრა, რამაც ბიძგი მისცა ახალი იდენტობის გამოვლენას, რაც გამოიხატებოდა ეროვნული იდენტობის იდეაში და დაფუძნებული იყო ერის როგორც ისტორიული ფენომენის ერთიანობის იდეაზე, ყოველივე გართულდა. ერის ერთიანობის გრძნობა ისტორიის გარდა ემყარებოდა ეთნოგრაფიას (ტრადიციული კულტურის შეგრძნებას), ფოლკლორს და ენას. ეს ყველაფერი ეფუძნებოდა სამშობლოს ისტორიულ წარსულს: ეთნიკური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, მომხდურებთან ბრძოლას, საკუთარი ტერიტორიისა და თავისუფლების დაცვას, რაც მთავარია, გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრების ისტორიულ უფლებას.

საინტერესოა რისი საშუალებით ყალიბდება, მტკიცდება და გადაეცემა იდენტობის მარკერები გარკვეული მნიშვნელოვანი ერთობის წევრებს. ხშირად პოლიტიკური მიზნებისთვის ხდება წარსული მოვლენების გადახალისება, იმის მიხედვით თუ გარკვეულ დროის მონაკვეთში რა არის მომგებიანი ამა თუ იმ ერისთვის. ამ შემთხვევებში ადგილი აქვს ნარატივების გადახედვას, რევიზიას და სათავისოდ მორგებას. იგი პოლიტიკური რეალობის შესაბამისად და არა ისტორიული სამართლიანობის მიხედვით კონსტრუირდება.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, იკვეთება დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც ეცვლებათ აზროვნება, კეთდება წარსულის ანალიზი, ვლინდება სტერეოტიპები და ხდება ამ სუბიექტების მიზნების, ამოცანების, ინტერესების გადაკვეთა. ამ ყიდილში ნაკლები ყურადღება ექცევა მიზანს, რათა ერთიანი ძალისხმევით ქვეყნის წინსვლას და განვითარებას შეეწყოს ხელი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კონფლიქტური სიტუაციის პრევენცია და მასზე პოლიტიკური ყუ-

რადღების მიქცევა, რადგან დაპირისპირების ხელოვნურად დაფარვა და უარყოფა უფრო მეტად დაძაბავს მდგომარეობას.

კოლექტიური მეხსიერების ფენომენის მოშველიებით, ჩვენს მიერ შესწავლილი ჯგუფები, სპეციფიური იდენტობის მატარებელია. ისტორიული მეხსიერება თავისთავადია, საუკუნეების მანძილზე ინდივიდების მეხსიერების საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ამ პროცესში მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიდა. ამ მხრივ შედარებით რთულია ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების იდენტობის განსაზღვრა ისტორიულ თუ ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ თავად აზერბაიჯანული ისტორიოგრაფია ვერ იძლევა ერთმნიშვნელოვან ლოგიკურ პასუხს ეთნოგენეზის მიმდინარეობასა და ხასიათზე. სომხებთან შედარებით მარტივადაა საქმე, რადგან მათი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება ისტორიული მონაცემებით უფრო ნათელია. შესაბამისად, საველე მასალაც სომხურ მოსახლეობაში ისტორიული მეხსიერების უფრო მკაფიო სქემებზეა დამყარებული და სრულ შესაბამისობაშია ოფიციალურ სომხურ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებულ ტრადიციასთან.

ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, თუ მათი ეთნონიმების ვარიაციებს მივადევნებთ თვალს ქრონოლოგიურ ძრილში, ბოლო ერთ საუკუნეში სულ მცირე, სამჯერ აქვთ შეცვლილი სახელი. ამიტომ დღესაც არ გააჩნიათ სრულყოფილი, ერთიანი წარმოდგენა თავიანთ ეთნიკურ იდენტობაზე. ამ სიტუაციაში მათი ნაწილის ალბანელების მემკვიდრეებად გამოცხადება ჯგუფს უფართოვებს სამშობლოდ აღქმული ტერიტორიების საზღვრებს. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ცნობილია, რომ, პოლიტიკური კოლიზიების გამო იდენტობა ჯგუფს კი არა, ზოგ შემთხვევაში, ერსაც კი შეუცვლია. ანუ იდენტობას თავის პოლიტიკის შესაბამისად აყალიბებენ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> *Шницерльман В.А.* Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003, с. 194-255.

გაორებული იდენტობა ასახვას ჰპოვებს ყოველდღიურობაში, ხანდახან კი მასობრივი ღონისძიებებშიც. ერთის მხრივ ხალხის ისტორიული მეხსიერება, მეორე მხრივ სამეცნიერო და პოლიტიკური ტენდენციები სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება ხოლმე. ამის მაგალითია დმანისში ჩატარებული სახალხო დღესასწაული „ელბასი“ (მწყემსის დღე – ლ. მ.). „2009 წ. 28 ივნისს სოფ. პანტიანთან ახლოს აზერბაიჯანელების ინიციატივით ჩატარდა დღესასწაული „პანტიანობა“ (ელბასი), რომლის ორგანიზატორები იყვნენ დმანისიდან ბაქოში გადასახლებული აზერბაიჯანელების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია „ბორჩალუს“ წევრები. ღონისძიების ტრანსფარანტებზე აზერბაიჯანულ და ქართულ ენაზე ეწერა – „ბორჩალუს თურქელთა კულტურული ღონისძიება“. ქართული მოსახლეობა გაკვირვებული დარჩა ამ მოვლენით. როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა გვითხრა, „74 წლის კაცი ვარ და ასეთი დღესასწაული აქ არასოდეს ყოფილა. იქ რომ წერია „ბორჩალუს თურქელთა თავყრილობა“, იმაში რა იგულისხმება, ღმერთმა იცის. მე რაღაც ეჭვი მაქვს და ჩემში დარჩება. ეს მთავრობის საქმეა“<sup>1</sup>.

ამგვარი მარგინალიზებული იდენტობის (ბორჩალუ, ალბანელი, თურქი, აზერბაიჯანელი და ა.შ.) პირობებში ვიღებთ საზოგადოებას მოდელირებული წარმოდგენით, რომელიც ეფუძნება თითოეული ამ ჯგუფის წარმომავლობას, მისი ისტორიული განსახლების ტერიტორიას, საზღვრებს და ა.შ. ამ ჯგუფის წევრების განფენილობა ქმნის ერთ ეთნოსოციუმს, რომლის წევრები იდენტობიდან გამომდინარე აცხადებენ პრეტენზიებს. დასამალი არაა, რომ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს აქვს რთული მდგომარეობა და ბოლო 30 წელი დატვირთული იყო როგორც ღია, ისე დახურული კონფლიქტებით. ყველა მეზობელს თავისებური ისტორიული „სიმართლით“ სურს ტერიტორიის მითვისება. ამის მკაფიო მაგალითია აზერ-

---

<sup>1</sup> სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 2011, გვ. 348-349.

ბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მილი მეჯლისის წევრის, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, ჯილდოების: ოქროს კალმის, ოქროს ხმლის, შრომის პირველი ხარისხის, დიდებისა და ღირსების ორდენების და სხვ. მფლობელი, იაგუბ მიხაილ ოლი მახმუდოვის განცხადება: „ვფიქრობ, რომ ქვეყნის მეთაური ილჰამ ალიევი, ტერიტორიების პრეტენზიების საკითხში ძალიან მკაცრია და აქვს ძალიან სწორი პოზიცია. მან არაერთხელ აღნიშნა, რომ ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფო აზერბაიჯანის ისტორიულ მიწაზე შეიქმნა, მაგრამ ეს მათ დაავინყდათ. თუ ეს ასე გაგრძელდება შემდგომშიც, მაშინ აზერბაიჯანი შეეხება თავისი ისტორიული ტერიტორიების საკითხს, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის საკითხს. ქვეყნის მეთაური თავის გამოსვლებში ყოველთვის ემყარება ისტორიულ ფაქტებს და მეცნიერებას. ვერ წარმომიდგენია, რომ აზერბაიჯანის ამჟამინდელი ტერიტორიიდან ერთი მილიმეტრიც კი გადაეცეს ვინმეს . . . . აღმოსავლეთი საქართველო – ძირძველი აზერბაიჯანული მიწებია. ტიფლისი უძველესი აზერბაიჯანული ქალაქია. თუ საქართველო აჰყვება პროვოკატორებს, აზერბაიჯანიც უფლებამოსილია განაცხადოს უფლება თავის ისტორიულ მიწებზე. თუ ქართველი ექსტრემისტები მონადინებული არიან იბრძოლონ მიწებისათვის, დაე გამოავლინონ თავიანთი „გმირობა“ ჯავახეთში. გასული საუკუნის 30-იან წლებში, სტალინმა, აზერბაიჯანელი ხალხის თანხმობის გარეშე, შირაქის ველი – მდინარე განიხის (ალაზნის) მარჯვენა სანაპიროს ჩვენი მიწები გადასცა საქართველოს. ჩვენ არ ვაყენებთ ტერიტორიულ პრეტენზიებს, რადგანაც ვაფასებთ მეგობრობას ქართველ ხალხთან. მეგობრობა არ იტანს ლალატს.“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> *Махмудов Ягуб Микаил оглы*, Территория Грузии искусственно увеличивалась за счет Азербайджана. 24. 10. 2012. ინტერნეტ ვერსია:

მიუხედავად იმისა, რომ მოტანილი ვრცელი ამონარიდის ავტორს საკადრისი და მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხი გაეცა,<sup>1</sup> თავად ასეთი მოსაზრების არსებობა გარკვეული ტენდენციის მარჯვენებელია და უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

---

<https://www.gumilev-center.ru/territoriya-gruzii-iskusstvenno-uvelichivalas-za-schet-azerbajdzhana>

<sup>1</sup> **ჭეიშვილი გ.**, «Дабы не заблуждаться и не вводить в заблуждение», ინტერნეტ ვერსია: [http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmqt-MBZUE9\\_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE](http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmqt-MBZUE9_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE)

# თავი III. ეთნოსოციალური პროცესები და სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობა ქვემო ქართლში

## § I. ტრადიციული კულტურა რევიტალიზაციასა და ინოვაციას შორის

XX საუკუნის ბოლოს საქართველოში მომხდარი კარდინალური ცვლილებები, წინააღმდეგობრივი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პროცესები ჩვენი ქვეყნის, მათ შორის ქვემო ქართლის, მრავალეთნიკურ საზოგადოებაზე თავისებურად აისახა. ამ რეგიონში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები ძნელად მოდერნიზებად, იზოლირებულ სოციოკულტურულ ტიპს მიეკუთვნებიან და შენარჩუნებული აქვთ, ტრადიციული ყოფითი კულტურის მრავალი ელემენტი: ენა, რელიგია, ეთნონიმი, ეთნიკური თვითშეგნება და ა.შ. ამის მიუხედავად, გლობალიზაციამ მათი ცხოვრების წესზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. თვალშისაცემია ახალი სოციალ-პოლიტიკური გარემოსა და ტექნოლოგიური პროგრესით განპირობებული, ყოველდღიური ყოფის მნიშვნელოვანი ცვლილება.

რადიკალური სოციო-პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომელსაც თან ეკონომიკური კრიზისიც ახლავს, როგორც წესი, სოციუმში ორ ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციას განაპირობებს: ა) მდგომარეობის გამოსწორების მცდელობას ძველი, ნახევრადდავინყებული მეთოდების აღორძინებით (რევიტალიზაცია) და ბ) ვითარების გასაუმჯობესებლად ახალი მეთოდების და გზების მოძიებას (ინოვაცია).

რევიტალიზაციაში იგულისხმება კულტურის იმ ელემენტის აღორძინება, რომელიც მეტ-ნაკლებად დავინყებული იყო და ახალი გარემოებების წყალობით კვლავ გამოცოცხლდა. ამის ტიპური მაგალითია ყირგიზეთში, ადგილობრივ ხელისუფლებაში, ახსაკალების მართველობის აღორძინება. ა. აკაევის

ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ ეს ინსტიტუტი, ერთის მხრივ, ნაციონალური თვითმყოფადობის და თავისებურების გამოხატულებას წარმოადგენდა, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც ადამიანის უფლებების და სოციალური წონასწორობის დაცვის ერთგვარი ინსტრუმენტი, პასუხობდა ახალი ეპოქის მოთხოვნილებას<sup>1</sup>.

სოციალურ ანთროპოლოგებს მიაჩნიათ, რომ რევიტალიზაციის პროცესი უფრო ისეთ საზოგადოებებში აქტიურდება, რომელიც კოლონიური ჩაგვრიდან გათავისუფლდა და კულტურული თვითმყოფადობის აღორძინებისაკენ მიისწრაფვის.<sup>2</sup> თუმცა ტრადიციული ინსტიტუტების გამოცოცხლებას, კრიზისულ შემთხვევებში, სოციუმის თვითგადარჩენის აუცილებლობაც განაპირობებს. გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში გამეფებული განუკითხაობის დროს, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სვანეთში. ამ რეგიონს ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდა. როგორც მთხრობელი გვიამბობს: „90-იან წლებში არეულობა რომ იყო ბევრი უბედურება მოხდა ლატალში. ახალგაზრდებმა იარაღი აიღეს, ხშირი იყო მკვლელობა და ქურდობა. თემში 7

---

<sup>1</sup> **Judith Beyer**, Kyrgyz Aksakal courts: Pluralistic Accounts of History, Revitalization, Existence, Invention and Continue of the Kyrgyz Aksakal Courts: Listening to Pluralistic Accounts of History, Journal of legal pluralism, 2006 p. 53-54

<sup>2</sup> **Hasegawa Y.** The rights movement and cultural revitalization. The case of the Ainu in Japan, Cultural Diversity. Heritage and Human Rights (Intersections in Theory and practice). Rutledge London and New York, 2010 p. 207-209; **Lauren E. Eckert, Natalie C. Ban, Snxakila-Clyde Tallio and Nancy Turner**, Linking marine conservation and Indigenous cultural revitalization: First Nations free themselves from externally imposed social-ecological traps, Ecology and Society 23(4): 23, 2018, Vol. 23, <https://www.ecologyandsociety.org/vol23/iss4/art23/>; **Jacob M.**, Yakama Rising, Indigenous Cultural Revitalization, Activism, and Healing, The University of Arizona Press , 2013 და სხვები.

მკვლევლობა მოხდა. ახლა წარმოიდგინე, აქ სულ 18 გვარია და ყველა ერთმანეთს გადაემტერა.“ საზოგადოება თვითგანადგურების წინაშე დადგა და იძულებული გახდა ხსნის გზა მოეძებნა. „მთელი ლატალის წარმომადგენლები შევიკრიბეთ, ვისაც სიტყვა გვეთქმოდა. თემი დავაფიცეთ. მოსისხლე გვარები შევარიგეთ. ქურდობისა და ყაჩაღობის პრობლემაც მოვავარეთ და ახლა დოლარები რომ დაყარო ქუჩაში, იქვე დაგხვდება, ხელს არავინ ახლებს. ყოველწლიურად, 5 ოქტომბერს ვიკრიბებით და ლატალობას (ლატალის თემის დღესასწაულს – ლ.ჯ.) აღვნიშნავთ. დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად 24 კაციანი კომისია შევქმენით, რომელიც დღესასწაულის წინა დღეს იკრიბება და საქმეებს არჩევს. ძველი მეთოდიც გამოვიყენეთ: თემის ნებისმიერი წევრი, ვინც კი დანაშაულს შეესწრება, უნდა ეცადოს დამნაშავის შეჩერებას. თუ დანაშაული მაინც მოხდა, მაშინ იგი ვალდებულია, ჩვენს კომისიას შეატყობინოს!“<sup>1</sup>

სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო, გეოგრაფიული გარემოს რადიკალური ცვლილება ადამიანების ჯგუფში განაპირობებს ცხოვრების წესის ტრანსფორმაციას, მის ადაპტაციას, რაც ტრადიციულ ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში აისახება. ადაპტაცია გულისხმობს უნივერსალური, „ფუნდამენტური“ პირობების დაკმაყოფილებას, როგორცაა: საკვებით უზრუნველყოფა, ეკოლოგიური გარემოსაგან დაცვა (საცხოვრებელი, ტანსაცმელი), რეპროდუქცია, ფსიქოლოგიური მოთხოვნების (პრესტიჟულობა, თვითგამოვლენა, ესთეტიკა და სხვა) რეალიზება და ა.შ. ამ პროცესზე გავლენას ახდენს საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული, ეთნიკურ კულტურაში დამკვიდრებული, სოციონორმატიული და ეთიკური ნორმები. არსებითი მნიშვნელობა აქვს არამარტო ფიზიოლოგიურ ადაპტაციას, არამედ კულტურულ-ისტორიულ ასპექტსაც, რაც

---

<sup>1</sup> *Janiashvili L.* Traditional Legal Practice in Soviet Times, Traditional Law in the Caucasus. Curupira, 2016, p. 101-102.



გულისხმობს, ერთის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-სამეურნეო მიღწევათა შეთვისებას და მეორეს მხრივ საკუთარი სპეციფიკის (ეთნიკური ფიზიონომიის) შენარჩუნებას.<sup>1</sup> ხსენებულთან დაკავშირებით, ქვემო ქართლის სომხების და აზერბაიჯანელების ყოფა რამდენიმეჯერ აღმოჩნდა კარდინალური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე: I. გადმოსახლება და ახალ ეკოლოგიურ და სოციოპოლიტიკურ გარემოსთან ადაპტაცია II. საბჭოთა პერიოდის მასშტაბური სოციალური და ეკონომიკური ექსპერიმენტი III. პოსტსაბჭოთა პერიოდის რეალობა.

ქვემო ქართლში გადმოსახლებული სომხები და თურქული მოდგმის ტომები კომპაქტურად მკვიდრდებოდნენ გაუკაცრიელებულ სოფლებში, ამიტომ ეთნიკური გარემო მათზე შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენდა. თუმცა ქართული პოლიტიკური სისტემა, ადგილობრივი სამეურნეო-ეკოლოგიური პირობები, საყოფაცხოვრებო, სოციალური და პოლიტიკური ვითარება მათი ტრადიციული კულტურის ელემენტების თანდათანობით ტრანსფორმირებას განაპირობებდა. სავლეთ-ეთნოგრაფიული მასალის და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზით ირკვევა, რომ ჩამოსახლებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ ნასესხობის გზით აქაური მოსახლეობის ტექნიკური უნარ-ჩვევები და შრომის იარაღები გადაეღოთ; ლოკალური ეთნოგეოგრაფიული გარემოსათვის დამახასიათებელ სამინათმოქმედო (აითვისეს სოფლის მეურნეობის წარმოების ადგილობრივი ხერხები) და მესაქონლეობის (მესაქონლეობის ტრადიციული მთა-ბარული წესი, უკვე არსებული საიალალო ბაზებით) სისტემაში ჩაებნენ; აქ არსებულ საირიგაციო სისტემას მიუერთდნენ; სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ტრადიციული

---

<sup>1</sup> *შუბითიძე ვ.*, ადაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში, წიგნში: კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, (პასუხმგებელი რედ. ლ. მელიქიშვილი), თბ. 1998, გვ. 160-161.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გაითავისეს; ცვლილებები მათ სოციალურ მდგომარეობასაც სათანადოდ შეეხო.

გადმოსახლებამდე სომხების ტრადიციულ ყოფაზე ფრაგმენტულ წარმოდგენას გვიქმნის მოგზაურთა ცნობები, რომელთა თანახმადაც მე-19 საუკუნის დასაწყისში თურქეთში მოსახლეს სომხები ვაჭრობა-ხელოსნობისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდნენ. ისინი ომიანობის დროსაც არ წყვეტდნენ შინახელოსნობასა და მინათმოქმედებას. სომეხი ქალები კი, თურქებისაგან განსხვავებით, თავისუფლად იქცეოდნენ და ზოგჯერ ჩადრსაც არ ატარებდნენ, თუმცა ჩაცმულობით თურქებისგან არ განსხვავდებოდნენ. თურქებისგან ტანსაცმლით არც სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლებული სომხები გამოირჩეოდნენ. 1870-იან წლებში ლ. ზაგურსკი გაცემული იყო ახალციხის ახალ ნაწილში (სომხებით დასახლებულ უბანში) აზიური კოსტუმის სიჭარბით. მამაკაცები თურქულ ყაიდაზე იცვამდნენ, ახალგაზრდა ქალები ჩადრს ატარებდნენ, კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ და როგორც თურქეთში იყო მიღებული მზითევიც არ იცოდნენ<sup>1</sup>. საქართველოში ჩამოსახლებულ სომხებზე ცნობებს გავწვდის დიუბუა დე მონპერე, რომელმაც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ახალციხის მაზრაში იმოგზაურა. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად არზრუმიდან გადმოსახლებულთა მინათმოქმედებაში დასაქმება ძლიერ გაჭირდა. ყველას უნდა ხეტიალი და ვაჭრობა, არავის – აგრიკულტურის წარმოება<sup>2</sup>.

მოგზაურთა ცნობებზე დაყრდნობით გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ ქვემო ქართლში გადმოსახლებულ, თურქმანულ ტომებზეც. ისინი მომთაბარეები იყვნენ.

---

<sup>1</sup> Загурский Л., Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., Тифлис, 1873, გვ. 22.

<sup>2</sup> *Dubois de Montpereux F.* Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimée; Avec un atlas géographique, pittoresque, archeologique, geologique, etc., t 3, 1839, გვ. 264.

რომელთა ცხოვრების სტილი, საცხოვრებელი ნაგებობები და დასახლების ფორმები ნომადური ყოფის მკაცრ კანონებს ექვემდებარებოდა. მომთაბარეები მსუბუქ კონსტრუქციებში, კარავებში, ბინადრობდნენ, რადგან კაპიტალური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები მათთვის გამოუსადეგარი იყო. XVI ს-ის ინგლისელი მოგზაური, ა. ჯეკინსონი აღნიშნავდა, რომ მომთაბარე ტომები ერიდებოდნენ დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებში დასახლებას, სტოვებდნენ მათ და სტეპებისაკენ მიეშურებოდნენ.<sup>1</sup> ურდო, ჩვეულებრივ, ბანაკს დასცემდა და კარავებს გაშლიდა ბელადის კარვის ირგვლივ. აქვე დააყენებდნენ საქონელს, რომელსაც თავდასხმის მოსაგერიებლად ყოველმხრივ საზიდრებს შემოარტყამდნენ.<sup>2</sup>

ქვემო ქართლში შემოყვანილი ელების ადგილობრივ სამეურნეო და ეკოლოგიურ გარემოსთან შეგუების და აქ დამაგრების მიზნით, საქართველოში გადმოსულ მომთაბარეებთან ერთად, ირანის ხელისუფლება კალატოზებსაც აგზავნიდა. ეს საჭირო იყო, რათა მათ ბინადარი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობის ტექნიკა აეთვისებინათ.<sup>3</sup> სავარაუდოდ, ახალი სახლები, სამხრეთკავკასიური, ჰერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის გამარტივებული ვარიანტი უნდა ყოფილიყო, რომელიც ფართოდ გავრცელდა ამ რეგიონში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ

---

<sup>1</sup> **Кобичев В.** Поселения и жилище народов Северного Кавказа в XIX-XX вв., М. 1982, с 15-16.

<sup>2</sup> Early voyages and travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and other Englishmen, with some account of the first intercourse of the English with Russia and Central Asia by way of the Caspian Sea. **Edited by E. Delmar Morgan and C.H. Coote. Published by B. Franklin in New York, 1900, p. 52.**

<sup>3</sup> **ფუთურძე ვ.,** მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ / ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურძისა // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. – 1954, გვ. 393.

თურქული მოდემის ხალხში და ცნობილია „ყარადამის“ (შავი სახლი) სახელით.<sup>1</sup>

ერდოიან-გვირგვინიანი კომპლექსური საცხოვრებელი და სამეურნეო ტიპის ნაგებობები გავრცელებული იყო ქვემო ქართლის სომხურ მოსახლეობაშიც. ამ სახლებს ხშირად სომხებიც ყარადამს „უნოდებენ.“ თუმცა ასევე გვხვდება ტერმინები: „გოლიატუნი“, „გლხატუნი“, „გლახატუნი.“ მთხრობელთა გადმოცემით მიწურბანიანი და სანახევროდ მიწაში ჩაფლული სოფლები ნაკლებად ზარალდებოდა მტრის თავდასხმის შემთხვევაში. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული კლასიფიკაციით, ამგვარი სახლები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და ძლიერად შეჯგუფებულ, მეტწილად გზისპირა დასახლებას უკავშირდება.<sup>2</sup> სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზული ნაგებობების ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბება გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულობამ განაპირობა. საქართველოში ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობის ერთი საერთო ძირიდან აღმოცენებული სამი მოდიფიცირებული სახეობაა აღწერილი: ქართლური, ნალკური (თრიალეთური) და მესხური.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> *Набиев А.* Поселения и жилища азербайджанцев, проживавших в Грузии в конце XIX начале XX вв. (По материалам Квемо-Картлийской историко-этнографической области), Автореферат диссертации на соискание ученой степени КИН, Тб. 1981, с 19; *Каракашлы К.* Материальная культура Азербайджанцев, Баку, 1964, с. 72-75; *Кобычев В.* Крестьянское жилище народов Азербыйджана в XIX в. Кавказ, Этнографический сборник, №3, М-Л 1962, с. 66-68; *Рустамов Я.* О поселении и крестьянском жилище азербайджанцев Карабахской зоны. Азербайджанский этнографический сборник, 2, Баку 1966, с. 119.

<sup>2</sup> *რობაქიძე ა.*, ქართველი ხალხის ტრადიციული საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპი (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობები), სიეა, თბ., 1986, გვ. 62.

<sup>3</sup> *ჩიქოვანი თ.*, ამიერკავკასიის ხალხური საცხოვრებლის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 45.

დარბაზული ტიპის ნაგებობები გავრცელებული იყო სამხრეთ კავკასიის თითქმის მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. ამიტომ ქვემო ქართლში ჩამოსახლებისას დაცარიელებულ სოფლებში გადმოსახლებულებს საკმაოდ ნაცნობი გარემო დახვდათ. ამგვარი საცხოვრებელი ერთ ქერქვეშ მოთავსებულ ადამიანთა საცხოვრისს და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა. აქაური ტრადიციული სომხური, აზერბაიჯანული და ქართული სახლები იდენტურია. შენობების ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი, თუმცა არსად შეგვხვდრია მათი თუნდაც სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევა.

ტრადიციული ნაგებობების ინტენსიური მოდიფიკაციის პროცესს, რომელიც XX ს-ის 30-40-იან წლებში დაიწყო, განაპირობებდა ეთნოდემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები. ერდოიან-გვირგვინიანიდან თანამედროვე საცხოვრებელზე გადასვლის პირველ საფეხურად მასში ახალი განყოფილებების დამატებას მიიჩნევენ, რის შემდეგაც ქართულ ყოფაში „თაკარებიანი ოდა“, ხოლო სომხურში „იურისენიაკი“ გაჩადა. ახალ ოთახებში ბუხრის შენების პრაქტიკამ კონსტრუქციული ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვია. „კერიის“, „ვოჯახის“ ადგილსამყოფელის შეცვლამ გავლენა მოახდინა ოთახის ინტერიერზე. შესასვლელი კარის მოპირდაპირედ კედელთან ბუხრის აგებამ და მისთვის საგანგებო საკვამურის მოწყობამ, ერდოს კვამლის გამტარის ფუნქცია დაუკარგა, ხოლო განათება ფანჯრებს დაეკისრა. მტრის შემოსევების საშიშროების დასრულებამ მიწური ნაგებობების თავდაცვითი დანიშნულება გააქრო. კარდინალურმა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა გასული საუკუნის პირველ ნახევარში ტრადიციული სოციალური ერთეულის, საოჯახო თემის, დაშლა გამოიწვია. ამდენად, მოიშალა ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობების სოციალური ფუნქციაც, რადგან ქართული დარბაზი, სომხური გლხატუნი და აზერბაიჯანული ყარადამი სწორედ აღნიშნულ სოციალურ საფეხურს შეესაბამებოდა.

თავდაპირველად მიწისზედა სახლებს შენარჩუნებული ჰქონდა მიწური გადახურვა გვირგვინისა და ერდოს გარეშე. გაჩნდა ქვითკირის კედლები, ფანჯრები ინტერიერის გასანათებლად, ბუხარი საჭმლის გასაკეთებლად და გასათბობად. თანდათანობით გვირგვინი და ერდო საკვამურიანი სახურავით შეიცვალა, სახურავის მზიდის ფუნქცია კედლებმა იკისრეს, ადამიანთა საცხოვრებელს გამოეყო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

დროთა განმავლობაში დასახლებების ცენტრში გაჩნდა სავაჭრო, სასწავლო და კულტურული დაწესებულებები. აქვე დღემდე გვხვდება სალაყბო, ჩაიხანა სადაც წყდებოდა საჭირბოროტო საკითხები; ასევე – წყარო პატარა აუზით, საიდანაც სოფელი სასმელ წყალს ეზიდებოდა და საქონელს არწყულებდა. დასახლებები უმეტესად განლაგებულია მდინარეების და სარწყავი არხების პირას. ინდივიდუალური ეზოები, ბალები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გამოირჩევიან გარკვეული დაგეგმარების უქონლობით. ეზოები შედარებით მომცროსი და მიჯრით ერთმანეთზე მიწყობილი. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტრანსფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება მეურნეობის დარგების პროპორციის ცვლილებას.

საქართველოში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით მომთაბარული ექსტენსიური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო. ამიტომ გადმოსახლებულმა ელებმა დაიწყეს ადგილობრივ ტრადიციულ სიმბიოზურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად უკვე XVIII საუკუნისათვის – „სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლთა ზეით წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყჳითა.“<sup>1</sup> ბინადარ ცხოვრებაზე თანდათანობით გადასვლის მომენტი ჩანს გიულდენშტედტის ცნობაშიც, რომ

---

<sup>1</sup> *ბავრატონი ვახუშტი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 310.

ალგეთზე მცხოვრებ თათრებს, რომლებიც ადრე ყარაიაზე ბინადრობდნენ, მის დროს მხოლოდ ზამთრობით მიჰყავდათ საქონელი ყარაიას ველზე.<sup>1</sup>

საარქივო მონაცემების თანახმად, ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში ნომადური ტრადიცია საკმაოდ კარგად იყო შემონახული გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის. ბორჩალოს მაზრის 1/3 მსხვილფეხა და 1/3 წვრილფეხა საქონელი მთა-ბარობდა სომხეთში (ლორე-ბამბაკის მაზრაში), დანარჩენი – ბაშკირეთისა (დმანისის) და წალკის რაიონებში. ცხვრის ფარების ნაწილი ასევე გადაჰყავდათ ლენინაკანის (სომხეთი) მაზრაში. მცირე გლეხური მეურნეობები, განსაკუთრებით მთისწინეთიდან, შორეული მოგზაურობისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების არარსებობის გამო იძულებული იყვნენ ადგილზე, „ჭალებში“, ტყეებსა და ბურქნარში ეძოვებინათ საქონელი. საკვების სიმცირის და უჭმელობის გამო მათი პირუტყვი ზამთარში ხშირად იღუპებოდა. მომთაბარეობას შედეგად ძირითადად ეწეოდა მესაქონლე მეურნეობები, თუმცა ივლისის ბოლოს მთელი „თურქული“ მოსახლეობა ტოვებდა სოფლებს და მიდიოდა მთებში, საიდანაც მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში ბრუნდებოდა.<sup>2</sup>

XX საუკუნისათვის საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აზერბაიჯანელებით დასახლებულ რიგ სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობები სადაც განვითარებული იყო მემარცვლეობა (ხორბალი, სიმინდი), მებახჩეობა (კომბოსტო, პომიდორი და ა.შ) და მევენახეობაც კი. მიწათმოქმედების ხვედრითი წილის გაზრდის ხარჯზე მესაქონლეობა თანდათან შეიზღუდა. ამდენად, ადგილობრივი ეკოსამეურნეო გარემოს გავლენით მომ-

---

<sup>1</sup> **გიულდენშტედტი**, მოგზაურობა საქართველოში, ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 67.

<sup>2</sup> სცია, ფ. 284, საქ. 962, ფ. 14-15.

ხდარი ეს ცვლილება საბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, კოლმეურნეობების გაუქმების შემდეგ ინდივიდუალური მეურნეობისათვის შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის მომარაგება და კარგი მოგების მიღება, რასაც საკმაოდ ადვილად აუღეს ალლო ქვემო ქართლში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა და მნიშვნელოვანი სეგმენტიც დაიკავეს. ბევრი აზერბაიჯანელი ვაჭრობს ლილოს ბაზრობაზე (ძირითადად, მულანლოსა და გაჩიანის ზონის მკვიდრები), რუსთავის ე.წ. „სტამბოლის ბაზარსა“ (ძირითადად, გარდაბნის სიახლოვეს მდებარე სოფლების მკვიდრები) და რუსთავის ავტობაზრობაზე (ძირითადად ფონიჭალის მკვიდრები). აზერბაიჯანელი ქალები თბილისის სხვადასხვა სავაჭრო ადგილებში ჰყიდიან (მაგალითად ნავთლულში, დეზერტირების ბაზარსა და სხვ.) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს.<sup>1</sup>

რეგიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი სექტორებია მემწვანილეობა და მეპოსტნეობა. ამა თუ იმ სახეობის ხშირად ცალკეული სოფლები არიან დასპეციალებულნი. მაგ. ძირითადად ყვავილოვანი კომპოსტო მოჰყავს სოფ. წითელსოფლის სომხურ მოსახლეობას; დასამჟავებელი ყვითელი წინაკა – სოფ. ქვემო ბოლნისის სომხებს; ჯანდარის აზერბაიჯანულ მოსახლეობას – ცოცხი და ა.შ. მწვანილს ძირითადად საცხოვრებელი სახლების ირგვლივ მდებარე მცირე, 600 – 1000 კვ.მ ფართობის, საკარმიდამო ნაკვეთებში ზრდიან. გადამყიდველები პროდუქციას ხშირად ადგილზე ყიდულობენ და შემდეგ ბაზარს ამარაგებენ.<sup>2</sup>

ქვემო ქართლში მცხოვრები სომხებიც მინათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. ჩვეულებრივ ისინი ჩამოჰ-

---

<sup>1</sup> *კვახაძე ა.*, უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები, თბ., 2020, გვ. 7.

<sup>2</sup> *კვახაძე ა.*, დასახ. ნაშრ., გვ. 7.



ყავდათ მტრის შემოსევებით გაპარტახებულ სოფლებში. ახალ ეთნოეკოსისტემასთან შეგუება საკმაოდ უძნელდებოდათ, რადგან მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამუშაო იარაღები, შრომის წარმოების ხერხები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები მათთვის უმეტესად უცნობი იყო. ეს კი შრომის შედარებით დაბალ პროდუქტიულობას განაპირობებდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სომხებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან თანდათან გადაიღეს სამეურნეო ტექნიკური უნარ-ჩვევები და შრომის იარაღები.

მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზი თავის მხრივ ცხოვრების სხვა მხარეებზეც ახდენდა გავლენას. პირუტყვს, სამინათმოქმედო სამუშაოების გარდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხორცისა და რძის პროდუქტები კვების რაციონში აუცილებელი იყო. იგი ისევე მნიშვნელოვან წილს შეადგენდა, როგორსაც სამინათმოქმედო კულტურებიდან მიღებული მოსავალი. აუცილებელი იყო საქონლის ნაკელისაგან სანვავის (წივის) დამზადება. მაღალგანვითარებული მესაქონლეობა პოზიტიურ გავლენას ახდენდა შინამრენველობაზე. მისდევენ მსხვილფეხა საქონლის მოშენებას. განარჩევენ თურქმანულ და თარაქამული მოდემის პირუტყვს. თურქმანული საქონელი ტანად დიდი იყო და ცხიმიანი რძეც ჰქონდა, იგი გავრცელებული იყო ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილში. ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთით, მეზობელ ადგილებში, უფრო მეტად თარაქამული საქონელი ჰყავდათ. მოსახლეობის ნაწილი ადგილობრივი ჯიშის საქონელს ამჯობინებდა, რომელიც მართალია ტანად მორჩილი, მაგრამ ადგილობრივ გარემოს შეგუებული, ამტანი და ღონიერი იყო.

ზაფხულის დასაწყისში საქონელი ალპურ საძოვრებზე მიდიოდა. მას მიჰყვებოდნენ – ქალები (რძის პროდუქტების დასამზადებლად), ბავშვები და ოჯახის მოხუცი წევრები, რომელთა მონაწილეობას სამინათმოქმედო საქმიანობაში დიდი

მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. როდესაც ოჯახში რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა გაუყრელად ცხოვრობდა, მაშინ ერთი მათგანი (ჩვეულებრივ უმცროსი) თავისი ცოლ-შვილით მიდიოდა იალალზე და ზაფხულს იქ ატარებდა<sup>1</sup>.

სომხები ამზადებდნენ ორი სახის ყველს – მრგვალსა და ჩეჩილს. რძეს („კათ“) რამდენიმე ხანს გააჩერებდნენ ხის ვარცლებზე. შემდეგ მოხდიდნენ ნალებს („სერუკ“), დარჩენილი რძისაგან („ცოლ“) მზადდებოდა ჩეჩილი ყველი („ჯაველ პანირ“) ან მრგვალი ყველი („ქალა პანირ“). ადრე აკეთებდნენ ცხვრის ყველსაც („ვოჩხარე პანირ“). შესანახ ყველს ხაჭოსთან ერთად ტენიდნენ საგანგებოდ გამზადებულ ცხვრის ტყავის გუდებში („ტიკ“). როდესაც ასეთი ყველი გაშრება მისი შენახვა მთელი ზამთრის მანძილზე შეიძლება.

საქონლის გამრავლებისა და პროდუქტიულობას ეძღვნება ჩვეულებებისა და რიტუალების მთელი სპექტრი, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში აგრარულ რიტუალებთან ერთად სრულდებოდა. რიტუალების ასეთი სიმრავლე და სინთეზი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დიდი ტრადიციების მაჩვენებელია. რეგიონში ეს ორი დარგი მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული რაც მათ ურთიერთწარმატებას განაპირობებდა.

დღეისათვის საქონლის ხვედრითი წილი ქვემო ქართლის სომხებსა და აზერბაიჯანელთა საოჯახო მეურნეობაში საკმაოდ შემცირდა (უფრო სომხებში). მთიანი სომხეთის საძოვრები ჩანაცვლა წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტის ალპურმა საძოვრებმა და იალლუჯამ. უმეტეს შემთხვევაში, მოსახლეობა პირუტყვს ეზოებში მონყობილ ბოსლებში აბინავებს. საკმაოდ შემცირდა მეცხვარეობა, თუმცა მას კვლავ მისდევენ, განსაკუთრებით აზერბაიჯანელები. ყველაზე დიდი რაოდენობით

---

<sup>1</sup> **გიულდენშტედტი**, მოგზაურობა საქართველოში, ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I თბ., 1962, გვ. 73.

საქონელი ჰყავს იმ სოფლებს, რომელთაც ხელი მიუწვდებოდა დიდ საძოვრებზე მაგ., სოფ. ჯანდარა (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლები. მოსახლეობისაგან რძეს ხშირად რძის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიები საკმაოდ იაფად იბარებენ.

ეკონომიკური კრიზისი თავისებურად აისახა მოსახლეობის ცხოვრების წესზე. გაიზარდა შრომითი მიგრაცია რეგიონიდან უცხოეთის მიმართულებით. მრავალმა ადამიანმა რუსეთს ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს მიაშურა (სომხებმა ძირითადად – სომხეთს, აზერბაიჯანელებმა – აზერბაიჯანს). სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან ერთად შრომითი მიგრანტები ევროპული ქვეყნებისკენაც დაიძრნენ, სადაც დასაქმებაში მათ ადგილობრივი (სომხური და თურქული) დიასპორებიც ეხმარებიან. აზერბაიჯანელებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა თურქეთი, სადაც მამაკაცები სანარმოებში და ვაჭრობის სექტორში, ხოლო ქალები, ძირითადად – ოჯახში საქმდებიან.<sup>1</sup>

მატერიალური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ჩაცმულობა, რომელზეც სათანადოდ აისახება როგორც ეთნიკური ერთობის განვლილი გზა, ასევე თანამედროვე ტენდენციები. სომხურ მოსახლეობაში სოფლად XX საუკუნის შუახანებამდე შემონახული იყო ტრადიციული კოსტუმის ელემენტები, რომელშიც შეიმჩნეოდა თურქული და ქართული სამოსის გარკვეული გავლენა. ქალაქად კი XIX საუკუნეში გადავიდნენ ევროპულ ჩაცმულობაზე. აზერბაიჯანელი მამაკაცის ტრადიციულ სამოსს შეადგენდა საცვალი („კეინეკი“), კარლსონი („დიზლიკ“) ზემოდან შარვალი, ახალოხი (არხალიგი) და ჩოხა (ჩუხუ). ასევე აუცილებელი ატრიბუტი იყო ქუდი („ფაფახი“), რომლის ქვეშაც ატარებდნენ მოქარგულ ქუდს („არახჩინ“). ქალის ტრადიციული სამოსი XX საუკუნის შუა ხანებამდე იყო ქვედა და ზედა კაბა, ხოლო სახეს ჩადრით იფარავდნენ. მდიდარი ქალები ატარებდნენ ოქროს სამაჯუ-

---

<sup>1</sup> კვანძე ა. დასახ. ნაშრ. გვ. 7.

რებს, ძვირფასი ქვების მძივებსა და საყურეებს. თანამედროვე აზერბაიჯანული სამოსი ევროპული ყაიდისაა, თუმცა გარკვეულ ნაციონალურ ელემენტებსაც შეიცავს. ქალებში ჩადრის ადგილი დაიჭირა თავსაფარმა რომლის ტარებაც სრულწლოვანებას მიღწეული გოგონასათვის აუცილებლად ითვლება. ასევე ნაწილობრივ შემონახულია ფაფახის ტარების ტრადიცია ხანდაზმულ მამაკაცებში.

XX საუკუნის დასაწყისამდე სოფლებში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი, მრავალთაობიანი ოჯახები.

ამ ტიპის სომხურ ოჯახს სპეციალურ ლიტერატურაში „გერდასტანი“ ეწოდება.<sup>1</sup> ხალხურ მეტყველებაში ხმარობდნენ ტერმინებს „ტუნ“ (სახლი) ან „ვოჯახ“ (კერა), შესაბამისად დიდი, მრავალთაობიანი და მრავალსულიანი ოჯახები „მენ ტუნ“ (დიდი სახლი) ან „მენ ვოჯახ.“ არსებობდნენ მცირე ინდივიდუალური ოჯახებიც, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრავალთაობიანი და მრავალრიცხოვანი ოჯახები ეკონომიკური თვალსაზრისით უკეთ იყვნენ მორგებული საქართველოსა და კავკასიის პირობებს.

აზერბაიჯანული ოჯახს სათავეში უდგას ოჯახის უფროსი მამაკაცი „აღსაკალი“. ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა ხანებამდე არსებობდა დიდი მრავალთაობიანი პატრიარქალური ოჯახები. ამგვარ ოჯახებში ერთად ცხოვრობდა რამდენიმე თაობა და რამდენიმე დაქორწინებული წყვილი (გაუყრელი ძმები თავიანთი ცოლ-შვილით). პატრიარქალური ოჯახი ხასიათდებოდა ოჯახის უფროსის ძლიერი ძალაუფლებით.

დიდი ოჯახებისათვის დამახასიათებელი იყო ოჯახის უფროსისადმი უსიტყვო მორჩილება, რაზეც არაერთ მოგზაურს გაუმახვილებია ყურადღება. „ნაზი და მორჩილი ცოლი ქმრის შეხედვას ძლივს ბედავს და წითლდება თუკი ვინმე სხვა დაელაპარაკება. ქალიშვილი მამის თანდასწრებით არასოდეს არ

---

<sup>1</sup> *Карпетян Е.*, Армянская семейная община, Ер. 1958.

ჯდება. მოხუცებულისათვის კი მხოლოდ ერთი შეხედვაა საკმარისი, რომ მისი სურვილი უმაღლესად შეასრულონ<sup>1</sup>.

ჩემთან საუბარში რამდენიმე კურიოზის შესახებაც მიახებეს. ერთ-ერთ სომხური ოჯახის უფროსს, რათა სტუმრისათვის თავისი ძალაუფლება დაემტკიცებინა, ვაჟებისათვის უბრძანებია, მოუსვლელი პურის ყანა მოემკათ. შვილებმა უსიტყვოდ შეასრულეს მამის სურვილი და უმნიშვარი პურის ყანა მომკეს. სიტუაციის მთელი ტრაგიზმი რომ აღვიქვათ, უნდა წარმოვიდგინოთ, რა ზარალი მიაყენა უფროსის ახირებამ უჯახს. მეორე ამბავი ეხება ხანდაზმულ მამაკაცს, რომელსაც მატარებელზე დააგვიანდა. მოხუცმა ხმამაღლა დაუძახა შეეჩერებინათ მატარებელი და დიდად გაოცდა, როდესაც მისი ბრძანება არ შესრულდა. ამგვარ ამბებს მრავლად მოისმენთ სომხურ და აზერბაიჯანულ გარემოში.

დიდი ოჯახების საყოველთაო კრიზისი სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნიდან დაიწყო. ამდროინდელი სომხურენოვანი პერიოდული პრესა უხვ ცნობებს იძლევა მსგავს პროცესებზე. ავტორები შეშფოთებას გამოთქვამდნენ დიდი ოჯახის დაშლის მზარდი ტენდენციის გამო. ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო გასული საუკუნის 30-იან წლებში. სახელმწიფო წყობილებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებამ აუცილებელი გახადა ამ ტიპის ოჯახის გაქრობა და XX საუკუნის ბოლოსათვის ის თითქმის აღარ დასტურდება, თანდათანობით დაკნინდა უფროსის ავტორიტეტი, უფლებები და ფუნქციებიც.<sup>2</sup>

გასულ საუკუნეში საბჭოთა სისტემის პირობებში ძლიერ შესუსტდა რელიგიური ნორმები და საოჯახო ურთიერთობების დარეგულირებაში გარკვეული როლი იკისრა სახელმწიფომ. სავალდებულო საშუალო განათლების შემოტანამ ცვლილება შე-

---

<sup>1</sup> *ჟობერი ა.*, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში, თბ., მეცნიერება 1997, გვ. 34.

<sup>2</sup> *Тер-сакиянц А.*, Современная семья у армян, М. 1972, с. 13-71.

იტანა სრულწლოვანების ცნებაში. ამიერიდან ასეთად ითვლებოდა პასპორტალეული ახალგაზრდა. საბჭოთა საოჯახო სამართალი არ ცნობდა განსხვავებას ქალ-ვაჟის საქორწინო ასაკში და მის ქვედა ზღვრად დანესებული იყო თვრამეტი წელი. ამდენად საქორწინო საშუალო ასაკი ქალებში 18-20 წელი გახდა, ხოლო ვაჟებში 24-25 წელი (თუმცა მრავალი გამონაკლისიც არსებობდა). ამასთანავე, შემცირდა მექორწინეთა შორის ასაკობრივი განსხვავებაც. ახალგაზრდებს ერთობლივად სწავლისა და შრომის საშუალება მიეცათ. გაიზარდა მომავალი მეუღლის მშობლებისაგან დამოუკიდებლად არჩევანის საშუალება, ასარჩევი წრე. სოციალური გათანაბრების პირობებში სახელმწიფო იდეოლოგია ფუფუნებას ერთგვარ მანკიერებად მიიჩნევდა და ახალგაზრდებში ნერგავდა შეხედულებას მომავალი მეუღლის არჩევისას ქონებრივი კრიტერიუმების გათვალისწინების ამორალურობის შესახებ. ყოველივე ამან თავისებური გავლენა იქონია მექორწინე წყვილთა შეხედულებებზე. გასული საუკუნის შუახნებიდან უკვე უმეტეს შემთხვევებში ერთი თაობის ადამიანები ქორწინდებოდნენ და ასაკობრივი განსხვავება მათ შორის ძირითადად 5-7 წელს შეადგენდა.

აზერბაიჯანულ თემში ოჯახის შექმნის და მის წევრთა ურთიერთობის რეგლამენტირების საკითხებში განსაკუთრებით ღრმად იჭრება მუსლიმური რელიგია. შარიათის მოთხოვნათა საფუძველზე ოჯახის აგებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოს მიერ გატარებული სასტიკი ღონისძიებების მიუხედავად თავი შემოინახა საოჯახო სამართლისათვის მიუღებელმა ისეთმა ასპექტებმა როგორცაა: მრავალცოლიანობა, დროებითი ქორწინება, სყიდვითი ქორწინება, შედარებით დაბალი საქორწინო ასაკი, საქორწინო ურთიერთობისას ქალის სურვილის გაუთვალისწინებლობა და ა. შ.

ორივე ეთნიკურ ჯგუფში დიდი ადგილი უჭირავს მიცვალებულის მოვლა-გაპატიოსნებას. როდესაც ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა პირველ რიგში მეზობლები მივიდოდნენ

ოჯახს მიუსამძიმრებდნენ, მიცვალებულს სამოსს გამოუცვლიდნენ.

წინათ გარდაცვლილს აზერბაიჯანელების მსგავსად სომხებიც მხოლოდ ერთი დღე აჩერებდნენ სახლში, მერე კი ეკლესიაში გადაიყვანდნენ. ცოდნით მიცვალებულის სასწრაფოდ დაკრძალვა. თუ ვინმე დილით მოკვდებოდა, სალამოს დამარხავდნენ, სალამოს გარდაცვლილს კი – დილით. ამჟამად მიცვალებულის ეკლესიაში გადაყვანა იშვიათია, მაგრამ აუცილებელია წესის ასაგებად მღვდლის ოჯახში მიყვანა.

მიცვალებულს სახლიდან მისი ახლო ნათესავები – შვილები, შვილიშვილები, მამა, სიძეები და ა.შ. გამოასვენებენ, გარეთ საგანგებოდ მოწყობილ ადგილას დაასვენებენ და გამოეთხოვებიან; შემდეგ ამ ადგილს სამჯერ შემოატარებენ და სასაფლაოზე წაასვენებენ. საფლავამდე მხოლოდ მამაკაცები უნდა მიყვნენ. აქ კიდევ ერთხელ მიუსამძიმრებენ ჭირისუფალს. სოფლებში საფლავის გაჭრაზე მეზობლები და ნათესავები მუშაობენ. ცდილობენ მინის მიყრაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

ქელები (პოკაუც) შეიძლებაოდა გაკეთებულიყო მიცვალებულის ოჯახში ან სასაფლაოზე. სასაფლაოზე ქელების გაკეთების წესი XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა და ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირდებოდა. ყველა ოჯახს არ ჰქონდა საშუალება სუფრა ოჯახში გაეწყო და ამიტომ სასაფლაოზე გაშლილი შედარებით მწირი პურ-მარილით კმაყოფილდებოდნენ. სუფრაზე უნდა ყოფილიყო ლობიო, ხორცი, და სხვა საჭმელები, ასევე სპირტიანი სასმელებიც. სადღეგრძელოებში მოიხსენიებდნენ გარდაცვლილსა და მის წინაპრებს. ახლობელ-ნათესავები და მეზობლები გარდაცვლილის ოჯახს მატერიალურადაც (ფულით) ეხმარებიან.

მიცვალებულის სულის მოხსენიება იციან გარდაცვალებიდან მეშვიდე, მეორმოცე დღეს და წლის თავზე. შეიკრიბებიან ახლობლები, წავლენ სასაფლაოზე, დაანთებენ სანთელს, მოიხსენებენ გარდაცვლილს და უკან ბრუნდებიან სადაც მათ მიცვალებულის ოჯახი უმასპინძლდება.

ითვლება, რომ გლოვა ორმოცისათვის მთავრდება. ორმოცს აკეთებენ არა მეორმოცე, არამედ გარდაცვალებიდან 39-ე ან 41-ე დღეს. ამ დღეს ქირისუფალი წვავს შავ ტანსაცმელს, მამაკაცები იპარსავენ წვერს. ახლობელ-ნათესაებს რამდენიმე დღით ადრე მიიწვევენ. მიაჩნიათ, რომ მეორმოცე დღეს მიცვალებულის სული ოჯახს ტოვებს და ზეცაში მიემართება. სასაფლაოზე გადიან ყველა საოჯახო და ხალხურ დღესასწაულზე, მაგალითად თუ სასიძოდ გამზადებულ ვაჟს მამა გარდაცვლილი ჰყავს ქორწილის წინ მის საფლავზე გავა და სანთელს დაანთებს.

ქვემოქართლელი აზერბაიჯანელების წარმოდგენით გარდაცვალებიდან 52-ე დღეს სხეული გახრწნას იწყებს და ტკივილების შესამსუბუქებლად სპეციალური რიტუალის შესრულებაა საჭირო. ამ დღეს, მიცვალებულისათვის ყურანს კითხულობენ. ზოგი ქირისუფალი ყურბანსაც კლავს. სრულდება ზიქრი (ათიათასჯერ წარმოთქმული შაჰადა) მუსლიმური მრწამსის მთავარი პოსტულატი – „ლა ილაჰა ილლა-ლ-ლაჰუ ვა მუჰამადუ რასულუჰუ“ (არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული), რომელიც მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალის ნაწილია. მოკლე ზიქრს (გრძელდება დაახ. 4-5 წუთი) წარმოთქვამენ მიცვალებულის სახლიდან გამოსვენების დროს. გრძელი ზიქრი სრულდება დასაფლავების შემდეგ, საფლავზე ან ოჯახში. ზიქრი უნდა წაიკითხონ კვირის თავზე, ორმოცზე, 52-ე დღეს, წლისთავზე. ზიქრის და ყურანის წამკითხველებისთვის ქირისუფალს სამი დღის განმავლობაში სასმელ-საჭმელი მიაქვს. შიიტები ზიქრს არ ასრულებენ. მიცვალებულისათვის ყურანის კითხვა კი ყველგანაა გავრცელებული. ზოგიერთი ადგილობრივის გადმოცემით, 52-ე დღის აღნიშვნა ახლად შემოღებული წესია: „გვაქვს მეორმოცე დღის აღნიშვნა, მეშვიდე დღის. 52-ე დღისაც. ეგეც უკანონოა მაგრამ ... არც შარიათი ამას არ ამბობს. ეს ახალია. მაგალითად როცა ჩემი პაპა და ბებია გარდაიცვალნენ, მაშინ არ გვექონია 52-ე დღე. ახლა მოლამ შემოიღო ეს დღე“. როგორც ჩანს, 52



დღის აღნიშვნა მივიწყებული იყო საბჭოთა მმართველობის დროს. შემდგომ, რეჟიმის შესუსტებისა და საბჭოეთის დაშლის მომდევნო პერიოდში, რელიგიისკენ საზოგადოების შემობრუნებამ და ისლამური ქვეყნებიდან წამოსულმა იმპულსებმა, 52-ე დღის აღნიშვნის, თუ სხვა მრავალი ტრადიციის, აღდგენას შეუწყო ხელი.

XX საუკუნის ბოლოს განვითარებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ძვრები, ერთის მხრივ, წარმოშობს ინოვაციურ ტენდენციებს, მეორეს მხრივ, ტრადიციული კულტურა, როგორც ეთნიკური სახის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი პირობა, იწყებს ყოფითი კულტურისა და წეს-ჩვეულებების კონსერვაციის მექანიზმების ამოქმედებას. აღნიშნული გარემოება საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების ტრადიციული ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროზე აისახა. ცნობილია, რომ ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება იწვევს კულტურული ერთგვაროვნების ზრდას. გაცხოველებული გლობალიზაციის ფონზე ხდება ტრადიციული კულტურული ფასეულობების დევალვირება. კულტუროლოგიაში ამას ტრადიციის, როგორც ქცევისა და აზროვნების წესის, დაკარგვა ეწოდება. ეს ძალზე მტკივნეული და არაერთგვაროვანი პროცესი კულტურული მემკვიდრეობითობის თანდათანობით ჩანაცვლებას გულისხმობს, რასაც შედეგად კულტურული დენაციონალიზაცია შეიძლება მოჰყვეს.<sup>1</sup>

განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრების პრაქტიკა, სოციალურ-ეკონომიკურის გარდა, კულტურული ხასიათის კავშირურთიერთობებსა და ურთიერთზეგავლენაშიც გამოიხატება. პოლიკულტურულ გარემოში ხდება კულტურათამორისი ურთიერთობების სტრატეგიის გამომუშავება, რაც სოციალური დის-

---

<sup>1</sup> *ჭიჭინაძე კ.*, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: სისტემური მიდგომა, ცივილიზაციური ძიებანი, №2, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2004, გვ. 16.

ტანციის შემცირებას ან, პირიქით, გაზრდას განაპირობებს. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ კონიუნქტურას და სახელმწიფოს კულტურულ – საგანმანათლებლო და ეროვნულ პოლიტიკას.

როგორც ზემომოტანილი მასალიდან ჩანს, იმისათვის რომ ახალ ეთნოეკოსისტემას შეგუებოდნენ, ქვემო ქართლში გადმოსახლებულმა სომხებმა და თურქული მოდგმის ტომებმა, შეითვისეს მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამშენებლო ტრადიციები, სამუშაო იარაღები, შრომის წარმოების ხერხები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები. ძლიერი მსგავსება შეინიშნება სადღესასწაულო ციკლში, ტრადიციულ სამოსში, ფოლკლორულ გადმოცემებსა და რწმენა წარმოდგენებში.

## **§ II სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობის თავისებურებები**

მრავალეროვან საზოგადოებებში ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გრძნობა აქვთ, რადგან არსებობს ბევრი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც მათი, როგორც უმცირესობის, საერთო ინტერესშია. ამ კუთხით ისინი, გარკვეულად, უმრავლესობის ოპოზიციურ მხარეს წარმოადგენენ, რაც მათ ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის ჩამოყალიბებისაკენ უბიძგებს. გამოკვლევის საწყის ეტაპზე ვვარაუდობდით, რომ ქვემო ქართლის სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება იქნებოდა, რადგან: ა) მათ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი აქვთ მეზობლად მდებარე

აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რომლებიც სამ ათეულ წელზე მეტია საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და საკუთარ მოსახლეობაზე ტოტალურ იდეოლოგიურ წნეხს ახორციელებენ, რათა არ დაუშვან ლოიალობა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ; ბ) რეგიონის მრავალ ადგილას უმრავლესობაში ქართველები (ტიტულარული მოსახლეობა) კი არ არიან, არამედ აზერბაიჯანელები. ეს ვითარება მათ რესურსებზე წვდომისა და პოლიტიკური აქტიურობის მეტ საშუალებას აძლევს, ვიდრე სომხებს, რაც შესაძლოა ამ უკანასკნელთა უკმაყოფილების და აზერბაიჯანელებთან დაპირისპირების მიზეზი იყოს.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს 90-იან წლების დასაწყისში ქვემო ქართლში ვითარება გამწვავდა. სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ძვრებმა საზოგადოებაში დეზინტეგრაციული იმპულსები გააძლიერა და ეთნიკურ ჯგუფებში გაზარდა თვითმყოფადობისა და ინდივიდუალობის შენარჩუნებისაკენ მისწრაფება. ქართული მოსახლეობა იქ მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს ქვეყნის მთლიანობისათვის საფრთხედ აღიქვამდა, რადგან აზერბაიჯანელებსა და სომხებში შეიმჩნეოდა სეპარატისტული განწყობები. მასშტაბური დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება იმ პერიოდში გარკვეულმა ფაქტორებმა, მათ შორის, მოსაზღვრე აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებების პოზიტიურმა ძალისხმევამ განაპირობა, რასაც საველე ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ საკუთარ ჯგუფში არსებული ექსტრემისტული განწყობის აფიშირებას ყველა ერიდება და უფრო ღიად საუბრობს სხვებზე. ქართველები გასული საუკუნის ბოლოს შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში ე.წ. უმცირესობებს ადანაშაულებენ, აზერბაიჯანელები და სომხები კი – ეროვნული მოძრაობის ფონზე აზვირთებულ ნაციონალიზმს. არსებობდა დაპირისპირების ნიშნები სომხურ და აზერბაიჯანულ თემებს შორის, რაც ძირითადად, ყარაბახის კონფლიქტით იყო პროვოცირებული. ორივე ეთნიკური ჯგუფი მჭიდრო ბმამია ერთმანეთთან

მეომარ სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოსთან, რომელსაც ისტორიულ სამშობლოდ აღიქვამს, თავის საცხოვრებელს (ქვემო ქართლს) კი, კულტურულ-ისტორიული თალსაზრისით, ამ სამშობლოს ნაწილად. ამგვარი სიტუაცია ეთნიკური იდენტობის მარგინალიზაციის და კონფლიქტის მაპროვოცირებელ პოტენციურ ფაქტორად გვევლინება.

იმავედროულად, ქვემო ქართლის სომხების და აზერბაიჯანელების ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბება ძირითადად ქართულ პოლიტიკურ ორგანიზმში მიმდინარეობდა, მათი წინაპრების უმრავლესობას არ უცხოვრია XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულ სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებში. ამის გამო მათ საკუთარი მოქალაქეობის, ეთნიკურობის და სახელმწიფო ისტორიისადმი საკმაოდ რთული დამოკიდებულება აქვთ: ეთნიკურობას სომხეთს ან აზერბაიჯანს უკავშირებენ; თავი კი საქართველოს მოქალაქეებად მიაჩნიათ; რეალური მებსიერება საკუთარი ჯგუფის თავგადასავლის შესახებ ძირითადად ასევე საქართველოს ისტორიასთან ასოცირდება. ზემოთ უკვე შევხეთ ამ ჯგუფებში შემორჩენილ სათანადო გადმოცემებს. მთხრობელთა თვალსაზრისით, ეს კუთხე (თამარ მეფის, ერეკლეს ეპოქაში) საქართველოში შედიოდა, აქ მოსახლეობდნენ სომხებიც და აზერბაიჯანელებიც. პრინციპში, ამგვარი წარმოდგენა სინამდვილეს შეესაბამება და ამ ჯგუფებსაც ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. ერთმანეთისადმი ლოიალობის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ტოლერანტული დამოკიდებულება ოპოზიციური ჯგუფის რელიგიის, მათი ტრადიციული ყოფითი კულტურის ცალკეული ელემენტისა და ცხოვრების წესისადმი.

ტრადიციულ საზოგადოებებში ჯგუფთა შორის ურთიერთობის მნიშვნელოვან ინდიკატორად სარწმუნოება გვევლინება. ორთოდოქსური ისლამის მოძღვრების თანახმად, ქრისტიანული გარემოში მოხვედრილი მუსლიმი „დარ ულ-სალამდან“ (მშვიდობის სამყაროდან) ავტომატურად აღმოჩნდება „დარ ულ-ჰარბ-ში“ (ომის სამყაროში). ჯერ კიდევ 1484 წ. მუს-

ლიმი ღვთისმეტყველი ალ-ვანშარისი, აცხადებდა, რომ ისლამის მიმდევარმა ამგვარ შემთხვევაში უნდა შეასრულოს ჰიჯრა (დატოვოს არამუსლიმთა ტერიტორია), თუ ამის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ხშირად შეუძლებელი იყო. ამიტომ მუფტიმ, ახმედ იბნ ჯუმაირმა, გამოსცა „ფეტვა“, რომელიც ნებას აძლევდა მორწმუნე მუსლიმებს, ეცხოვრათ ქრისტიანების დაპყრობილ ტერიტორიაზე. უკიდურეს შემთხვევაში იგი ფორმალურად ისლამზე უარის თქმასაც კი უშვებდა. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მუსლიმს აძულებდნენ მიუღებელი რამ ჩაედინა (ექჰამა ღორის ხორცი, დაეღია ღვინო, მონაწილეობა მიეღო წირვაში და ა.შ.), ამგვარი ქმედებებისადმი დისტანცირება მას საკუთარ სულში უნდა მოეხდინა.<sup>1</sup>

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მეტ-ნაკლებად შეგნებული აქვთ, რომ „ეს ქრისტიანული ქვეყანაა“. ისინი შედარებით ლოიალურად არიან განწყობილი და თვით მუსლიმის გაქრისტიანებასაც არ აღიქვამენ ტრაგედიად „მუსლიმის მიერ ქრისტიანობის მიღებაში ან პირიქით არაფერი არაა ცუდი. ყურანშიც წერია, ქრისტიანებს ჩვენზე წინ მიუღიათ წიგნი და სუფთად მიყვებიან, რწმენით ზოგი ჩვენზე ორჯერ ძლიერია. ზოგჯერ ხდება ქრისტიანი გადმოდის ჩვენ რწმენაში, ან პირიქით. ამას არც ქრისტიანებს უშლიან, არც ჩვენ ვუშლით. თბილისში ჯუმა მეჩეთში იყვნენ სტუდენტები მოსული, კარებთან იდგნენ და შიგ არ შედიოდნენ. მკითხეს, შეიძლება ძია შესვლა? რატომ არ შეიძლება შვილო, ღმერთის სახლია. გინა სინაგოგა იყოს, გინა სალოცავი იყოს, გინა მეჩეთი იყოს – ეგ არის ღმერთის სახლი. მე, პირიქით, უფრო გამეხარდება ეკლესიაში თუ შედის კაცი და ლოცულობს. იმისგან ცუდს ნუ ელოდები. პირიქით, ვინც არ შედის იმისგან მოდის ცუდი.... ავილოთ მუს-

---

<sup>1</sup> *Ланг М.*, Традиция миграции в мусульманском кругу, Централная Азия и Кавказ, №1. [https://www.ca-c.org/journal/cac-01-1998/st\\_21\\_lang.shtml](https://www.ca-c.org/journal/cac-01-1998/st_21_lang.shtml)

ლიმი, ებრაელი, ქრისტიანი, ჩვენ ერთი გზით მივდივართ. მისასვლელი არის ღმერთთან, შენ სხვა გზით მიდიხარ, მე სხვა გზით. შეიძლება უფრო შორი გზა გაიარო, მაგრამ ღმერთთან მიხვიდე” – განგვიცხადა მუსლიმმა სასულიერო პირმა, 2008 წელს, სოფ. არ-სარვანში.

რელიგიასთან დაკავშირებული ტრადიციები, ჩვეულებები და დღესასწაულები ეთნიკურ ჯგუფთა შეხვედრისა და აქტიური ურთიერთობების ადგილებია. აზერბაიჯანელები ქირვად (ე.წ. ნათლიად) ხშირად იკიდებენ ხოლმე სომხებს. გამოკითხული სომხების ინფორმაციით, აზერბაიჯანელები თვლიან, სომეხი ნათლია ბავშვის წარმატებებს შეუწყობს ხელს. შესაძლოა, ამ ტრადიციის საფუძველი იყოს სომხის, როგორც წარმატებული ვაჭრის, მოხერხებული ადამიანის სტერეოტიპული იმიჯი. ასევე შესაძლოა, რომ აზერბაიჯანელები ცდილობდნენ ამ ერთგვარი დიპლომატიური ნაბიჯით, ნათესაური კავშირებით გამყარებული „დასაყრდენი“ ჰქონოდათ უცხო ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებში.<sup>1</sup> ქირვას სუნიათის (წინადაცვეთის) რიტუალზე დამსრე ადამიანს უწოდებენ. წინდაცვეთის ოპერაციას ექიმი ან დალაქი ატარებს. რესპოდენტთა ცნობით, ყველაზე ხშირად სამი წლის ასაკში ასუნიათებენ ბიჭებს. მათივე ცნობით სუნიათი მუჰამედამდე არ არსებობდა. „მან, როგორც უჭკვიანესმა კაცმა, მრავალ სხვა კარგი რამ, ესეც გადმოიღო და დააკანონა.“ აღსანიშნავია, რომ ქირვას ოჯახთან საქორწინო ურთიერთობები აკრძალულია.

ქვემო ქართლში მოსახლე სომხები და აზერბაიჯანელები ხშირად ერთად მონაწილეობენ გაზიარებულ ქართულ, ქრისტიანულ დღეობებზე. მუსლიმებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ქრისტიანული ტაძრებისადმი. ხანდახან მსხვერპლსაც სწირავენ ეკლესიებს. არსებობდა წარმოდგენა, რომ ყოველგვარი უბედურება: მიწისძვრა, ავადმყოფობა, ოჯახის

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი ლ.*, ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ., 2019, გვ. 216.

წევრთა უდროოდ დაღუპვა, ამ მინა-წყალზე დანგრეული ქრისტიანული ტაძრების „აბუჩად აგდების“ შედეგი იყო. ამიტომ, ისლამის მიმდევრები ცდილობდნენ ამ ტაძრებისთვის და იქ დაკრძალული ადამიანებისათვის ქრისტიანული წესით ეცათ პატივი, დაენთოთ სანთლები და ა.შ ზოგი წესი მუსლიმი მიცვალებულისათვის ჩატარებულ რიტუალებშიც შევიდა.<sup>1</sup>

ბოლნისის რაიონის სოფელ ხატისოფლის ეკლესიაში, ყოველი წლის 23 ნოემბერს, სომხები და აზერბაიჯანელი მუსლიმები ერთად მონაწილეობენ გიორგობის დღესასწაულში. მუსლიმთაგან ამ დღეობაზე ახლა ძირითადად ქალები დადიან, 2020 წელს გიორგობაზე აზერბაიჯანელი მამაკაცი ხატისოფლის ეკლესიაში არ შეგვიმჩნევია, სომხები კი – ოჯახებით მოდიოდნენ. აზერბაიჯანელმა ქალებმა ეკლესიაში მიიყვანეს სამსხვერპლო მამლები. მათ სამჯერ შემოუარეს ეკლესიას, ემთხვიენ საყდრის კედლებს, იყიდეს სანთლები, რომელიც ზოგმა მათგანმა ეკლესიის შიგნით, ზოგმა კი – ეკლესიის ეზოში დაანთო. სომეხმა მომლოცველმა, ეკლესიის ახლოს, შეუმჩნევლად დაკლა შესანირი მამალი და ოჯახის წევრ ახალგაზრდა ქალს სისხლით შუბლზე ჯვარი გამოსახა. სავარაუდოდ ამ დღესასწაულს ადრე უფრო მასობრივი ხასიათი ჰქონდა, მეტი აზერბაიჯანელი და სომეხი ესწრებოდა და მსხვერპლსაც ეკლესიაში კლავდნენ (ახლა ღვთისმსახური რიტუალს აკონტროლებს და ამას მკაცრად უკრძალავს).

აზერბაიჯანელებსა და სომხებს სხვა ქართული სალოცავებიც აქვთ გაზიარებული: „სალოცავად სიონსა და წულურაშენში (იგულისხმება წულურულაშენი – ლ.ჯ.) დავდივართ. გიორგობაზე ყაჰანახჩში დავდივართ 23 ნოემბერს. მაგ სალოცავებზე აზერებიც მოდიან, ეკლესიაშიც შედიან და სანთელს ანთებენ. ეგერ პეტრე-პავლეს ეკლესიაა ზემოთ და მანდ გავლისას თათრები ფულს ისვრიან, შეწირვის მიზნით, რათა ყისმათი

---

<sup>1</sup> ანდრიაშვილი რ., ისლამის გადმონაშთები საქართველოში, თბ., 1983, გვ. 68, 69.

ჰქონდეთ. ისე ხურდა ფულს ყველანი ვყრით მაგ ეკლესიასთან. ვფიქრობ, რომ აზერებმა ეგ ჩვენგან ისწავლეს, უმართლებთ კიდევ. ადრე უჭირდათ ახლა კი სომხებზე და ქართველებზე კარგად ცხოვრობენ.“ – (სომეხი მამაკაცები. სოფ. ბოლნის – ხაჩენი).

თეთრინყაროს სოფ. სამღერეთის აზერბაიჯანელი მკვიდრის თქმით, „აქ არის სალოცავები, ამბობენ, რომ სომხურიანო აქ წმინდა გიორგია, იქ ადიან მალლა. ჩვენც ავდივართ აჭარლებთან ერთად ეკლესიაში. მერე რა, რომ მუსულმანები ვართ? ღმერთი ერთია! ყველანი ერთად ვართ იქ. ცხვარსაც ვკლავთ. სანთელსაც, რა თქმა უნდა ვანთებთ, აქ ყველა აზერბაიჯანელი მოდის, სომხებიც. ვის როდის უნდა, ცხვარს მაშინ დაკლავს... ქრისტიანებთან ერთად რომ მოვხვდით, უკვე ნამაზს აღარ ვატარებთ ხუთჯერ. უფროსები ალბათ აკეთებენ. 16 თებერვალს სასაფლაოს დღე გვაქვს, კვერცხს ვღებავთ წითლად, შიხილოში მივდივართ, აზერბაიჯანელებს აქ არ გვაქვს სასაფლაო“<sup>1</sup>

მუსლიმებით დასახლებულ სოფლებში შემორჩენილია ქრისტიანული ეკლესიების და ნანგრევებისადმი კრძალვა. მაგ., სოფელ არ-სარვანში (ნალკის მუნიციპალიტეტი) დღესაც დგას მართლმადიდებლური ბაზილიკა, რომელსაც იქაური მუსლიმი ოჯახი უფლის. ეკლესიის გასაღებიც მათთან ინახება. მუსლიმთა ამგვარ დამოკიდებულებას გადმოცემებიც ამყარებდნენ. ამბობენ, რომ სოფ. ყიზილ ქილისაში, ტაძრის ნანგრევებთან, გამოეცხადებოდათ ხოლმე მოხუცი, რომელიც მათგან ტაძრის ხელუხლებლობას მოითხოვდა.<sup>2</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ გაზიარებულ სალოცავთა უმეტესობა ქართულია, რადგან ძველი

---

<sup>1</sup> **ჯალაბაძე ნ.** აკულტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში: „სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური საზღვრები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“, თბ., 2011, გვ. 217- 218.

<sup>2</sup> **ანდრიაშვილი რ.**, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, თბ., 1983, გვ. 27.



ქართული ეკლესია-მონასტრები პატივდებულია როგორც სომხური, ისე აზერბაიჯანული მოსახლეობისაგან. სომხების ან ქართველების მუსლიმურ სალოცავში მოსალოცად სიარულის და ისლამურ რიტუალებში მონაწილეობის შემთხვევა ქვემო ქართლში ჩვენი სავსელე მუშაობის დროს არ დაგვიფიქსირებია.

საბჭოთა პერიოდში სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობა უფრო ინტენსიური იყო. ისინი თანამშრომლობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და შრომით კოლექტივებში. ამასთანავე, პროპაგანდა კომუნისტური ინტერნაციონალიზმის იდეების, ვინროეთნიკურ გრძნობებზე უარის თქმისა და საერთო საბჭოთა ხალხის ფორმირების შესახებ გავლენას ახდენდა ადამიანებზე და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დისტანციას ამცირებდა. მეზობელ რესპუბლიკებს შორის თავისუფალი მიმოსვლა კი ხელს უწყობდა სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობას. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მესაქონლეები საზაფხულო საძოვრებზე სომხეთში დადიოდნენ; მორწმუნე მუსლიმები ხშირად ჩადიოდნენ სომხეთში, კალინინოს რაიონში, წმინდა ადგილებსა და წმინდანთა საფლავების მოსალოცად, თან მიჰყავდათ მოლა. მიდიოდნენ, კოლექტიურად და ინდივიდუალურადც.<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის დაშლამ და სომხურ-აზერბაიჯანულმა კონფლიქტმა ამ ტიპის კომუნიკაციას გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა.

თურქული წარმომავლობის მუსლიმი მოსახლეობის აღსანიშნავად, როგორც ითქვა, წინათ იყენებდნენ ტერმინს – „თათარი“, რაც მუსლიმის ანალოგიურ შინაარსს ატარებდა. თანდათანობით, მან ეთნიკურობის აღმნიშვნელი შინაარსი შეიძინა<sup>2</sup> და საუბარში ყოფით დონეზე დღემდე შემორჩა სომხებსა და ქართველებში. ქვემო ქართლის მუსლიმი მოსახლეობის

---

<sup>1</sup> *ანდრიაშვილი რ.*, დასახ. ნაშრ. თბ., 1983, გვ. 59-61.

<sup>2</sup> შდრ. გამოთქმა „ალია და ოსმანა ორივე თათარია“ ე. ი. ირანელიც და თურქიც ორივე მუსლიმიანო.

უმეტესობა ამ ტერმინს მათ მიმართ შეურაცყოფად აღიქვამს.: „თათარს უნდა ედახდენენ მხოლოდ იმას ვინც თათარსტანში ცხოვრობს. ჩვენ აზერბაიჯანელები ვართ. ჯარში ქართველებთან და სომხებთან ხშირად მომდიოდა კამათი მაგაზე. აი თქვენ ქართველი ხართ და სომეხი ხარო, რომ გითხრან ხომ გაბრაზდებით?! ვინც რაა, ის უნდა დაუდასტონ, ქართველია, სომეხია, თუ მეგრელი.<sup>1</sup> რა ენაზეც ლაპარაკობს იმას ეკუთვნის” – (ახალგაზრდა აზერბაიჯანელი სოფ. ბაილარი მარნეულის მუნიციპალიტეტი). მუსლიმთა ამგვარ განწყობას სომხები მეტნაკლებად ითვალისწინებენ და მათთან ურთიერთობაში ერიდებიან „თათრის“ ხსენებას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სომხებს „თათარი“ დისკრიმინაციულ ტერმინად მიაჩნიათ და ჰგონიათ თითქოს საქართველოში მისი გამოყენება აზერბაიჯანელების მიმართ კანონით ისჯება: „ჩვენ მაგათ აზერბაიჯანელებს კი არა თათრებს ვედახდით, მაგრამ ბრაზობენ. თათარია აბა რა არის?! ახლა კი მაგ ერთი სიტყვისათვის სასამართლო გაიმართა და დასაჯეს ადამიანი.“ – გვითხრა ბოლნის – ხაჩუნის მკვიდრმა სომეხმა მამაკაცმა და ამ მოსაზრებას „ბირჟაზე“ შეკრებილებიდან ბევრი დაეთანხმა.

აზერბაიჯანელები და სომხები ესწრებიან ერთმანეთის საქორწინო, საოჯახო დღეობების აღსანიშნავ და ქირის სუფრებს, დადიან სამდიმარზე, მონაწილეობენ სუფრების მომზადებაშიც (მზარეული, დამხმარე პერსონალი და ა.შ.). ხანგძლივი თანაცხოვრების შედეგად გამოიმუშავებული აქვთ არამარტო სუფრის ერთნაირი ასორტიმენტი; ზოგი რიტუალი და მასთან დაკავშირებული კერძებიც ამჟღავნებს მსგავსებას<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ამ ახალგაზრდას წარმოდგენაში ნიველირებულია განსხვავებული ეთნიკური ტერმინები – „აზერბაიჯანელი“ (ეთნოსი), სომეხი (ეთნოსი) და „მეგრელი“ (ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი).

<sup>2</sup> *შველიძე მ.* ზაფხულის ხალხურ დღეობათა კალენდარი ქვემო ქართლში, კრ. ქვემო ქართლი, თბ. 1990. გვ. 205-216.

თებერვლის დასაწყისში სომხები ზეიმობენ წმინდა სარქისობას (სურბ სარქისი). სომხური ქრისტიანული წმინდანის სახელი უკავშირდება სიყვარულსა და ოცნებების ახდენას. ამ დღეს ზოგიერთი ახალგაზრდა მარილიან კვერს ჭამს, რადგან ითვლება, რომ ვინც მოწყურებულს სიზმარში წყალს მიანვდის, ის იქნება მისი საბედო. ერთი გადმოცემის თანახმად, სურბ სარქისი ებრძოდა ბერძნული ქრისტიანობის მიმდევარ (ქალკედონიტ) ქართველებს. საომრად წასულ სარქისს საგზლად წაუღია მოხალული ქერი (ალანძ). რვადღიანი უწყვეტი ბრძოლის შემდეგ ალანძი ქერის ღერღილად (ფოხინდ) გადაიქცა. ამ მოვლენის აღსანიშნავად სურბსარქისობაზე ფოხინდ-ს გარეთ, კარებთან ყრიან, რათა როდესაც სურბ სარქისი გამოივლის მასზე ცხენის ნაკვალევი დატოვოს.

საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობა იმავე ხანებში ხიზრი ნების დღეს აღნიშნავს. გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაფიქსირებული მონაცემებით, დღესასწაული მხოლოდ ცალკეულ ოჯახებში დასტურდება. ზოგი მოსაზრებით, ლეგენდა ხიზრის შესახებ არამუსლიმურია, ის ილიას (ბიბლიურ წინასწარმეტყველს) უკავშირდება. ხიზრი წყლისა და ნაყოფიერი მიწების მფარველად ითვლება და მისადმი მიძღვნილ რიტუალში წყალიც ფიგურირებს. ხიზრი ნების დღეს მოხარშულ ხორბალს ყრიან განიერ თეფშზე, იქვე პატარა თეფშით დებენ წყალს, ანთებენ სანთლებს. ფიქრობენ, ხიზრი ნები თავისი ცხენით მოვა და ვის ოჯახსაც ეწვევა, დიდ ბედნიერებას მოუტანსო. ხიზრი ნები ხორბალს ცხენს აჭმევს და წყალს დააღვინებს. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მულანლოში ზოგიერთ ოჯახში შემონახულია ხიზრი ნების ცხენის ნალი. მორწმუნენი ფიქრობენ, რომ ეს ნალი ხიზრი ნების დღეს კიდობნიდან თავისით ამოდის.<sup>1</sup> ამ დღესასწაულს ბოლნისელი აზერბაიჯანელები „ხიდრნაბის დღეს“ ეძახიან.

---

<sup>1</sup> ანდრიაშვილი რ., დასახ. ნაშრ., გვ. 62-63.

ზემოაღწერილი ორივე რიტუალი თებერვლის დასაწყისში აღინიშნება, მათში მონაწილე პერსონაჟები სარქისი და ხიზრი ნები, ხალხის წარმოდგენით, გავლენას ახდენს ოჯახების კეთილდღეობაზე და გამრავლებაზე. სიუჟეტური მსგავსების გარდა, მათში მსგავსი სარიტუალო ელემენტები (მარცვლეულის შეჭამანდი, წყალი) და ცხენის ნაკვალევი ფიგურირებს.

ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე წარმოდგენას გვიქმნის შერეული ოჯახების ხვედრითი წილი. ქვემო ქართლში სომხურ-აზერბაიჯანული ოჯახების რიცხვი ძალიან მცირეა. ასეთი ოჯახების შექმნა უფრო საბჭოთა პერიოდში ხდებოდა, უკანასკნელ დროს კი თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევას იხსენებენ. სოფ. ხოჟორნში, სადაც სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ერთ სკოლაში სწავლობენ, შერეული ოჯახის შექმნის შემთხვევაც კი ვერ გაიხსენეს. თუმცა ამბობენ: „აზერბაიჯანელმა შეიძლება სომეხი მოიყვანოს, რა თქმა უნდა, თუ შეუყვარდება ქალი... არის ასეთი შემთხვევები, მაგრამ ცოტა. ისე, სწორად გამიგეთ, რა მნიშვნელობა აქვს სვანია, აჭარელი თუ ბერძენი? ამას ჰქონდა ოდესღაც მნიშვნელობა, მაგრამ ახლა გაქრა. არა აქვს მნიშვნელობა რა ნაციისაა, მთავარია ჭკუა ჰქონდეს და ადამიანი იყოს!“ შერეულ ქორწინებებს თეორიულად არც სომხები ეწინააღმდეგებიან, თუმცა, მათი თქმით, „აზერბაიჯანელი სომეხს ცოლად არ მოჰყავს. ალბათ, რწმენის გამო. სომხები ქართველებს მიყვებიან, აზერბაიჯანელებს არა“<sup>1</sup>

აზერბაიჯანელები ყველაზე მისაღებ საქორწინო პარტნიორად რეგიონში ბერძნებს, ხოლო შემდეგ ქართველებს მიიჩნევენ. სომხებისადმი კი ყველაზე ნეგატიურ განწყობას ამჟღავნებენ. თვით სვანეთიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებიც კი, რომლებთანაც აზერბაიჯანელებს საკმაოდ დიდი უთანხმოებები ჰქონდათ, სომხებზე ახლობლებად მიაჩნიათ. მართალია პირად საუბრებსა და ინტერვიუებში რესპოდენტები აცხადე-

---

<sup>1</sup> *ჯალაბაძე ნ.*, დასახ ნაშრ, გვ. 214.

ბენ, რომ თავიანთ შვილებს არ დაუშლიან იქორწინონ „სხვა ჯგუფის წარმომადგენელზე,“ მაგრამ ყოფაში სრულიად განსხვავებულ რეალობას ვხედავთ. შერეული ქორწინებებით შედარებით „მდიდარ“ გასულ საუკუნეშიც კი სომხურ-აზერბაიჯანული ოჯახები თითქმის არ გვხვდებოდა მაშინ, როცა სლავ ქალებთან აზერბაიჯანელი ან სომეხი მამაკაცების დაქორწინების შემთხვევა საკმაოდ ხშირი იყო.<sup>1</sup>

ზემოთქმულის მიუხედავად, სავარაუდოდ მომავალში შერეული (მათ შორის სომხურ-აზერბაიჯანული) ქორწინებების რიცხვი სავარაუდოდ გაიზრდება. რადგან გლობალისტური ტენდენციები სულ უფრო ღრმად იჭრება ყოფაში და არღვევს ტრადიციულ შეხედულებებს. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებმა მთლიანად ჩაანაცვლა შუამავლის ინსტიტუტი. ახალგაზრდები ერთმანეთს უკავშირდებიან სოციალური ქსელების ან მობილური ტელეფონის საშუალებით. შემცირდა მშობლების როლი საქორწინო კანდიდატის მოძებნის საქმეში, საგრძნობლად გაფართოვდა პოტენციური მეუღლეების შერჩევის გეოგრაფიული არეალი; ცვლილება განიცადა საქორწინო ციკლმაც და სავალდებულოდ აღარ ითვლება მისი ყველა საფეხურის დაცვა; საქორწინო სუფრა სულ უფრო იშვიათად კეთდება ოჯახებში, როგორც წესი, სარგებლობენ რესტორნების ან ამ მიზნით საგანგებოდ მოწყობილი დარბაზების მომსახურეობით და სხვა.

არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე დარჩეს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივმა სამეზობლო ურთიერთობამ ხელი შეუწყო საკომუნიკაციო დონეზე ერთმანეთის ენის შესწავლას. აზერბაიჯანელებმა იციან სომხური და პირიქით, ბერძნებმა – სომხური, ასევე ადგილობრივმა ქართველებმაც იციან სომხური და აზერბაიჯანული, იმის მიხედ-

---

<sup>1</sup> *მოშიტაშვილი ნ.*, ქვემო ქართლის მოსახლეობის თანამედროვე საოჯახო ყოფა, კრ, ქვემო ქართლი, თბ. 1990, გვ. 44.

ვით, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფთან აქვთ შეხების წერტილები.<sup>1</sup>

ამჟამად რეგიონში ეთნიკურ ერთეულებს შორის საერთოერთობო ენა „lingua franca” ძირითადად აზერბაიჯანულია. სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთში ამ ენაზე ამყარებენ კომუნიკაციას<sup>2</sup>. თუმცა, შერეულ სოფლებში გვითხრეს, რომ აზერბაიჯანელებმაც იციან სომხური. ბოლო ხანებში თანდათანობით იზრდება ქართულის შესწავლის მსურველთა რიცხვი. ზოგიერთ სოფელში აზერბაიჯანელი მშობლები ფულსაც კი აგროვებდნენ, რომ მიკროავტობუსი დაექირავებინათ და ბავშვები ქართულ სკოლაში ეტარებინათ. ზოგი მათგანი შვილებს რუსთავისა და თბილისის ქართულ სკოლებშიც კი აგზავნის სასწავლებლად. ხანდაზმულები ჩვენთან საუბრისას ამაცობენ თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების, ქართული მეტყველებით. ასაკოვანი ადამიანები სინანულს გამოთქვამენ, რომ მათთვის უკვე დაგვიანებულია ენის შესწავლა. რესპოდენტები ზოგჯერ სახელმწიფოს ადანაშაულებენ იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ენის შესასწავლად შესაბამისი პირობები და ეჭვობენ, რომ შესაძლოა, ხელისუფლებაში არც სურდეთ, რომ მათ ქართული ენა იცოდნენ.<sup>3</sup> ამგვარი ტენდენცია გვაფიქრებინებს, რომ პერსპექტივაში „lingua franca” შეიძლება ქართული ენა გახდეს.

---

<sup>1</sup> **ჯალაბაძე ნ.** დასახ., ნაშ., გვ. 202.

<sup>2</sup> სოციალურ ქსელში ა. კვახაძემ გაავრცელა საინტერესო ინფორმაცია. ბოლნისში სოფ. თამარეშენთან მას ორმა ახლგაზრდამ აზერბაიჯანულ ენაზე სთხოვა მობილური ტელეფონი ეთხოვებინა. მკვლევარი გაოცდა როდესაც აღმოაჩინა, რომ ახალგაზრდები იმერულ კილოზე გაესაუბრნენ ტელეფონით ვილაცას.

<sup>3</sup> **არჯევანიძე ნ** კულტურული დომინაციის და უმცირესობების., კულტურის ნაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში, გვ. 281. <https://emc.org.ge/ka/products/kulturuli-dominatsiis-da-umtsiresobebis-kulturis-tsashlis-nishnebi-kvemo-kartlis-regionshi>

აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდების ურთიერთობის კიდევ ერთი ადგილი სამხედრო სავალდებულო სამსახურია. ორივე ჯგუფის წევრები ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, რომ მათი თემის წარმომადგენლები, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქენი, ვალდებულნი არიან საქართველოს დაცვაში იარაღით ხელში მიიღონ მონაწილეობა. „ჯარში ჩემი საუკეთესო წლები გავატარე. უამრავი ქართველი მეგობარი მყავდა. ქართულად ლაპარაკიც იქ ვისწავლე“ (ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მამაკაცი, მარნეული)

ქართულ სახელმწიფოში გვერდიგვერდ ცხოვრება დადებითად აისახა სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე. „ერთი ჩვენი სომხური სოფელია და გვერდით აჭარლები, დანარჩენი სულ თათრებია (აზერბაიჯანელები – ავტ.). ისე თუ ქორწილი და გასვენება ჩვენც მივდივართ ისინიც მოდიან. ყარაბაღი არა ისა, საქართველოა. კარგადა ვართ ძმავ“ (ახალგაზრდა სომეხი მამაკაცი, სოფ. წითელსოფელი).

ამ ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლები ხაზს უსვამენ ურთიერთშორის კარგ ურთიერთობას, იმას, რომ ყარაბაღის ამბებმაც კი უარყოფითად არ იმოქმედა ქვემო ქართლის სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთდამოკიდებულებაზე: „სომხებსა და აზერბაიჯანელებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, ყარაბაღის ამბები რომ იყო, არ ყოფილა არანაირი დაძაბულობა ჩვენ შორის, ემოციაც კი არ გვქონდა, რომ იქ ომი იყო“<sup>1</sup>

ხშირად ხაზს უსვამენ რომ ეს საქართველოა და ყარაბაღის კონფლიქტი მის მოქალაქეებს არ ეხება: „ყარაბაღის საკითხზე არც გვიკამათია (სომხებთან – ავტ.). მე ყარაბაღი და აზერბაიჯანი რად მინდა, საქართველოს მოქალაქე ვარ“ (ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მამაკაცი, მარნეული).

---

<sup>1</sup> **ჯალაბაძე ნ.** აკულტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 2011, გვ. 199.

მოუხედავად იმისა, რომ კერძო საუბრებში, არც ერთი ჯგუფის წარმომადგენელი არ აღიარებს ყარაბალის კონფლიქტის ნეგატიურ გავლენას მათ ურთიერთობაზე. თუმცა ამ თემაზე საუბრისას იგრძნობა, რომ ისინი ხან გაურბიან თემას, ხანაც არსებული სიტუაციის ღია ფერებში დახატვა სურთ. მათ შორის ერთგვარი შეფარული შუღლი ჩანს იქიდანაც, რომ როდესაც საუბარი ჩამოვარდება ყარაბალის პრობლემაზე და შემდგომ იცვლება საუბრის თემა, რესპოდენტების ნაწილი გადადის ერთგვარ „რბილ ურთიერთობაზე“ (ზოგჯერ ვითომ ხუმრობითა და სარკაზმით), აზერბაიჯანელები ხშირად იხსენებენ სომეხთა ისტორიულ იდეას, მათ მიერ აზერბაიჯანელთა სახლების მითვისების ფაქტებს (უმეტესწილად საუბარია, იმ სახლებზე, რომლებიც, მათი თქმით, სომეხებმა მისაკუთრეს, როდესაც აზერბაიჯანელთა რაღაც ნაწილი 90-იანებში საქართველოდან აზერბაიჯანში წავიდა საცხოვრებლად).<sup>1</sup>

ქვემო ქართლიდან ყარაბალის ომში მონაწილე სომხების რაოდენობა უმნიშვნელო ჩანს, მთხრობელები უარყოფენ აქაური აზერბაიჯანელების მონაწილეობასაც. თუმცა ამ თემაზე დაპირისპირება საუბრებში მაინც იგრძნობა.

*„ყარაბალის კონფლიქტის დროს სოფელში კი იყო ცოტა დაძაბულობა, სომხები იკრიბებოდნენ, აზერბაიჯანელებიც თავის მხრივ, მაგრამ კონფლიქტამდე არ მისულა. თუმცა მაგათ შორის მაინც არიან ნაცისტები. საომრადაც შეიძლება იყო წასული ვინმე მაგრამ არ გაგვიგია. სომხები „შუსტრები“ არიან, აფერისტები“ (აზერბაიჯანელი მამაკაცი, სოფ. წოფი).*

*„როდესაც ყარაბალის ომი იყო, აქედან სომხების 10 პროცენტი ომობდა, ისინი იწვევდნენ აქ, კამაზებით იარაღი მოჰქონდათ. როცა ეს გახმაურდა, სადახლო ფეხზე დადგა. სადახლოელები ჩამოვიდნენ აქ, კარგად ცემეს და უთხრეს, კიდევ ერთხელ მსგავსი მოხდება და აქედან გაგასახლებთო. მოხუცე-*

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი, ლ.* ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ., 2019, გვ. 249.



ბი აქ ნორმალური ხალხი იყო” (აზერბაიჯანელი მამაკაცი, სოფ. ხოჯორნი).

ამრიგად, ქვემო ქართლში სომხები და აზერბაიჯანელები ძირითადად იზოლირებულად ცხოვრობენ და ხასიათდებიან როგორც ფიზიკური, ასევე საინფორმაციო და ფსიქოლოგიური იზოლაციით. ერთის შეხედვით მათ პოზიტიური განწყობები აქვთ ტიტულარული ეთნოსის და ერთმანეთის მიმართ, თუმცა სხვა ჯგუფის ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ ცოტა რამ იციან; ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ. ჯგუფებს შორის დიდი სოციალური დისტანცია და ნაკლებად განვითარებული ინტერკულტურული სენსიტიურობა, ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები განაპირობებს კულტურათაშორის დაპირისპირების მაღალ რისკს, რაც შეიძლება განხილულ იქნას, არა როგორც მხოლოდ კულტურათა დაპირისპირების ან კონკურენციის, არამედ როგორც მათ შორის კომუნიკაციის მოშლის და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პერიოდული გამწვავების შედეგი.

ხსენებული ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც მრავალნახნაგიანი, კომპლექსური პროცესი, სადაც აქტიურადაა ჩართული მაკონსოლიდირებელი და მადეზინტეგრირებელი, კონსერვატიული და გლობალისტური ფაქტორები.

ზემოთქმულის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში გარდაუვალი გახდა სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების ზოგიერთი სემგმენტის (მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციების) ინტერესების თანხვედრა. ამიტომ თანდათანობით ფართოვდება მათი თანამშრომლობის სივრცე და შეიმჩნევა ცალკეულ საკითხებში ურთიერთობის მზარდი ტენდენცია. ზოგჯერ ეს ორგანიზაციები ცდილობენ ეთნიკური ელფერი მიანიჭონ საქართველოს რეგიონებში არსებულ ტიპურ პრობლემებს (სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელება, სტაგნაცია,

გაუცხოება, სოფლის მეურნეობის დაცემა, ინფრასტრუქტურის მოშლა, ინტენსიური მიგრაცია, ენობრივი ბარიერი, საინფორმაციო ვაკუმი, გადაუჭრელი ყოფითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განათლების არასახარბიელო მდგომარეობა); ცხოვრების დაბალ დონეს სახელმწიფოსაგან ყურადღების ნაკლებობით ხსნიან და საზღვარგარეთ ეკონომიკურ მიგრაციას პოლიტიკურ ტაქტიკად მიიჩნევენ. თუმცა, ამასთანავე საველე – ეთნოგრაფიული მასალა მონიშნავს, რომ ამ თემების წევრებში თანდათანობით მყარდება შეგნება, რომ ისინი ქართული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და სათანადო უფლებები და მოვალეობები აქვთ.

### **§ III. რელიგიური ინსტიტუტების გავლენა სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე**

თანამედროვე მსოფლიოში სრულად ჩაკეტილი საზოგადოებები და კულტურული სფეროები თითქმის აღარ არსებობენ. ადამიანების გადაადგილებისა და ინფორმაციის გავრცელების გაადვილებამ გაზარდა კულტურათა ურთიერთგავლენა და ზოგ შემთხვევაში ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბება ან კულტურათა სინთეზი გამოიწვია. გლობალისტური პროცესების გავლენით ნიველირდება ცალკეული ჯგუფების ეთნოკულტურული ნიშნები. ცვლილებები შეეხო სულიერი კულტურის ისეთ მნიშვნელოვან სფეროსაც, როგორცაა რელიგია.

განვითარებული ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო სისტემები, კომფორტისა და კეთილდღეობის გაზრდილი მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, გავლენას ახდენს ადამიანთა სულიერებაზე. იზრდება რელიგიების ფუნდამენტური დებულებების კრიტიკოსთა, კონფესიებისადმი სკეპტიკურად განწყობილთა და ათე-

ისტორიად მოაზროვნეთა რიცხვი. ამრიგად, გლობალიზებულ მსოფლიოში თითქოს უნდა მცირდებოდეს რელიგიის როლი, თუმცა რიგ შემთხვევაში საპირისპირო ვითარებაა. ამერიკანიზაციის (რომელიც გლობალიზაციის ყველაზე აგრესიულ ფორმად მიიჩნევა) გავლენით, ევროპაში ძლიერდება პროტესტანტული ფუნდამენტალიზმი, აბორტის საწინააღმდეგო მოძრაობა, ოჯახის ღირებულებების პროპაგანდა და ა.შ. იმავდროულად, გლობალიზაცია ხელს უწყობს ისლამის გავრცელებას ევროპასა და ძველი სამყაროს რიგ ქვეყანაში.<sup>1</sup> იმავდროულად, სეკულარიზმის პირობებში მცირდება რელიგიის, როგორც ეთნოკულტურული ფაქტორის, როლი. ამით დღევანდელი მსოფლიო ძირეულად განსხვავდება შუა საუკუნეების საზოგადოებებისაგან, სადაც ეთნიკურობის განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ აღმსარებლობას ენიჭებოდა. მაგ., საქართველოში ქართველად მიიჩნეოდა ყველა მართლმადიდებელი (ქალკედონიტი), სომხად გრიგორიანული მიმდინარეობის – ქრისტიანი, კათოლიკეს ფრანგს უწოდებდნენ. მუსლიმის აღსანიშნავად – გამოიყენებოდა ტერმინი „თათარი“. ძირითადი ფორმულა (ლოგიკური ანტითეზა), რითაც ქართველობა თავს მომხვდურისაგან განასხვავებდა, ასეთი იყო: „ჩვენ ქრისტიანები – ისინი თათრები (მუსლიმები).“ დღევანდელ ყოფაში ამგვარი მიდგომა ნაწილობრივ შენარჩუნებულია და რელიგიის, როგორც საკუთარი განსხვავებულობისა და სხვათაგან გამორჩეულობის როლი კვლავ მნიშვნელოვანია. ეს დამოკიდებულება უცხო არ არის ქვემო ქართლში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის. სწორედ რელიგიურ განსხვავებას ენიჭება განსაკუთრებული ადგილი ამ ჯგუფების ურთიერთიზოლიაციაში.

ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევართა ნაწილს მიაჩნია, რომ მუსლიმური სახელმწიფოები საქართველოს ისტო-

---

<sup>1</sup> *Филатов С.* Религиозная жизнь в Евразии: реакция на глобализацию, Религия и глобализация на просторах Евразии, М. 2005, с. 11.

რიული მტრები არიან; მათი რელიგია ძალადობას, ქრისტიანთა სიძულვილს ქადაგებს; ისლამის რელიგიური ნორმებით განპირობებული ყოფითი ტრადიციები და ქცევა ქრისტიანთათვის მიუღებელია და ა.შ.. მუსლიმის, როგორც მტრის აღქმა, შუასაუკუნეებიდან იკიდებს ფეხს და საქართველოს ქრისტიანული მოსახლეობისა (ქართველები, სომხები, ბერძნები...) და მუსლიმური თემების ურთიერთობაში ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება. სხვა აღმსარებლობის მიმდევრებისადმი ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მუსლიმთა უმეტესობასაც. ამგვარ განწყობას ღრმა ისტორიული ფესვები განაპირობებს. მართალია, გვხვდება ცნობები, სხვადასხვა ეპოქაში ისლამის მიმდევართა და ქრისტიანი მოსახლეობის მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანაცხოვრების შესახებ,<sup>1</sup> მაგრამ თემურ-ლენგის ლაშქრობებისა და XVI-XVII სს. ისლამური აღმოსავლეთიდან გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ მუსლიმი ერთმნიშვნელოვანად მტრის//მომხვედურის სინონიმად იქცა. მსგავსი დაპირისპირება მშვიდობიან მუსლიმებსაც ძვირი უჯდებადბოდათ. თემურ ლენგის შემოსევების დამანგრეველი შედეგების დასტურად შუასაუკუნეობრივი ქალაქ დმანისის ისტორია შეგვიძლია გავიხსენოთ. საქარავნო და სატრანზიტო გზებზე მდებარე ეს ქალაქი XII-XIV საუკუნეებში მრავალეროვანი და მრავალკონფესიური იყო. სწორედ თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ შეწყვიტა ფუნქციონირება დმანისის მეჩეთებმა. აქედან მოყოლებული, ბოლო დრომდე ველარც დმანისის ქალაქად აღდგენა მოხერხდა და მუსლიმი მოსახლეობის უმეტესობამაც დატოვა აქაურობა.<sup>2</sup> გვიან შუა საუკუნეებში, ადგილობ-

---

<sup>1</sup> **ლობჯანიძე გ.**, ისლამი საქართველოში (გვ-68-89), ახალგაზრდების ინტელექტუალური და სულიერი განვითარების ზოგიერთი მხარე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბ., 2013, გვ. 73.

<sup>2</sup> **ჩხვიმიანი ჯ.**, შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის საკითხები (დისერტაცია), 2020, გვ. 152.

რივეები (ძირითადად ქართველები და სომხები) გადაკეთებულ მეჩეთებს საცხოვრებელ სახლებად იყენებდნენ.<sup>1</sup>

საბჭოთა ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ერთაშორის ურთიერთობებს, სახელმწიფო აპარატი ჩანასახშივე სპობდა ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორესადმი „პრეტენზიების“ წაყენების მცდელობას. ზემოთ ნახსენები სტერეოტიპი, მუსლიმის აგრესორთან და მოძალადესთან გაიგივებისა, დღემდე ახდენს გავლენას ქვემო ქართლის მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ერთჯერადი დაპირისპირებები ცალკეულ სოფლებს შორის იშვიათად, მაგრამ საბჭოთა პერიოდშიც ხდებოდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისში, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და საყოველთაო განუკითხაობის პირობებში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. განსაკუთრებით ხშირი იყო კონფლიქტი აზერბაიჯანელებსა და სვანეთიდან ჩასახლებულ ეკომიგრანტებს შორის. ამ კონფლიქტში ჩართულნი იყვნენ ახალგაზრდები, ქალებიც კი (გადმოცემით აზერბაიჯანელი ქალებს კალათებით და სათლებით მოჩხუბარი კაცებისთვის ქვები მიჰქონდათ). ხშირი იყო არასრულწლოვანთა დაპირისპირებები. ერთი ხანობა სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ეკომიგრანტებმა ოჯახები სვანეთში გახიზნეს და ადგილზე ძირითადად მხოლოდ ფიზიკურად კარგად მომზადებული მამაკაცები დარჩნენ. გასული საუკუნის 80-იანებში სვანეთიდან ჩასული ეკომიგრანტების ერთ-ერთი მთავარი „პრეტენზია“ ქვემო ქართლში დამხვედური აზერბაიჯანელების მიმართ მათი „თათრობა“ ანუ მუსლიმანობა იყო. ამიტომ სვანეთიდან გადმოსახლებულებისთვის „თათრები“ და მათი უფლებები მიუღებელი იყო და „თათრებთან“ თანაბარუფლებიანობის მოთხოვნა აღიზიანებდათ. მართალია, ხმამაღლა არ ამბობდნენ, მაგრამ მიაჩნდათ, რომ აზერბაიჯანელს ქართველთან გათანაბრებული სტატუსი არ უნდა ჰქონოდა.

---

<sup>1</sup> *ჩხვიმიანი ჯ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, ეთნიკურობის გაცნობიერება სწორედ რელიგიასთან, ინიციაციასთან (ნათლობა, სუნიათი) არის დაკავშირებული. ამას სამეცნიერო ლიტერატურაში მოტანილი ცნობებიც ადასტურებს.<sup>1</sup> ამიტომ, საინტერესოა გავეცნოთ, როგორია ვითარება ქვემო ქართლის ისლამურ თემში, რა დონეზე იცნობს ქვემო ქართლის სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა საკუთარ რელიგიას, როგორი ეთნოკონფესიური პროცესები მიმდინარეობს რეგიონში და ა.შ..

გასაბჭოებამდე ბორჩალოს მაზრაში (დღევანდელი დმანისის, წალკის, ბოლნისის, მარნეულის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები) 59-მდე მეჩეთი მოქმედებდა, სადაც 107 მოლა ასრულებდა ღვთისმსახურებას.<sup>2</sup> რუსეთის იმპერიამ აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი მმართველობის დამყარებიდან მალევე მიაქცია ყურადღება ბორჩალოს მაზრის რელიგიურ ცხოვრების ასპექტებს. 1819 წელს, ბორჩალოში შეიზღუდა მოხეტიალე მოლების საქმიანობა და განისაზღვრა მოლათა რაოდენობა თითოეული სოფლისთვის. დანიშნული მოლები და მათი ოჯახის წევრები გათავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადისა და ბეგარისგან. ამას მოჰყვა, თბილისში სუნიტი და შიიტი სასულიერო პირებისთვის სასწავლებლის გახსნა. ამ ქმედებების ნამდვილი მიზანი სახელმწიფოს მიერ ბორჩალოს მაზრის მუსლიმი მცხოვრებლებისა და მათ სასულიერო პირების გაკონტროლება გახლდათ.<sup>3</sup>

როგორც იყო აღნიშნული, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა წინაპრებს გადმოსახლების დროისათვის არ გააჩნდათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეთნიკური სახე და რელიგიური

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი გლ.*, ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ., 2019, გვ. 212.

<sup>2</sup> *ლობჯანიძე გ.* ისლამი საქართველოში (გვ. 68-89), ახალგაზრდების ინტელექტუალური და სულიერი განვითარების ზოგიერთი მხარე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბ., 2013, გვ. 81.

<sup>3</sup> *ლობჯანიძე გ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 77, 78.

ორიენტაცია. შეიმჩნეოდა ისლამის და წარმართობის სინკრეტოზი. ამ არაერთგვაროვანი მასის ეთნორელიგიური იერსახის ფორმირება სამხრეთ კავკასიის ამ რეგიონში განვითარებულ ეთნოპოლიტიკურ პროცესებს დაუკავშირდა. ეთნიკურობის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად რელიგია (ისლამი) იქცა, დანარჩენებისათვისაც მათი ძირითადი მახასიათებელია თათრობა//მუსლიმობა.

XIX საუკუნისათვის რეგიონში მრავლად იყო მონოფიზიტური ტაძრებიც. გავრანებულ სოფლებს, ქართველი მესვეურები თავადაც ხშირად აძლევდნენ სომხურ ეკლესიას. ამ სოფლებში ხშირად ქართველი მეფეებისვე შემწეობით შენდებოდა ეკლესიები. მაგ., როსტომ მეფის ზეობისას აუგიათ ფეშქ-ქიანდის ეკლესია; ასევე, ბოლნის-ხაჩენის, დემურლოს, ზარგლის და სხვა ეკლესიები. უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლში ადრეული შუა საუკუნეების მონოფიზიტური ძეგლები არ დასტურდება. XI-XII სს-ის – კი მცირე ოდენობითაა. მონოფიზიტური ეკლესიების უმრავლესობა XVII-XIX სს-ებს განეკუთვნება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, იმ დროს უკვე მიტოვებული, ძველი ქართული (მართლმადიდებლური) სამლოცველოები სომხურ-მონოფიზიტურად გადაკეთებული.<sup>1</sup>

დღეისათვის ქვემო ქართლის სომხური (გრიგორიანული) თემები შედიან სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიაში, რომელიც ემორჩილება „წმინდა ეჩმიაძინის“ სამოციქულო ეკლესიას. ეპარქიის ხელმძღვანელს ნიშნავს სრულიად სომეხთა კათოლიკოსი, რეზიდენცია განთავსებულია თბილისში, „სურბ გევორქის“ ეკლესიაში. 2012 წლის 12 მარტიდან, 2011 წლის ივლისში მიღებული კანონის, „რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციის წესის შესახებ,“ საფუძველზე, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია სამოქალაქო რეეს-

---

<sup>1</sup> **გაგოშიძე, გ.** მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, ქვემო ქართლი, თბ., 2009, გვ. 15-17.

ტრში დარეგისტრირებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.<sup>1</sup>

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10% ისლამის მიმდევარია. მათი უმრავლესობა კი ეთნიკურად – არაქართველი<sup>2</sup>. მუსლიმთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე კომპაქტურად მოსახლე აზერბაიჯანელები არიან. 2011 წლამდე, საქართველოში მცხოვრებ მუსლიმ თემებს (განსაკუთრებით სუნიტებს) გარკვეული ავტონომია ჰქონდათ – ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ბაქოში განთავსებულ ამიერკავკასიის მუსლიმთა სამმართველოს. 2011 წელს, ხელისუფლების ხელშეწყობით, ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო. რომელიც წარმოადგენს სუნიტთა და შიიტთა დამოუკიდებელ, მაგრამ კოორდინირებულ მმართველობით ორგანოს. საპასუხოდ, ამიერკავკასიის სამმართველომ საქართველოში ჩამოაყალიბა საკუთარი წარმომადგენლობა და მომხრეები შემოიკრიბა.

სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ყოფაში გავრცელებული დღესასწაულების უმეტესობა რელიგიურ ელფერს ატარებს და მათ შეგნებაში დაკავშირებულია ამ კონფესიების კანონიკურ მოთხოვნებთან.

სომხური კალენდარული დღესასწაულები, მართალია ქრისტიანულ ქარგაზეა აგებული, მაგრამ მრავალ წინაქრისტიანულ ელემენტსაც შეიცავენ. დიდი სახალხო ზეიმი იყო ახალი წელი, წყალკურთხევა, სურბსარქისობა, აღდგომა, ვარდავარი, ამაღლება და მარიამობა.

დღესასწაულების ციკლი იწყება ახალი წლით (ნორ ტარი). ზეიმი თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა. ამ დროს შეს-

---

<sup>1</sup> Епархия ААЦ в Грузии, <https://armenianchurch.ge/ru/znakomstvo-separchiej/eparkhiya-aats-v-gruzii>

<sup>2</sup> გვიმრაძე გ., საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის და პოლიტიკის ერთი ასპექტის შესახებ – მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაცია, 2013, ჩგვ. 5.



რულებული რიტუალების უმეტესობა მაგიური ხასიათისა იყო და მთელი წლის განმავლობაში ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და მატერიალური კეთილდღეობის სანინდრად მიიჩნეოდა.

მეტად პოპულარული დღესასწაულია წმინდა სარქისობა (სურბ სარქისი). სომხური ქრისტიანული წმინდანის სახელი უკავშირდება სიყვარულსა და ოცნებების ახდენას. ამ დღეს ზოგიერთი ახალგაზრდა მარილიან კვერს ჭამს. ითვლება, რომ მწყურვალს ვინც სიზმარში წყალს მიანვდის, ის იქნება მისი საბედო. ერთი გადმოცემის თანახმად, სურბ სარქისის სახელს უკავშირდება ბრძოლა ბერძნული ქრისტიანობის მიმდევარ ქართველებთან. სომხური ყველიერის დღესასწაულის „ბარეკენდან“-ის სემანტიკურ მსგავსებას ბერიკაობასთან ისიც ემატებოდა, რომ ეს დღეობა განსაკუთრებული პომპეზურობით აღინიშნებოდა სომხურ მოსახლეობაში. ამ დროს (დიდმარხვის ყველიერის დღეებში) იმართებოდა მასობრივი გართობა-თამაშობები, ცხვებოდა საგანგებო რიტუალური ნამცხვარი „გათა“, შეძლებულ ოჯახებში იკრიბებოდნენ ახლობლები, იკვლებოდა საკლავი, მიჰყავდათ აშულები, მეზურნეები; ამ დღეებში ყველაზე ხშირია ნიშნობები, საპატარძლოს მშობლებთან მოციქულის გაგზავნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აღდგომა („ზატიკ“). სომხებით დასახლებულ ზოგიერთ სოფელში აღდგომის დღეებში იმართება ჭიდაობა ზურა-დუდუკისა და და დოლის თანხლებით.

წარმართობის დროინდელ გადმონაშთად ითვლება „ვარდავარი“, რომელსაც ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში ზეიმობდნენ. ხალხი ამ დღეებში ერთმანეთს წყალს ასხამს; მზადდება საგანგებო საჭმელი „ჰარისა“ (თონეში თიხის ქურჭლით მოხარშული ხორბლის ქატო); აუცილებლად ითვლებოდა გომის დასუფთავება; საქონელს უყრიდნენ ბლომად ქატოს, კუდზე წითელ ბაბთებს აბამდნენ, რომ ძლიერი და ბედნიერი წელიწადი ყოფილიყო. ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე

ვარდავარის დღეებში უშვილო ქალები მიდიოდნენ არას მთაზე ნახკავაკის გამოქვაბულში, წყლის კამარის ქვეშ დგებოდნენ და ქალწულ ვარვარას შვილიერებას შესთხოვდნენ. წყლის გამანაყოფიერებელი ძალა განსაკუთრებით ძლიერად ითვლებოდა სადღესასწაულო პერიოდში. ვარდავარის დღეებში საქონელზე ყურადღების გამახვილება სომხებში შემთხვევით არ ხდებოდა, ეს დღეობა საქონლისა და ადამიანის გამრავლებასა და ბარაქიანობას უკავშირდებოდა. სომხურ გარემოში მრავლად გვხვდება წარმართული ელემენტების შემცველი რიტუალები, რომელიც მოსავლისა და საქონლის გამრავლებას უკავშირდება. მას ქრისტიანობა მკაცრად კრძალავდა. დღემდეა შემორჩენილი სალოცავისათვის საკლავის შენირვა (მადალი).

საქონლის წველადობის მატებას უკავშირდებოდა პირველი ხბოს მოგების შემდეგ პირველი ნაწველის მდინარეში გადაქცევა. სჯეროდათ, რომ წყლის გამანაყოფიერებელი და სიუხვის მომნიჭებელი ძალა მაგიურად იმოქმედებდა ძროხის წველადობის გაზრდასა და განაყოფიერებაზე. როდესაც პირუტყვი (ძროხა ან კამეჩი) გაშრებოდა, წაიყვანდნენ რომელიმე ეკლესიასთან, პატრონი პირუტყვთან ერთად უღელს დაიდგამდა და ეკლესიას რამდენჯერმე შემოუფლიდა. უღელს ეკლესიაში დატოვებდა. მიიჩნევდნენ, რომ ამის შემდეგ წველადობა აღდგებოდა. გვალვის დროს იცოდნენ „პურ ბადიკობის“ ან „ნური ნურის“ რიტუალი და ა.შ.

სომხური სამოციქულო ეკლესიის ენერგიული მცდელობის მიუხედავად, რეგიონის სომხურ მოსახლეობაში იგრძნობა ქართული ეკლესიის გავლენა. სოფ. შაუმიანში ჩანერილი საველე მასალის მიხედვით ამ სოფელში მცხოვრები სომხური მოსახლეობა სულიერ ცხოვრებას ქართულ-მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით არეგულირებს. „თითქოს ჩვენ გრიგორიანები ვართ, აქაური მღვდელი ეჩმიაძინიდან არის, მაგრამ მან საიდან იცის როდის რას ვდღესასწაულობთ. ქართველებთან ერთად გვაქვს საეკლესიო დღეობები, სომხებისაგან 10 დღით განსხვავდებით. ეს ეკლესია (სოფლის ცენტრში) არც

თუ დიდი ხნის წინ შეაკეთეს. ადრე შაუმიანში მრავალი პატარა ეკლესია იყო და იქ ვლოცულობდით. საბჭოთა პერიოდში უშიშროება კრძალავდა ეკლესიაში სიარულს და ამიტომ მორწმუნეთა რიცხვი შემცირდა.” ბოლნის – ხაჩენში მცხოვრებმა შუა ხნის სომეხმა მამაკაცმა კი გვითხრა: „ჩვენი და ქართველების საეკლესიო დღესასწაულები ერთმანეთს ემთხვევა. მაგ., გიორგობა 23 ნოემბერსაა. აღდგომას და შობასაც ქართველებთან ერთად ვზეიმობთ. სხვაგვარად საქართველოში ცხოვრება ძნელი იქნებოდა, რადგანაც კალენდარში ქართული დღეობებია გამოცხადებული დასვენების დღედ, სხვა დღეებში სამსახური ვისაც აქვს, უბრალოდ ვერ გააცდენს. ბავშვებს ძირითადად ქართველ მღვდლებს ვანათლინებთ, მაგრამ ვისაც ფული აქვს ერევანში ან ავლაბარში მიჰყავს სომხურ ეკლესიაში. თუმცა ნათლობა არაა მთავარი, ერთი ჩვენებური მართალია მოუნათლავია, მაგრამ აქედან ბოლნისამდე სამჯერ იწერს პირფვარს, რადგან მიაჩნია რომ ეს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გარანტია.”

სომხურ საეკლესიო პოლიტიკას XIX საუკუნეში მჭიდროდ უკავშირდება ქართული მოსახლეობის გასომხება იმ ადგილებში, სადაც ერმიაძინის საპატრიარქო მინებს ეპატრონებოდა. საველე-ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ ქვემო ქართლში ხშირი იყო ქართული გვარსახელების სომხურ, თურქულ და რუსულ ყაიდაზე გადაკეთება. არსებობს ვარაუდი, რომ საქართველოში არამარტო გათურქება-გაოსმალეების, არამედ გაქურთების შემთხვევებიც არსებობდა. შ. ლომსაძე ფიქრობს, რომ ქურთების სოფ. ჯოლდაში XIX ს-ში, ლ. ზაგურსკის მიერ მოხსენიებული მოძღვარი ოლლი და კოჯორი ოლლი მესხეთში ფართოდ გავრცელებული ქართული გვარების მოძღვრიმილისა და კოჯორიძის ანალოგიურია. შესაძლებელია, ქურთული მოსახლეობის დამკვიდრების შემდეგ ამ სოფელში მცხოვრები

ქართული ოჯახების გაქურთების კვალიც ჩანდეს.<sup>1</sup> თრიალეთსა და ჯავახეთში თურქეთიდან შემოსულ ბოშებიც კი გაასომხეს. საქართველოში ჩამოსახლებისას მათ შენარჩუნებულნი ჰქონიათ ბოშური ენა. აქ გადმოსახლებულ და სომხურ გარემოში მოხვედრილ ბოშებში არმენიზაციის პროცესი XX საუკუნეში მთლიანად დასრულდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია დმანისის რაიონში, სოფ. ვარდისუბანში გასული საუკუნის 70-იან წლებში არსებული სიტუაცია. აქ მცხოვრებ „სომხებმა“ სომხური არ იცოდნენ, ტრადიციები და კულტურა ქართული ჰქონდათ ხოლო გვარები და პასპორტში ჩანერილი ეროვნება – სომხური. ერთი შეხედვით ქართველების მიერ სომხური მოსახლეობის ასიმილაციასთან უნდა გვექონოდა საქმე, მაგრამ გამოიკვია, რომ ისინი 100 წლის წინათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან გადმოსახლებულ ქართველთა შთამომავლები იყვნენ. მაგ: მარქაროვების წინაპარი გორიდან გადმოსული მენაბდიშვილი იყო, რომელსაც ადგილობრივმა სომეხმა მემამულემ მისცა სომხური გვარი<sup>2</sup>.

სოფლებში – ბოსლები, მაშავერა, უკანგორი და დიდი დმანისი მოსახლეობის უმეტესობას ქართულად ლაპარაკობდა, თვიშეგნება ქართული ჰქონდა, ოფიციალური ეროვნება და გვარი კი – სომხური. ანალოგიური ვითარება ქვემო ქართლის სხვა სოფლებშიც ფიქსირდება. კაზრეთში მცხოვრებმა მოხუცმა გვიამბო – „ადრე ამ ადგილს ჟალტამი ერქვა, სომხები ცხოვრობდნენ, მაგრამ სომხობის არაფერი ეცხოთ, ახლა გვარები ქართულად გადაიკეთეს და გაქართველდნენ. ბატონობის დროს ბატონმა თავისი გვარი მისცა და ახლა ყაფლანიშვილები

---

<sup>1</sup> **ლომსაძე შ.**, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 336.

<sup>2</sup> **ბალახაძე ნ.**, ქართულ-სომხურიურთიერთობა 20-იანი წლებიდან-დღემდე, ინტერნეტ ვერსია <https://iberiana2.wordpress.com/armenia/balakhadze/>

არიან, ადრე კაფედრანოვები იყვნენ. ნამდვილი სომხები ხაჩინში და კიანეთში ცხოვრობენ“. გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ზემოხსენებულმა მოსახლეობამ შეძლო ქართული ეროვნების და გვარების დაბრუნება<sup>1</sup>.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვა ადგილებში ქართულ ეთნიკურ გარემოში მოხვედრილ სომხებში შეიმჩნეოდა საპირისპირო ვითარება, ბევრი მათგანი ქართულ სალაპარაკო ენას, რელიგიას, ანთროპონიმს იღებდა და დროთა განმავლობაში ქართველდებოდა კიდევ.<sup>2</sup>

განსხვავებული იყო ქვემო ქართლის თურქულ ტომებში მიმდინარე რელიგიური პროცესები. ისლამურ სამყაროში, როგორც წესი, სოციალური თუ პოლიტიკური მოძრაობები, რელიგიურ ფორმებს იძენენ. ისლამის ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად კაცობრიობა იყოფა არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით. ერთ მხარეს არიან მუსლიმები, მეორე მხარეს კი – სხვა საწმენეობის მიმდევარნი. მართალია ეს დებულება ისტორიის მანძილზე ერთგვარად გაფერმკრთალდა, ისლამში გაჩნდა ეროვნულ რელიგიური იდეოლოგიები (ჯემშიდიანობა, პანთურქიზმი და სხვ.) მაგრამ ის დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუსლიმური სამყაროს სოლიდარობაში.

ისლამურ თემში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუსლიმურ რელიგიაში მიმდინარე პროცესებს, რადგან რელიგიური ნორმების (შარიათის) მიხედვით ჩამოყალიბებული ქცევის წესები არამარტო მორწმუნეთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას აქცევენ მკაცრ ჩარჩოებში, არამედ ყოველმხრივ განსაზღვრა-

---

<sup>1</sup> **ჯანიაშვილი ლ.**, ჯგუფთაშორის საზღვრები და ინტერკულტურული დიალოგი ქვემო ქართლში, წიგნში: „სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური საზღვრები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“, თბ., 2011, გვ. 139-141.

<sup>2</sup> **Галстян А.**, Этнодемографические и этноязыковые процессы армян в Грузии, СЭ, №5 1988, გვ. 71-79.

ვენ იქ არსებულ სიტუაციას. კავკასიის მუსლიმური თემები გასულ საუკუნეში მეტად დაშორდნენ ერთოდოქსულ ისლამს, რადგან აქ ყოველთვის ძლიერი იყო პრეისლამური ტრადიციების გავლენა, ამასთანავე საბჭოთა ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრების პირობებში მოხდა ისლამის დოგმებთან კიდევ უფრო დაშორება. ისლამის შერყვნა, ყურანისა და სუნის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევა, უდიდეს ბოროტებად აღიქმება, ამიტომ ისლამურ ფუნდამენტალისტებს მიეცათ საშუალება „წმინდა ისლამის“ დამკვიდრების საბაბით ფართომასშტაბიანი მისიონერული შემოტევა დაენციოთ პოსტსაბჭოური სივრცის მუსლიმურ რეგიონებში, მათ შორის, ქვემო ქართლშიც.

„წმინდა ისლამის“ აღორძინების კონცეფცია უარყოფს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, იგი ყურანისა და სუნის უნივერსალიზაციით ცდილობს ყველა მუსლიმი ერთ თემში გააერთიანოს. უკანასკნელ ხანებში ჩრ. კავკასიის ცალკეულ თემებში მომძლავრდა პოლიტიკური ისლამი, რომელიც ერთი მხრივ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მაკონსოლიდირებელ და მუსლიმური ქვეყნებიდან მიღებული დახმარების, ხოლო, მეორე მხრივ, შიდა დაპირისპირების მაპროვოცირებელ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ცნობილია, რომ ტრადიციული და ახალი მიმდინარეობის კონკურენციის ნიადაგზე წარმოშობილ წინააღმდეგობებს მრავალი სისხლისმღვრელი შეტაკება მოჰყვა როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე შუა აზიაში.<sup>1</sup> ამგვარი დაპირისპირების ცალკეული ფაქტები შეიმჩნევა საქართველოშიც.

ქვემო ქართლის თურქულენოვანი მოსახლეობა პოლიტიკურ და რელიგიურ იმპულსებს მეზობლად მდებარე აზერბაიჯანული სახელმწიფოდან, ირანიდან და თურქეთიდან იღებს

---

<sup>1</sup> **Акаев В.** Религиозно-политический конфликт в чеченской республике Ичкерия. Центральная Азия и Кавказ. №4(5) 1999, с. 199, 202-203; **Шихсаидов А.** Ислам в Дагестане. Центральная Азия и Кавказ. №4(5) 1999, с. 113-115; **Бабаджанов Б.** Ферганская долина: источник или жертва исламского фундаментализма? Центральная Азия и Кавказ. №4(5) 1999, с. 128-129.

და ამდენად, საზღვრის მიღმა განვითარებული პროცესები ასახვას ამ კონტინგენტშიც პოულობს. როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, მათ შორისაც იზრდება რელიგიურობის დონე და შესაბამისად – რელიგიური ინსტიტუტების გავლენაც. ჩნდება საშიშროება, რომ, სალათიგებთან ერთად, აქაც გაჩნდნენ პოლიტიკური ისლამისტური მიმდინარეობები, რომლებიც მეზობელ აზერბაიჯანში უკვე 90-იანი წლების დასაწყისიდან (ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე) არსებობენ.<sup>1</sup>

ქვემო ქართლის მუსლიმთა კონფესიური სტრუქტურა დაახლოებით ასე გამოიყურება: 60% შიიტი, 35% სუნიტი და 5% სალათიტი. ეს მონაცემები ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. მაგ. გარდაბანში შიიტებისა და სუნიტების შეფარდება თითქმის თანაბარია, მარნეულში კი, დაახლოებით 65% – შიიტი, ხოლო 35% – სუნიტია. სუნიტები ჰანიფიტურ მაზხაბს ეკუთვნიან და ემორჩილებიან სოფ. სადახლოში მცხოვრებ, აღმოსავლეთ საქართველოს მუფტს; შიიტები ექვემდებარებიან საქართველოს სასულიერო სამმართველოში შემავალი შიიტ შეიხს; ასევე არსებობენ არაფორმალური ისლამური ორგანიზაციები, რომლებიც ოფიციალურ სტრუქტურებს არ ემორჩილებიან. ქვემო ქართლში გვხვდებიან სალათიტებიც, ძირითადად ისინი კონცენტრირებულნი არიან სოფ ქეშალოში. სუნიტურ სოფლებში სალათიტები ადგილობრივ სასულიერო პირებთან და ჯამაათთან მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად თანაარსებობენ; შიიტურ სოფელებში უპირისპირდებიან თანასოფლელებს და ზოგჯერ ნათესავეებსაც, მათ მუსლიმებად არ მიიჩნევენ და მოუწოდებენ სუნიტები გახდნენ.<sup>2</sup>

სალათიზმი (ამ მიმდინარეობას ხშირად ვაჰაბიზმსაც უწოდებენ – ავტ.) შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკური ისლამის სახეობად, რომელსაც არალეგალურად ინფილტრაციის აპ-

---

<sup>1</sup> **ჯუკაშვილი ი.** ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ. 2019, გვ. 116.

<sup>2</sup> ეს ინფორმაცია მოგვანოდა ა. კვახაძემ.

რობირებული ტაქტიკა აქვს. ქვემო ქართლის მუსლიმ მოსახლეობაში ამ პროცესისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები იკვეთება: ა) მოსახლეობაში ისლამის პოპულარობის მზარდი ტენდენცია; ბ) მუსლიმი ღვთისმსახურებით და სასულიერო ლიტერატურით უხვად მომარაგება პოლიტიკური ისლამის ქვეყნებიდან (ირანიდან და საუდის არაბეთიდან) ასევე თურქეთიდან; გ) ტრადიციული ისლამის წარმომადგენლებთან დაპირისპირება შერეულ (შიიტებთან) სოფლებში.<sup>1</sup> ქვემო ქართლის მუსლიმი მოსახლეობის დარაზმულობის მაღალი ხარისხი, რაც მკაფიოდ გამომჟღავნდა 90-იანი წლების კრიზისულ სიტუაციებში ამ საკითხს უფრო აქტუალურს ხდის.

ლიტერატურაში აღიარებულია მუსლიმი მრევლის და ქართული საზოგადოების ურთიერთობის ტოლერანტული ხასიათი. საინტერესოა, ამ მხრივ, 1898 წ-ს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ერთი ინფორმაცია, რომ მუსლიმებს თბილისის მეჩეთში ერეკლე მეფის გარდაცვალების 100 წლისთავზე სულის მოსახსენიებელი დღე გაუმართავთ. ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც შიიტი, ასევე სუნიტი ღვთისმსახურები.<sup>2</sup>

საბჭოთა პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმთა ცენტრი თბილისში იყო, სადაც მდებარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში ერთადერთი მოქმედი მეჩეთი. ქვემოქართლელი თათრები (დღევანდელი აზერბაიჯანელები) თბილისში იყრიდნენ თავს შიიტთა ყველაზე დიდ დღესასწაულზე, მოჰარამზე და თბილისელ მუსლიმებთან ერთად ასრულებდნენ თვითგვემის (შაჰსეი-ვაჰსეი) რიტუალს.<sup>3</sup> მოჰარამი აღინიშნებოდა თბილისის მეჩეთში, თაქიებში (სამლოცველო სახლებში), სოლანლულში (ქალაქის გარეუბანი), სოფ. სხალდიდში.<sup>4</sup> მოჰარამი

---

<sup>1</sup> *ჯუკაშვილი ი.*, დასახ. ნაშრ. გვ. 117.

<sup>2</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898 წ.

<sup>3</sup> *გოცირიძე გ.*, აღმოსავლური დღესასწაულები საქართველოში, თბ., 2012, გვ. 17.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 6.



მოძრავი დღესასწაულია, იმართება ყოველწლიურად, მუსლიმური მთვარის კალენდრის პირველი თვის დასაწყისში.<sup>1</sup> დღესასწაული, ათი დღე გრძელდებოდა და აშურა დღით სრულდებოდა. ბოლო ხანებში შესამჩნევია ხსენებული დღესასწაულისადმი ორთოდოქსალური მიდგომის თანდათანობით კლება, ადრე სუნიტს ეკრძალებოდა მოჰარამზე დასწრება, აჟამად კი შერეულ სოფლებში, მასში სუნიტებიც მონაწილეობენ.<sup>2</sup>

სუნიტური მიმართულების მუსლიმთა შორის გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ყოფილა შემორჩენილი სუფიური მიმართულებები, მაგ., მიურიდიზმი. სუფიები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, დროის უმეტესობას რელიგიური ნიგნების კითხვასა და ზიქრაში ატარებდნენ. ჰქონდათ უამრავი ტაბუ: არ ჭამდნენ სიმჭავის შემცველ საკვებს (ამის გამო ხაშიან პურზეც კი უარს ამბობდნენ), არ მიირთმევდნენ არამუსლიმის, არამორწმუნის, შიიტი მორწმუნის, აგრეთვე ახალგაზრდის მიერ დაკლულ ფრინველისა თუ საქონლის ხორცს; საკვებს იღებდნენ ისეთ ოჯახებში, სადაც არ ლოცულობენ, არ მარხულობენ, რელიგიას პატივს არ სცემენ და ა.შ. აზერბაიჯანულ მოსახლეობაში შემორჩენილ მიურიდეებში დაკვრა, ცეკვა და სიმღერა ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი ასპექტებია. ამ მხრივ, ის ახლოსაა თურქმენეთში და სპარსეთში შემორჩენილ დერვიშიზმთან და დღევანდელ თურქეთში შემორჩენილ მევლევიების სექტასთან.<sup>3</sup>

ქვემოქართლელი აზერბაიჯანელებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური დღესასწაულია რამაზანი.<sup>4</sup> დღესასწაულის ბოლო დღეს რამაზან ბაირამი ეწოდება. ბაირამი, დაუშვებელის დაშვებას ნიშნავს და მას წინ ერთთვიანი მარხვა უძ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>2</sup> *ანდრიაშვილი რ.*, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, გვ. 101-107.

<sup>3</sup> *ჯავახიშვილი ი.*, ქართველი ერის ისტორია, მესამე წიგნი თბ., 1949, გვ. 26-28.

<sup>4</sup> *ანდრიაშვილი რ.*, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, გვ. 87.

ღვის. შეიძლება ითქვას, რომ რამაზანის მარხვას ქვემო ქართლში მცხოვრები შიიტები სუნიტებზე მეტად იცავენ. დმანისელ სუნიტთაგან რამაზანის თვეში მარხულობდნენ მოხუცები და ხანშიშესულები. მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის სუნიტებში რამაზანის მარხვას ძალიან ცოტანი ინახავდნენ. მარხვის დღეებში სრულდება თარავი, კოლექტიური ლოცვა. რამაზანის ოცდამეათე დღეს ფითრს იხდიან. ფითრი არის დახმარება ხელმოკლეთათვის, უპატრონო ავადმყოფებისთვის, ქვრივ-ობლებისთვის. ხანდახან ფითრი ეძლევათ სასულიერო პირებს, აგრეთვე მოლებს. რამაზანის დაცვას და მისი ბოლო დღის ყურბან რამაზანის აღნიშვნას სხვა რელიგიურ დღესასწაულთა მსგავსად ქვემოქართლელ მუსლიმთა ტრადიციებისადმი გარკვეული ერთგულება უდევს საფუძვლად. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავდა, რომ რამაზანის მარხვის შენახვა მამა-პაპიდან, ოჯახიდან მოდის და ისინიც ამიტომ იცავენ ამ მარხვას.<sup>1</sup>

ერთი რესპოდენტის თქმით: „რამაზანის მარხვას უმეტესად მოხუცები იცავენ. ხანდახან მეც ვიცავ. გასულ წელს ერთი თვე შევინახე მარხვა. რაიმე პრობლემის გამო ან რაიმე პირობით მარხვის შენახვა ქრთამს გავს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით რომ ღმერთი დიდია, ერთია ყველა ნაციისთვის. ადამიანი ისე დაც მადლობელი უნდა იყოს ღმერთის – ის უანგაროდ გაძლევს სიცოცხლეს, ჰაერს, წყალს, პურს ..... შენ რას აკეთებ ღმერთისთვის? შენ ხომ არ შეგიძლია უპასუხო ღმერთს, დაუბრუნო საზღაური? უბრალოდ ღმერთი 5 კანონს ითხოვს შენგან: ნამაზი, მარხვა წელიწადში ერთხელ, ჰაჯი (მდიდრების ვალდებულება მოილოცონ ქაბა), ყურბან ბაირამი, ქალში შაჰადა (ალაჰ ილ ალაჰ...), მოწყალების გაღება, უპოვართა დახმარება.“

მარხვის დამთავრებიდან სამოცდამეათე დღეს აღინიშნება ყურბან ბაირამი. აზერბაიჯანელებიდან თითქმის ყველა,

---

<sup>1</sup> ანდრიაშვილი რ., ისლამის გადმონაშთები საქართველოში, გვ. 92, 93.

მოსახლეობის უმეტესობა, კლავს ყურბანს, ეპატიჟება მოლებს, აკითხებს მათ ყურანს თავისი მიცვალებულისათვის. ყურბანის დაკვლის დროს მოლამ უნდა შეასრულოს დუა (ზეპირი ლოცვა). მოლა ყველასთან მისვლას ვერ ასწრებს, ამიტომ ის ლოცავს მარილს. ყურბანის დამკვლევლები ამ მარილს ალოკინებენ სამსხვერპლოს. რამაზან ბაირამის დღის მსგავსად, ყურბან ბაირამის დღესაც მორწმუნეები სასაფლაოზე გადიან. ლოცვების შემდეგ, ხდება ფულის შეწირვა. ზოგი სოფლიდან შენაწირი თანხის ნაწილს თბილისის მეჩეთს უგზავნიან.<sup>1</sup>

ქვემოქართლელ აზერბაიჯანელებში ბოლო დრომდეა შემორჩენილი პატარ-პატარა დღესასწაულები, მუსლიმური და სინკრეტული ხასიათის რწმენა წარმოდგენები, რომელთაც მცირე მასშტაბი აქვთ და დამოკიდებულია ხოლმე ალთქმაზე, რომელიც მორწმუნემ დადო. ასეთია მაგ., მევლუდის (მუჰამედის დაბადების დღის) აღნიშვნა.

რეგიონის მუსლიმების ნაწილი იცავს აკრძალვებს, რომლებსაც რელიგიური შინაარსი აქვთ. ასეთთა რიგს განეკუთვნება: ალაჰის, მუჰამედის, წმინდანების სახელების, საკულტო ადგილების, წმინდანთა საფლავების და მათ მიერ დარგული ხეების ტაბუირება. საყოველთაოდაა გავრცელებული ტაბუ ღორის ხორცზე და ალკოჰოლურ სასმელებზე.<sup>2</sup> თუმცა, ეს აკრძალვა ხშირად ირღვევა არამუსლიმებთან სტუმრობისას (ქეიფი, დაბადების დღე, ქორწილი, ქელეხი და ა.შ.). ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით სასმელისა და ღორის ხორცის მიღებას შარიათი კრძალავს, ადათით ეს აკრძალვები არ არის გათვალისწინებული. შემორჩენილია, მრავალი რწმენა-წარმოდგენა, რომლის წარმოშობა და ფუნქციონალური დატვირთვა უცნობია, მაგრამ ადგილობრივები მას ყურანს და ღვთის სასწაულებს მიაწერენ: „არავის ამოუხსნია შვიდი ციფრის საიდუმლო.

---

<sup>1</sup> **ანდრიაშვილი რ.**, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, გვ. 95-101.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 54-58.

შვიდი ფერი. ადამიანს თავში შვიდი ნახვრეტი აქვს. დედამინა მრგვალია და იქაც შვიდი ნახვრეტია. და ეს საიდუმლოა. შვიდი ფერი დედამინაზეც არის, ცაშიც არის. ცისარტყელასაც შვიდი ფერი აქვს, ატმოსფეროშიც შვიდი ფენაა... ყველაფრის პასუხი ყურანში წერია.“ (სოფ. ჯავშნიანი)

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობაში დღესასწაულების აღნიშვნას, მარხვის დაცვას და სხვა რიტუალების შესრულებას ტრადიციული ინერციის სახე აქვს. ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები დიდ ყურადღებას არ აქცევენ ისლამურ მიმდინარეობათა შორის განსხვავებებს. შეიძლება ითქვას, რომ დაპირისპირება ხსენებულ მიმდინარეობებს შორის იოტისოდენადაც არ უშლით ხელს, თავი ერთიან ხალხად, აზერბაიჯანელებად წარმოიდგინონ. თუმცა გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი მათი აზრით რელიგიასთან დაკავშირებულ რიტუალს (სუნიათს//წინდაცვეთას) ასახელებს ძირითად ფაქტორად, რომელმაც საერთო ეთნიკურ თვითაღქმას ჩაუყარა საფუძველი.<sup>1</sup>

ქვემო ქართლის მუსლიმებს შორის არიან ისეთებიც, ვინც იცნობს და სიმპათიებსაც გამოხატავს ქრისტიანული რელიგიის მიმართ. თუმცა უმეტესობა ისლამის უპირატესობას უსვამს ხაზს. სოფელ ჯავშნიანის მკვიდრი ამბობს: „ხანდახან, მღვდლებთან ვზივარ, ვსაუბრობთ. ისინი ხშირად გაურბიან კითხვებს, ხედავ რომ პასუხი არ აქვთ. ღმერთი ერთია – სიტყვაც მიგანიშნებს – ერთი (ღმ-ერთი, ერთზე აკეთებს აქცენტს)... იესო წერდა და ამბობდა ჩემს შემდეგ მოციქული მუჰამედი მოვა. ეს წერილი ვატიკანში ინახება. არ აჩენენ (გადამალული აქვთ). ისა (იესო) ჩვენია. ჩვენი წინასწარმეტყველია“. მეორე რესპოდენტი ამბობს: „ინჯილი (სახარება – ავტ.) კარგად მაქვს წაკითხული. პირველი ნაწილი ძალიან ჰგავს ყურანს. მარიაში და ისაც არიან ნახსენები. მგონი 6 ჯერ არის ნახსენები ისა“.

---

<sup>1</sup> *მელიქიშვილი ლ.*, ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ., 2019, გვ. 212.

საქართველოს მუსლიმ მოსახლეობაში იზრდება ახალგაზრდათა დაინტერესება რელიგიით. ისინი სასწავლებლად მიემგზავრებიან უცხოეთში; რელიგიური განათლების მიღების შემდეგ, როგორც წესი, ბრუნდებიან სამშობლოში და აქ აგრძელებენ სასულიერო მოღვაწეობას. უცხოეთიდან ხშირად აფინანსებენ მეჩეთების მშენებლობას, შემოაქვთ რელიგიური ლიტერატურა, მათ შორის უკვე ნათარგმნი წიგნები<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ფიქსირდება საქართველოს მუსლიმების სხვადასხვა ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანების ფაქტებიც.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში ბოლო ათწლეულებში რელიგიური ცხოვრების გამოცოცხლება იგრძნობა. სავლელ ეთნოგრაფიული მასალა მონიშნავს, რომ ორივე თემის წარმომადგენლები შემწყნარებლურად უყურებენ ერთმანეთის სარწმუნოებას, თუმცა რელიგიას მიიჩნევენ საკუთარი ეთნიკური კუთვნილების უმთავრეს მახასიათებლად.

---

<sup>1</sup> გვიმრაძე გ., საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის და პოლიტიკის ერთი ასპექტის შესახებ – მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაცია, 2013, გვ. 10-11.

#### § IV. ნარატივის სტრუქტურული კატეგორიები და სტერეოტიპების ფორმირების ეგზოგენური ფაქტორები სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში

ჩვენი ყოველდღიურობა, საზოგადოების წევრთა ურთიერთკომუნიკაცია გაჯერებულია საუბრებით, რომელშიც ადამიანები ეხებიან უამრავ მათთვის მტკივნეულ საკითხს, ერთმანეთს უყვებიან ისტორიებს, სხვადასხვა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, გამორჩეულ შემთხვევებს და ა.შ. ეს საჭირობოტო ამბები თავისებური ნარატივებია, რომლებიც, როგორც წესი, გამოხატავს მთხრობლის სუბიექტურ დამოკიდებულებას კონკრეტული პრობლემის მიმართ. ამასთანავე, მათში მოცემულია გარკვეული მატრიცა, ლინგვოფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთხრობლის სურვილი, რომ მსმენელი, ყველაზე უარეს შემთხვევაში კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში ამბის ავტორის თვალსაზრისის მიმართ ლოიალური, უკეთეს შემთხვევაში კი მისი სრული თანამოაზრე გახდეს.

ინფორმაცია, რომელსაც მონათხრობი შეიცავს, აგებულია ამბის მთქმელის პირადი დამოკიდებულებების, მისი განწყობების, ვარაუდების, ხანდახან სრულიად არარსებული ან გამოგონილი სიუჟეტების თავისუფალი ინტერპრეტაციით და შეესაბამება მის შინაგან განწყობას, სუბიექტურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი. ზოგი ამბავი მოყოლიდან მოყოლამდე საკმაოდ იცვლება და მისი არსობრივი მატრიცაც ტრანსფორმირდება<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> *ჯანიშვილი ლ.*, ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები ეთნიკურ კონტექსტში და სტერეოტიპების ფორმირების ეგზოგენური ფაქტორები, კრ. გამორჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი მიხეილ გეგეშიძე – 100, თბ., 2018, გვ. 168.

ქვემოთ მოტანილი თეორიული მსჯელობა ეყრდნობა ტ. ვან დეიკის გამოკვლევას.<sup>1</sup> გარკვეული თემების თხრობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კულტურულ გარემოში ჩვენ გვაქვს იმპლიციტური ცოდნა მოსაყოლი ამბების შექმნის წესებისა და მისი ტიპური შინაარსის შესახებ. ამრიგად, ყალიბდება ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები და წესები, ასევე სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში ამბის ეფექტურად და გონივრულად თხრობის სტრატეგია. თუ ამ მონათხრობში საქმე ეხება ადამიანებს (ჯგუფებს), მოვლენებს, ქმედებებს, რომლებიც ყოველდღიურობაში გარკვეული პრობლემების წყაროდ აღიქმებიან, მაშინ ბუნებრივია, ამბავიც სწორედ იმ პირებზე იქნება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს იდეალებს და ძირითად მიზნებს.<sup>2</sup>

განსაკუთრებული საფრთხის შემცველად მიიჩნევენ უცხო ეთნიკური ერთობის წევრებს, მით უფრო მაშინ, როდესაც გამწვავებულია მათთან ურთიერთობა. მოყოლილი ამბები ძირითადად სწორედ ამ ვითარებას ეხება. დაპირისპირებულ ჯგუფების წევრები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიებს ყვებიან მეორე მხარის წარმომადგენელთა ქმედებების შესახებ. პრობლემატიკა, ჩვეულებრივ, ნეგატიური სტერეოტიპებითაა გაჯერებული, ხოლო მონათხრობ ეპიზოდებში ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლები უჩვეულოდ, განსხვავებულად, სახიფათოდ ან არც თუ ისე ნორმალურად იქცევიან.

უცხო ეთნიკური ერთობების შესახებ მოთხრობილი ამბების საერთო სემანტიკური ორგანიზაცია საკმაოდ კარგადაა გამოკვლეული. თხრობის კატეგორიაში ძირითადად პუნქტი გამოიყოფა რამდენიმე: მთხრობლის როლი და ჩართულობა ამბავში, მცირე რეზიუმე, გარემოს აღწერა, სიუჟეტის გამწვავება, კვანძის გახსნა, ექსპლიკაცია, შეფასება, დასკვნა. თხრობის

---

<sup>1</sup> *Ван Дейк Т., Язык познания коммуникация, Москва, 1989.*

<sup>2</sup> იქვე, გვ. 190-191.

კატეგორიების ანალიზის შედეგად, მონათხრობის შესაბამისი ფრაგმენტებით ცალკეული ელემენტების გამოყოფის გზით აგებენ თხრობის სისტემის იერარქიულ სტრუქტურას, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია უცხო ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ მოყოლილი ამბებისათვის.

ტ. ვან დეიკის მიერ გაანალიზებული მასალა მშვიდობიან პირობებში ევროპის ერთ-ერთ ლიბერალურ ქვეყანაში, ნიდერლანდებში, უცხო ეთნიკურ ჯგუფების წარმომადგენლებთან დამოკიდებულებას და მათ შესახებ არსებულ შეხედულებებს ასახავს. ისტორიები მოგვითხრობენ რა უსიამოვნებებს აყენებენ ჰოლანდიელებს მიგრანტები. ისინი ხმაურობენ, ანაგვიანებენ ქუჩებს, კონკურენციას უწევენ მასპინძლებს სამუშაო ადგილებსა და საცხოვრებელ ბინებზე, ჩართული არიან კრიმინალში და ა.შ.<sup>1</sup>

ეთნიკური სიტუაციების ეპიზოდური მოდელები აგებულია კონკრეტული ინდივიდის სუბიექტურ გამოცდილებაზე და ასახავს ურთიერთობის განსჯასა და შეფასებას (ინტერპრეტაციას). კონკრეტული, კერძო ეთნიკური სიტუაცია გვევლინება საერთო მოდელების ფუნქციურ კორელიატად. ეს მოდელები კონსტრუირებული და გააზრებულია დაგროვილი გამოცდილების და საზოგადოდ არსებული სტერეოტიპული განწყობით. ნეგატიური წინასწარგანწყობა განსაზღვრავს ახალი „ეთნიკური სიტუაციის“ ნეგატიური შინაარსით აღქმას.<sup>2</sup>

ზემომოტიანილი მექანიზმი ეხება უმრავლესობის დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ეთნიკური უმცირესობის მიმართ. საინტერესოა, რამდენად ახასიათებს „ეთნიკური სიტუაციის“ ნეგატიური შინაარსით აღქმა და უარყოფითი მოდელის ფორმირება თავად უმცირესობებს. კონკრეტულად, ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებს და აზერბაიჯანელებს როგორი ეთნიკური მოდელები აქვთ ერთმანეთის მიმართ. ქვემოთ მოვი-

---

<sup>1</sup> *Van Dijk T.*, Язык познания коммуникация, Москва, 1989, с. 198-214.

<sup>2</sup> იქვე, გვ., 178.



ტან რამდენიმე ფრაგმენტს საველე მასალიდან, რომელიც გარკვეულწილად გვიჩვენებს სომხებისა და აზერბაიჯანელების განწყობებს. მასალა ჩანერილია შერეულ, სომხურ-აზერბაიჯანულ სოფელში (ხოჯორნი, მარნეულის მუნიციპალიტეტი) და ასახავს მეზობლად მცხოვრები ჯგუფის წევრთა განწყობებს ერთმანეთის მიმართ.

**I ნარატივი** (აზერბაიჯანელი მთხრობელი) – აქაურ სომხებთან აზერბაიჯანელებს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. აგერ ერთ სომეხს ცოლი მოუკვდა და თქვა მე მინდა, რომ ქელებში ხორცი და ყველაფერი აზერბაიჯანელმა მოამზადოს, გემრიელად აკეთებენო. მეც ვიყავი იქ. მისი შვილი ახლა დეპუტატია სომხეთში. მე მივედი მივესალმე, მივუსამძიმრე. მესმის ერთი (სომხეთიდან ჩამოსული) ამბობს აზერბაიჯანელს როგორ ანდობთ საჭმლის მომზადებას მოგნამლავთო. მისმა შვილმა უპასუხა, გესმის ნუ ნერვიულობ ეს ჩვენი ნათლიაა (კუმი) და არ მოგვნამლავსო.“

მთხრობლის მიზანია აჩვენოს: 1. აქაური სომხები გვენდობიან; 2. სომხების დაკრძალვის რიტუალში მონაწილეობას ვლენულობთ; 3. სომხებთან ხელოვნური ნათესაობა გვაქვს; 3. აქაურ სომხებს სამსახური და თანამდებობა სომხეთში აქვთ, ე.ი. სომხეთის გავლენა მნიშვნელოვანია; 4. სომხეთის მაცხოვრებლებს აზერბაიჯანელები მოსისხლე მტრად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ რიგით მზარეულს შეუძლია დაუნდობლად გაჟლიტოს მთელი ქორნილის ხალხი.

**II ნარატივი** (აზერბაიჯანელი მთხრობელი) – აქედან ეკონომიკური მდგომარეობის გამო უამრავი სომეხი წავიდა, ჩვენებიც მიდიან. სომხების შესახებ მე ერთ რაღაცას გეტყვით. გასულ წელს გადავწყვიტე სახლი ოფიციალურად გამეფორმებინა. როდესაც მარნეულის მინათმონწყობიდან მოვიდნენ, მითხრეს, ეს შენი კი არა ვალერა ვერმიძიანის სახლიაო. აღმოჩნდა, რომ აქაური აზერბაიჯანელების სახლები სულ სომხებზეა გაფორმებული. როდესაც დიდი სომხეთის შექმნა სურდათ, აქ მუშაობდა, მარნეულში, ერთი მათგანი (სომეხი – ლ.ჯ) და

აზერბაიჯანელების სახლები სულ სომხებს მიაწერა. კარგი მე გავასწორე, მაგრამ სხვების დარჩა სომხებზე მიწერილი. როდესაც დადგება საკითხი, იტყვიან, ეს სომხური სოფელია, აქ სომხები ცხოვრობდნენ უძველესი დროიდან და მორჩა. მარნეულიდან მოვიდა, ერთი, ქართველი იყო, ვეუბნები – ზურა, ალბათ ეს დიდი სომხეთის საკითხთანაა დაკავშირებულითქო. ის კი ილიმება (თანხმობის ნიშნად – ლ.ჯ.). დავუშვათ, მე რუსეთში ვცხოვრობ, აქ მამისეულ სახლში, ჩამოვედი და მითხრეს, ეგ შენი კი არა ვალერა ვერმიძიანისააო. როგორია? მე ვიცნობ ვალერას, მაგრამ მისგან რას მივიღებ? მიპასუხებს, თანამგ ზავრიდან გადაიღეს, რალაც აირია და რა ვიციო, ათას რამეს. სიმართლე გითხრა, მე ქართველებს არ ვიცნობ, არ ვიცი შეიძლება თქვენ სომეხი ნათესავები გყავთ, მაგრამ ვიტყვი რას იზამენ (გულისხმობს თქვენც იმავეს გაგიკეთებენო – ლ.ჯ.). მაგალითად, ჩვენს სახლებს ინაწილებდნენ ასე არაა?! აი ახმედის სახლი ჩემი იქნება, მამედის ჩემიო და აშ. ისინი იკადრებენ ჩვენები კი არ იზამენ მაგას მითხარით ერთი, ქართველები აზერბაიჯანში (საინგილოში – ლ.ჯ.) საიდან მოხვდნენ? აა უხსოვარი დროიდან?! როგორც ჩვენ ვართ აქ, არა?!

მთხრობლის მიზანია აჩვენოს: 1. ქართული სახელმწიფო მეზობელ ქვეყნებზე უუნარო აღმოჩნდა და ვერ შეძლო მოქალაქეების დასაქმება; 2. სომხები ცდილობენ მინაზე ისტორიული საკუთრების უფლება სხვადასხვა გზით, მათ შორის აზერბაიჯანელების სახლების თავიანთ სახელზე უკანონოდ გადაფორმებით მოახერხონ; 3. ამ მიმართებით, ახლო ნაცნობიც („ვალერას ვიცნობ“) არ დაგინდობს; 4. ანალოგიური საფრთხე სომხებისაგან ქართველებსაც ემუქრებათ; 5. აზერბაიჯანელებს ქვემო ქართლში ცხოვრების სწორედ ისეთივე ისტორიული უფლება აქვთ, როგორც საინგილოს მკვიდრ ქართველებს აზერბაიჯანში.

**III ნარატივი** – ამ ადგილს ხოყორნი კი არა ხოჯაალი ჰქვია, პირველი აქ მოვიდა პაპაჩემი და მისი ბაჯანალი (ქვისლი – ლ.ჯ.). ეს იყო დაახლოებით 150-170 წლის წინათ, ისინი ცხოვ-

რობდნენ ნოფის სიახლოვეს, საიდანაც აქ გადმოსახლდნენ. როგორც პაპაჩემი ამბობდა, უძველესი დროიდან კი, 500 წლის წინათ, აქ ბერძნებს უცხოვრიათ. მერე ნესტის გამო რალაც და ავადება გასჩენიათ და გამქრალან ან სადღაც გადასახლებულან. შემდეგ ეს სოფელი შექმნილა. ისე კი ეს ხოჯა-ალი ყოფილა და არა ხოჟორნი. აქ იყო ალბანური სამლოცველოები, ერთი იქ ზემოთაა შემორჩენილი. სომხები ამბობენ, რომ ეს **ქრისტიანულია**, მაგრამ ხომ იცით ალბანელებს განსხვავებული ჯვარი აქვთ, როგორიც მანდაა. მეორე მიმართულებით თუ ნახვალ იქაც ალბანურია და მინდორზეც. როდესაც ყარაბახის ომი იყო, აქედან სომხების 10 პროცენტი ომობდა, მათ გაინვიეს. აქ კამაზებით იარალი მოჰქონდათ. როცა ეს გახმაურდა, სადახლო ფეხზე დადგა. სადახლოელები ჩამოვიდნენ აქ, კარგად ცემეს და უთხრეს, კიდევ ერთხელ მსგავსი მოხდება და აქედან გაგასახლებთო. მოხუცები აქ სომხები ნორმალური ხალხი იყო. 1915 წელი იყო არა?! აქ თურქები შემოვიდნენ, ჰო 1905 წელი იყო, როდესაც თურქები ბორჯომამდეც მივიდნენ. მაშინ ჩვენი ხალხი ინახავდა სომხებს (ვაზუსტებ, „ეგებ 1905 კი არა, 1918 წელი გინდოდათ გეთქვათ“ – ლ.ჯ.). ეს 1918 წელი არ შეიძლება ყოფილიყო, 18 წელს საბჭოთა კავშირი იყო (წარმოდგენა არ აქვს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაზე – ლ.ჯ.). თურქები ეუბნებოდნენ ჩვენებს მოგვეცით ბიჭებო ეგ ხალხიო, მათ იცოდნენ მოვა დრო და აქ თქვენ საქმეს აგირევენო. მართალიც აღმოჩნდნენ, 90-იან წლებში იყო არეულობა. მერე ყველაფერი ჩაწყნარდა, ახლა ერთმანეთთან დავდივართ ქორწილებსა და გასვენებებში.

მთხრობლის მიზანია აჩვენოს: 1. სოფლის სახელწოდება აზერბაიჯანული ხოჯაალი იყო და მოგვიანებით შეიცვალა ხოჟორნით; 2. ახლანდელი აზერბაიჯანელების წინაპრები შედარებით ახალი მოსული არიან (100-150 წლის წინ), მაგრამ ამ სოფელში ადრე ალბანელები ცხოვრობდნენ (ე.ი. მათი მონათესავე ხალხი) და სამლოცველოებიც ალბანურია; 3. სამლოცველოები ქრისტიანული [სომხური] არაა, მათზე ალბანური ჯვრე-

ბია გამოსახული; 4. აქაური სომხების ნაწილი ყარაბახის ომში მონაწილეობდა, აქ იარაღიც ჰქონდათ რამაც კონფლიქტი გამოიწვია და აქაურებს სადახლოელი აზერბაიჯანელები დაეხმარნენ სომხები სცემეს და გასახლებით დაემუქრნენ; 5. სომხები მოლაღატე ბუნების ხალხია, რაც თურქებმა იმთავითვე იცოდნენ, აქაურ აზერბაიჯანელებს მეზობლური განწყობის გამო თურქებისაგან დაუცავთ ისინი (1905 წელს?), მაგრამ 90-იან წლებში სომხების სიმუხთლე კვლავ იწვნიეს. თუმცა დღეისათვის კვლავ კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან 6. კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების შესახებ წარმოდგენაც არა აქვს და მიაჩნია, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კავკასია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა.

**IV ნარატივი** (სომეხი მთხრობელი) – ადრე აზერბაიჯანელები გზის ქვემოთ იყვნენ მხოლოდ, ახლა კი ზემოთაც ამოინიეს. ისინი ძალიან სწრაფად მრავლდებიან. აქ სომხურად აწერია ხოჯორნი 901 წელი, როდესაც სოფელი დაფუძნდა. ეს ისტორიდანაა ცნობილი, წიგნებშია გადმოცემული, ნახსენებია ხოჯორნის ციხე. როდესაც აქ სომხები ცხოვრობდნენ ეგენი ჩვენი მწყემსები იყვნენ. ჩვენ წინაპრებს ეგენი მწყემსებად ჰყავდათ. გიულბალში არ ლებულობდნენ მწყემსებად და აქ ამოდიოდნენ. წოფი ხომ იცით სოფელი, მანდ აზერბაიჯანული სკოლა საერთოდ არ იყო, ისინი სომხურ სკოლაში დადიოდნენ. ახლა, სომხური სკოლა რომ დაიხურა აზერბაიჯანულად სწავლობენ.

მთხრობლის მიზანია აჩვენოს: 1. აზერბაიჯანელები სოფელში ახლახან დამკვიდრდნენ, ისინი სომხების მწყემსები იყვნენ; 2. ხოჯორნი უძველესი (901 წელს დაარსებული) სომხური სოფელია, რაც წიგნებით დასტურდება; 3. სომხებს და აზერბაიჯანელებს შორის მეტ-ნაკლებად კარგი ურთიერთობაა და სკოლაშიც ერთად სწავლობენ

**V ნარატივი** (სომეხი მთხრობელი) – ჩვენ და აზერბები ერთმანეთთან სომხურად და აზერბაიჯანულად ვლაპარაკობთ. გიულბალში არ მიიღეს ეგენი და ამიტომ აქ ამოვიდნენ. თურქეთიდან ჩამოდიოდნენ ლტოლვილებად და ჩვენ ვიფარებდით.

ადრე აზერბაიჯანელები სადახლოშიც არ ცხოვრობდნენ წინათ ეგენი ჩვენი სოფლის 20% იყვნენ, ახლა 50-50-ზე ვართ. იმიტომ, რომ სომხები მიდიან ამ სოფლიდან. ერთი სომხური ოჯახი იყო 11 შვილი ჰყავდა, ახლა ამ ოჯახში აღარავინაა. სომხები ძირითადად რუსეთში მიდიან, რადგან სამუშაო არაა აქ. მიდიან ერევანშიც, კიროვაკანშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც, რაც საზღვრები გაიხსნა. მაგათ საერთოდ იციან საზღვარი სად არის და სად იყო? მისმინეთ, სომხების მხარეს, რომ გადანოს ვინმემ საზღვარი, რა თქმა უნდა, სომხები არ გაუშვებენ. სომხებმა რომ აქეთ გადმონიონ ქართველები, არ მისცემენ ნებას. არაფერი საზღვარი არ შეცვლილა, როგორც იყო ისეა. ადრე კი, ადრე საბჭოთა კავშირი იყო და ჩვენ თავისუფლად გადავდიოდით იქეთ, მაყვალს ვკრეფდით და საქონელს ვმწყემსავდით, სოკოს ვეძებდით. საქონელი იქ სამთაბაროდ დაგვყავდა. აზერბაიჯანელებიც გადადიოდნენ, ვინ დაუშლიდა?! (ვეუბნები რომ აზერები სოფელს ხოჯალის ეძახიან, ღიზიანდება – ლ.ჯ.) ხოჯალის ამბავი პირველად გავიგეთ, აი ხოჯალუს რომ ამბობენ, წაიკითხე არა?!, 901 წელს დაარსდა სოფელი, წიგნშია. მათი ხალხი საერთოდ არ არსებობდა. მაგათ ჩვენ თათრებს ვეძახით. სოფელს ადრე ერქვა ხოშორაძორი, რაც მსხვილ (ფართო) ხეობას ნიშნავს. ადრე სოფელი აქ კი არ იყო, არამედ იქ სადაც ეკლესიაა. ეგ სომხური ეკლესიაა, სომხების აშენებული.

მთხრობლის მიზანია აჩვენოს: 1. ხოყორნში მცხოვრები აზერბაიჯანელები სხვაგან არ მიიღეს და მათ შეიფარეს; 2. ადრე აზერბაიჯანელები ამ მხარეში საერთოდ არ ცხოვრობდნენ ე.ი ეს სომხური კუთხე იყო; 3. სომხები მათგან განსხვავებით არ მრავლდებიან და თანაც ეკონომიკური პრობლების გამო იძულებული არიან აქაურობა დატოვონ; 4. საქართველოს და სომხეთს შორის საზღვარი საბჭოთა პერიოდის მერე არ შეცვლილა და აზერბაიჯანელები ცრუობენ, როდესაც ამბობენ საზღვარი სომხეთისაკენ გადაინიაო; 5. სოფლის აზერბაიჯანული დასახელება ხოჯალი გამოგონილი ამბავია და მას ხოყორნი ჰქვია, რაც სომხური ტოპონიმი ხოშარაძორიდან მოდის და

ნიგნებით საბუთდება რომ აქ სომხები 901 წლიდან ცხოვრობდნენ; 6. აქაური ეკლესიები სომხურია, რაც ამ ტერიტორიის სომხურობას ადასტურებს.

**VI ნარატივი** (სომხების ჯგუფი) – სკოლა სადაც ჩვენ ვსწავლობდით, ადრე ქართველი დავიდ ბეგის და კოლა ბეგის საკუთრება ყოფილა (ამ ბეგების ქართველობის ხსენებამ კამათი გამოიწვია) და იქ ბოლშევიკებს სკოლა გაუხსნიათ. ასე მახსოვს, რომ ორი მდიდარი ძმა დავიდ ბეგი და კოლა ბეგი ყოფილა, ეს მათი საკუთარი სახლი ყოფილა (დისკუსიის მონაწილეთა უმეტესობა კვლავ უარყოფს ამ ბეგების ქართველობას) სკოლაში მონაფეები ძალიან შემცირდა. პარალელური ა და ბ კლასი ჩემ დროს იყო ბოლო. ერთ კლასში 26-28 ბავშვი იყო. ახლა კლასში 2-3 ბავშვია. სკოლაში არის სომხური და აზერბაიჯანული სექტორი. ადრე რუსული ენა იყო როგორც ჩვეულებრივი საგანი, ისე როგორც ქართული, გვასწავლიდა ქართველი ქალი, რომელიც სომეხზე გათხოვდა. გვასწავლიდა მხოლოდ ასოებს.

მთხრობლის მიზანია აჩვენოს: 1. მართალია სკოლა დიდი ხანია არსებობს სოფელში მაგრამ იქიდან გამომდინარე რომ თანამოსაუბრე ქართველია ჯგუფში ორი ურთიერთსანინააღმდეგო აზრი ფიქსირდება: ა) სკოლა ქართველმა მემამულეებმა დაარსეს; ბ) სკოლის დამაარსებლები ქართველები არ იყვნენ; 2. სოფელში კატასტროფული ეთნოდემოგრაფიული სიტუაციაა (მონაფეების რაოდენობა 10-ზე მეტად შემცირდა); 3. სკოლაში სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები ერთად სწავლობენ; 4. ასაკოვანმა თაობამ ქართული რომ არ იცის, ამაში დამნაშავე საბჭოთა განათლების სისტემაა.

ცხადია, ზემომოტანილ ამბებში შეფარვით გამოკვეთილი დამოკიდებულებები გარკვეულ წინასწარგანწყობებს ემყარება. რომელთა აშკარად დაფიქსირება მთხრობელს არ სურს. ამგვარი განწყობების შექმნას ხელს უწყობს, როგორც ობიექტურად არსებული, ისე ხელოვნურად შექმნილი ანუ ეგზოგენური ფაქტორები. სიტუაციის ხელოვნურად კონტროლის ეფექტურ სა-

შუალეზად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებაში სხვადასხვა მეთოდით ინფორმაციის გავრცელება. საგანგებოდ შეთხზული ისტორიების გავრცელების ტაქტიკა საკმაოდ ძველია და მხატვრულ ლიტერატურაშიც კია აღწერილი. შეიძლება გავიხსენოთ ჟ. ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშხიაში“ მუშნი ზარანდიას მიერ შექმნილი ჭორების გავრცელების ინსტიტუტი, რომელიც ჟანდარმერიამ გამოიყენა აბრაგების წინააღმდეგ.

ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მოსახლეობის განწყობებზე მოზანმძიმართული ზემოქმედება განხორციელდეს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ამგვარი საქმიანობისას ეფექტურობა იზრდება, როდესაც არსებობს ინფორმაციის მიმღები კონკრეტული სამიზნე ჯგუფები და შედარებით არასტაბილური სიტუაცია.

რაც უფრო მძაფრად არის გადმოცემული ამბავი (ხშირად უცხოების მიერ განხორციელებული საქმიანობის ნეგატიურ ჭრილში აღწერა), მით უფრო ადვილია ეფექტის მოხდენა. ცხადია, უცხო კულტურის წარმომადგენლის ტრადიციული კულტურის ცალკეული ელემენტები, განსხვავებულია მიმღები უმრავლესობის ანალოგიური ტიპისაგან, რაც მათ შესახებ უარყოფითი წარმოდგენების წყარო ხდება. ამგვარი სტერეოტიპული კლიშეების შექმნასა და ნარატივების შინაარსობრივი მხარის ფორმირებაზე გავლენას ახდენს: მასობრივი კულტურა, სატელევიზიო გადაცემები, მხატვრული ლიტერატურა, ბეჭდური მედია, ბოლო ხანებში კი, გლობალური საკომუნიკაციო საშუალებები და სოციალური ქსელების გზით გავრცელებული მოსაზრებები. ეს მოსაზრებები ემყარება არა მეცნიერულ ცოდნას, არამედ ზედაპირულ ინფორმაციას. ცნობილია, რომ მასობრივ ცნობიერებაზე ინფორმაციული ნაკადი უფრო აქტიურად ზემოქმედებს, ვიდრე მეცნიერული ცოდნა. ცოდნა ინფორმაციისაგან განსხვავებით თეორიებისა და კანონების ერთობლიობაა, კონტექსტუალური, თეორიაზე დაფუძნებული და ცნობებით გამყარებული იდეებია, რომელებიც საუკეთესო ახ-

სნას უძებნის რეალობას. ინფორმაცია კი – უბრალოდ ხელმისაწვდომობაა სხვადასხვა ვარაუდზე, აზრსა თუ ცნობაზე და ყოველთვის უტყუარი არ არის.<sup>1</sup>

სომხებისა და თურქების//აზერბაიჯანელების ისტორიული დაპირისპირების გამოყენება ამგვარი ნარატივების გავრცელებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. მაგ., 2003 წელს სააგენტო „არმინფომ“ გაავრცელა „სომხეთის ნაციონალური ფრონტის“ შემდეგი შინაარსის განცხადება – „ვერ მოასწრო ჩიჩენი „ბოევიკის“ რუსულან გილაევის ბანდამ საქართველოს დატოვება, რომ იქ გამოჩნდა „თურქი მესხების“ ტერორისტული ორგანიზაცია „ახისტალუ“ (ახალციხე). ამა წლის თებერვალში ხსენებულმა ორგანიზაციამ გამოუცხადა „ჯიჰადი“ მესხეთისა და საქართველოს ძირძველ მოსახლეობას. „სომხური ნაციონალური ფრონტი (АНФ)“ დაბეჯითებით განსჯის „ვათანის“ და „ახისტალუს“ ექსტრემისტთა პროვოკაციულ განცხადებებს და მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებას, მიიღოს ზომები, რათა განეიტრალდეს ექსტრემიზმის და ტერორიზმის შესაძლო კერა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ჩვენ მზად ვართ მივებმართო საქართველოს ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბანდფორმირებების გამოვლენასა და განადგურებაში. ასევე მიგვაჩნია, რომ „თურქი მესხების“ პროვოკაციული გამობტომები ვერ შეარყევენ მოძმე საქართველოში მცხოვრები ქრისტიანების და მუსულმანების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.“<sup>2</sup> მოტანილი ცნობის სიყალბე დღეისათვის ეჭვს არ იწვევს, მაგრამ თავის დროზე ეს ინფორმაცია გამიზნული იყო კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე, რომლებიც ადვილად დაიჯერებდნენ, რომ ე.წ. თურქმა მესხებმა ჯიჰადი გამო-

---

<sup>1</sup> **Knudson D.** Fundamentals of Biomechanics, 2007, p. 13-16.

<sup>2</sup> Общественно-политическая организация армянский националистический фронт выступает против провокационных выходов туркомесхетинцев в Грузии, <http://subscribe.ru/archive/media-today.arminfo/200307/261301156html>.



აცხადეს და ამგვარად გაძნელდებოდა ევროსაბჭოში ნაკისრი ვალდებულების (იგულისხმება 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაცია – ლ.ჯ.) შესრულება. მერე მხრივ, ამ ტიპის ინფორმაცია ახალი ქორეზის ინსპირატორად გამოდგებოდა

უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში სომხური საინფორმაციო საშუალებები ერიდებიან საქართველოს ეროვნული პოლიტიკის ნეგატიურად შეფასებისა და აქაურ სომხურ დიასპორაში ანტიქართული განწყობების გაღვივებას. უფრო მეტიც, სომხეთის მოქალაქეების მიმართ საქართველოს აზერბაიჯანელების მხრიდან გამოვლენილ ქსენოფობიური ქმედებების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურ მოქმედებას უსვამენ ხაზს.<sup>1</sup> თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სომხურ მოსახლეობაში მოარული ხმები, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე ყარაბახში სომხების წინააღმდეგ გამოსაყენებელი დიდძალი თურქული საბრძოლო ტექნიკა გაატარეს ე.წ. „ფეიკ ნიუსის“ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს, რომლის თავდაპირველი წყაროს დადგენა საკმაოდ რთულია.

აზერბაიჯანელთა სამიზნე ჯგუფებზე ზემოქმედების მიზნით ქვემო ქართლში არსებული სიტუაციის ხელოვნურ გამწვავებას არ ერიდება აზერბაიჯანული მედია. აქ გამოთქმული ბრალდებები ქართული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის მიმართ სამ ძირითად მუხლად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. აზერბაიჯანული ტოპონიმების ქართულით შეცვლა და თითოეულ ბორცვზე ჯვრის აღმართვა; 2. მცდელობა გაანადგურონ და დავიწყებას მისცენ აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობა; 3. სომხებისადმი

---

<sup>1</sup> Фуры на трассе М14. Армянские фуры забросали камнями в Грузии. Что произошло? <https://ru.armeniasputnik.am/incidents /20210125/ 26215001/Armyanskie-fury-zabrosali-kamnyami-v-gruzinskom-Marneuli-Chto-proizoshlo.html>

ქართული სახელმწიფოს ლოიალობა აზერბაიჯანელების უფლებების უგულვებლყოფის ის ხარჯზე.

ქართული სახელმწიფო დადანაშაულებულია, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო აზერბაიჯანული ტოპონიმების მიზანმიმართული შეცვლა ქართული სახელდებით. ამასთან ხაზს უსვამენ, რომ ეს პროცესი ეხება მხოლოდ აზერბაიჯანულ ტოპონიმებს და არა სომხურს ან ბერძნულს; ამ სტრატეგიის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ აზერბაიჯანელებით დასახლებული პუნქტები მომავალ თაობებს წარმოუდგეთ როგორც ისტორიული ქართული ტერიტორია. ანალოგიური დასკვნა გამოაქვთ ქვემო ქართლში მომრავლებული ჯვრების თაობაზე: ჯვრებს აღმართავენ იმისათვის, რომ შექმნან შთაბეჭდილება „თითქოს აზერბაიჯანელთა ისტორიული საცხოვრებელი გარემო ქრისტიანებს მიკუთვნებოდათ.“ უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოტანილი თვალსაზრისი ძირითადად საქართველოში მოქმედი ორგანიზაციის, „საქართველოს ევროპულ ცენტრის,“ კვლევას ეფუძნება.<sup>1</sup>

აზერბაიჯანულ მედიაში გამოქვეყნებულ „გამოკვლევაში“ წერია, რომ საქართველოში ყველანაირად ავინოვებენ ადგილობრივი აზერბაიჯანელების კულტურას და ხელს უშლიან მის განვითარებას.<sup>2</sup> მიაჩნიათ. რომ განზრახაა მიჩუმათებული აზერბაიჯანელების მკვიდრობა საქართველოში, ხოლო ამის დამამტკიცებელი მატერიალური და

---

<sup>1</sup> Борчалы – на каждый холм по кресту или исчезновение азербайджанских топонимов в Грузии – Исследование, Баку. 12 февраля, 2019. REPORT.AZ/ <https://report.az/ru/analitika/karabahskij-drajver-ekonomika-azerbajdzhana-vyrastit-blagodarya-proektam-na-osvobozhdennyh-territoriyah/>

<sup>2</sup> В Грузии предают забвению материальное и духовное наследие, Баку. 4 февраля, 2019. REPORT.AZ/ <https://report.az/ru/analitika/v-gruzii-predayut-zabveniyu-duhovnoe-nasledie-azerbajdzhancev/>

სულიერი ძეგლები იგნორირებულია სახელმწიფოს მიერ; ქვემო ქართლში, აზერბაიჯანელთა კომპაქტური ცხოვრების ადგილში არაა აზერბაიჯანული კულტურისა და ხელოვნების არც ერთი მუზეუმი, სახელმწიფო ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ ერთ მეჩეთს, რომელიც 200 წლისაა; განზრახ ქართულდება აზერბაიჯანული ეროვნული დღესასწაულები. ამის მაგალითად მოყვანილია 2010 წელს სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადებული „ნოვრუზი,“ რომლის ჩატარების მასშტაბი შემცირდა, ხოლო მისი მთავარი პერსონაჟები „კეჩიალია“ (Кечяля) და „კიოსუ“ (Кёсу) გაშარჟებული არიან; ქართულ ყაიდაზე გარდაქმნეს დმანისის რაიონში მრავალწლოვანი ტრადიციის მქონე იალალობის დღესასწაული, რომელსაც ჯერ „ელათ დმანისობა“, მოგვიანებით კი საერთოდ დმანისობა დაარქვეს, ხოლო თვით დღეობის ხასიათი შეცვალეს; აზერბაიჯანული თეატრის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, სომხური თეატრისათვის კი ახალ თანამედროვე შენობას აგებენ; საქართველოში არაა აზერბაიჯანული კულტურის არცერთი ცენტრი, მაშინ როდესაც თბილისში სომხეთის სამოციქულო ეკლესიასთან დაარსებულია ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „აიართუნი“ „(Аяртун“), რომელიც ორგანიზებას უწევს ანტი-აზერბაიჯანულ პროვოკაციებს.<sup>1</sup>

ქართული სახელმწიფო სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევს ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი განათლების მიცემას და სახელმწიფო ენის სწავლებას. საკანონმდებლო დონეზე აღიარებული რომ ეთნიკურ უმცირესობების წარმომად-

---

<sup>1</sup> В Грузии передают забвению материальное и духовное наследие, Баку. 4 февраля, 2019. REPORT.AZ/ азербайджанцев <https://report.az/ru/analitika/v-gruzii-predayut-zabveniyu-duhovnoe-nasledie-azerba-jdzhancev/>

გენლებს შესაძლებლობა აქვთ განათლების ყველა საფეხური გაიარონ და ისწავლონ მშობლიურ ენაზე. აზერბაიჯანული მედიის ყურადღების ცენტრში საქართველოში საგანმანათლებლო სექტორის ანალიზი და აზერბაიჯანული სასკოლო დაწესებულებების რაოდენობის კლების ტენდენცია მოექცა. ამ შემთხვევაშიც შესაძარებლად გამოყენებულია სომხური სასკოლო დაწესებულებების ოდენობა და მიღებულია დასკვნა, რომ აზერბაიჯანული სკოლების ოდენობა მცირდებოდა, სომხურის კი, პირიქით, იზრდებოდა; სომხურისაგან განსხვავებით არ არსებობს აზერბაიჯანული უნივერსიტეტი; ქართული სახელმწიფო ხელს უწყობს სომხურ არასამთავრობო სექტორს და არ აფინანსებს აზერბაიჯანულს; ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების დასაცავად შექმნილი „მრავალეროვანი საქართველოს“ ხელმძღვანელია სომეხი ეროვნების პირი და ა.შ.<sup>1</sup>

როგორც ითქვა, ზემომატანილი მასალა სამიზნე ჯგუფად ირჩევს კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფებს. აზერბაიჯანელების შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაციის მიზანს წარმოადგენს გაარღმავოს ამ ჯგუფის წევრების კონსოლიდაცია „აზერბაიჯანელობის“ იდენტობის ირგვლივ; მიაწოდოს მათ კონკრეტული თეზისები, მზა კლიშეები ქართული სახელმწიფოს მათდამი დამოკიდებულების შესახებ, გააღრმავოს ანტი-სომხური განწყობები (სახელმწიფო ფავორიტ ჯგუფად მიიჩნევს შედარებით მცირერიცხოვან სომხებს და არა აზერბაიჯანელებს); მათ მფარველად წარმოადგინოს აზერბაიჯანული სახელმწიფო და ა.შ. მთავარი თეზისი საქართველოში სომხური დიასპორის მდგომარეობას უკავშირდება. რაც რეგიონში მიმდინარე სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამოძახილია.

---

1 Лояльность грузинского правительства к армянам: факты ущемления прав азербайджанцев Баку. 31 января. 2019 <https://report.az/ru/analitika/loyal-nost-pravitel-stva-gruzii-k-armyanam-ushemlenie-azerbajdzhancev/>

მასშტაბური პოლიტიკური კატაკლიზმები, დაპირისპირებულ მხარეებში ნეგატიური სტერეოტიპების ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამრიგად, სტერეოტიპული კლიშეების ფორმირებაში გარკვეულ როლს თამაშობს ინფორმაცია, რომელიც ბევრად ადვილი სამართავია და მისი ქეშმარიტების გადამოწმებაც საკმაოდ რთულია. ყარაბახის ომისა და საზღვარგარეთიდან მომდინარე ინფორმაციული ნაკადების ფონზე მოსალოდნელი იყო, რომ მთხრობელთა დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ რადიკალურად ნეგატიური იქნებოდა. გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა კონფლიქტს, აფასებს როგორც საქართველოს მოქალაქე და მიუხედავად იმისა, რომ სიმპათიას არ მალავს მონათესავე სახელმწიფოს მიმართ, გულისტკივილს გამოთქვამს საბრძოლო მოქმედებების შედეგად გამოწვეულ ნგრევასა და ადამიანურ მსხვერპლზე.

## **თავი IV. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში**

### **§ I. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება საქართველოში**

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მესამე ათწლეულშიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. კოორდინირებული პოლიტიკის გატარება ამ მიმართულებით 2005 წლის შემდეგ იწყება. ის, როგორც სამოქალაქო სექტორის და სახელმწიფო უწყებების ძალისხმევასა და მათი ჩართულობის ზრდას, ასევე, საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებასთან ერთად, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბება-განვითარებას მოიცავს. ამავე დროს, ინტეგრაციის პოლიტიკა საზოგადოების და მოქალაქეების მიერ მულტიეთნიკური მგრძნობელობის და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას მოითხოვს. საქმიანობის თავდაპირველ ეტაპზე, ინტეგრაციის კუთხით, განსაკუთრებით აქტიური იყო სამოქალაქო სექტორი, რომელმაც ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვის, სახელმწიფო ენის შესწავლის, ეკონომიკური ზრდის თუ თანაბარი შესაძლებლობების გაჩენის მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადადგა.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურად არასტაბილური გარემო, საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების – სომხებისა და აზერბაიჯანელების ინტერეთნიკური ურთიერთობების და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პერსპექტივაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა.

2020 წელს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია და მთიანი ყარაბაღის სადავო რეგიონთან მიმართებაში საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. გეოპოლიტიკურმა კრიზისმა ეთნიკურ უმცირესობათა, ჩვენ შემთხვევაში, სომეხთა და აზერბაიჯანელთა, სამოქალაქო თუ ურთიერთინტეგრაციის აქტუალობა, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა.

ამ მიმართებით საინტერესოა ქვემო ქართლში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის, როლის და ფუნქციების განსაზღვრა; იმის გააზრება, თუ რამდენად აქვს სამოქალაქო სექტორს ეთნოსთაშორისი დიალოგის წარმართვის რესურსი, რა გავლენას ახდენს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე კონფლიქტი საქართველოში ამ ჯგუფთა ინტერკულტურულ ურთიერთობებზე და ამ თვალსაზრისით რა გამოწვევების წინაშე დგას სამოქალაქო ორგანიზაციების სექტორი.

არსებული კვლევის მომზადება ითვალისწინებდა თვისობრივი ხასიათის შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის შეფასება სომხურ-აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობებისა და მათ სამოქალაქო ინტეგრაციის პერსპექტივაში. კვლევითი ფაზა რამდენიმე საფეხურისგან შედგებოდა და მოიცავდა, როგორც სამაგიდო მოკვლევის ეტაპს, ასევე ჩალრმავებულ ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუებს, ონლაინ გამოკითხვასა და მრგვალი მაგიდის დისკუსიებს. თავდაპირველ ეტაპზე ჩატარდა საარქივო მედია მასალისა და თემატური კვლევითი პუბლიკაციების ანალიზი, რომელიც ეხებოდა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას და საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიტიკურ ანგარიშებს სამოქალაქო სექტორის შესახებ.

გეოგრაფიულ კვლევის არეალს წარმოადგენდა ქვემო ქართლი და თბილისი. შესაბამისად, მოხდა, როგორც თბილისში არსებული სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა, ასევე ქვემო ქართლში სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი. ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, ქალაქ მარნეულსა და ბოლნისში არსებულ ორგანიზაციებთან დაგეგმილი სავლე სამუშაოების ნაწილი ონლაინ ფორმატში განხორციელდა. დამატებით, ოცდაათ სამოქალაქო ორგანიზაციას დაეგზავნა აუდიო და ტექსტური კითხვარები, რომლის მიზანი დროის მსვლელობისას არსებული ცვლილებებისა და გავლენების შეფასება იყო. სამოქალაქო ორგანიზაციები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმებით: 1) სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკის ადვოკატირების მიმართულებით მომუშავე სსო-ები 2) სათემო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს (მათ შორის კულტურის სფეროში მოღვაწე საინიციატივო ჯგუფები, მედია პლატფორმები და ახალგაზრდული აქტივისტური ინიციატივები). კვლევის პროცესში წარმოიშვა საჭიროება, გამოკვეთილიყო სახელმწიფო უწყებების როლი სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის და ხელშეწყობის კუთხით, რის ფარგლებშიც მოხდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ყოველწლიური სამოქმედო გეგმების და შესრულების ანგარიშების ანალიზი.

შედეგად, კვლევის მეთოდოლოგიისა და მიდგომების მრავალფეროვანმა კომბინაციამ გამოკვეთა სომხურ-აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის კომპლექსური სურათი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი არსებული მიღწევების მიმართულებით და ის გამოწვევები, რომელიც აღნიშნული პროცესის შემაფერხებელ, ან თუნდაც ყურადსაღებ ფაქტორებს წარმოადგენს.



საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევებისა და სომხურ-აზერბაიჯანული ჯგუფების ინტერკულტურულ ურთიერთობაში სამოქალაქო საზოგადოების როლის სრული სურათის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია ზოგადად სამოქალაქო სექტორის განვითარების გაანალიზება.

სამოქალაქო საზოგადოების მკვლევრები საქართველოში თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) მასობრივად გამოჩენის პერიოდად 1992-1995 წლებს მიიჩნევენ<sup>1</sup>. თავდაპირველად, ამ გაერთიანებებს ძირითადად არაფორმალური სახე ჰქონდა, ხოლო მათი ინსტიტუციონალიზაცია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საქართველოში შემოსვლას უკავშირდება. 1990-იანი წლებიდან, დონორების მხარდაჭერასთან ერთად, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა მათი საქმიანობის სფერო და ფუნქციები<sup>2</sup>, იზრდებოდა სსო-ების მნიშვნელობა და გავლენა, იხვეწებოდა ის საკანონმდებლო გარემო, რომელშიც მათ უწევდათ ოპერირება. ამ პერიოდიდან იწყება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სამოქალაქო საზოგადოების აქტორების რაოდენობის ზრდა, რომელთა ძირითადი მისია დემოკრატიული პროცესების გაძლიერება იყო (ეს მოიცავდა ადამიანის უფლებების დაცვას, სამოქალაქო განათლებას, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებს, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას და ა.შ.).

სსო-ების განვითარების პირველ ეტაპზე მკვიდრდება ტერმინი „არასამთავრობო ორგანიზაცია/სექტორი“; თავდაპირველად მას დონორთა მიერ მხარდაჭერილ ორგანიზაციების მიმართ იყენებდნენ, ხოლო შემდეგ მთლიანი სექტორის აღ-

---

<sup>1</sup> ნოდია გ., მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა; „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში-მიღწევები და გამოწვევები“, 2005, გვ.15.

<sup>2</sup> ADB 201, 1.

მნიშვნელ ტერმინად იქცა. თავიდან იგი ახლად დაარსებული ორგანიზაციების სამოქმედო არეალს სამთავრობო აპარატის სამოქმედო არეალისაგან მიჯნავდა, თუმცა, მოგვიანებით, „არასამთავრობო ორგანიზაცია“ სამოქალაქო საზოგადოების სინონიმად გადაიქცა, რაც ამ უკანასკნელის არსის საკმაოდ შეზღუდულ რეპრეზენტაციას წარმოადგენს. რეალურად „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები“ მოიცავს სამოქალაქო გაერთიანებებს, სათემო ორგანიზაციებსა და არაფორმალურ ჯგუფებს, რომლებიც ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე (არაკომერციულ/არამომგებიან საწყისებზე) საქმიანობენ და ქმნიან საზოგადოებრივ სარგებელს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ, ერთი მხრივ, სსო-ების საქმიანობა ხშირად სცდება „არასამთავრობო ორგანიზაციის“ ჩარჩოებს, მეორე მხრივ, სსო-ები საკუთარი საქმიანობის უფრო კონკრეტული მიმართულებით წარმართვას ცდილობენ. უკანასკნელ პერიოდში სამოქალაქო სექტორში მომრავლდა სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო, საინიციატივო ჯგუფები, პლატფორმები თუ სათემო ორგანიზაციები<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> აქვე აღსანიშნავია, ისიც, რომ ტერმინ „არასამთავრობო ორგანიზაციების“ ქვეშ მოაზრებული ინიციატივები პერიოდულად მიზანმიმართული ნეგატიური განწყობების და კამპანიების ადრესატები ხდებიან, რომელიც ამყარებს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა სტერეოტიპულ განწყობებსა თუ წარმოდგენებს. ამ დამოკიდებულებების პირველწყაროდ მიიჩნევა ის ნეგატიური მედია კამპანიები რომლებიც 2000-იანი წლებიდან გააქტიურდა დასავლური დონორების მხარდაჭერით მომუშავე ორგანიზაციებთან მიმართებაში (ნოდია გ., მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა; „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში-მიღწევები და გამოწვევები“, 16) და რომლებიც კვლავ ასაზრდოებენ დისტანციასა თუ უნდობლობას, რაც საზოგადოებასა და სსო-ს შორის ჯერ კიდევ არსებობს. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორის სრული სურათის დასანახად აუცილებელია გავითვალისწინოთ უკანასკნელი პერიოდში გააქტიურებული სამოქალაქო ორგანიზაციების სპექტრი

„სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია“ ნებისმიერი ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზაციაა, რომელიც არ შედის მთავრობის აპარატის შემადგენლობაში, არ ახდენს მოგების განაწილებას ორგანიზაციის დირექტორებსა თუ თანამშრომლებზე, არის თვითმართვადი და ორგანიზაციის წევრობა თავისუფალი არჩევანია.... მასში შემაჯავალ არაფორმალურ, არარეგისტრირებულ ჯგუფებსა და მოძრაობებს უნდა ჰქონდეთ სამოქმედო სტრუქტურა და უწყვეტობა, რაც განასხვავებს მათ ერთჯერადი შეკრებებისაგან და პირადი ან ოჯახური ურთიერთობებისგან<sup>1</sup>.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ადგილობრივმა სამოქალაქო სექტორმა არაერთხელ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის კუთხით. ისინი აქტიურად არიან ჩართული დემოკრატიულ პროცესებში; დიდია მათი წვლილი დემოკრატიული ღირებულებების ინიცირებისა და გაძლიერების საქმეში, მათ შორის პრობლემურ საკითხებზე ფართო პროფილური მუშაობის, ასევე, ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციისა და დიალოგის მიმართულებით.

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარებას გარკვეული ბარიერები აფერხებენ; ესენია: ორგანიზაციული თუ ფინანსური არამდგრადობა, ადამიანური რესურსების ნაკლებობა, საზოგადოებრივი ინტერესების სუსტი ადვოკატირება და სხვ. სამოქალაქო სექტორის ზოგადი მდგომარეობისა და მდგრადობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს USAID-ის სსო-

---

და ანალიზი გაკეთდეს ფართო პერსპექტივიდან, რადგან ეს უფრო ზუსტად ასახავს სახელმწიფო აპარატისგან დამოუკიდებლად არსებულ მრავალფეროვან ინიციატივებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და პროფესიულ კავშირებს, რომლებსაც სამოქალაქო ინცი-

<sup>1</sup> არამომგებიანი სფეროს სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, ტომი 8, ნომერი 1, 2005 წლის ნოემბერი.

ის მდგრადობის ინდექსი წარმოადგენს,<sup>1</sup> რომელიც, ყოველწლიურად შვიდ ინდიკატორზე დაყრდნობით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის რეგიონის 24 ქვეყნისთვის მუშავდება<sup>2</sup>. აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს განზოგადებულ სურათს, სადაც იკითხება სამოქალაქო ორგანიზაციების სექტორის ძირითადი გამოწვევები, საჭიროებები და მიღწევები ერთწლიან მონაკვეთში. სწორედ უკანასკნელი ათი წლის ანგარიშების ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების ვექტორები<sup>3</sup>.

**სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყაროები და გამჭვირვალობა.** საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ფინანსური არამდგრადობა ერთ-ერთ უმთავრესი და საჭირობო საკითხია, რომლის უარყოფითი ზეგავლენა განსაკუთრებით მწვავედ რეგიონებში მოქმედ ორგანიზაციებ-

---

<sup>1</sup> სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსი ემყარება შვიდ ძირითად მახასიათებელს, რომელიც ყოველწლიურ დინამიკაში ასახავს იმ მიღწევებსა და უკუსვლას, რომელიც სამოქალაქო სექტორს ახასიათებდა. ეს მახასიათებლებია: საკანონმდებლო გარემო, ორგანიზაციული შესაძლებლობები, ფინანსური მდგრადობა, ადვოკატირება, სერვისის შეთავაზება, სექტორული ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი აღქმა. თითოეული მახასიათებლის შეფასება ხდება შვიდეულიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის მდგრადობის ყველაზე მაღალი დონე, ხოლო 7, ყველაზე სუსტი და ხელისშემშლელი გარემო სსო სექტორისათვის.

<sup>2</sup> USAID სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსის 2019 წლის ანგარიშში წარმოდგენილი 24 ქვეყნიდან საქართველო მე-19/20 პოზიციაზე იკავებს (სსო-სთვის მდგრადობის კუთხით საქართველოსთან შედარებით უფრო არახელსაყრელი გარემო მხოლოდ შემდეგი ქვეყნებშია: ევრაზიის სექტორიდან - ბელარუსი, რუსეთი, და აზერბაიჯანი, ხოლო სამხრეთ ევროპის სექტორიდან - სერბეთი).

<sup>3</sup> სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსის სრული კვლევითი და სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე - [csosi.org](http://csosi.org)

ზე აისახება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყაროები, ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე, ფუნდამენტურად არ გადახალისებულა და ისინი კვლავ საერთაშორისო დონორები და მათი ადგილობრივად მოქმედი წარმომადგენლობები არიან.

საყურადღებოა აზიის განვითარების ბანკის 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიში<sup>1</sup>, რომლის მიხედვით სსო-ების დაფინანსების 95%-მდე საერთაშორისო დონორებსა და განვითარების პროგრამებზე მოდის, რაც ძირითადად ევროკავშირის და აშშ-ის ფონდებს მოიცავს. ამავე ანგარიშში ხაზგასმულია რეგიონებში არსებული სსო-ების განსაკუთრებით რთული მდგომარეობა, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა საშუალოდ ორი პროექტის განხორციელებით შემოიფარგლება. აღნიშნული პრობლემა სამოქალაქო სექტორის დღის წესრიგში მეტნაკლები სიმწვავეით ოცდაათი წელია არსებობს, რასაც ადასტურებს USAID-ის მდგრადობის ინდექსის მონაცემების ანალიზიც. 2019 წლის მონაცემების მიხედვით, შესწავლილ ოცდაოთხ ქვეყანას შორის, საქართველო 21/22-ე პოზიციას იკავებს ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ერთად<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიური ანგარიში სსო-ის სექტორის შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://www.adb.org/publications/series/civil-society-briefs>

<sup>2</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წელს ფინანსური მდგრადობის ინდექსი გაუმჯობესდა აზერბაიჯანში, მოლდოვაში, რუსეთსა და უკრაინაში, თუმცა ამ მხრივ წინსვლა არ დაფიქსირებულა ადგილობრივ დონეზე. დაფინანსების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ანგარიშის მიხედვით იმ ქვეყნებში სადაც სექტორის ფინანსური მდგრადობა გამყარდა დიდი როლი შეასრულა საგადასახადო მექანიზმების გააქტიურებამ, რომელიც ფიზიკურ პირებს აძლევს საშუალებას საკუთარი გადასახადების გარკვეული ნაწილი მიმართონ (ინდივიდუალური გადასახადების გადასახადების 0,5-2 პროცენტამდე) მათთვის სასურველი სამოქალაქო ორგანიზაციებისაკენ. ანგარიშის მიხედვით 2019 წელს აღნიშნული მექანიზმების გამოყენება

რეგიონებსა და თბილისში არსებულ ორგანიზაციებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა და უკანასკნელი წლების საერთაშორისო ანგარიშების ანალიზმა გამოკვეთა ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც სამოქალაქო სექტორში მომუშავე ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობას აფერხებს. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელდება სამოქალაქო ორგანიზაციების საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებზე ფინანსური დამოკიდებულების მაღალი კოეფიციენტი. ერთი მხრივ, ამ ვითარების ფუნდამენტურად შეცვლის ინიციატივას არ იჩენენ სახელმწიფო უწყებები, ხოლო, მეორე მხრივ, არ არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციაზე ორიენტირებული ერთობლივი ადვოკატირების შედეგად კამპანია თუ სამოქმედო გეგმა.

სსო-ების ფინანსურ მდგრადობაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს ფილანთროპიის კანონმდებლობის და ფინანსური რესურსების მოძიების (ფანდრაიზინგი) მექანიზმების არარსებობა, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე, რაც საშუალებას მისცემდა სამოქალაქო სექტორს უფრო აქტიურად ჩაერთო ფართო საზოგადოება (და მათი ინტერესები) ორგანიზაციული საქმიანობის მდგრადობის მისაღწევად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ წლებში ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს კერძო ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა, თუმცა, იგი ძირითადად მოიცავს ქველმოქმედებას, განათლებას, გარემოს დაცვას და სხვა, ე.წ. არაკონტროლერსიულ თემებს. მზარდი დინამიკის მიუხედავად, ბიზნეს სექტორის დაინტერესების საკანონმდებლო მექანიზმები არ არსებობს, რის გამოც, ალტერნატიული დაფინანსების, ამ მეტად

---

განსაკუთრებით მაღალი იყო ევროპის ცენტრალურ და სამხრეთ სექტორის ქვეყნებში.

მნიშვნელოვანი წყაროს, სრულფასოვანი ამოქმედება და ათვისება ჯერჯერობით კვლავ ლიმიტირებულია<sup>1</sup>.

სამოქალაქო სექტორისთვის ფინანსებზე წვდომის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით რეგიონში არსებული ორგანიზაციების მდგრადობაზე აისახება, რაც მათ გრძელვადიან სამოქმედო ხედვასა და სტრატეგიის განვითარებას აფერხებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სსო-ების ფინანსური უზრუნველყოფის ძირითად წყაროს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საგრანტო მხარდაჭერა წარმოადგენს<sup>2</sup>, რასაც თან სდევს ის რისკები, რაც ამ დაფინანსების შემცირებასა თუ შეწყვეტას შეიძლება მოჰყვეს; ყოველივე ეს კი იწვევს მთლიანი სექტორის სიმყიფესა და არამდგრადობას. ხოლო სამოქალაქო ორგანიზაციის სექტორის არამდგრადობა უშუალო კორელაციაშია მის საზოგადოებრივ აღქმასთან, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ეფექტური მოქმედების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი ნდობის ხარისხთან და სექტორისადმი დამოკიდებულებასთან, რაც ბოლო სამი წელია

---

<sup>1</sup> ADB, იქვე, გვ. 7.

<sup>2</sup> არსებობს სამოქალაქო სექტორის სახელმწიფო დაფინანსების გარკვეული პრაქტიკა, რომელიც მიმართულია იმ აიიპ-ების მიმართ, რომლებიც სოციალურ სერვისებს, კულტურულ აქტივობებს ახორციელებენ. 2013—2017 წლებში სამმა სამინისტრომ და ოთხმა სამთავრობო სააგენტომ გასცა გრანტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ჯამში 10 381 796.42 აშშ დოლარის ოდენობით. ეს სამინისტროები იყვნენ - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. უშუალოდ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო აპარატის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების მიხედვით გაცემული საგრანტო თანხების ინფორმაცია განცალკევებულად არის კვლევაში წარმოდგენილი.

ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება. სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ ნდობის შესუსტებასა და მზარდ უარყოფითი დამოკიდებულებაზე ერთმნიშვნელოვნად მოქმედებს სამთავრობო უწყებების, საზოგადოების და კერძო სექტორის დამოკიდებულება. ნდობის გაუარესება და უარყოფითი დამოკიდებულების სიჭარბე სსო-ების მიმართ ამცირებს მათი მოქმედების ეფექტიანობას და ზოგადად უარყოფითად აისახება საზოგადოებას, სსო-ებსა და სამთავრობო თუ კერძო სტრუქტურებს შორის არსებულ ურთიერთსარგებლიანობასა და ჯანსაღ ურთიერთთანამშრომლობაზე<sup>1</sup>.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 2018 წელს „CRRC – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომლის მიხედვით დამოკითხულთა 28% ენდობოდა სსო-ებს, 18 % — არ ენდობოდა, ხოლო 37% — ნაწილობრივ ენდობოდა, ნაწილობრივ არა<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების მიმართ ნდობის დონე შედარებით დაბალია, ნდობის ხარისხი მაინც მზარდი დინამიკით ხასიათდება: 2011 წლის ანგარიშის მიხედვით რესპოდენტთა 18% ენდობოდა სამოქალაქო ორგანიზაციებს,

---

<sup>1</sup> USAID-ის სამოქალაქო სექტორის დამოკიდებულების ინდიკატორი ეყრდნობა ხუთ ქვეინდიკატორს, რომლის მიხედვითაც დგება სსო-ების ალქმის ინდექსი. ეს ინდიკატორები მოიცავს როგორც შიდა ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა ორგანიზაციების მხრიდან: ა) თვითრეგულაცია - სსო-ის ქმედებები ღიაობისა და ანგარიშვალდებულებების გაძლიერების მიმართულებით ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობა (გ) - დადებითი ორგანიზაციული ალქმისა გაძლიერება და ინფორმირება აქტივობებთან დაკავშირებით. ასევე გარე კომუნიკაციურ ფაქტორებს: დ) მედია გაშუქება - როგორ შუქდებოდა სსო-ს აქტივობები მედია საშუალებების მეშვეობით. ე) საზოგადოებრივი ალქმა - სსო-ის რეპუტაცია და ალქმა ფართო საზოგადოებაში. ვ) სსო-ის ალქმა და რეპუტაცია მთავრობისა და ბიზნესის პერსპექტივიდან.

<sup>2</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, „პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტი-ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესება“, 2019, გვ. 28.



ხოლო 23 % მათ აბსოლუტურად არ ენდობოდა<sup>1</sup>. ნდობის გაღრმავებაზე ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს, თუ რამდენად შეესაბამება სსო-ების მიერ განუული სამუშაო საზოგადოების მოლოდინს; NDI-ს მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მხოლოდ 27% მიიჩნევს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები მუშაობდნენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც 2015 წლის მონაცემებით 24% იყო.

ფაქტობრივად, სსო-ებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ ორგანიზაციული და ფინანსური არამდგრადობა რჩება; ამას კი ფონად გასდევს ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აღქმის ინდექსის გაუარესება<sup>2</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ნდობის ზრდის ტენდენცია. მთლიანობაში, სამოქალაქო სექტორმა 2018-2020 წლებში გააძლიერა მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება და აქტიურობდა უმცირესობების დისკრიმინაციის, ადამიანთა უფლებების, მედიის თავისუფლების, ოჯახური ძალადობისა და სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი თემატიკის მიმართულებით. ამასთანავე, აღსანიშნავია სსო-ების და სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის პრაქტიკა, რომელიც არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მიმდინარეობდა.

---

<sup>1</sup> საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC); „2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ“, 2014.

<sup>2</sup> საზოგადოებრივი ნდობის ზრდის მოუხედავად სამოქალაქო სექტორის დამოკიდებულების ინდიკატორის გაუარესება USAID-ის 2019 ანგარიშის მიხედვით განპირობებული იყო იმ უარყოფითი მედია და სოცმედია კამპანიებითა და პოლიტიკური წრის წარმომადგენლების განცხადებებით, რომლებიც სამოქალაქო ორგანიზაციებს ნეგატიურ კონტექსტში და მიკერძოებულობაში სდებდა ბრალს. ასევე სსო-ის გარკვეული სეგმენტის მიმართ უარყოფითი განწყობებს ღიად გამოხატავდნენ სხვადასხვა ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები, რომლებსაც მხარს უბამდნენ მიზანმიმართული და ანონიმური დეზინფორმაციული კამპანიებიც.

**სსო ორგანიზაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობა.** სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობა დემოკრატიის ერთ-ერთი მახასიათებელია. ეს მეტყველებს დიალოგის შესაძლებლობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ინტერესთა ჯგუფების ფართო ჩართულობას საჯარო პოლიტიკის ფორმირების და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მიმდინარე კვლევამ გამოავლინა თანამშრომლობის შესაძლო ფორმატები (საკოორდინაციო, საგანმანათლებლო, ადვოკატირების, კვლევის თუ აღსრულების მიმართულებით), რომელიც ხელშეწყობას საქიროებს.

სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაასახელეს რიგი უპირატესობა, რისი გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სამთავრობო სტრუქტურებისათვის ამგვარი თანამშრომლობის ეფექტიანობის ასაძლევად; აქცენტი კეთდებოდა თემთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორგანიზაციებზე. პირველ რიგში, ამ ორგანიზაციებს აქვთ პრობლემებისა და საქიროებების ცოდნა და ახლო პერსპექტივიდან მათი დანახვის უნარი; თემის წარმომადგენლების ნდობა და მრავალგვარი სამოქმედო ინსტრუმენტი. შესაბამისად, სამთავრობო სტრუქტურებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ამ ტიპის რესურსებზე წვდომა, რამაც უნდა უზრუნველყოს დიალოგის მეშვეობით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ასევე დაასახელეს ასევე ის ფაქტორები, რაც სამთავრობო უწყებების უპირატესობას წარმოადგენს, მათ შორის, მოქმედების უფრო სტაბილური და ფართო არეალი. სამთავრობო სტრუქტურებს ხელი მიუწვდებათ, როგორც ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებზე, ასევე აქვთ უწყებათაშორისი მოქმედების ლეგიტიმაცია, რაც კომპლექსური პრობლემების მოგვარების მნიშვნელოვან წინაპირობად სახელდება.

საყურადღებოა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში — სამოქალაქო

საზოგადოების საარსებო გარემო საქართველოში, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ფართოვდება სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის პრაქტიკა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და სტრუქტურებში, რაც, წინა წლებთან შედარებით, თანამშრომლობის და ღიაობის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს თანამშრომლობის ერთიანი სტანდარტიზირებული პრინციპები და იგი დამოკიდებულია სახელმწიფო უწყების პოლიტიკაზე, მაინც არსებობს ამგვარი თანამშრომლობის არაერთი წარმატებული მაგალითი, რომელიც ამ მექანიზმის მნიშვნელობას დადებითად წარმოაჩენს. ამავე ანგარიშზე თანდართული გამოკითხვის მონაცემებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სსო-ების 63%-მა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის საკონსულტაციო ფორმატში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმიანობაში ჩართული სსო-ების 47% აცხადებს, რომ თანამშრომლობა იყო შედეგიანი და მოხდა მათი რეკომენდაციების, მოსაზრებების თუ პოზიციების გათვალისწინება სახელმწიფო უწყებების მიერ. თუმცა, გამოკითხული სსო-ების ნაწილისთვის საკონსულტაციო ორგანოებსა თუ საბჭოებში მონაწილეობა მხოლოდ ფორმალურადაა იყო, რასაც კანონი ავალდებულებს ამა თუ იმ სამთავრობო უწყებას<sup>1</sup>. შესაბამისად, კვლავ გამონევეად რჩება თანამშრომლობის ეფექტური პრინციპებისა და ფორმატების შემუშავება, რაც ფორმალურ ჩართულობას ქმედით ინსტრუმენტად გადააქცევს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც სამოქალაქო სექტორისა და სამთავრობო უწყებების თანამშრომლობის ხარისხზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია, არის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია პირველადი სახით შემუშავდა 2014 წელს, რომელიც დაეფუძნა 2013 წელს საქართველოს პარლამენტსა და 145-მდე სსო-ს შორის გაფორმებულ მემორანდუმს. 2018 წელს მოხდა აღნიშნული დოკუმენტის პარ-

---


<sup>1</sup> სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი 2019, გვ. 71, 75.

ლამენტში ინიცირება, თუმცა უშედეგოდ; 2020 წლის ივნისში კი მისი ხელახალი ინიცირება განხორციელდა. აღნიშნული კონცეფციის მიღება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერის მიმართულებით და შესაძლებელს გახდის მათ უფრო აქტიურ ჩართვას არაერთი საჭირობო პრობლემის მოგვარებაში.

## **§ II. საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების საკითხებში**

სსო-ების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული და სათემო ორგანიზაციების გაძლიერებისთვის. სამოქალაქო ორგანიზაციები 2005 წლამდე წარმოადგენდნენ ძირითად მამოძრავებელი ძალას, რომლებიც სისტემურად მუშაობდნენ არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე, თუმცა მათი საქმიანობა არ მოიცავდა არც პრობლემებისა და არც რეგიონების სრულ სპექტრს. სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობით, რეალური წინსვლა ამ მიმართულებით 2005-2006 წლებიდან შეინიშნება, როდესაც საქართველოს პარლამენტმა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა (2005 წ. 13 ოქტომბერი); ამას მოჰყვა სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება, რომლებმაც პასუხისმგებლობა აიღეს სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის განხორციელებაზე. შედეგად, ჩამოყალიბდა ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობისა და მართვის ინსტიტუციონალური მექანიზმები. კერძოდ,

2009 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია<sup>1</sup> რომლის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა სამოქმედო გეგმა 2009 — 2014 წლების პერიოდებისათვის.



2015 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და მიზნად

<sup>1</sup> ეროვნული კონცეფცია უმცირესობათა დაცვის ევროპულ ჩარჩო კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციას ეფუძნება შემდეგი მიმართულებებს და მოიცავს: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ისახავს: „სამოქალაქო თანასწორობის უზრუნველყოფას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდას/გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაზრდას, მათი კულტურის მხარდაჭერას, ასევე ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას.“ სტრატეგია ასევე ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს ხელმოწერილ ხელშეკრულებას ასოცირების შესახებ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დემოკრატიული რეფორმების გატარება, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელშიც წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი საჯარო უწყება, რომელსაც დაეკისრა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების შესრულება. კომისია წარმოადგენს ანგარიშებსა და საჭირო რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე განიხილავს წინადადებებს სამოქმედო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო, რომელიც 2005 წელს დაარსდა. მისი თავდაპირველი დანიშნულება სახელმწიფო უწყებებთან მუშაობა და ჩარჩო კონვენციის შესრულების მონიტორინგი იყო. საბჭომ ასევე იკისრა ხიდის ფუნქცია ეთნიკურ უმცირესობებსა და ხელისუფლებას შორის კონსულტაციებისა და დიალოგის წახალისების მიმართულებით. ამის გარდა, ეთნიკური უმცირესობების საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეთნიკურ უმცირე-

სობებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

მინისტრის აპარატის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სამთავრობო უწყებებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლობის შესახებ. 2015 — 2019 წლებში ის მოიცავდა სხვადასხვა სახის აქტივობებს — ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ტრენინგებს, დისკუსიებს და ა.შ., რომლებშიც ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან. თემატური საკითხები კი ძირითად ეხებოდა — ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიების ორგანიზებას, ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის განხილვას, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ეთნიკური უმცირესობების კულტურის ნახალისებას და სხვა.

ამასთანავე, ანგარიშში მოცემულია საგრანტო მექანიზმით დაფინანსებული სამოქალაქო ორგანიზაციების სტატისტი-

---

<sup>1</sup> 2007 წლიდან ეროვნული უმცირესობების საბჭომ მიიღო ისეთი ფორმა, რომელიც იყო საკონსულტაციო ორგანო არა მხოლოდ ეთნიკური ჯგუფებისთვის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის, არამედ უკვე სახელმწიფო უწყებებისთვის, რადგან არსებობდა მოთხოვნა ინფორმაციაზე, თუ კონკრეტულად რა გამოწვევები ჰქონდათ ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებს და რა ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო ამ კუთხით სხვადასხვა უწყებების მხრიდან. ეთნიკური უმცირესობების საბჭომ რეკომენდაციების პირველი პაკეტი 2006 წელს შეიმუშავა და ამ რეკომენდაციებმა ასახვა ჰპოვა ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში. ასევე ეთნიკური უმცირესობათა საბჭომ 2014 წლის დეკემბერში წარადგინა ალტერნატიული მონიტორინგის შედეგები „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების შეფასების შესახებ.

კა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ იყო ინიცირებული და ითვალისწინებდა მცირე გრანტების გაცემას არჩევნების მნიშვნელობის წარმოჩენის, საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით, რაც უკანასკნელ ხუთწლიან პერიოდში მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა. ცხრილში წარმოდგენილია დაფინანსებული პროექტების და დაფინანსების მთლიანი ოდენობა წლების მიხედვით:

<b>წელი</b>	<b>დაფინანსებული პროექტები</b>	<b>დაფინანსების მოცულობა (ლარებში)</b>
2019	8	236 790
2018	10	219 062
2017	8	181 568
2016	8	227 167
2015	6	105 291
<b>ჯამი</b>	<b>40</b>	<b>969 878</b>

რაც შეეხება სამოქალაქო სექტორის დინამიკას, მიუხედავად იმისა რომ დღეს მათი რაოდენობა გაზრდილია, კვლევით ეტაპზე ჩატარებულმა ინტერვიუებმა ნათელი გახადა, რომ წინა წლებთან შედარებით, 2014-2018 წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა სამოქალაქო სექტორის აქტივობის შესუსტების ტენდენცია, განსაკუთრებით კი რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან. თუმცა 2019-2020 წლებში კვლავ ხდება ახალი ინიციატივების და აქტორების გამოჩენა, რომლებსაც სამოქალაქო სექტორის დინამიკის გაძლიერების პოტენციალი აქვთ.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ორგანიზაციების მდგრადობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ეს არის საერთაშორისო დონორების მხრიდან საქართველოს „ამოღება პრიორიტეტული სიიდან“, საქართველოში არსებული ეთნიკური და



რელიგიური უმცირესობების მიმართ შემცირებული ინტერესი და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე (ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა) აქცენტირება. ამის გამომწვევი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე ითვლებოდა ერთ-ერთ წარმატებულ მოდელად, რომელმაც ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის საკითხებში გარკვეულ წინსვლას მიაღწია, თუმცა, რეალური სურათი განსხვავებულია და დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მიმართულებით ქმედითი ნაბიჯია გადადგმული, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორის წინაშე მაინც ბევრი პრობლემა დგას.

საერთაშორისო დონორების მხრიდან ყურადღების შესუსტებამ გამოაჩინა რიგი პრობლემა – რეგიონებში არსებული არასამთავრობო სექტორი ისეთი აქტიური აღარ არის და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2010 წლების პერიოდში აქტიურად მუშაობდა, დღეს უკვე ფიქტიურად არსებობს.

ძირითად მიზეზად დასახელებული დამფინანსებლების სიმცირის გარდა, რესპონდენტები ასევე ხაზს უსვამენ, რომ არსებული დონორები უპირატესობას გამოცდილ ორგანიზაციებთან ურთიერთობას ანიჭებენ, რაც შესაბამისად, აფერხებს ამ სფეროში ახალი ორგანიზაციებისა და ინიციატივების გააქტიურებას. ამ პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, ეთნიკური უმცირესობების საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაცია მდგომარეობს დონორების მხრიდან შემდეგი მექანიზმის ამოქმედებაში: დაფინანსების მიღების შემთხვევაში გამოცდილ ორგანიზაციებს დაეკისრათ ვალდებულება, პარტნიორად მიიწვიონ რეგიონული ორგანიზაციები. შედეგად მოხდება ახალბედა ორგანიზაციის მიერ გამოცდილების დაგროვება და ფინანსური მდგრადობის საფუძვლის გაჩენა, რაც რეგიონებში არასამთავრობო სექტორის მოძლიერების და გააქტიურების პირდაპირ-პროპორციული იქნება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგიონში არსებულ ორგანიზაციებს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მჭიდრო

კავშირი აქვთ ადგილობრივ თემებთან და, შესაბამისად, სიღრმისეულად იციან მათი საჭიროებები. სათემო ორგანიზაციები ხშირად წარმოაჩენენ მათ სამოქმედო რეგიონებში არსებულ გამოწვევებს. თუმცა, სათემო ორგანიზაციების უმეტესობა ამ მხრივ საკმარისად არ არის მომზადებული და სათანადო კონსულტაციას ვერ უწევს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს<sup>1</sup>. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ რეგიონში მოქმედ ორგანიზაციებს, დედაქალაქთან შედარებით, გაცილებით უფრო რთულ გარემოში უწევთ საქმიანობა. თბილისში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ რეგიონულ ორგანიზაციებს პროექტების მართვის ნაკლები გამოცდილება აქვთ, რაც ხშირად დამატებითი ადამიანური რესურსის მობილიზებას საჭიროებს. რეგიონულ ორგანიზაციებთან შედარებით, დედაქალაქში არსებულ სს ორგანიზაციებს უფრო მარტივად შეუძლიათ მოიზიდონ კვალიფიციური კადრები, თუმცა, ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ, არამდგრადი ფინანსური გარემოებების გამოისობით, ხშირად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, ასეთი კადრების გრძელვადიანი პერიოდით შენარჩუნება პრობლემური ხდება. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობა სუსტად არის ინფორმირებული სათემო ორგანიზაციების როლის და სამოქალაქო ჩართულობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მათ არ აქვთ გაცნობიერებული, თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს თემმა ამგვარი ორგანიზაციების მობილიზების და აქტიური ჩართულობის გზით (კვლევის ფარგლებში მოძიებული და შესწავლილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სია მოცემულია დანართში №1).

არასამთავრობო სექტორთან შეხვედრების შედეგად გამოვლინდა ის პრობლემური სფეროები, რა მიმართულებითაც

---

<sup>1</sup> ეთნოსთაშორისი თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი 2012, 7.

ეს ორგანიზაციები მუშაობენ და ხელს უწყობენ ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციას; მათი საქმიანობა, რომელიც თანხვედრაშია ეროვნული სტრატეგიის მიმართულებებთან, ასევე მაღალი მოქნილობით ხასიათდება და ცდილობს უპასუხოს ეთნიკურ ჯგუფებში არსებულ გამოწვევებს და ლოკალურად მოახდინოს პროაქტიური ქმედებები ამ საკითხების მოსაგვარებლად.

ეთნოსთაშორისი ინტეგრაციული პროცესების საილუსტრაციოდ, რომელშიც სომეხი და აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას, შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისში მოქმედი ერთ-ერთი სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ზრდისკენ, საგანმანათლებლო და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ მიმართულ პროგრამებს ახორციელებს. მათ შორის აღსანიშნავია: ა) ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა, რომლითაც სომეხი და აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ერთობლივად სარგებლობენ; ბ) პროფესიული პროგრამები, რომელიც ემსახურება ეკონომიკური და დასაქმების პრობლემის აღმოფხვრას და, რესპონდენტის ინფორმაციით, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რადგან „საქართველოს ბაზარი საინტერესო ბიზნეს-ველია სომეხი და აზერბაიჯანელი ბიზნეს-სექტორისთვის, შესაბამისად ხდება ეკონომიკური ტიპის თანამშრომლობა მათ შორის.“

თუმცა, ქვემო ქართლში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური წარმომავლობით განპირობებულ ბარიერებს, რაც ბიზნეს საქმიანობაში აისახება: „კონფლიქტებს (იგულისხმება სომხებით და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები) გამოხატული ფორმა არა აქვს, ერთად მუშაობენ და თანამშრომლობენ, თუმცა გარკვეულ ბარიერებს მაინც ქმნიან ერთმანეთთან ურთიერთობაში და ეს თემები განცალკევებულად არსებობენ. მაგალითად, თუ ქართველი ხსნის ბიზნესს, ეს იქ-

ნება ბიზნესი ქართველებისთვის და აზერბაიჯანელები არ შემოვლენ, თუ ვარ ქართველი ვეძებ ქართულ ბიზნესს და ა.შ. ასე რომ სომხებისთვის და ქართველებისთვის მარნეულში ბიზნესის დაწყება გაცილებით რთულია, ვიდრე აზერბაიჯანელისთვის, რადგან ისინი მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ.“

სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მედია საშუალებების როლი, რომლებიც ლოკალური პერსპექტივიდან ამუშევენ იქ არსებული პრობლემატიკის ფართო სპექტრს. ერთ-ერთი რადიოს დამფუძნებელი ინტერვიუში ხაზს უსვამს, რომ „უბრალოდ გაშუქება არ არის საკმარისი, მნიშვნელოვანია განათლება, რომ გაიგონ რა უფლებრივი მდგომარეობა აქვთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, იმისათვის რომ მოხდეს ფესვგადგმული შიშების გადალახვა – რომ ეს აღარ იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი სამოქალაქო მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.“ მისივე თქმით აქტიურად ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების თაობების ცვლა და იწყება ეტაპი ახალგაზრდა ორგანიზაციებისა, რომლებიც ცდილობენ ზეგავლენა იქონიონ მუნიციპალიტეტების გადანყვეტილებებზე, მოახდინონ ადვოკატირების კამპანიები და საზოგადოებრივად აქტიუალური პროექტების ინიცირება.

ამ მოსაზრებას ასევე იზიარებს ქვემო ქართლის ერთ-ერთი ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც აცხადებს, რომ: „ბოლო ორი-სამი წლის პერიოდში არის ტენდენცია, როდესაც ახალგაზრდა აზერბაიჯანელები, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, საკუთარ თავზე იღებენ სამოქალაქო აქტივიზმის პასუხისმგებლობას. ახალგაზრდები ბრუნდებიან უკან რეგიონში და ცდილობენ თვითაქტიუალიზაციის გზების ძიებას; მათ შორისაა სამოქალაქო აქტივიზმი, რადგან აქვთ მოტივაცია, რომ შეიცვალოს გარემო და გაუმჯობესდეს ის პირობები, რაც თემს უშუალოდ ეხება.“ აქვე იგი ხაზს უსვამს ამ ახალგაზრდული ორგანიზაციების ზრდისა და განვითარების საჭიროებას, რათა მათ

შედლონ ადვოკატირების ეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება:

განსხვავდება სამოქალაქო აქტივიზმი და ადვოკატირების უფრო კომპლექსური ფორმები – ადვოკატირება დიდ გამოცდილებასა და ექსპერტიზას ითხოვს. ადგილობრივი ორგანიზაციები ადვოკატირების ეფექტურ კამპანიას მაინც ვერ ატარებენ. გამოცდილებასთან ერთად პროექტის სიმყარისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ზურგს უკან იდგეს ძლიერი ორგანიზაცია თუ დონორი“. ამგვარი საერთაშორისო მხარდაჭერის მაგალითია მარნეულის რაიონში დაარსებული მუსიკალური და სახელოვნებო ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად აერთიანებს ახალგაზრდებს ქვემო ქართლიდან, ასევე იწვევს მოხალისეებს და მუსიკოსებს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ფესტივალის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ სოფლებში და მასში თანაბრად არიან ჩართულები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. როგორც ამ ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი მოგვითხრობს, ფესტივალის მიზანი არის საერთო სივრცის შექმნა, სადაც სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური და კულტურული ჯგუფების წარმომადგენლები შეიკრიბებიან და ერთად იმუშავენ მუსიკის და ხელოვნების სფეროში. ერთ-ერთი ორგანიზატორის განცხადებით, ეს არ არის სამშვიდობო (peace-building) ფესტივალი, თუმცა თავისი ადგილმდებარეობითა და ფორმატით ის ასრულებს ხიდის ფუნქციას როგორც ადგილობრივად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, ასევე უშუალოდ აზერბაიჯანსა და სომხეთში მცხოვრებ მუსიკოსებსა და ახალგაზრდებს შორის.

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეულია 2019 წელს დაფუძნებული პლატფორმა „სალამი“. მისი საზოგადოებრივი აქტივობის ერთწლიანი ფაზა, ფართო ასპარეზად იქცა აზერბაიჯანული თე-

მის საჭიროებების და პოლიტიკის ადვოკატურების კუთხით. ამ ინიციატივამ ძალიან მოკლე დროში შეძლო თემის კონსოლიდაცია მათივე საჭიროებების გარშემო და ჩამოაყალიბა ჰორიზონტალური პლატფორმა, რომელიც, როგორც საზოგადოებრივ საქმიანობას, ასევე პოლიტიკის შემუშავებაში გარკვეული ზეგავლენის გაზრდის მცდელობას და აზერბაიჯანელი თემის პოზიციის დაფიქსირებას მოიცავდა. თემის აქტიურმა თანამონაწილეობამ ნათელი გახადა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის პასუხისმგებლობის გაზრდის აუცილებლობა საზოგადოებრივი ჯგუფების წინაშე. სწორედ საზოგადოებრივი მხარდაჭერის შედეგად „სალამმა“ შეძლო გამხდარიყო წარმომადგენლობითი რგოლი არადომინანტური ეთნიკური ჯგუფისთვის და ამით ფაქტობრივად შექმნა ახალგაზრდული სამოქალაქო ორგანიზაციის წარმატებული მოდელი.

მიუხედავად იმისა, რომ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენელთა ინტეგრაციის კუთხით სსო-ების მიერ გარკვეული მუშაობა არის ჩატარებული, მაინც რჩება მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც, რეგიონალური ორგანიზაციების და სამოქალაქო ინტეგრაციაზე მიმართული პლატფორმების გაძლიერების გარეშე, კვლავ გაჭირდება. უშუალოდ რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები მიუთითებენ იმ სტაგნაციაზე, რაც ქვემო ქართლის სამოქალაქო სექტორში არსებობს. განსაკუთრებით მწვავედ დგას იმგვარი ორგანიზაციების დანაკლისი, რომელსაც ექნებოდათ ეთნოსთაშორისი დიალოგის წარმართვის საკმარისი გამოცდილება. ეს ხელს შეუწყობდა ეთნოსთაშორისი პოტენციური კონფლიქტების პრევენციას. აღნიშნული მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიული პროგრამების განვითარებას და ამ მიზნით, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას. მსგავსი სტრატეგიული ხედვის წარმატებული მაგალითია ქართული ენის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამა. ის 2010 წლიდან ხორციელდება და აღიარებულია, როგორც სამოქალაქო

ინტეგრაციის კუთხით წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს უწყობს ეთნოსთაშორის დიალოგის გაძლიერებას.

### **§ III. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – ეთნოსთაშორისი დიალოგის შესაძლებლობა**

ყველაზე მწვავედ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დგას, რასაც თან ერთვის სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მათი ინტეგრაციის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება.

იმ რეგიონებიდან, სადაც ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურად არიან დასახლებულნი, ახალგაზრდებს ყოველთვის უჭირდათ საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების გადალახვა და საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება. როგორც განათლების სფეროში დასაქმებული რესპონდენტი გადმოგვცემს:

„პრაქტიკულად შეუძლებელი იყო არაქართულ სკოლა-დამთავრებულს ჩაებარებინა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში. შესაბამისად, ამას ერთოდა მიგრაციული პროცესები, როდესაც მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდობა მიდიოდა ერევანში ან მოსკოვში, ხოლო ქვემო ქართლის ახალგაზრდობა მიდიოდა ბაქოში, თურქეთში ან მოსკოვში; ის ახალგაზრდები ვინც ტოვებდნენ საქართველოს ხშირად უკან აღარ ბრუნდებოდნენ, ოჯახებიც მიჰყავდათ და იზრდებოდა მიგრაციული პროცესები.“

ზემოთქმულს ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები: თუ 1989 წელს ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 23%-ს შეადგენდა, ეს 2002 წელს 16,2 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2014 წელს 13,2% შეადგინა.


2005 წლიდან სსო-ების ადვოკატირებით და სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, უმაღლესი განათლების მიღების მსურველი, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლებისთვის გარკვეული საშელავათო პროგრამის შემუშავების აუცილებლობის საკითხი დაისვა. შედეგად, სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემის შესამსუბუქებლად 2010 წლიდან ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. 1+4 პროგრამა. ეს ინიციატივა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევდა გამარტივებული წესით მიეღოთ უმაღლესი განათლება, რაც მოიცავდა ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი, 60 კრედიტიანი პროგრამის გავლას; ამის შემდგომ კი, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლეოდა გაეგრძელებინა სწავლა მისთვის სასურველი საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით.

თავდაპირველი ინიციატივა მდგომარეობდა იმაში, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2018 წლამდე უნდა დამთავრებულიყო, თუმცა, გადაწყდა მისი გახანგრძლივება; ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა (რომელიც ხშირად არა პროგრამის, არამედ უფრო საგანმანათლებლო კანონმდებლობითა და კონკრეტული რეგულაციებითაა განპირობებული) 1+4 პროგრამა მაინც ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ენის შესწავლისა და ინტეგრაციის წარმატებული ინიციატივა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებენ ამ პროგრამის მზარდ ტენდენციებს. მაგალითად, თუ ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამაზე 2010 წელს 301-მა აბიტურიენტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება, 2018 წელს მათი რაოდენობა 1210-მდე გაიზარდა. ამ პროგრამის თერთმეტწლიანი არსებობის განმავლობაში ჯამურად 2905 სომეხი და 6445 აზერბაიჯანელი სტუდენტი ჩაირიცხა უმაღლესი განათლების საფეხურზე



ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამაზე, რომელთა შორის საგრანტო დაფინანსება მიიღო 1050-მა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა და 1050-მა ეთნიკურად სომეხმა სტუდენტმა.



ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად უნდა დაწყებულიყო ძირეული ცვლილებები, სახელმწიფო ენის სწავლების გასაუმჯობესებლადაც, მას უნდა მოეცვა სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების ყველა საფეხური, რადგან, როგორც თვითონ პროგრამის ავტორები ადასტურებენ, მხოლოდ ერთნობიანი მომზადება უნივერსიტეტის დონეზე ხშირად საკმარისი არ არის ენობრივი კომპეტენციების გასავითარებლად, რომელიც დააკმაყოფილებს საბაკალავრო დონეზე სრულფასოვანი სწავლებისთვის საჭირო მოთხოვნებს. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა გარკვეულწილად მხოლოდ საფეხური, მთლიანი სისტემის დამხმარე კომპონენტი იყო და, რა თქმა უნდა, პრობლემას საბოლოოდ ვერ გადაწყვეტდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დანერგილია შერეული სას-

წავლო ჯგუფები სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების-თვის, რაც მათ შორის ურთიერთობის გარკვეული ფორმებით ჩამოყალიბებას ხელს უწყობს. როგორც მოსამზადებელი პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აღნიშნავს, პროგრამის ინიცირებისას იყო გარკვეული სტერეოტიპები და შიშები, რომ შერეულ ჯგუფებს შეიძლება გამოენვია დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე და თავად საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან იყო რეკომენდაცია, რომ ჯგუფები ამგვარად არ და-კომპლექტიებულიყო. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ შერეული ჯგუფები ინტეგრაციის და ენის შესწავლის კუთხით უფრო ეფექტური გამოდგა, ვიდრე მონოეთნიკური ჯგუფები. ამასთანავე, უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს „ახალგაზრდული ცენტრების“ კარგი პრაქტიკა, რომელიც ასრულებს ეთნოსთა-შორისი ურთიერთობების გაღრმავების ფუნქციას. ერთ-ერთი ასეთი ცენტრის ინიციატორი აღწერს მის საქმიანობას: „ახალ-გაზრდულ ცენტრში სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები, ქართველ სტუდენტებთან ერთად, ინტეგრაციულ პროცესებში და სხვადასხვა პროექტებში იღებენ მონაწილეობას. მიზანი არის ის, რომ იყვნენ ერთად, დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები. უამრავი პროექტი – შეხვედრები, ტრენინგები, ექსკურსიები, თვითონ მათ მიერ მოფიქრებული ღონისძიებები ხორციელდება. ამ ახალი თაობისთვის რუსული აღარ არის წამყვანი ენა, ინგლისური იმ დონეზე არ იციან და იძულებუ-ლები ხდებიან ქართულად ილაპარაკონ, რაც მათ ბუნებრივ დაახლოებას უწყობს ხელს.“

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის საერთო საგანმანათლებლო სივრცის შექმნა შეძლო, რომელიც მეთერთმეტე აკადემიური წელს ითვლის. ის, რომ ყველა პროგრამაგავლილი ვერ ასრუ-ლებს ბაკალავრიატს, პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ ამის მიზეზი უკვე ენობრივი ბარიერი კი არა, თავად სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, ეს პროგრამა უდა-ვოდ ახერხებს ხიდის გადებას და ეთნოსთა შორის ურთიერ-

თობების წახალისებას. როგორც პროგრამის არაერთმა შეფასებამ ცხადყო, ქართული ენის საკომუნიკაციო ენად გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების ურთიერთ დაახლოების დიალოგისათვის.

ამრიგად 2000-იანი წლებიდან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესების და პოლიტიკის ადვოკატირების კუთხით. სამოქალაქო სექტორის ძალისხმევამ არსებითად შეუწყო ხელი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ინსტიტუციონალიზებული მექანიზმების განვითარებას. 2005 წელს ეთნიკური უმცირესობების ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებას კი მოჰყვა სახელმწიფო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის (2009) და თანმდევი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება (2009-2014 წწ. და 2015-2020 წწ.).

ამ პერიოდში დონორების, სსო-ების და სახელმწიფო უწყებების ყურადღების არეალში ექცევა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები. მრავალი აქტორის ერთობლივ ძალისხმევას მოჰყვა აღნიშნული პრობლემის პრიორიტეტულ რანგში აყვანა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. თუმცა, ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის სირთულეები და თანმდევი შედეგები კვლავ არსებობს და განსაკუთრებული სიმძაფრით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში იჩენს თავს.

კვლევამ წარმოაჩინა რეგიონებში სამოქალაქო სექტორის აქტივობის შესუსტების ტენდენცია, რაც დონორების მხრიდან საგრანტო შესაძლებლობების შემცირების პირდაპირ პროპორციულია. საერთაშორისო დაფინანსების შეზღუდვამ გამოიწვია რეგიონალური სამოქალაქო ორგანიზაციების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კლება. ამის საპირწონედ ვერ ჩამოყალიბდა დაფინანსების დივერსიფიკაციისკენ მიმართული სახელმწიფო მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობდა სამო-

ქალაქო სექტორის განვითარებას. ძლიერი სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბების გზაზე ფინანსური და ორგანიზაციული არამდგრადობა მთავარ წინააღმდეგობად გამოიკვეთა, რაც უშუალო კავშირშია ადამიანური რესურსების ნაკლებობასა და საზოგადოების მხრიდან დაბალ ნდობასთან; ეს ყველაფერი კი სსო-ების საქმიანობის გრძელვადიან და წარმატებულ შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს.

მიუხედავად ამისა, შეინიშნება დადებითი ძვრები ახალგაზრდული ორგანიზაციების, პლატფორმების თუ ინიციატივების გააქტიურების კუთხით. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ (ე. წ. 1+4 პროგრამა), რომლის შემუშავებაში თვალსაჩინო წვლილი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ შეტანილი. ამ პროგრამის ათწლიანი არსებობის პერიოდში ჯამურად 2905 სომეხი და 6445 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა ჩაირიცხა უნივერსიტეტებში, ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამაზე; მათ შორის გრანტი მიიღო 1050-მა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა და 1050-მა ეთნიკურად სომეხმა სტუდენტმა. ამ პროგრამის წარმატებული გამოცდილება ფართოდაა აღიარებული, თუმცა, როგორც საგანმანათლებლო სფეროს სპეციალისტები განმარტავენ, ის წარმოადგენს მხოლოდ ერთ რგოლს ენის შესწავლის ჯაჭვში, რომელიც ეფექტური, თუმცა არასაკმარისი მექანიზმია. მიუხედავად ამისა, სტუდენტებისათვის ეს პროგრამა გახდა სახელმწიფო ენის ცოდნის გაღრმავებისა და სამოქალაქო თუ სათემო პროცესებში აქტიურად ჩაბმის წინაპირობა. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ ქმნის საერთო საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ერთად სწავლობენ.

კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა სამოქალაქო ორგანიზაციები, სათემო გაერთიანებები, მედია თუ კულტურული პლატფორმები, რომლებიც მიკრო დონეზე ახორციელებენ სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივებსა და ღონისძიებებს,

რაც არაპირდაპირი გზებით ემსახურება ეთნოსთაშორისი დიალოგის ინიცირებას და რომელთა მონაწილეები თუ ბენეფიციარები სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არიან. აღნიშნული რეგიონალური ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა მიმართულია ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ, თუმცა აღსანიშნავია მათი არაფორმალური პოლიტიკა, რისი საშუალებითაც ისინი ცდილობენ ეთნოსთაშორისი დიალოგის გაძლიერებას; ამ ძალისხმევას ხშირად პროექტის თუ ფორმალური აქტივობის ფორმა არ გააჩნია და გარკვეულწილად ორგანიზაციის წევრების თუ ინდივიდების სამოქალაქო თვითშეგნებასა და ღირებულებებზეა დამყარებული.

2020 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის სადავო ტერიტორიასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი კვლავ მძაფრად დააყენა დღის წესრიგში. მეზობელ ქვეყნებს შორის საომარმა დაპირისპირებამ ქვემო ქართლში, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში სიტუაციის დაძაბვა გამოიწვია. თუ წინა პერიოდში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ეთნოსებს შორის მრავალწლიანი თანაცხოვრების გამოცდილებაზე და ურთიერთმიმდებლობის მაღალ ხარისხზე მიუთითებდნენ, კონფლიქტის შემდგომი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე მკაფიოდ შეიცვალა და მას გარკვეული რისკები ჩაენაცვლა. მიუხედავად იმისა რომ ქვემო ქართლში სომხურ-აზერბაიჯანული ღია, მწვავე დაპირისპირებების შემთხვევები არ გამოვლენილა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა განწყობები „უხილავი დაძაბულობის“ არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც ამ რეგიონში უდავოდ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამოძახილს წარმოადგენს.

არსებული დაძაბულობის ესკალაციის კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალკვალიფიური სამოქალაქო ორგანიზაციების როლს ეთნოსთაშორისი დიალოგის წარმართვის საქმეში, რაც რეგიონულ თუ სათემო ორგანიზაციებში, იშვია-

თი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ გვხვდება. აღნიშნულ საკითხზე კომპეტენცია, ერთი მხრივ, სახელმწიფო უწყებებსა და პროფილურ სამოქალაქო ორგანიზაციებს აქვთ, რომლის ამოქმედების წინაპირობა ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო დონორების და სახელმწიფო უწყებების ინტერესის გაჩენა უნდა იყოს.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სსო-ების (რომელთა ბენეფიციარები იყვნენ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციაზე ორიენტირებული ორგანიზაციები) სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები ხელს უწყობს სამოქალაქო სექტორის გააქტიურების ჯანსაღ პრაქტიკას, რაც ქვემო ქართლში საზოგადოებრივად აქტიუალური საკითხების და პრობლემების გადაწყვეტას ისახავს მიზნად. აღნიშნული პრაქტიკა იძლევა იმის საფუძველს, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2021-2025) შემუშავების პროცესში მოხდეს აღნიშნული საკითხის გათვალისწინება და ფინანსური თუ აღსრულებითი მექანიზმების განერა შესაბამისი უწყებების კომპეტენციების ფარგლებში.

გაძლიერებულ რეგიონალურ სამოქალაქო სექტორთან ერთად, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება შექმნიდა უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ეთნოსთაშორისი დიალოგის მექანიზმი როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის, ისე სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ქრილში, რაც შეამცირებდა იმ რისკებს, რაც მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გავლენამ შეიძლება იქონიოს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემების კომპლექსური სურათი და გამოწვევებზე პასუხი მრავალასპექტიანია. ის მოიცავს როგორც ფართო საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის, ასევე სახელმწიფო უწყებების და საერთაშორისო დონორების კოორდინირებულ მოქმედებას. გან-

საკუთრებული მნიშვნელობა ეთნოსთაშორისი ურთიერთობებისა და კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკის წარმართვაში სამოქალაქო სექტორს ენიჭება. ასევე მნიშვნელოვანია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის აპარატის ჩართულობა სათემო ორგანიზაციების სამოქალაქო პლატფორმების საჭიროების და შედეგზე ორიენტირებული საჯარო პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით. მიზანმიმართული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება იმ საზოგადოებრივი და სამოქალაქო რისკებისგან თავის დაზღვევა, რისი წინაპირობები და ნიშნები უკვე არსებობს.

### დანართი # 1

<p><b>განხორციელებული მნიშვნელოვანი კვლევები, პროექტები, პუბლიკაცია ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებით (წლები)</b></p>	<p><b>ორგანიზაციის ტიპი (საერთაშორისო, ადგილობრივი, სათემო ორგანიზაცია და ა.შ.)</b></p>	<p><b>ვებ-გვერდი და დამატებითი წყაროები</b></p>
<p><b>ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი</b></p>		
<p>განხორციელებული პროექტები (1) მარგინალიზებული ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებების პირობების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით (2) ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის ხელშეწყობა და უფლებრივი გაძლიერება კვლევის, განათლების, ადვოკატირების და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების მეშვეობით (3) ეთნიკური უმცირესობების პოლიტი-</p>	<p>ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია</p>	<p><a href="https://emc.org.ge">https://emc.org.ge</a></p>

<p>კური მონაწილეობის წახალისება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ეფექტიანი დემოკრატიული მონაწილეობის მექანიზმების დანერგვის ადვოკატირების გზით (4) „ქვემო ქართლსა და პანკისში ადგილობრივი აქტივისტების კრიტიკული პოლიტიკური ცოდნისა და მონაწილეობის მხარდაჭერა“ (5) საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემების ინტეგრაციის, მარგინალიზაციის და რადიკალიზაციის პრობლემებზე რეაგირება (6) რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობა და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერება *ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევებისა და პუბლიკაციების გასაცნობად ეწვიეთ ვებ-გვერდს: <a href="http://emc.org.ge">emc.org.ge</a></p>		
<p><b>აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD – 2017 წლიდან)</b></p>		
<p>განხორციელებული პროექტები: (1) “Strengthening the participation of national minorities in political life of Georgia” (2017) პუბლიკაციები (1) ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში (2017) (2) ინკლუზიური საზოგადოების შენება საქართველოში (3) საარჩევნო სისტემები და ეთნიკური უმცირესობები</p>	<p>საერთაშორისო ორგანიზაცია</p>	<p><a href="https://eecmd.org/georgia/">https://eecmd.org/georgia/</a></p>



<b>აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)</b>		
განხორციელებული პროექტები: (1) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისა და უმცირესობებისთვის (2016) (2) ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა (2016) პუბლიკაციები: (1) ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა (2019) (2) უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით (2017)	საერთაშორისო ორგანიზაცია	<a href="http://ewmi-prolog.org/ka/home/">http://ewmi-prolog.org/ka/home/</a>
<b>აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა</b>		
(1) პოლიტიკის დოკუმენტი – პირველი სამუშაო ჯგუფი: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში (2013)	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="https://eap-csf.ge/">https://eap-csf.ge/</a>
<b>კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი</b>		
განხორციელებული პროექტები: (1) კავკასიის ბარომეტრი 2015 (2) კავკასიის ბარომეტრი 2017 (3) ადგილობრივი თემების უსაფრთხოების ქსელი	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://www.crrc.ge">www.crrc.ge</a>
<b>კოალიცია თანასწორობისთვის</b>		
პუბლიკაციები: (1) დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში – 2019 წლის ანგარიში (2019) (2018) (2017)	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://equalitycoalition.ge/">http://equalitycoalition.ge/</a>

<b>მედის განვითარების ფონდი</b>		
განხორციელებული პროექტები: პროექტის დასახელება: „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაცია“	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://www.mdfige.orgia.ge/">http://www.mdfige.orgia.ge/</a>
<b>მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი</b>		
პუბლიკაციები: (1) პროექტის „ადგილობრივი თემი და ხელისუფლება განვითარებისათვის“ კვლევის ანგარიში (2) ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა ღვანლი საქართველოს ისტორიაში;	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://cipdd.org/">http://cipdd.org/</a>
<b>სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი</b>		
განხორციელებული პროექტები: პროექტის სახელწოდება: სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ინიციატივა ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა.	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="https://cif.org.ge">https://cif.org.ge</a>
<b>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი</b>		
პუბლიკაციები: (1) ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების (2) ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის, 2015	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://www.cciir.ge/">www.cciir.ge/</a>

<p>შესაძლებლობები და პერსპექტივები, 2017 (3) ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით, 2014 (4) ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, 2013 (5) საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი, 2011 (6) რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის, 2008 განხორციელებული პროექტები: (1) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებისათვის ორენოვანი სწავლა-სწავლების დანერგვის საშუალებით (2) საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება (3) ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა (წილA) (4) საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით (4) „განათლების დაფინანსების სისტემა და თანასწორობა საქართველოში (5) „ერთიერთთანამშრომლობა ქვემო ქართლის სამცხე-ჯავახეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებს შორის“</p>		
---	--	--

<b>საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა</b>		
განხორციელებული პროექტები: „უმცირესობების უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით“ (2016)	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="https://www.gdi.ge/ge/">https://www.gdi.ge/ge/</a>
<b>საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი</b>		
პუბლიკაციები: (1) ეთნიკური უმცირესობების გამონვევები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე (2020)	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://gip.ge/ge/">http://gip.ge/ge/</a>
<b>სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი</b>		
პუბლიკაციები: (1) ქრისტიანულ—მუსლიმური დიალოგის კულტურა დიდ ბრიტანეთში; რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია და საქართველო; ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები საქართველოში — მიღწევები და გამონვევები	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://www.tolerantoba.ge/">http://www.tolerantoba.ge/</a>
<b>სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი</b>		
განხორციელებული პროექტები: (1) „საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებში ევროინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება“ (2019-2020)	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="http://css.ge/?lang=ka">http://css.ge/?lang=ka</a>
<b>ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი</b>		
განხორციელებული პროექტები: (1) ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ტრენინგი მარნეულში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების (2) საქართველოში რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა (3)	ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია	<a href="https://tdi.ge/ge">https://tdi.ge/ge</a>

<p>რელიგიური ტოლერანტობისა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა საჯარო სკოლებში (4) მრავალფეროვნების სახეები: ტოლერანტობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის ხელშეწყობა საქართველოში (5) დისკრიმინაციის საკითხების კვლევა და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობა უნივერსიტეტებში (6) საქართველოში რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა წარმომადგენელი ქალებისათვის გენდერულ თანასწორობაზე (7) ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოში</p>		
<b>ქართველ სომეხთა კავშირი</b>		
<p>განხორციელებული პროექტები: (1) კულტურული ინტეგრაცია ეთნიკური ჯგუფებისთვის (2) სერგო ფარაჯანოვის სახელობის კონკურსი და საქართველოს კულტურის სამინისტროს საგრანტო პროექტის ფარგლებში დაფინანსებული „სომხური კულტურა მულტიეთნიკურ საქართველოში“</p>	<p>ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია</p>	<p><a href="https://geoarm.ge/">https://geoarm.ge/</a></p>

## დასკვნა

ქვემო ქართლი ბუნებრივ-გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია და ადამიანის მიერ უძველესი დროიდან იყო ათვისებული. ამ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია თითქმის ყველა პერიოდის არქეოლოგიური არტეფაქტები, რაც რეგიონის მოსახლეობის უწყვეტი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ გვაძლევს წარმოდგენას. ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ეს მხარე, როგორც ქართლის (იბერიის) სამეფოს სასაზღვრო რეგიონი, მოექცა მეზობელ ქვეყნებთან ინტენსიური ურთიერთობის არეალში, ისე რომ, ამ ქართული მხარის ცალკეულ ნაწილებზე ზოგჯერ სხვა ქვეყნების (ძირითადად სომხეთის) პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა. ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივად არასოდეს გაგრძელებულა და დაკარგულ ტერიტორიას ქართული სახელმწიფო მალევე იბრუნებდა. XII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე საბჭოთა პერიოდამდე, ქვემო ქართლი ყოველთვის შედიოდა ქართულ პოლიტიკურ სისტემაში და მიუხედავად ეთნიკური არაერთგვაროვნებისა ქართულ პროვინციას წარმოადგენდა.

როგორც სამხრეთის სასაზღვრო რეგიონი ეს კუთხე უძველესი დროიდან ინტენსიური მიგრაციების არეალში იყო მოქცეული. ეთნიკური ჯგუფი, რომელიც პირველი შემოვიდა აქ იყო სომხური. სომხურ-ქართული ურთიერთობა და საქართველოში სომეხთა შემოსახლება ძირითადად დამოკიდებული იყო კონკრეტულ ისტორიულ პირობებში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა ფაქტორებზე. ამიტომ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო ამ მიგრაციების ინტენსიურობა, მიმართულება და ხასიათი. ძირითად პროცესს განსაზღვრავდა საქართველოს უშუალო მეზობლობა მათ ისტორიულ სამშობლოსთან და აქ არსებული შედარებით სტაბილური ვითარება. ეროვნულ სახელმწიფოს მოკლებული სომეხები საქართველოში გადმოსახლებით თავს აღწევდნენ გარეშე

მტრისაგან მომდინარე საფრთხეს. თავის მხრივ, ქართველი მესვეურები ასეთ მიგრაციებს ვაჭრობა-ხელოსნობის გამოსაცოცხლებლად და გაუკაცრიელებულ მხარეებში მოსახლეობის გასამრავლებლად ხელს უწყობდნენ. XIX საუკუნიდან სომხური მიგრაციების ორგანიზება რუსეთმა ითავა. ცარიზმის ჩინოვნიკების მიერ მართული ეთნოდემოგრაფიული პროცესები აშკარად გამოხატულ ანტიქართულ ხასიათს ატარებდა და ქართული მოსახლეობის დენაციონალიზაციისაკენ იყო მიმართული. არაქართული მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფების ქართულ კუთხეებში კომპაქტური ჩასახლება სწორედ ცარიზმის მოხელეებისაგან იყო დაგეგმილი და რუსული სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობდა.

თურქული წარმოშობის მომთაბარე ტომების დამკვიდრება ძირითადად მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოდან დაიწყო. 1490 წელს, ბერდუჯში (ქართ. ქურდვაჭრის ხევი), მდინარე დებედას ხეობაში, იაყუბ ყაენის ლაშქრობის შემდეგ იწყებენ შემოსვლას ელნი. იაყუბ ყაენს აქ აუშენებია ციხე, ალაჯყალა (თეთრი ციხე). შემდეგში შაჰ აბასმა აქ ჩამოსახლა ბორჩალოს ელი. ელი//ელნი შემდგომში თითქმის ყველა თურქულენოვანი ტომის კრებით სახელად დამკვიდრდა. ბორჩალოს ელის სახელი მოგვიანებით რეგიონის სამხრეთ ნაწილს ეწოდა.

თურქულენოვანი ტომების ინფილტრაცია გაგრძელდა ჩრდილოეთის მიმართულებით და დროთა განმავლობაში ისინი დღევანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.

მომთაბარეები თაბუნებად სახლდებოდნენ. ქვემო ქართლში ისინი თავდაპირველად ჯერ მდინარეების – ქციისა და ალგეთის ხეობებში დასახლდნენ და შემდგომში, ლორეს სახანოს მსგავსად, ქვემო ქართლშიც ბორჩალოს, ბამბაკის, ბაიდარის, შურაგელის სახანოები შექმნეს.

ერეკლე II-ს დროინდელი აღწერის მიხედვით, ქვემო ქართლში სომხური და თურქულენოვანი მოსახლეობის მასობრივად ცხოვრების ფაქტებია დადასტურებული.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები და სომხები თავს მეზობელი ქვეყნის ეთნოსის ნაწილად თვლიან და აქვთ განცდა, რომ ეს მათი ძირძველი ტერიტორიაა და არსაიდან მოსულან, ანუ ავტოქთონები არიან. იმის მოთხოვნა, რომ საკუთარი თავი საზღვარს მიღმა მცხოვრები დიდი ჯგუფის წევრად და ისტორიულ თავგადასავალში თანამონაწილედ მოიაზროს, ინდივიდის დონეზე საკმაოდ რთულია და გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის. ხშირად ხდება მონათესავე ეთნოსის ღირსებათა იდეალიზირება, იქამდეც კი, რომ პოზიტიურად აღიქვას ეთნონაციონალისტური მოწოდებანი. ეს არის ბუნებრივი სოციალური მოთხოვნა. ეს მოთხოვნა იმდენად ძლიერია, რომ გარკვეულ მდგომარეობაში უფლებადარღვეულ ადამიანს აიძულებს არამარტო ნაციონალურ, არამედ ექსტრემისტულ მოწოდებებსაც კი გამოეხმაუროს. პიროვნული განსაზღვრება, რომელშიც ერთდროულად არის მოცემული ინდივიდუალური და სოციალური, განაპირობებს ეთნოცენტრისტული განწყობის გაჩენას.

ქვემო ქართლში სომხები და აზერბაიჯანელები ძირითადად იზოლირებულად ცხოვრობენ და ხასიათდებიან როგორც ფიზიკური, ასევე საინფორმაციო და ფსიქოლოგიური იზოლაციით. ერთი შეხედვით მათ პოზიტიური განწყობები აქვთ ტიტულარული ეთნოსის და ერთმანეთის მიმართ, მაგრამ სხვა ჯგუფის ტრადიციებსა და ადათ-წესებს ნაკლებად იცნობენ, ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ, თუმცა საველე მასალა მოწმობს, რომ მათში თანდათანობით მყარდება შეგნება, რომ ქართული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და სათანადო უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ საქართველოს წინაშე.

სომხურ და აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ მათ მონათესავე დიასპორებს პერსპექტივაში ტერიტორიული პრეტენზიების განხორციელებისას მთავარ დასაყრდენად მიიჩნევენ და ცდილობენ მათი მკვიდრობის ისტორია დააძველონ. აზერბაიჯანელებმა განსაკუთრე-



ბით გააქტიურეს ამ მიმართულებით მუშაობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ყარაბალის კონფლიქტში განცდილი მარცხისა და სომხების მიერ დაკავებული ტერიტორიიდან აზერბაიჯანელთა გამოდევნის შემდეგ. სომხური სამეცნიერო წრეები ტერიტორიულ პრეტენზიებს ტრადიციულად ისტორიული არგუმენტებით ასაბუთებენ. ამის საპირწონედ აზერბაიჯანულმა, სამეცნიერო საზოგადოების ნაწილმა, როგორ ჩანს მიიღო სახელმწიფო დაკვეთა, რათა დააძველონ კავკასიაში თურქული მოდემის ხალხის ისტორია, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, აზერბაიჯანელების და ალბანელების იგივეობის არგუმენტაციით მისაღები გახადონ მოსაზრება, რომ ყარაბალში მაცხოვრებელი სომხები გაარმენებული ალბანელები არიან და ამდენად აზერბაიჯანელებთან საერთო წარმომავლობა აკავშირებთ. ხსენებული მკვლევრები დადგნენ დილემის წინაშე ან უარეყოთ ძველ ალბანელებთან ენობრივი ნათესაობა (რაც უეჭველია), ან ავტოქთონობა (უძველესი მკვიდრობა), პრიორიტეტი ამ მიმართებით მიენიჭა ავტოქთონობას, რაც ალბანელებთან გენეტიკური სიახლოვის კონცეფციას უკავშირდება. როგორც ითქვა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყარაბალის საკითხის „ისტორიული სამართლიანობის“ პრიზმაში გადანყვეტისათვის. აზერბაიჯანული „ალბანური თეორიის“ მიხედვით ყარაბალში ცხოვრობდნენ ალბანელები (აზერბაიჯანელების წინაპრები), შემდეგ კი მოვიდნენ სომხები და გაასომხეს ისინი.

აზერბაიჯანელი რევიზიონისტები ავტოქთონობის სტატუსის დაცვას ცდილობენ საქართველოს ტერიტორიაზეც. ისინი იძულებულნი არიან ყურადღება გაამახვილონ მხოლოდ კულტურულ და გენეტიკურ უწყვეტობაზე, რასაც კავკასიურ რენოვანი ალბანელებიდან და ირანულენოვანი ატროპატენელებიდან იწყებენ და თურქულენოვან აზერბაიჯანელებამდე აგრძელებენ. ერთი მხრივ, ისინი ხაზს უსვამენ დიდ თურქულ პოლიტიკურ მემკვიდრეობას, ხოლო მეორეს მხრივ, მთელი ძალით ცდილობენ გაარღმავონ თურქების ისტორია სამხრეთ კავკასიაში.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ საისტორიო მწერლობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაზე. მათ ნაწილს დღევანდელი საცხოვრებელი ადგილი სომხეთის ტერიტორიად მიაჩნია. სომხურ მოსახლეობაში აღნიშნული შეხედულების ფორმირებას განაპირობებს ის, რომ „ადგილობრივი სეპარატისტების ელიტა და სომხეთიდან ჩამოსული ნაციონალისტები ავრცელებენ „დიდი სომხეთის“ ფალსიფიცირებულ რუკებს, სადაც სომხეთის საზღვარი ერთგან ქ. თბილისამდეა, მეორეგან – ქ. ქუთაისამდე და მესამეგან – ზღვიდან ზღვამდე... ზოგიერთ სომხურ ოჯახში აქვთ ნიგნები, რომლებშიც ახსნილია, თუ რას წარმოადგენს სომხეთი, ვისი მინა იყო და ვის უნდა ეკუთვნოდეს.“ ქვემო ქართლის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციების მუშაობისას გამოიკვეთა, რომ სომხურ მოსახლეობა შედარებით ლოიალურად არის განწყობილი ქართული სახელმწიფოს მიმართ. იშვიათად გვხვდება შეხედულება, რომ ეს რეგიონი სომხეთია. თუმცა მთხრობელთა უმეტესობა ხაზს უსვამს, რომ დღევანდელი ქვემო ქართლი წარსულში სომხეთში შედიოდა, ეს გუგარქია – დიდი სომხეთის ნაწილი.

განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრების პრაქტიკა, სოციალურ-ეკონომიკურის გარდა, კულტურული ხასიათის კავშირურთიერთობებსა და ურთიერთზეგავლენაშიც გამოიხატება. პოლიკულტურულ გარემოში ხდება კულტურათამორისი ურთიერთობების სტრატეგიის გამოუმუშავება, რაც სოციალური დისტანციის შემცირებას ან, პირიქით, გაზრდას განაპირობებს. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ კონიუნქტურას და სახელმწიფოს კულტურულ-საგანმანათლებლო და ეროვნულ პოლიტიკას. იმისათვის რომ ახალ ეთნოეკოსისტემას შეგუებოდნენ, ქვემო ქართლში გადმოსახლებულმა სომხებმა და თურქული მოდგმის ტომებმა, შეითვისეს მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამშენებ-

ლო ტრადიციები, სამუშაო იარაღები, შრომის წარმოების ხერხები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები. ძლიერი მსგავსება შეინიშნება სადღესასწაულო ციკლში, ტრადიციულ სამოსში, ფოლკლორულ გადმოცემებსა და რწმენა-წარმოდგენებში.

სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერთი შეხედვით პოზიტიური განწყობები აქვთ ტიტულარული ეთნოსის და ერთმანეთის მიმართ, თუმცა სხვა ჯგუფის ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ ცოტა რამ იციან; ისინი ერთი რეგიონის შიგნით თანაარსებობენ, მაგრამ ნაკლებად თანამშრომლობენ. ჯგუფებს შორის დიდი სოციალური დისტანცია და ნაკლებად განვითარებული ინტერკულტურული სენსიტიურობა, ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპები განაპირობებს კულტურათაშორის დაპირისპირების მაღალ რისკს, რაც შეიძლება განხილულ იქნას, არა როგორც მხოლოდ კულტურათა დაპირისპირების ან კონკურენციის, არამედ როგორც მათ შორის კომუნიკაციის მოშლის და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პერიოდული გამწვავების შედეგი.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში გარდაუვალი გახდა სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფების ზოგიერთი სეგმენტის (მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციების) ინტერესების თანხვედრა. ამიტომ თანდათანობით ფართოვდება მათი თანამშრომლობის სივრცე და შეიმჩნევა ცალკეულ საკითხებში ურთიერთობის მზარდი ტენდენცია. ზოგჯერ ეს ორგანიზაციები ცდილობენ ეთნიკური ელფერი მიანიჭონ საქართველოს რეგიონებში არსებულ ტიპურ პრობლემებს (სოფლების მოსახლეობისაგან დაცარიელება, სტაგნაცია, გაუცხოება, სოფლის მეურნეობის დაცემა, ინფრასტრუქტურის მოშლა, ინტენსიური მიგრაცია, ენობრივი ბარიერი, საინფორმაციო ვაკუმი, გადაუჭრელი ყოფითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განათლების არასახარბიელო მდგომარეობა); ცხოვრების დაბალ დონეს სახელმწიფოსაგან ყურადღების ნაკლებობით ხსნიან და საზღვარგარეთ ეკონომიკურ მიგრაციას პოლიტიკურ ტაქტიკად მიიჩნევენ. თუმცა, ამასთანავე საველე-

ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ ამ თემების წევრებში თანდათანობით მყარდება შეგნება, რომ ისინი ქართული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და სათანადო უფლებები და მოვალეობები აქვთ.

ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში ბოლო ათწლეულებში რელიგიური ცხოვრების გამოცოცხლება იგრძნობა. საველე ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ ორივე თემის წარმომადგენლები შემწყნარებლურად უყურებენ ერთმანეთის სარწმუნოებას, თუმცა რელიგიას მიიჩნევენ საკუთარი ეთნიკური კუთვნილების უმთავრეს მახასიათებლად.

სომხური და აზერბაიჯანული ჯგუფის წევრები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ისტორიებს ყვებიან მეორე მხარის წარმომადგენელთა ქმედებების შესახებ. პრობლემატიკა, ჩვეულებრივ, ნეგატიური სტერეოტიპებითაა გაჯერებული, ხოლო მონათხრობ ეპიზოდებში ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლები უჩვეულოდ, განსხვავებულად, სახიფათოდ ან არც თუ ისე ნორმალურად იქცევიან. ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მოსახლეობის განწყობებზე მიზანმიმართული ზემოქმედება განხორციელდეს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ამგვარი საქმიანობისას ეფექტურობა იზრდება, როდესაც არსებობს ინფორმაციის მიმღები კონკრეტული სამიზნე ჯგუფი და შედარებით არასტაბილური სიტუაცია. კვლევის შედეგად დადასტურდა რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ფლობენ ზემოქმედების გარკვეულ მექანიზმებს ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებზე.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესების და პოლიტიკის ადვოკატურების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო სექტორი, რომლის ძალისხმევამ არსებითად შეუწყო ხელი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ინსტიტუციონალიზებული მექანიზმების განვითარებას. 2005 წელს, ეთნიკური უმცირესობების ევროპული ჩარ-

ჩო კონვენციის რატიფიცირებას კი მოჰყვა სახელმწიფო შემ-  
წყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონ-  
ცეფციის (2009) და თანმდევი სტრატეგიისა და სამოქმედო  
გეგმების შემუშავება (2009-2014 და 2015 -2020 წწ.).

ამ პერიოდში დონორების, სსო-ების და სახელმწიფო უწყე-  
ბების ყურადღების არეალში ექცევა ეთნიკური უმცირესობების  
სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები. მრავალი აქტორის ერ-  
თობლივ ძალისხმევას მოჰყვა აღნიშნული საკითხის პრიორიტე-  
ტულ რანგში აყვანა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. თუმცა,  
ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ,  
რომ სამოქალაქო ინტეგრაცია და თანმდევი გამოწვევები კვლავ  
არსებობს და განსაკუთრებული სიმძაფრით ეთნიკური უმცირე-  
სობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აღიქმება.

კვლევამ წარმოაჩინა რეგიონებში სამოქალაქო სექტორის  
აქტივობის შესუსტების ტენდენცია – რაც დონორების მხრი-  
დან საგრანტო შესაძლებლობების შემცირების პირდაპირ პრო-  
პორციულია. საერთაშორისო დაფინანსების კლებამ გამოიწვია  
რეგიონალური სამოქალაქო ორგანიზაციების, როგორც რაო-  
დენობრივი, ასევე ხარისხობრივი უკუსვლა. ამის საპირწონედ  
ვერ ჩამოყალიბდა დაფინანსების დივერსიფიკაციისკენ მიმარ-  
თული სახელმწიფო მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობდა  
სამოქალაქო სექტორის განვითარებას. ძლიერი სამოქალაქო  
სექტორის ჩამოყალიბების გზაზე ფინანსური და ორგანიზაცი-  
ული არამდგრადობა მთავარ წინააღმდეგობად გამოიკვეთა,  
რაც უშუალო კავშირშია ადამიანური რესურსების ნაკლებობა-  
სა და საზოგადოების მხრიდან დაბალ ნდობასთან; ეს ყველა-  
ფერი კი სსო-ების გრძელვადიან და წარმატებულ შედეგებზე  
უარყოფითად მოქმედებს.

თუმცა, მიუხედავად ამისა, შეინიშნება დადებითი ძვრები  
ახალგაზრდული ორგანიზაციების, პლატფორმების თუ ინიცია-  
ტივების გააქტიურების კუთხით. რასაც ხელი გარკვეულწილად  
შეუწყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგ-  
რამამ (ე.წ. 1+4 პროგრამა), რომლის შემუშავებაში ასევე დიდი

ნვლილი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ შეტანილი. ამ პროგრამის ათწლიანი არსებობის ფარგლებში ჯამურად 2905 სომეხი და 6445 აზერბაიჯანელი სტუდენტი ჩაირიცხა უნივერსიტეტებში, ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამაზე; მათ შორის გრანტი მიიღო 1050-მა ეთნიკურად აზერბაიჯანელმა და 1050-მა ეთნიკურად სომეხმა სტუდენტმა. ამ პროგრამის წარმატებული გამოცდილება ფართოდაა აღიარებული, თუმცა, როგორც საგანმანათლებლო სფეროს სპეციალისტები განმარტავენ, ის წარმოადგენს მხოლოდ ერთ რგოლს ენის შესწავლის ჯაჭვში, რომელიც ეფექტური, თუმცა არასაკმარისი მექანიზმია. მიუხედავად ამისა, სტუდენტებისათვის ეს პროგრამა გახდა სახელმწიფო ენის ცოდნის გაღრმავებისა და სამოქალაქო თუ სათემო პროცესებში აქტიურად ჩაბმის წინაპირობა. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ ქმნის საერთო საგანმანათლებლო სივრცეს სადაც ეთნიკური სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ერთობლივ სწავლებას გადიან.

კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა სამოქალაქო ორგანიზაციები, სათემო გაერთიანებები, მედია თუ კულტურული პლატფორმები, რომლებიც მიკრო დონეზე ახორციელებენ სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივებსა და ღონისძიებებს, რაც არაპირდაპირი გზებით ემსახურება ეთნოსთაშორისი დიალოგის ინიცირებას და რომელთა მონაწილეები, თუ ბენეფიციარები სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არიან. აღნიშნული რეგიონალური ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა მიმართულია ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ, თუმცა აღსანიშნავია მათი არაფორმალური პოლიტიკა, რისი საშუალებითაც ისინი ცდილობენ ეთნოსთაშორისი დიალოგის გაძლიერებას; რასაც ხშირად პროექტის თუ ფორმალური აქტივობის ფორმა არ გააჩნია და გარკვეულწილად ორგანიზაციის წევრების თუ ინდივიდების სამოქალაქო თვითშეგნებასა და ღირებულებებზეა დამყარებული.

2020 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის სადავო ტერიტორიასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი კვლავ მძაფრად დააყენა დღის წესრიგში. მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტმა ქვემო ქართლში, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში სიტუაციის დაძაბვა გამოიწვია. თუ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიუთითებენ ეთნოსებს შორის მრავალწლიანი თანაცხოვრების გამოცდილებაზე და ურთიერთმიმდებლობის მაღალ ხარისხზე, კონფლიქტის შემდგომი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე მკაფიოდ შეიცვალა და მას ჩაენაცვლა გარკვეული რისკები. მიუხედავად იმისა რომ არ დასახელებულა ღია კონფლიქტის ან მწვავე დაპირისპირების კონკრეტული მაგალითი ქვემო ქართლში მცხოვრები სომხურ და აზერბაიჯანელ ეთნოსებს შორის, კვლევის პროცესში გამოიკვეთა განწყობები „უხილავი დაძაბულობის“ არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც ამ რეგიონში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამოძახილს წარმოადგენს.

არსებული დაძაბულობის ესკალაციის კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალკვალიფიციური სამოქალაქო ორგანიზაციების როლს ეთნოსთაშორისი დიალოგის წარმართვის საქმეში, რაც რეგიონულ თუ სათემო ორგანიზაციებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ გვხვდება. აღნიშნულ საკითხზე კომპეტენცია, ერთი მხრივ, სახელმწიფო უწყებებსა და პროფილურ სამოქალაქო ორგანიზაციებს გააჩნია, რომლის ამოქმედების წინაპირობა ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო დონორების და სახელმწიფო უწყებების ინტერესის გაჩენა უნდა იყოს.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სსო-ების (რომელთა ბენეფიციარები იყვნენ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციაზე ორიენტირებული ორგანიზაციები) სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები ხელს უწყობს სამოქალაქო სექტორის გააქტიურების ჯანსაღ პრაქტიკას, რაც ქვემო ქართლში საზოგადოებრი-

ვად აქტუალური საკითხების და პრობლემების გადაწყვეტას ისახავს მიზნად. აღნიშნული პრაქტიკა იძლევა იმის საფუძველს რომ მოხდეს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2021-2025 წწ.) შემუშავების პროცესში აღნიშნული საკითხის გათვალისწინება და ფინანსური თუ აღსრულებითი მექანიზმების განერა შესაბამისი უწყებების კომპეტენციების ფარგლებში.

გაძლიერებულ რეგიონალურ სამოქალაქო სექტორთან ერთად, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა შექმნიდა უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ეთნოსთაშორისი დიალოგის მექანიზმი როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის ასევე სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ჩრდილში, რაც შეამცირებდა იმ რისკებს რაც მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკამ შეიძლება იქონიოს ადგილობრივ დონეზე.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კომპლექსური სურათი და გამოწვევებზე პასუხი მრავალ ასპექტიანია, ეს მოიცავს როგორც ფართო საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის, ასევე სახელმწიფო უწყებების და საერთაშორისო დონორების კოორდინირებულ მოქმედებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა სამოქალაქო სექტორს ენიჭება ეთნოსთაშორისი ურთიერთობებისა და კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკის ადვოკატურების კუთხით. ასევე მნიშვნელოვანია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის აპარატის ჩართულობა სათემო ორგანიზაციების სამოქალაქო პლატფორმების საჭიროების და შედეგზე ორიენტირებული საჯარო პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით. მიზანმიმართული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება იმ საზოგადოებრივი და სამოქალაქო რისკებისგან თავის დაზღვევა, რისი წინაპირობები და ნიშნები უკვე არსებობს.



*Lavrenti Janiashvili, Giorgi Mamardashvili,  
Liana Melikishvili, Vakhtang Urushadze*

***THE ISSUE OF INTEGRATION OF ETHNIC GROUPS IN  
KVEMO KARTLI (ARMENIANS AND AZERBAIJANIS)***

**Summary**

The experience of recent decades has shown that multi-ethnicity and multiculturalism are major challenges for independent Georgia on her road towards democratic development. One of the top priorities of Georgia on this path is the protection of the rights of ethnic minorities in multiethnic regions, preservation of their identity and their civic integration; so that the citizens of Georgia, regardless of their ethnic origin, could contribute to the country's economic development, political and social life and democratic development process. However, despite the intensive transformation of the social-political and economic infrastructure of the last period, cultural and economic isolation of ethnic minorities is still a serious challenge for their integration with the Georgian society.

The monograph examines the integration of Armenians and Azerbaijanis in Kvemo Kartli, a historical province in southeastern Georgia. It studies the mechanisms of formation of ethnic boundaries, the strategies of cultural security preservation and its maintenance in both groups, the prospects of their mutual and civic integration. The book is mainly based on historical data and ethnographic materials collected by the authors during field expeditions in Kvemo Kartli in 2018-2020.

Since ancient times Georgia was in the zone of intensive ethnic migrations. The infiltration of different ethnic groups in Georgia occurred mostly from neighboring regions. Separate groups from

Europe and Asia came and settled here. Kvemo Kartli is especially distinguished from the multiethnic regions of Georgia<sup>1</sup>

Since the late Middle Ages, weakened Georgia could not cope with the invaders and Kvemo Kartli was practically depopulated. The emptied villages were occupied by the representatives of other ethnic groups. Migration processes were often facilitated by the Georgian feudal lords themselves and later by Tsarist Russia. Consequently, apart from Georgians, Kvemo Kartli was inhabited by Armenians, Azerbaijanis, Greeks, Russians, Germans, et al., who throughout various stages of history found their refuge here. Accordingly, various ethnocultural groups have become participants of the multilateral and lengthy process of acculturation. New groups went through several stages of adaptation – to an alien environment, to each other and to a foreign culture. Consequently, the process of integration of national minorities encountered many obstacles.

From the indicated period until the last quarter of the 20<sup>th</sup> century, the number of Georgians in Kvemo Kartli was small compared to the total number of non-Georgian population. However, Azerbaijanis and Armenians far outnumbered the other “non-Gorgians”. So the minorities in the region were in the majority. Migration of the Georgian population from different regions in Kvemo Kartli (first the 1940s-1950s and then after the ecological catastrophes in the highland regions of western Georgia in the 1980s) partially changed the ethnic picture in favor of Georgians – their number gradually increased. The political, social and economic cataclysms in the early 1990s that followed the collapse of the USSR contributed to the migration of a part of ethnic minorities from Kvemo Kartli, mainly to their historical homelands and Russia, which led to a

---

<sup>1</sup> Current administrative region is divided into 6 municipalities (Marneuli, Bolnisi, Dmanisi, Tetrtskaro, Gardabani, Tsalka) and 1 special status city Rustavi

significant reduction in their number. However, in some districts in Kvemo Kartli, Armenians and Azerbaijanis are still in the majority.

Both these groups have different historical fates and religious orientation, they speak different languages, have different traditions, behavioral norms, ethnic values, mentality, etc. They live mostly in densely populated settlements, which are located mainly across the state border adjacent to the states with the congeneric population (Armenians to Armenia, Azerbaijanis to Azerbaijan). Part of Azerbaijanis and Armenians in Kvemo Kartli believe that the land on which they live is their historical land and they are autochthonous. Although they coexist within a single province, they are less familiar with the traditions and customs of ethno-culturally “other” communities and rarely cooperate.

The earliest appearance of Armenian settlers in Kvemo Kartli dates back to the 2<sup>nd</sup> century BC. The migration of Armenians in Georgia and the development of Armenian-Georgian relations were mainly linked with the political, socio-economic and religious factors in concrete historical periods. In different epochs different were the intensity and character of those migrations. In the late Middle Ages, the resettlement of Armenians in Georgia was determined by their close proximity to Georgia and a relatively stable situation there. For the Armenians who did not have a state in the Caucasus since the 11<sup>th</sup> century, migration in Georgia was their salvation from the oppression of Iran and the Ottoman Empire. For their part, the Georgian kings encouraged such migrations to revive trade, crafts and urban life in the country. For example, in the 18<sup>th</sup> century Armenian Meliks – Abov and Mejlum asked King Erekle II for permission to settle them in Georgia. The king granted Abov’s request and settled him in Kvemo Kartli with his serfs, gave them the village of Bolnisi and ordered to guard the road of Kolb. King George XII, intending to develop trade in Kvemo Kartli with the help of Armenians, brought Melik Jemsheed and settled him with his people in certain places, because there was no

trade in the kingdom. Migrated Armenians settled next to the Georgians and easily integrated in the Georgian state.

The mass Armenian migrations in Georgia were initiated by Russia in the 19<sup>th</sup> century. With the support of the Russian officials, Armenian groups came from Iran and Turkey and settled in the southern regions of historical Georgia.

Religion of Armenians (Gregorianism) has greatly contributed to the preservation of their national culture and ethnic identity in a multi-ethnic environment. Initially, in abandoned Georgian settlements Armenians freely appropriated Georgian churches and in many villages they now serve the Armenian congregation. Although Armenians have rarely built churches in Kvemo Kartli, there are some newly constructed ones (e.g. in the Village of Shaumiani). There are also some chapels arranged in houses. Armenians celebrate Christian holidays; however, in some villages they use the Georgian Orthodox calendar. In Soviet times, under Soviet atheistic ideology, religion and participation in religious rituals were prohibited and religious practice was transferred from public to family space.

The native language of Armenians of Kvemo Kartli migrated from the Turkic milieu was strongly influenced by the Turkish language; almost all Armenians spoke or understood Turkish. So, when they appeared in the neighborhood of Turkmen tribes who already lived in Kvemo Kartli (today all of them identify themselves with Azerbaijanis), it became easy for them to adapt to their Muslim neighbors. As the German naturalist and explorer Johann Güldenstädt wrote, Armenians were close to them in their way of life, though they had maintained their religion and partially their mother tongue.

The above mentioned nomadic tribes of Turkic-Turkmen origin, the descendents of which today regard themselves as Azerbaijanis, came to Kvemo Kartli mainly from the beginning of the 17<sup>th</sup> century from the provinces of central and southern Iran, on the initiative of the Iranian political leaders. The nomads settled in

isolated groups. Their social organization was quite simple. The process of adaptation of Muslim migrants to the Georgian state system was difficult enough, it implied radical social, economic and political transformations, the acceptance of a completely different economic and fiscal systems. However, gradually politically they became part of the Georgian feudal body and subordinated to the Georgian legislation. Nevertheless, these Turkic tribes managed to maintain their cultural characteristics and later, consolidate, adopting a new, Azerbaijani ethnic identity (since the end of the 1920s). In the course of time, they adopted the traditional form of farming of the Georgian lowlanders (a symbiotic form of agriculture and cattle breeding); In the Soviet period, the structure of their settlements, the type of residential buildings and the system of agriculture were fundamentally transformed. Kolkhoses//sovkhoses were established, where the overwhelming majority of the rural population were united; horticulture and animal husbandry became the main areas of their economy. After the dissolution of the USSR Kolkhozes completely disappeared, which was part of an overall post-Soviet privatization policy; the Azerbaijanis of Kvemo Kartli began to supply the city with agricultural products and make good profits; today they occupy a significant part of the agricultural markets of Tbilisi.

The life in Azerbaijani community is based on the requirements of Sharia. Muslim religion is deeply rooted in the family system and the regulation of relations between family members. Some old customs still persist, such as temporary marriage, relatively low age of marriage, ignorance of a woman's desire to marry, cases of polygamy (although not frequent), etc. The fact that there are also opponents to marriage between blood relatives can be explained by the influence of the Georgian environment. It is also worth noting that the opinion about the negative genetic consequences of such marriages is getting current.

In Soviet times Armenians and Azerbaijanis of Kvemo Kartli experienced and were influenced by the overall political, cultural and socio-economic processes of that period: Soviet atheistic propaganda, leveling of religious identities, formation of collective farms and enterprises of international character, introduction of universal education system and establishment of Russian, as the common language of communication between different ethnic groups, etc. Armenians and Azerbaijanis in Kvemo Kartli received secondary education mainly at the Armenian and Azerbaijani schools, where Russian was intensively taught. There were also Russian schools in which certain part of the ethnic minority youth was educated. Knowledge of the Russian language was sufficient for getting a higher education and advantageous for career development. As for the Georgian language, the Armenian and Azerbaijani population of the region was actually ignorant of the language of the republic. This was the first and foremost reasons for their difficult civic integration.

After the collapse of the Soviet Union, new problems arose in terms of cultural dialogue in multinational regions; the problem of communication between different ethnic groups intensified when after Georgia's independence, the state switched to "Georgian rails". The education system has undergone major changes, above all, Russian schools were practically abolished, and Russian classes were replaced by English. However, the weak infrastructural power of the state during the Shevardnadze period (1993-2003) was not possible to promote knowledge of Georgian as a state language amongst members of national minorities. In the early 1990s, during a serious political and economic crisis it was difficult to develop appropriate methods and a reliable system of teaching the Georgian language. The knowledge of the Georgian language in the areas of compact residence of minorities remained very poor. The language barrier increasingly became a barrier to communication between Georgian and minority groups, as Russian began to lose its role as the language of inter-

ethnic communication. The youth could no longer speak Russian fluently. State programs to teach Georgian to ethnic minorities were incapable to implement its education policy. This problem could not be resolved in the short term. Consequently, it was difficult for national minorities to integrate into the social and political life of independent Georgia. They were unable to read the Georgian press, they did not watch Georgian TV channels, couldnot independently apply Georgian legislation, could not continue their studies in Georgian higher education institutions, etc.

In the mentioned period, the degree of isolation of the minority groups in Kvemo Kartli increased. Serious problems with intercultural communication were accompanied by the revival of national spirit and awakening of national sentiments of minorities, which activated the mechanisms of their ethnic identity maintenance; it stimulated their strivings for self-determination, acquiring an especially acute form and brought about conflicts, mostly of ethnic character. To this were added other problems typical of this period: emptying of villages, economic stagnation, alienation, the crisis of agriculture, failure of infrastructure; Armenians and Azerbaijanis experienced situations typical of other multinational regions of Georgia, such as intensive migration, the language barrier between groups, the information vacuum, educational problems, etc.

The State policy of minority integration was perceived by the representatives of ethnic groups under study as a threat to their ethnic and cultural identities; especially after the collapse of the global Soviet system, under which they felt secure. For both of the groups their cultural security is linked with preservation of their ethnic identity. In their opinion, through defending their ethnic culture (language, religion, traditions, etc.) they have provided the group's cultural security. The strategy to preserve their ethnic and cultural identity has been expressed in various forms: in popularizing national history, strengthening ties with their historical homeland (Armenia,

Azerbaijan), participating in general national celebrations, emphasizing their national symbols etc.

This period was marked by the revival of religious consciousness and the religious life among Kvemo Kartli Armenians and Azerbaijanis. The level of religiosity of the population and, consequently, the influence of religious institutions increased. The old churches and mosques began to function and the new ones were built, the number of worshipers grew, religious holidays were celebrated, etc. In the modern period Kvemo Kartli Armenian and Azerbaijani population receives political and religious impulses from the neighboring Armenia and Azerbaijan to some extent. Besides noteworthy is the tendency of covert (illegal) infiltration of political Islam in Kvemo Kartli. The signs, characteristic of this process - the growing popularity of Islam, the intensive sending of Muslim clergy and the plentiful supply of theological literature from the countries of political Islam (Iran and Saudi Arabia), are obvious.

As field material shows, various religious groups are characterized by alienation between groups and a high degree of internal integration, which is facilitated by intra-group religious identity. Monophysitism in case of Armenians and Islam in case of Azerbaijanis (Shiites, Sunnites, Salafis) function as the markers of both their ethnic and cultural identity in the existing milieu; as compared with Armenians, Azerbaijanis express their religious symbols more extensively. Perhaps because next to the Christian Georgians, Armenians feel more protected in this respect. The mosques in Azeri villages (though they are not in every village) function as a core of the Azeri community and a material expression of their identity; the area surrounding their sacral center delimitates *their* identity from 'others'. They protect their ethno-cultural security and believe that violating their boundaries is a threat to their identity.

Despite the fact that ethnic groups have mostly distanced from each other from the religious point, the tendency of participation in



each other's religious lives and involvement in their practices is observed. Field ethnographic material indicates that members of both communities are tolerant of each other's religion, although they consider religion a key marker of their ethnicity.

Religious affiliation, which isolates Azerbaijanis from the Christian groups (Georgians and Armenians in our case) causes, too, their social distance. Actually in the region under study interethnic marriages are rarely met. Inter marriages between Armenians and Georgians are comparatively frequent and are very rarely met between Azerbaijanis and Armenians or Georgians. Azerbaijanis and Armenians are against interethnic marriages and thereby infiltration of elements of culture through this way does not take place. Generally the practice of artificial kinship between the representatives of the different religious groups, such as baptizing//becoming godparents, is also rarely met. Though having a godfather from the opposite group is very honorable.

Our materials do not confirm the existence of some other shared traditions either; neither is the joint resolution of legal issues confirmed. Each group resolves legal disputes within its own group traditionally, but not between each other. The legal matters between them is argued at the official court.

Noteworthy is that the relation between Kvemo Kartli Armenians and Azerbaijanis is to some extent influenced by the conflict between the neighboring Armenia and Azerbaijan and the political, cultural, religious or socio-economic impulses emanating from these countries. Although representatives of both groups directly deny the influence of the Karabakh conflict on their relations, it is obvious that their relationship is not entirely friendly. For example, in the villages of Tsitelsopeli, Khozhorn, etc. this attitude is demonstrated through the behavior of the Armenians, who are categorically against of selling their houses to “others”.

While the state is trying to pursue a more cohesive policy towards minorities, Kvemo Kartli Azerbaijanis and Armenians are dissatisfied and both consider they are neglected by the state and deprived of privileges compared to the titular nation. They state, that because the government fails to create a proper socio-economic environment, some of the population is forced to leave the country. Although economic migration is common to all groups, Armenians and Azerbaijanis blame the state for its erroneous policies and demand to pay more attention to them.

Azerbaijani and Armenian population of Kvemo Karti maintains their cultural identity and the state seeks, too, to promote this process. The state has a consistent strategy towards the civic integration of ethnic minorities. After the Rose Revolution<sup>1</sup>with the support of international organizations, special programs for teaching the Georgian language in schools of minority areas were developed, and the teaching of social subjects in the Georgian language was planned. Measures were taken to unify the education system, a passing score was determined for those wishing to pass the Georgian language and literature at the Unified National Exams, etc Though, the problem still remained a challenge.

With the support of relevant European structures, the exclusive State Strategy for Teaching the Georgian Language for the Azerbaijani-Armenian Minorities and the Minority Integration Program have been developed later.

The Preservation of culture of ethnic minorities and establishment of tolerant environment implies maintenance and development of ethnic minorities' cultural identity elements, such as language, traditions, art and cultural heritage.

---

<sup>1</sup>The Rose Revolution was a pro-Western peaceful change of power in Georgia in November 2003.

In accordance with the European Framework Convention for the Protection of National Minorities, the government of Georgia pays special attention to the protection of ethnic minorities living in the country, to preservation of their identity and ensuring their civic integration. Civic integration is perceived as the establishment of adequate conditions for the full participation of all ethnic groups in the country's development .

In recent years Georgia has achieved significant progress with regard to the protection of rights and cultural identity of ethnic minorities. In 2015 “Civic Equality and Integration State Strategy and Action Plan” for 2015-2020 was adopted. This strategy aims to provide civic equality and integration and thus contribute to the maintenance of interethnic and intercultural peace and stability. The state policy is aimed at: “full and equal participation of ethnic minority representatives in civic and political life; Exercise of equal social and economic conditions and opportunities for the representatives of ethnic minorities; Preservation of culture of ethnic minorities and strengthening tolerant environment; Access to quality education at all levels and improved knowledge of State Language among ethnic minorities’ representatives”.

Today ethnic minorities in Georgia Azerbaijanis and Armenians in our case, have access to all stages of education (preschool, general, higher and professional), also in their native languages (Azerbaijani, Armenian, Russian). There are: 85 Azerbaijani schools and 117 Armenian schools in Georgia. Also, 28 Georgian-Azerbaijan sectors, 3 Georgian, Russian-Azerbaijani sectors, 7 Georgian-Russian-Armenian sectors and 8 Georgian-Armenian sectors. Mitigation system (the so-called quota system) for national minority students, that was put into practice since 2010, resulted in substantial increase of the number of ethnic minority students enrolled in higher educational (HEIs) institutions of Georgia.

In order to solve the problem of the state language ignorance, 1 + 4 program was launched in 2010, enabling ethnic minorities to receive higher education in a simplified way; it included the Georgian Language Preparation Program during the first year after passing the General Skills Exam, and then the student continued his studies in the undergraduate program that he/she desired. According to statistics, if in 2010, 247 students were enrolled in the 1 +4 program, in 2018, the number of students was increased to 1231. Despite criticism and some shortcomings, often caused not by the program itself but by broader educational legislation and specific regulations, this initiative is uniquely recognized as the most successful program for language learning and integration of ethnic minorities. Hence, the the 1 + 4 program which due to the original initiative was to be completed by 2018, was prolonged.

Since only one year of training at the University-level is not enough to study the language, in addition to the 1 + 4 program, major changes were made to the State language teaching, which included all levels of preschool, secondary and higher education.

Consequently, 1 + 4 program was to some extent an auxiliary component of the whole system and certainly would not have been intended to eliminate the problem eventually. Within the framework of 1 + 4 program there are already mixed groups from the second semester of the first year of teaching at TSU where Armenian and Azerbaijani students study together. This in itself helps to deepen relations between them.

For the last years various government agencies carried out hundreds of small or large-scale activities and projects that were aimed at popularization of material culture and ethnography of minorities as well as the inter-cultural education initiatives, cultural sharing among young people, protection and development of tangible and intangible cultural values of minorities. The main part of the activities included: 1. Supporting theaters and museums of ethnic

minorities: active support of cultural life of ethnic minorities through functioning of cultural centers such as theaters and museums. 2. Protection of Monuments of Cultural Heritage: activities related to the full documentation of monuments of cultural heritage of ethnic minorities living in Georgia and granting them the relevant status. 3. The activities carried out for preservation of identity and culture of ethnic minorities and popularization of cultural diversity: organization of cultural exhibitions, performances, publications, festivals and concerts.

But despite such a successful initiative, especially as the 1 + 4 program, overall, in the field of education and language skills, there is a very difficult situation, which is reflected in the degree of isolation of these groups and the low level of civic engagement, which is accompanied by an increasing trend of migration processes.

For both Armenian and Azerbaijani minorities in Kvemo Kartli, which represent a collectivist type of societies, the protection and preservation of their ethnic and cultural boundaries are tantamount to preserving their identity. On the one hand, they are ready to accept the challenges of modern technological progress and globalization and are involved in integration processes, though slightly; on the other hand, they are trying to reinforce their identity by activating markers of their ethnic culture. First of all, it concerns their native language, in which they receive secondary education; religion, that defines and distinguishes their way of life from the other religious groups; traditions that are also typical only for a particular group.

Our study has evidenced that On the one hand the groups maintain isolation (strict limitation of religious and wedding practices, rarity of interpersonal relationships, weak inclusion into the political life, existence of separatist impulses) and on the other hand the development of integration processes is observed (exchange of cultural elements, increase of interpersonal and intergroup contacts, mixed marriages, mutual activities, growth of the interest in learning

the State language, decline of intergroup confrontations and conflicts, involvement in each other's religious practices, growth of confidence in the state). Apparently, Armenian and Azerbaijani minority groups in Kvemo Kartli are just in-between isolation and integration. Their integration can be viewed as a complex multifaceted process where consolidating, disintegrating and ethnocentric factors are actively involved.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **აბდლაძე ა.**, სომხების შემოსევები საქართველოში, [http://www.amsi.ge/istoria/somx/somxebis\\_shem.pdf](http://www.amsi.ge/istoria/somx/somxebis_shem.pdf)
2. **აბდლაძე ა.**, სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიმნტარაკანების) ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1978.
3. **აბდლაძე ა.**, „ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან XII ს. დასაწყისამდე“, თბ., 1982.
4. **ადამიანის** უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC); „ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“. თბილისი. 2019.
5. **ადამიანის** უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC); „ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები, რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება“, თბ., 2020.
6. **ავალიშვილი ზ.**, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.
7. **ალექსიძე ზ.**, ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისათვის, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ - ფილოლოგიური ძიებანი, ტ. 1, თბილისი, 2010. ISBN 978-9941-0-2994-3
8. **ალექსიძე ზ.**, მართლა სჯიდა სიკვდილით ქართლის კათალიკოსს სომეხთა კათალიკოსი? ქრონოსი, №1, 2020.
9. **ანდრიაშვილი რ.**, ისლამის გადმონათეები საქართველოში, თბ., 1983.
10. **ანთაძე კ.**, საქართველოს მოსახლეობა XIX ს. თბ., 1973
11. **ანტიკური კავკასია**, ენციკლოპედია, პროექტის ხელმძღვანელი რ. გორდუზიანი, ტომი I. წყაროები, ლოგოსი. 2010.

12. **არჯევანიძე ნ** კულტურული დომინაციის და უმცირესობების, კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში <https://emc.org.ge/ka/products/kulturuli-dominatsiis-da-umtsi-resobebis-kulturis-tsashlis-nishnebi-kvemo-kartlis-regionshi>
13. **აფაქიძე ან.**, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, წგ. 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963.
14. **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის**, „საქართველოს სამოქალაქო სექტორის შეფასება“, თბ., 2019.
15. **ბაბაყვი ილიას:** „კავკასიური ალბანეთის პერიოდში ყარაბაღში სომხები არ ცხოვრობდნენ“. ინტერნეტის ვერსია: <http://www.kavkazplus.com/>, 07. 01. 2015.
16. **ბაგრატიონი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი, გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, ტ. IV, თბილისი, 1973.
17. **ბაგრატიონი იოანე**, ქართლ-კახეთის აღწერა, „მეცნიერება“, თბ., 1986.
18. **ბაგრატიონი თეიმურაზ**, ახალი ისტორია, თბ., 1983.
19. **ბალახაძე ნ.**, ქართულ-სომხური ურთიერთობა 20-იანი წლებიდან დღემდე, ინტერნეტ ვერსია <https://iberiana2.wordpress.com/armenia/balakhadze/>
20. **ბაქრაძე დ.**, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი "საბჭოთა აჭარა", 1987.
21. **ბერიაშვილი ლ.** მინათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1973.
22. **ბერძენიშვილი დ.**, ახალქალაქი ჯავახეთისაი, არტანუჯი, 1998, №7.
23. **ბერძენიშვილი დ.**, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი, თორი, ჯავახეთი, თბ., 1985.
24. **ბერძენიშვილი დ.**, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, დმანისხევი, თბ., 2014.



25. **ბერძენიშვილი დ.**, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ნაკ. I, ქვემო ქართლი, თბ., 1979.
26. **ბერძენიშვილი ნ.**, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, სის, ტ. VIII. თბ., 1989.
27. **ბერძენიშვილი ნ.**, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990.
28. **ბერძენიშვილი ნ.**, ჯავახეთის 1933 წლის ესპედიციის დღიური /საანგარიშო მოხსენება/ სინ ნ.1, თბ., 1964.
29. **ბოჭორიძე გ.** მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1992.
30. **ბუნაკი ვ.** კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა, პარალელური ტექსტი რუსულ ენაზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი, 1946, ტ. 13-A.
31. **გაგოშიძე გ., ჩანტლაძე ნ.**, მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, თბ., 2009.
32. **გაზეთი** „ცნობის ფურცელი“, 1898.
33. **გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ.**, 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, №1, 1973.
34. **გამყრელიძე ბ.**, სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში (აჭარული ჯარგვალი) სდსკ, თბ., 1973.
35. **გამყრელიძე ბ.**, ქართველი ხალხის სამეურნეო ტრადიციები და თანამედროვეობა, თბ., 1993.
36. **გელაძე თ.**, ხვნასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომა ქვემო ქართლში, ქვემო ქართლი, „მეცნიერება“, 1990.
37. **გვიმრაძე ჩგ.**, საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის და პოლიტიკის ერთი ასპექტის შესახებ - მუსლიმთა სამოქალაქო ინტეგრაცია, 2013.
38. **გვჭირდება კი მარადიულობა?**, აზერბაიჯანული ისტორიის სახელმძღვანელოები სიყვარულს და სიძულვილს ასწავლი-

ან, JAMNEWS, baqo, dekemberi 9, 2016, <https://jam-ws.net/?p=6414&lang=ka>

39. **გიულდენშტედტი** მოგზაურობა საქართველოში, ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I თბ., 1962
40. **გოცირიძე ჩგ.**, აღმოსავლური დღესასწაულები საქართველოში, თბ., 2012.
41. **გვრიტიშვილი დ.**, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965.
42. **დავითის ისტორიკოსი**, ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა, ქართლის ცხოვრება, რედაქტორი და გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, გამ. „განათლება“, ტ. I, თბ., 1955.
43. **დრასხანაკერტელი იოანე**, სომხეთის ისტორია, თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1937.
44. **ეგნატაშვილი ბერი**, ახალი ქართლის ცხოვრება, //ქართლის ცხოვრება, რედაქტორი და გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, გამ. „განათლება“, ტ. II. თბ., 1959.
45. **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, თბ., 2019.
46. **ეთნოსები საქართველოში**, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბ., 2008
47. **ეთნოსთაშორისო** თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრ, “საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების საჭიროებების შეფასება”, 2012
48. **ეპისტოლეთა ნიგნი**, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.
49. **ერთი საზოგადოება**, მრავალი ეთნოსი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2003.

50. **ზურაბიშვილი ლ.**, ეროვნებათმორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989.
51. **თამარაშვილი მ.**, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
52. **თამარაშვილი მ.**, როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“. 2010.
53. **თაყაიშვილი ე.** როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, მნათობი, №8 1948.
54. **თოთაძე ა.**, საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, 1999.
55. **თოთაძე ა.**, სომეხი ვაიმეცნიერების მიერ ისტორიის გაყალბების უპრეცედენტო მცდელობა, საქართველო და მსოფლიო, 2014 წ. 14. 08 (ვებ გვერდი, <http://geworld.ge/View.php?ArtId=6123&lang=ge>)
56. **თორია მ.**, წარსულის გააზრებისა და მეხსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში, (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი), ცივილიზა-ციათა დიალოგი, №4, თბილისი, 2006.
57. **თოფჩიშვილი რ.**, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში). თბ. 2000.
58. **თოფჩიშვილი რ.**, ქართველი მაჰმადიანები. ქართველი კათოლიკეები. ქართველი გრიგორიანები. დიდგორი: ისტორიული სამეცნ.-პოპულ. კრებული. თბ., 1991.
59. **ინგოროყვა პ.**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
60. **ინგოროყვა პ.** საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990.
61. **კაკაბაძე ს.**, ქართული სახელმწიფოს გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, 1924.
62. **კეკელიძე კ.**, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები (ლიტერატურული მიმოხილვა), მიმომხილველი, 1926.
63. **კვახაძე ა.**, უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები, თბ., 2020.

64. **კვინიტაძე გ.**, მოგონობები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, I, თბ., 1998.
65. **კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ რეგიონში**, პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი. “მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი”, ჯონ დ. და ქეთრინ ტ. მაკარტურების ფონდი, ჩიკაგო, აშშ, თბ., 1998.
66. **ლობჯანიძე გ.** ისლამი საქართველოში, ახალგაზრდების ინტელექტუალური და სულიერი განვითარების ზოგიერთი მხარე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, თბ., 2013.
67. **ლომინაძე ბ.**, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, სინ. ტ. III, თბ., 1979.
68. **ლომინაძე ბ.**, საქართველო IV ს. პირველ ნახევარში, სინ. ტ. III, თბ., 1949.
69. **ლომსაძე შ.**, ახლციხური ქრონიკები, თბ., 1979.
70. **ლომსაძე შ.**, მესხები, II ახალციხური ქრონიკები, თბ., 1997.
71. **ლომსაძე შ.**, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975.
72. **ლორთქიფანიძე ი.**, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935.
73. **ლორთქიფანიძე მ.**, საქართველო XI ს. ბოლოს და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებელი, სინ. ტ. III, თბ., 1979.
74. **მაისურაძე გ.**, სომხეთის კავკასიური პოლიტიკა 1918-1920 წლებში, ანალები. თბილისი, 2007.
75. **მაისურაძე გ.**, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982.
76. **მაკალათია ს.**, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთის), კრებული „მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972.
77. **მარუაშვილი ლ.**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, I, თბ., 1964.

78. *მდივან-ბეგ ხერხეულიძე ომან*, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989.
79. *მელიქიშვილი გ.*, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკითხები. თბ., 1965.
80. *მელიქიშვილი ირ., ხაზარაძე ნ.*, ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების კონტექსტში, // ქართველები, ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ, რედაქტორები: ლ. ბერიაშვილი და ლ. მელიქიშვილი, თბილისი, 2016. ISBN 978-9941-24-147-5
81. *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური იდენტობა და კულტურული ფაქტორები, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი, გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბილისი, 2011. ISBN 978-9941-424-18-2
82. *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური საზღვრები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალციხის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხე, 2009.
83. *მელიქიშვილი ლ.*, ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში, წიგნში: კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ რეგიონში, პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი. “მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი”, თბილისი 1998.
84. *მელიქიშვილი ლ.*, ორმხრივი უარყოფითი სტერეოტიპი - ქსენოფობიის საფუძველი, ანუ სახელმწიფოებრივი ეთიკის კრიზისი, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბილისი, 2011. ISBN 978-9941-424-18-2

85. **მელიქიშვილი ლ.** ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბ., 2019. ISBN 978-9941-485-69-5
86. **მელიქიშვილი ლ., ჯალაბაძე ნ.,** ენისა და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) №1 (11), თბილისი. 2017, გვ. 114-123.
87. **მელიქიშვილი ლ., ჯანიაშვილი ლ.** ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში, მაცნე №1, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 2020.
88. **მესხია შ.,** „საისტორიო ძიებანი“, ტ. II, თბ., 1983.
89. **მეტრეველი რ.,** დავით აღმაშენებელი, თბ., 1990.
90. **მეტრეველი რ.,** On Some Issues of Georgian History (In response to the Interview of V. Putin, the President of Russia, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 13, №3, 2019.
91. **მოდებაძე ვ.,** სომხეთ-საქართველოს ომი და მისი შედეგები, ჟურნ. სამართალი და ეკონომიკა, სამეცნიერო ჟურნალი / სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2017.
92. **მოლოდინი ლ.** ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963.
93. **მუსხელიშვილი დ.,** აღჯაყალა - გაგის ციხე, სიგკ II თბ., 1960.
94. **მუსხელიშვილი დ.,** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
95. **მუსხელიშვილი დ.,** საქართველოს ისტორიის ნარკვევი, საქართველოს ისტორიის ადრეული პერიოდი. // ქართველ-

ბი, ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ, რედაქტორები: ლ. ბერიაშვილი და ლ. მელიქიშვილი, „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ფონდი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, წიგნი 18, თბილისი, 2016. ISBN 978-9941-24-147-5

96. **მუსხელიშვილი დ.**, ქართველთა წარმომავლობისათვის (ადრეული ეტაპები). // ქართველები, ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ, რედაქტორები: ლ. ბერიაშვილი და ლ. მელიქიშვილი, თბილისი, 2016. ISBN 978-9941-24-147-5
97. **მუსხელიშვილი ლ.**, არქეოლოგიური ექსკურსიები მამავერას ხეობაში, თბ., 1941.
98. **მოსახლეობის 2014** წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, <http://census.ge/files/results/Census%20ReleaseGEO.pdf>
99. **მროველი ლეონტი**, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი, ტ. I, თბ., 1955.
100. **მღებრიშვილი ლ.**, სოფელი მუხრანი, თბ., 1997.
101. **ნარიშკინიშვილი გ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ.**, თრიალეთი, თბ., 2018.
102. **ნიდერლანდების ინსტიტუტი** მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD), “ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში“, თბ., 2017.
103. **ნოღია გ.**, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა; „სამოქალაქო საზოგადეობის განვითარება საქართველოში-მიღწევები და გამოწვევები“, თბ., 2005.
104. **ნოზაძე ვ.**, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

105. **ნონეშვილი ა.ი.** ამიერკავკასიის ქვეერსამარხები, მასალები არქეოლოგიური რუკისათვის, თბილისი, 1983.
106. **ორბელიანი პაპუნა**, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებელი დაურთო ს. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
107. **პაპუაშვილი თ.**, კულტურული ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან. სინ., ტ. III, თბ., 1979.
108. აწილეობის გაუმჯობესება, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, თბ., 2019.
109. **ჟამთაღმწერელი**, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
110. **ჟობერი ა.**, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805—1806 წლებში, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1997.
111. **რობაქიძე ა.**, ქართველი ხალხის ტრადიციული საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპი (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობები), სიეა, თბ., 1986.
112. **სამოქალაქო საზოგადოების** განვითარების ინიციატივა, „საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების რეფორმის კონცეფცია“, თბ., 2018.
113. **სამოქალაქო საზოგადოების** განვითარების ინიციატივა; „საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ევროინტეგრაციისა და ბიზნეს ორგანიზაციების მიმართ“, თბ., 2018.
114. **სამოქალაქო საზოგადოების** ინსტიტუტი, „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები სახელმძღვანელო დოკუმენტი“, 2018.
115. **საფარელი არსენი**, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, მეცნიერება, თბილისი, 1980.
116. საქართველოს აღმოსავლეთ ცენტრალური ეკონომიკური რაიონი (ქვემო ქართლის რეგიონი).



117. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.  
ელექტრონული ვერსია: <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC- GEO.pdf>
118. *სახალხო საქმე*, გაზ, № 360, ოქტომბერი 1918.
119. *საჯარო პოლიტიკის*, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC); „2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ“, თბ., 2014.
120. *სვანტე კორნელი*, ავტონომია – კონფლიქტის წყარო, ცივილიზაციათა დიალოგი, №2, თბილისი, 2004.
121. *სომეხთა გენოციდი* ქართულ პერიოდიკაში, უნივერსალი, 2011.
122. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი—ცნობარი*, თბილისი, 2004.
123. *სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, ეთნოუმცირესობა და სამოქალაქო საზოგადოება ქვემო ქართლში*, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და რედაქტორი: მელიქიშვილი ლ., კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბილისი, 2011. ISBN 978-9941-424-18-2
124. *სსო მეტრი*, „სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში-საქართველოს ანგარიში“, თბ., 2020.
125. *სტრაბონი*, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ 1, XI, 4, 5, წყაროები, ლოგოსი, თბილისი, 2010.
126. *სტრაბონი*, გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.
127. *სტუდენტების განწყობა* უმცირესობებისადმი და მედიის როლი, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინტსტიტუტი (TDI) თბ., 2017.

128. სცია, ფ. 5, საქ. 194.
129. სცია, ფ. 284, საქ. 962.
130. **უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები - პანკისის კრიზისი**, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი მელიქიშვილი ლ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, გამომცემლობა „მემატიანი“, თბილისი, 2002. ISBN 99928-0-487-4
131. **უხტანესი**, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, მეცნიერება, თბილისი, 1975.
132. **ფუტკარაძე თ.**, ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში, ბათუმი: აჭარა, 1998.
133. **ფუთურიძე ვ.**, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. 1954.
134. **ფუთურიძე ვლ.**, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955.
135. **ქართველები**, ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ, რედაქტორები: ლ. ბერიაშვილი და ლ. მელიქიშვილი, „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ფონდი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, წიგნი 18, თბილისი, 2016. ISBN 978-9941-24-147-5
136. **ქართლის ცხოვრება**, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1955.
137. **ქვემო ქართლის** მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა, სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი, თბ., 2011.

138. **ქვემო ქართლის** ოფიციალური ვებ გვერდი (<http://kve.mokartli.gov.ge/>)
139. **ღამბაშიძე ირ.**, საქართველო - მსოფლიოში მთის ოქროს მომპოვებელი უძველესი ქვეყანაა. საყდრისის მთის სასწაული და ბალიჭი-ძეძვების ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, ქართული უნივერსიტეტი, 2009, 1-7 ოქტომბერი.
140. **შამილაძე ვ.**, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.
141. **შანიძე ა.**, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის იტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II, ტფ., 1922-23.
142. **შველიძე მ.** ზაფხულის ხალხურ დღეობათა კალენდარი ქვემო ქართლში, კრ. ქვემო ქართლი, თბ., 1990.
143. **შოშიტაშვილი ნ.**, ქვემო ქართლის მოსახლეობის თანამედროვე საოჯახო ყოფა, კრ. ქვემო ქართლი, თბ., 1990.
144. **შუბითიძე ვ.**, სომხების როლი ქართული სახელმწიფოს დაცემის საქმეში (ინტერნეტ ვერსია <http://www.for.ge/view.php?forid=10581&cat=12>)
145. **შუბითიძე ვ.**, უსაფრთხოება და ეთნიკური კულტურის ადაპტაციის უნარი ახალ სოციალურ – კულტურულ გარემოთან, წიგნში: უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი), პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი რედაქტორი და თანაავტორი *მელიქიშვილი ლ.*, თბილისი, 2002. ISBN 99928-0-487-4
146. **შუბითიძე ვ.**, ადაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში, წიგნში: კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, (პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი), თბ. 1998.
147. **ჩანტლაძე ნ.**, მხითარ გომის ტრაქტატი „ქართველთათვის“. სადისერტაციო მაცნე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994.

148. **ჩაჩხიანი ა.**, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007.
149. **ჩაჩხიანი ა.**, ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი) : ავტორეფ... ისტ. მეცნ. კანდ. თბ., 2006.
150. **ჩიტაია გ.**, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, თბ., 1920.
151. **ჩიტაია გ.**, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1959.
152. **ჩიტაია გ.**, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში საქართველოს ისტორიის მოამბე, IV, ტფილისი 1928.
153. **ჩიტაია გ.**, ქართულ-კავკასიური სამინათმოქმედო კულტურა, ტ. I, მეცნიერება, 1997.
154. **ჩიქოვანი თ.**, ამიერკავკასიის ხალხური საცხოვრებლის ისტორიიდან, თბ., 1967.
155. **ჩიქოვანი თ.**, მესხეთი, თბ., 1979.
156. **ჩიქოვანი თ.** „მესხურ-ჯავახური დარბაზული სახლი“. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების მოამბე, თბ., 1962.
157. **ჩიქოვანი თ.**, ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბ., 1960.
158. **ჩიქოვანი თ.**, ჯავახეთი, თბ., 1982.
159. **ჩხვიმიანი ჯ.**, შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის საკითხები (დისერტაცია), 2020.
160. **ჭავჭავაძე ი.**, ქვათა ღალადი, რჩეული ნაწარმოებები ტ. V, თბ., 1987.
161. **ჭიჭინაძე ზ.** სამშბლო ქვეყნის მოღვაწეები – მიხეილ პეტრს ძე თამარაშვილი, თბ., 1912.
162. **ჭიჭინაძე ზ** ქართველი გრიგორიანები, თბ., 2014.

163. **ჭეიშვილი გ.**, ახალი რუკები და ძველი უთანხმოებანი: რეცენზია რობერტ ჰიუსონის ნაშრომზე „სომხეთის ისტორიული ატლასი“, შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბ., 2006.
164. **ჭეიშვილი გ.**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ანტიკურ ხანაში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994.
165. **ჭეიშვილი გ.**, «Добы не заблуждаться и не вводить в заблуждение», ინტერნეტ ვერსია: [http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmqt-MBZUE9\\_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE](http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=105734&fbclid=IwAR1f58ZAdvmqt-MBZUE9_orOXFFLaGBsEbv2szW9kkuuqNM8T83jU2MIbAE)
166. **ჭეიშვილი გ.**, ქვეყანა ანისისა, არტანუჯი, 2017.
167. **ჭიჭინაძე ზ.**, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913.
168. **ჭიჭინაძე კ.**, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: სისტემური მიდგომა, ცივილიზაციური ძიებანი, №2, გამომცემლობა არტანუჯი, ზთბილისი, 2004.
169. **ხორენაცი მოვსეს**, სომხეთის ისტორია, ძვ. სომხ. თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ.. მეცნიერება, 1984.
170. **ჯავახიშვილი ივ.**, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II, ტფ. 1922-23.
171. **ჯავახიშვილი ივ.** დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.), თბ., 1998.
172. **ჯავახიშვილი ივ.**, ივ. ჯავახიშვილის არქივიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №39, 1988.
173. **ჯავახიშვილი ივ.**, საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989.

174. **ჯავახიშვილი ივ.**, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII სს. თხზულებათა ტ. VI, თბ., 1982.
175. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართველი ერის ისტორია, მესამე წიგნი თბ., 1949.
176. **ჯავახიშვილი ივ.**, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967.
177. **ჯალაბაძე გ.**, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ., ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972.
178. **ჯალაბაძე გ.**, ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ. ქვემო ქართლი, მეცნიერება 1990.
179. **ჯალაბაძე ნ.** აკულტურაციის თავისებურებანი პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, წიგნში: „სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2011. ISBN 978-9941-424-18-2
180. **ჯანაშია ლ.**, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
181. **ჯანიაშვილი ლ.**, ისტორიის გაყალბების ნაცადი გზა, მნათობი, №1-2. 2003.
182. **ჯანიაშვილი ლ.**, ნარატივის აგების სტრუქტურული კატეგორიები ეთნიკურ კონტექსტში და სტერეოტიპების ფორმირების ეგზოგენური ფაქტორები, კრ. გამოჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი მიხეილ გეგეშიძე – 100, თბ. 2018.
183. **ჯანიაშვილი ლ.**, ჯგუფთაშორის საზღვრები და ინტერკულტურული დიალოგი ქვემო ქართლში, წიგნში: „სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. მელიქიშვილი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2011. ISBN 978-9941-424-18-2
184. **ჯაოშვილი გ.**, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბ., 1984.

185. **ჯაოშვილი გ.**, საქართველოს აღმოსავლეთი ცენტრალური ეკონომიკური რაიონი, ქვემო ქართლის ქვერაიონი, თბ., 1980.
186. **ჯაოშვილი გ.**, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბ., 1984.
187. **ჯუკაშვილი ი.**, ეთნოისტორიული და რელიგიური პროცესები ქვემო ქართლის თურქულენოვან მოსახლეობაში, თბ., 2019.
188. **ჭეროდოტოსი**, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ 1, წყაროები, ლოგოსი თბილისი. 2010.
189. **Asian Development Bank**, Civil Society Briefs-Georgia, 2011.
190. **Asian Development Bank**, Civil Society Brief Georgia, 2018
191. **AZERBAIJAN**. v. VIII. Azeri Turkish, ENCIKLOPEDIA IRANIKA. Last Updated: August 18, 2011. This article is available in print. Vol. III, Fasc. 3, pp. 245-248. ©2021 Encyclopædia Iranica Foundation, Inc. All Rights Reserved. ISSN 2330-4804 <https://iranicaonline.org/articles/azerbaijan-viii>
192. **Beyer Judith**, Kyrgyz Aksakal courts: Pluralistic Accounts Of History, Revitalisation, Existence, Invention and Continue of the Kyrgyz Aksakal Courts: Listening to Pluralistic Accounts of History, Journal of legal pluralism, 2006.
193. **Civil Society** Organization Sustainability Index 2019; Central, Eastern Europe and Eurasia (23rd edition), 2020.
194. **Chen L.C.**, Human Security: Concept and Approaches//Common Security in Asia: New Concepts of Human Security, Tokyo, 1995.
195. **Dubois Frederic de Montpereux**. Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimée; Avec un atlas géographique, pittoresque, archeologique, geologique, etc., t 3, 1839.
196. **Dustin Gilbreath** and **David Sichinava**, Caucasian Analytical Digest, No. 73, 2015.

197. *Encyclopædia Britannica*, Azerbaijan. ელექტრონული ვერსია, 2020.
198. *Grand Dictionnaire Encyclopédique Larousse* (1982). Page 921, (retrieved 17 February 2007). ISBN 2-03-102301-2
199. **Grosby S.**, Territoriality: the Transcendental, Primordial Feature of Modern Societies// Nationalism, v I, pt 2, 1995.
200. **Hasegawa Y.** The rights movement and cultural revitalization. The case of the Ainu in Japan, Cultural Diversity. Heritage and Human Rights (Intersections in Theory and practice). Rutledge London and New York, 2010.
201. **Hayrapetyan Karen**, Refugees' Issue in the Final Phase of Batum Negotiation ,Huistory and Culture Journal of Armenian Studies (collection of Scientific Articles) Yerevan 2016.
202. **Hewsen R.H.** Ethno-history and the Armenian influence upon the Caucasian Albanians. Classical Armenian culture: Influence and creativity, Scholars press, Philadelphia, 1982.
203. **Jacob M., Yakama Rising**, Indigenous Cultural Revitalization, Activism, and Healing, The University of Arizona Press.
204. **Janiashvili L.** Traditional Legal Practice in Soviet Times, Traditional Law in the Caucasus. Curupira, 2016.
205. **Jenkinson A.**, Early voyages and travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and other Englishmen, with some account of the first intercourse of the English with Russia and Central Asia by way of the Caspian Sea. *Edited by E. Delmar Morgan and C.H. Coote. Published by B. Franklin in New York*, 1900.
206. **Knudson D.** Fundamentals of Biomechanics, 2007.
207. **Koberidze Tamar.** “ Impact of the Georgian Non-Governmental Sector on Social Capital in the Process of Policy Advocacy“ Journal of Politics and Democratization Volume 1-1 (April 2016)
208. **Kvavadze E., Jalabadze M., Shakulashvili N.** (2010) Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palinological and chemical analysis. in:



Proceedings of the XXXIIIrd World congress of Vine and Wine and the 8th General assembly of the International organisation of Vine and Wine, 20-25 June 2010, Tbilisi, Georgia.  
<http://www.oiv2010>

209. **Lauren E. Eckert, Natalie C. Ban, Snxakila-Clyde Tallio and Nancy Turner**, Linking marine conservation and Indigenous cultural revitalization: First Nations free themselves from externally imposed social-ecological traps, *Ecology and Society* 23(4): 23, 2018, Vol. 23. <https://www.ecologyandsociety.org/vol23/iss4/art23/>
210. **Malkhasyan Mikael**, Foreign Ethnic Invasion into Armenia in The 16th Century, *Huistoriy and Culture Journal of Armenian Studies* (collection of Scientific Articles) Yerevan 2016.
211. **Manuera G.**, Preventing armed conflict in Europe lessons from recent experience, *Chaillot Papers*, 15/16, June, Paris, 1994.
212. **Mearsheimer J.J.**, Back to the Future: Instability in Europe after the Cold War//*intern security vol. 15 #1*, 1990.
213. **Melikishvili L., Janiashvili L.**, Ethnocentrism and the Problem of Ethnic Identity in the Multiethnic Region (Kvemo Kartli), *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* (Moambe), vol. 13, # 4, 2019.
214. **Minorsky V.** «Azarbaijan». *The Encyclopaedia of Islam. Second Edition*, Edited by: P. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel and W.P. Heinrichs. Brill. ISBN: 9789004161214, 1960-2007.
215. **Minorsky V.** *Studies in Caucasian history*. London, 1953; Cambridge University Press, 1957.
216. **Minorsky V.** The Khazars and the Turks in the Ākām al-Marjān Author(s). Source: *Bulletin of the School of Oriental Studies*, University of London, Vol. 9, No. 1, 1937.
217. **Olivier Roy**, *The new Central Asia: The Creation of Nations*, I.B.Tauris, 2000, ISBN 0-8147-7554-3

218. **Phinney S. Jean, Ong D. Anthony.** Conceptualization and Measurement of Ethnic Identity: Current Status and Future Directions. *Journal of Counseling Psychology*, Vol. 54, # 3, 2007.
219. **Polglase R, N. Museyibli, J. M. Koller, T. A. Johnson,** Past and Future Heritage in the Pipelines Corridor (Azerbaijan Georgia Turkey), *Asian Cultural History Program Smithsonian Institution*, 2011.
220. **Policy,** Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC); 2014 Follow-up Report on Civic Engagement.
221. **Rothschild E.,** What is Security? 1995. *electronuli versia.*
222. **Salia K.,** *Histoir de la nation Georgienne.* Paris, 1983.
223. **Shenfield D. Stephen,** *Armed Conflict in Eastern Europe and the Formed Soviet Union,* 1991.
224. **Stavenhagen R.,** *The Ethnic Question (Conflicts, Development and Human Rights),* The Unnited Nations University, 1990.
225. **Stuart, James.** *An Ethnohistorical Dictionary of the Russian and Soviet Empires.* Greenwood Publishing Group, 1994. ISBN-10 : 0313274975; ISBN-13 : 978-0313274978
226. **XIX век //** Официальный сайт Музея антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера) РАН.
227. **Абуладзе И.,** Замечания по поводу П. М. Мурадяна: «Армянская надпись храма Джвари», «Заря востока», 1947
228. **Абдушлишвили М.Г.** Антропология древних и современных народов Кавказа. В книге: Абдушлишвили М.Г., Арутюнов С.А., Калоев Б.А., *Народы Кавказа: Антропология, лингвистика, хозяйство,* Москва 1994.
229. **Абдушлишвили М.Г., Арутюнов С.А., Калоев Б.А.,** *Народы Кавказа: Антропология, лингвистика, хозяйство,* Москва 1994.
230. **Агаян Ц.,** *Вековая дружба народов Закавказья.* Ереван, 1980.
231. **Адонц Н.,** *Армения в эпоху Юстиниана,* СПб. 1908.

232. **Азербайджанцы**, Ответственные редакторы: *А. Мамедли, Л. Т. Соловьева*, Серия «Народы и Культуры», ответственный редактор серии **В. А. Тишков**, Москва. Наука, 2017. ISBN 978-5-02-040007-8
233. *Айвазян С.*, История России. Армянский след, Т. I, Москва: 2000.
234. **Акаев В.** Религиозно-политический конфликт в чеченской республике Ичкерия. Центральная Азия и Кавказ. №4(5) 1999.
235. АКАК, т 1, Письмо армянских меликов Джимшида Варадинского и Фридона Гулистанского к Е.И.В. Тф. 1866.
236. АКАК, т 1, Грамота Е.И.В. Армянским меликам, Тф. 1866.
237. АКАК, т 1 Тоже к Карталинского и Кахетинского Царю Георгию, Тф. 1866.
238. АКАК, т 1 Грамота царя Грузинского Мелику Джимшиду от 29 февраля 1800 года. Тф. 1866.
239. АКАК, т 2, Обещание Армянским народам, обитающими Ганджинской области, от 30-го ноября 1803 года. - Шамхор. Тф. 1868.
240. АКАК, Т 2, ч. 18, Камеральное описание вышедших из Ганджи Шамшадилского владения и Аирумских деревень 2 марта 1804 года, Тф. 1868.
241. АКАК, Т 2, ч. 18 Предписание кн. Цицианова к ген. Несветаеву, Тф. 1868.
242. АКАК, т. 7. Тф. 1878.
243. **Алексеев В. П.** География человеческих рас // Избранное в 5 т. Т. 2. Антропogeография. - М.: «Наука», 2007.
244. **Алексеев В.П.** . Происхождение народов Кавказа, Избранное в 5 т. Т. 5М.: «Наука», 2009.
245. **Алиев А.А., Ибрагимов А.Ш., Халилова И.С.** Оценка разнообразия YQднк среди азербайджанцев, Вестник Московского

- университета. Серия XXIII, Антропология № 4, 2018. М. стр. 49-55. ISSN: 2074-813
246. **Алиев В. Г.** Культура эпохи средней бронзы Азербайджана. Баку: Элм, 1991.
247. **Алиев И. Г.** О скифах и скифском царстве в Азербайджане. Переднеазиатский сборник. М., вып. III; 1979.
248. **Алиев И.** Очерк истории Атропатены. Баку, 1989.
249. **Алиева И.,** Из этнической истории азербайджанцев. Борчалы до 1846 года. <https://docplayer.ru/32611372-Iz-etnicheskoj-istorii-azerbaydzancev-borchaly-do-1846-goda.html>
250. **Ансеров Н.И.** Тальши. Медико-антропологическое исследование. Баку, 1932.
251. **Ансеров Н.И.** Тюрки советского Азербайджана, Баку, 1930
252. **Антелава И.,** Колониальная политика царизма в Грузии в 30-50-х гг. XIX в. Очерки истории Грузии, т. IV, Тб. 1990.
253. **Артамонов М.И.** История Хазар, Филологический факультет Санкт-Петербургского государственного университета, СПб, 2002.
254. **Асланов Г. А.** К изучению раннесредневековых памятников Мингечаура // Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва. Вып. 60, 1955.
255. **Ахмедов Г. М., Бабаев И. А.** Археологические культуры Азербайджана. Баку, 1986.
256. **Ачугба Т.,** Этническая история абхазов XIX – XX вв. Этнополитические и миграционные аспекты. – Сухум. 2010.
257. **Бабаджанов Б.** Ферганская долина: источник или жертва исламского фундаментализма? Центральная Азия и Кавказ. №4(5) 1999.
258. **Бдоян В.,** Земледельческая культура в Армении, автореферат кин, Тб., 1968.
259. **Благова Г. Ф.** Вариантные заимствования турок, тюрк и их лексическое обособление в русском языке (К становлению

обобщающего имени тюркоязычных народов) // Тюркологический сборник 1972, М.: Наука, 1973.

260. **Боханов А. Горинов М.** История России с древнейших времен до конца XX века, М, 2001. ISBN 5-17-010273-9
261. **Борчалы** - на каждый холм по кресту или исчезновение азербайджанских топонимов в Грузии – Исследование, Баку. 12 февраля, 2019. REPORT.AZ/[https:// report.az/ru/analitika/karabahskij-drajver-ekonomika-azerbajdzhana-vyrastit-blagoda-rya-proektam-na-osvobozhdennyh-territoriyah/](https://report.az/ru/analitika/karabahskij-drajver-ekonomika-azerbajdzhana-vyrastit-blagoda-rya-proektam-na-osvobozhdennyh-territoriyah/)
262. **Бутков П.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1893 год Ч. 2. 1869.
263. **Ван Дейк Т.**, Язык познания коммуникация, Москва, 1989.
264. **Васильевский В. Г.** Византия и печенеги (1048-1094), Труды, Том I. СПб., 1908.
265. **В Грузии** предают забвению материальное и духовное наследие, Баку. 4 февраля, 2019. REPORT.AZ/ азербайджанцев <https://report.az/ru/analitika/v-gruzii-predayut-zabveniuyu-duhovnoe-nasledie-azerbajdzhancev/>
266. **Галстян А.**, Этнодемографические и этноязыковые процессы армян в Грузии, СЭ, #5 1988.
267. **Гаджиева С.Ш.** Дагестанские терекеменцы: XIX - начало XX в.: Историко-этнографическое исследование. М., 1990.
268. **Гейбулаев Г. А.**, К этногенезу Азербайджанцев (по данным топонимии), К проблеме этногенеза Азербайджанского народа, Баку 1984.
269. **Геродот**, История в девяти книгах. Книга 1, Клио, перевод и примечания Г.А. Стратановского, под общей редакцией С.Л. Утченко. Редактор перевода Н.А. Мещерский, Издательство «Наука», Ленинград, 1972.
270. **Глинка С.** Описание переселения армян азербайджанских в пределы России. М., 1831.

271. *Голубкина Т. И.*, Культура кувшинных погребений в Азербайджане, в сб.: Тр. Музея истории Азербайджана, т. 4, Баку, 1961.
272. *Гошгарлы Г.О.* Типология погребальных памятников античного периода на территории Азербайджана, - Баку: «Елм», 2012. ISBN 978-9952-453-43-0
273. *Гусейнов Г.* Из истории общественной и философской мысли в Азербайджане XIX века. Азербайджанское гос. изд-во, 1958.
274. *Гусейнов Р. А.* Огузы, кипчаки и Азербайджан XI–XII вв. (К вопросу об этнических процессах в Азербайджане в XI–XII вв.). – В кн.: Проблемы современной тюркологии. Алма-Ата, 1980.
275. *Гусейн-заде Р.А.* Кавказ и сельджуки, Институт стратегических исследований Кавказа, серия «История Кавказа», Баку, «Кавказ», 2010.
276. *Гулиев Ф., Гусейнов Ф., Алмамедов Х.* Раскопки неолитического поселения VI тыс. до н. э. на холме Гейтепе (Азербайджан) // Азербайджан – страна, связывающая восток и запад. Обмен знаниями и технологиями в период «первой глобализации» VII–IV тыс. до н. э. Международный симпозиум Баку, 1–3 апреля 2009 года. Баку, 2009.
277. *Дебец Г.Ф.* Антропологические типы//Народы Кавказа. 1960. Т. I.
278. *Дебец Г.Ф.* О принципах классификации человеческих рас: (По поводу статьи В.В. Бунака «Человеческие расы и пути их образования». СЭ. 1956. №1)//СЭ. 1956. №4.
279. *Джавахишвили А. И.* Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V–III тыс. до н. э. Тбилиси, «Мецниереба», 1973.
280. *Джалабадзе Г.*, Полеводство в Месхет-Джавахеги, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIII, თბ., 1978.

281. *Джанашия С.*, Об одном примере искажения исторический правды. Тб. 1947.
282. *Джангиров М.*, «Образование азербайджанского национального литературного языка», Баку 1978.
283. *Джафарзаде И. М.*, Элементы археологической культуры древней Мугани, Изв. АН Азербайджанской ССР, 1946, в. 4, № 9;
284. *Джапаридзе О.*, На заре этнокультурной истории Кавказа. Тб. 1989.
285. *Дробизева Л.М., Аклаев А. Р., Коротеева В.В., Солдатова Г.У.* Демократизация и образы национализма в Российской Федерации. М., 1966.
286. *Дубова Н. А., Лебедева Н. А.*, Адаптация русских сторожилов в Азербайджане, СЭ, №5, 1989.
287. *Дьяконов И. М.* История Мидии. М.-Л., 1956.
288. *Епархия ААЦ в Грузии*, <https://armenianchurch.ge/ru/znakomstvo-s-eparkhiej/eparkhiya-aats-v-gruzii>
289. *Загурский Л.*, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тифлис, 1873.
290. «*Закавказье и сопредельные страны в период эллинизма*, «Восток в древности», Глава XXIX, Электронный текст книги, 1999.
291. *Ибрагимов Дж.*, Феодалные государства на территории Азербайджана XV века, Баку, 1967.
292. *Иващенко М.*, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, «Известия АН Азербайджанской ССР», 1947, № 1.
293. *Иоаннисиан А.*, Россия и Армянское освободительное движение в 90-х годах XVIII столетия. Ереван, 1997.
294. *Ионе Г. И.* Мингечаурская разновидность наконечников стрел «скифского» типа. Сб. «Материальная культура Азербайджана», вып. 3, 1953.

295. *История армянского народа*, редакторы *Аракелян Б.Н., Иоаннесян И.Р.*, Ч. 1, Институт истории Академии наук Арм. ССР, изд. Айпетран, Ереван, 1951.
296. *Казиев С. М.*, Альбом кувшинных погребений, Баку, 1960.
297. *Кананян А.*, Джавахк: Непостижными пути истории, Новое время, 5.11.2002.
298. *Карапетян Э.*, Семейная община и патронимия у армян. Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук, Ереван, 1960.
299. *Карапетян Э.*, Армянская Семейная община, Ереван, 1958.
300. *Каракашлы К.* Материальная культура Азербайджанцев, Баку, 1964.
301. *Касимова Р. М.* Антропологическое исследование черепов из Мингечаура. В связи с изучением этногенеза азербайджанского народа. Редактор: Г. Ф. Дебец. Институт истории Академия Наук Азербайджанской ССР.. Баку: 1960.
302. *Кашибадзе В.Ф.* Кавказ в антропоисторическом пространстве Евразии: Одонтологическое исследование. Ростов-на-Дону, 2006.
303. *Кон И. С.*, Этноцентризм, Философский энциклопедический словарь, М., 1983.
304. *Кобычев В.* Крестьянское жилище народов Азербайджана в XIX в. Кавказ, Этнографический сборник, 3, М-Л 1962.
305. *Кобычев В.* Поселения и жилище народов Северного Кавказа в XIX - XX вв., М. 1982.
306. *Культура* жизнеобеспечения и этнос – опыт этнокультурологического исследования (на материалах армянской сельской культуры). Ереван, 1983.
307. *Куфтин Б.А.* Археологические раскопки в Триалети, Опыт периодизации памятников, т. I, Тбилиси, 1941.



308. *Ланг М.*, Традиция миграции в мусульманском кругу, Центральная Азия и Кавказ, №1. [https://www.ca-c.org/journal/cac-01-1998/st\\_21\\_lang.shtml](https://www.ca-c.org/journal/cac-01-1998/st_21_lang.shtml)
309. *Лисициан С.*, Из материалов по изучению жилищь Армении. Известия КИАИ, т. II, 1927.
310. *Лордкипанидзе М., Мухелишвили Д.*, Открытое письмо премьер-министру российской федерации В. Путину, Некоторые вопросы истории осетин Шида картли, Тбилиси, 2010.
311. *Лояльность* грузинского правительства к армянам: факты ущемления прав азербайджанцев Баку. 31 января. 2019 <https://report.az/ru/analitika/loyal-nost-pravitel-stva-gruzii-k-armyanam-ushemlenie-azerbajdzhancev/>
312. *Магомедова Э. Г.* Фонетико-морфологические и лексико-семантические особенности ерсинского говора зербайджанского языка, автореферат, Махачкала, 2006.
313. *Мамедова Ф.* Политическая история и историческая география Кавказской Албании, Баку, 1986.
314. *Марр Н.*, Заметки о турецком языке окрестностей Абастумани, М.-Л., 1937.
315. *Марр Н.*, Опроед сборнику Акакия, (Историко-археологический набросок). Текст издания: “Братская помощь пострадавшим в Турции армянам”. Литературно-научный сборник, 1989.
316. *Махмудов Ф. Р.*, Новые археологические данные о древней культуре Тальша и Мугани, Изв. АН Азербайджанской ССР, Серия истории, философии и права, 1970, № 2.
317. *Махмудов Ягуб Микаил оглы*, Территория Грузии искусственно увеличивалась за счет Азербайджана. 24. 10. 2012. internet versia: <https://www.gumilev-center.ru/territoriya-gruzii-iskusstvenno-velichivalas-za-schet-azerbajdzhana>

318. *Майсурадзе Г.*, Новые попытки искажения исторической правды, Некоторые вопросы истории Грузии в Армянской историографии, Тб. 2009.
319. *Маисурадзе Г.* О статусе Армении в составе Грузинской средневековой монархии (XII- XIV вв.), Некоторые вопросы истории Грузии в армянкой историографии, Тб., 2009.
320. *Мацумото Д.*, Человек, культура, психология, Удивительные загадки, исследования и открытия, С-П, 2008. ISBN: 978-5-93878-572-4, 0-534-35436-X
321. *Меликишвили Г.А.*, Изменение политической обстановки в Грузии и соседних странах в VII-VI вв. до н. э. ОИГ, т. I, Тб., 1989.
322. *Меликишвили Г.А.*, К истории древней Грузии, Тб. 1959.
323. *Меликишвили Г.А.* Манейское царство, // Наири-Урарту, АН Груз. ССР., Тбилиси. 1954.
324. *Меликсет Беков Л.*, О необходимости сравнительного изучения крестьянских армян и грузин. Изв. КИАИ, т. III, 1925.
325. *Микаэлян К.*, Паранормальная история, газета «Новое время», Ереван, 5.06. 2007 г.
326. *Минкевич-Мустафаева Н. В.*, Памятники трех основных групп Ходжалы-Кедабекской культуры на территории Азербайджанской ССР и их датировка, в сборнике: Материальная культура Азербайджана, в. 4, Баку, 1962.
327. *Мухелишвили Д.* Вместо предисловия, Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Тбилиси, Универсал, 2009.
328. *Мухелишвили Д.*, Из исторической географии восточной Грузии (Шек и Гогарена), Тб., 1982.
329. *Мухелишвили Д.*, Из политических взаимоотношений средневековой Армении и Грузии, Некоторые вопросы истории Грузии в Армянской историографии, Тб. 2009.

330. *Мусхелтшвили Д., Арвеладзе Б.*, История требует объективности, Некоторые вопросы истории Грузии в Армянской историографии, Тб. 2009.
331. *Мурадян П.*, «Армянская надпись храма Джвари», <http://lraber.asj-oa.am/1224/1/55.pdf>
332. *Мурадян П. М.* Армянская эпиграфика в Грузии (Картли и Кахети), Ереван, 1985.
333. *Набиев А.* Поселения и жилища азербайджанцев проживавших в Грузии в конце XIX начале XX вв. (По материалам Квемо-Картлийской историко-этнографической области), Автореферат диссертации на соискание ученой степени КИН, Тб. 1981.
334. *Нариманов И.Г., Ахундов Т.И., Алиев Н.Г.* Лейлатепе. Баку, 2007.
335. *Новосельцев А.П., Пацуро В.Т., Черепнин Л.В.* Пути развития феодализма. Наука, 1972.
336. *Некоторые вопросы* истории Грузии в армянской историографии. Тбилиси, Универсал, 2009.
337. *Нонешвили А.И.* Погребальные обряды народов Закавказья (VII в. до н.э. – VII в.н.э. Кувшинные погребения). Тбилиси, 1990. ISBN 5-520-01028-5
338. *Обзор* круглого стола «Общественные науки и национальная безопасность»  
[https://ru.wikipedia.org/wiki/Айвазян\\_Сурен\\_Михайлович](https://ru.wikipedia.org/wiki/Айвазян_Сурен_Михайлович)
339. Общественно-политическая организация армянский националистический фронт выступает против провокационных выходов турок-месхетинцев в Грузии, <http://subscriberu/archive/media-today.arminfo/200307/261301156html>
340. *Пантюхов И.И.* Антропологические типы Кавказа. Тифлис, 1893.
341. *Пантюхов И. И.* Расы Кавказа // Кавказский календарь. Тифлис, 1900.

342. *Патканов К.*, Ванские надписи и значение их для передней Азии, СПб. 1874, с. 182.
343. *Персы* // Энциклопедический словарь Ф.А. Брокгауза и И.А. Ефрона, СПб. Том XXIII (45). 1898.
344. *Путин В.*, Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В. Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн» Сочи, 28 августа 2008 г., <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>
345. Первая всеобщая перепись населения Российской Империи, 1897 г. т. 71 Эриванская губерния. Н. А. Троицкий, С.-Петербург, 1904.
346. *Робакидзе А.* Традиционные формы поселений в Аджарии, ОЭА, Тб., 1982
347. *Робакидзе А.*, Предисловие «Кавказский этнографический сборник», т. 5, Тб., 1975.
348. *Рустамов Я.* О поселении и крестьянском жилище азербайджанцев Карабахской зоны. Азербайджанский этнографический сборник, 2, Баку 1966.
349. *Сенковский О.*, Некоторые сомнения касательно истории Грузинов, Т 6, СПб, 1859.
350. *Стефаненко Т.Г.*, Этнопсихология. М.: Аспект Пресс, 2003.
351. *Степанян С.*, Армения в политике империалистической Германии (XIX-XX ВВ.), Ер. 1975.
352. *Сумбадзе Л.*, Архитектура грузинской народного жилища: «дарбази», Тб., 1984.
353. *Сумбатзаде А.С.* Азербайджанцы – этногенез и формирование народа. Баку, 1990.
354. *Тер-Сакиянци А.*, Современная семья у армян, М. 1972.
355. *Тетвадзе Ш, Тетвадзе О.*, Армяне в Грузии (с древних времён до сегодняшнего дня), Тб. 2008.

356. **Тишков В. А.** Как обновить концепцию национальной политики? Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48. 2003.
357. **Толстов С.П.** Города гузов (историко-этнографические этюды). "Советская этнография", № 3, 1947.
358. **Тревер К. В.** Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М–Л., 1959;
359. **Фаррух-муалим**, «Азербайджанский язык», www.disput.az › Форумы› Международная Политика: январь 12, 2006.
360. **Филатов С.** Религиозная жизнь в Евразии: реакция на глобализацию, Религия и глобализация на просторах Евразии. 2005.
361. **Фуры** на трассе М14. Армянские фуры забросали камнями в Грузии. Что произошло? <https://ru.armeniasputnik.am/incidents/20210125/26215001/Armyanskie-fury-zabrosali-kamnyami-v-gruzinskom-Marneuli-Chto-proizoshlo.html>
362. **Хитъ Г. Л.** Дерматоглифика народов СССР. Москва 1983.
363. **Чебоксаров Н.Н.** Основные принципы антропологических классификаций// Происхождение человека и древнее расселение человечества. М., 1951 (ТИЭ. Новая серия; Т. 16).
364. **Шамиладзе В.,** Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979.
365. **Шнирельман В. А.** Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М. 2003 ISBN 5-94628-118-6
366. **Шихсаидов А.** Ислам в Дагестане. Центральная Азия и Кавказ. №4(5) 1999.
367. **Юнусов А.,** Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г.
368. **Ярхо А.И.** Ганджинские тюрки (Азербайджанская ССР): Из работ экспедиции по изучению турецких народностей СССР//Антропологический журнал. 1932. №

## შემოკლებათა განმარტება:

1. სცია – საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი
2. სდსკ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა
3. სსო – სამოქალაქო საზოგადოება
4. ADB – აზიის განვითარების ბანკი
5. АКАК – Акты, собранные Кавказской археографической комиссией



# სარჩევი


შესავალი.....	3
<b>თავი I. მიგრაციული და ეთნოდემოგრაფიული პროცესები ქვემო ქართლში .....</b>	<b>10</b>
§ I. ქვემო ქართლი (საერთო მიმოხილვა).....	10
§ II. ქვემო ქართლში სომხების დამკვიდრების ისტორიიდან .....	32
§ III. თურქულენოვანი ჯგუფების დამკვიდრება და ეთნოდემოგრაფიული ვითარება ქვემო ქართლში .....	60
<b>თავი II. ისტორიის ეთნოცენტრისტული აღქმა და სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემა .....</b>	<b>94</b>
§ I. ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო უსაფრთხოების კონტექსტში.....	94
§ II. ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები.....	98
§ III. იდენტობის საკითხი ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.....	115
§ IV. აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზის შესახებ.....	134
§ V. საისტორიო მწერლობის გავლენა ქვემო ქართლში მცხოვრები სომხური მოსახლეობის თვითშეგნებაზე.....	165
§ VI. ეთნიკური თვითშეგნება და კოლექტიური მეხსიერება.....	183
<b>თავი III. ეთნოსოციალური პროცესები და სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობა ქვემო ქართლში .....</b>	<b>197</b>
§ I. ტრადიციული კულტურა რევიტალიზაციასა და ინოვაციას შორის.....	197




§ II სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობის თავისებურებები.....	217
§ III. რელიგიური ინსტიტუტების გავლენა სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე.....	233
§ IV. ნარატივის სტრუქტურული კატეგორიები და სტერეოტიპების ფორმირების ეგზოგენური ფაქტორები სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში.....	253
<b>თავი IV. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კონტაქსტში .....</b>	<b>269</b>
§ I. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება საქართველოში.....	269
§ II. საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების საკითხებში.....	283
§ III. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – ეთნოსთაშორისი დიალოგის შესაძლებლობა.....	294
<b>დასკვნა .....</b>	<b>309</b>
<b>THE ISSUE OF INTEGRATION OF ETHNIC GROUPS IN KVEMO KARTLI (ARMENIANS AND AZERBAIJANIS) (Summary).....</b>	<b>320</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:.....</b>	<b>334</b>



სოფელ დაშბაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია X-XI სს.



სოფელი შაუმანი



სომხურნარნერინი ქვა სოფ. შაუმინი



სოფ. ხოყორნი



საოჯახო სამლოცველო (სომხური)





აზერბაიჯანელი სკოლის მოსწავლეები ასრულებენ  
საქართველოს ჰიმნს



აზერბაიჯანელთა დღეობა „ელათი“



აზერბაიჯანელი მოლა და აჭარელი მუსლიმი. სოფ. არსარავანი



ნამაზი



წივა – საწვავი მთელი წლისათვის



თივის ზვინები



ჯუმა. სოფელი ქვემო ბოლნისი



ჯუმა. სოფ. არსარავანი





აზერბაიჯანული ქორნილი სოფელ სადახლოში



ჩაიხანა

